# ლიტერატურული ალმანახი

გამოცემა პირველი



გამოიცა
საქართველოდან გამოსულ
მწერალთა კავშირის მიერ

იერუშალაიმი 1981

მთავარი რედაქტორი
# შალომ დავითაშვილი

რედაქტორი
აბრამ მამისთვალოვი



Editor-in-chief: Shalom Davidashvili

Editor: Abraham Mamistvalov

© Union of Georgian Jewish writers in Israel.

ירושלים
1981

# אלמנך שפרותי

# גליון ו

## რედაქციისაგან

წინამდებარე ლიტერატურული ალმანახი ქართველი ებრაელი მწერლების მიერ შექმნილი, გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების (ლექსები, მოთხრობები, გამოკვლევა) წარმოადგენს თანამედროვე ქართულ-ებრაული ლიტერატურის განვითარების ათწლიანი პერიოდის პირველ ცდას.

ალმანახი წარმოგვიდგენს,როგორც ორიგინალურ ასევე თარგმნილ ნაწარმოებებს. აღსანიშნავია,რომ კრებული შეიცავს შუა საუკუნეების ებრაულ-ესპანური პოეზიის (ი.ჰალევის,შ. იბნ გაბიროლის) ახალ თარგმანებს.

წინამდებარე ლიტერატურული ალმანახი იცემა საქართველოდან გამოსულ მწერალთა კავშ. მიერ.

# Literary
# ALMANAC

FIRST ISSUE

FROM EDITORIAL BOARD

The present literary anthology of the published and unpublished works (verses, poems, prose, research) written by the Georgian-Jewish writers and essaysts is the first attempt of summing up of the decennial period of modern Georgian-Jewish literary evolution.

The anthology presents the original works plus the translated works. It's remarkable that the new translations of Medieval Hebrew-Spanish poetry - Yehuda Halevi, Shelono Ibn-Gebirol - are included.

The present literary anthology is published by the Union of Georgian Jewish writers in Israel.

JERUSALEM 1981

# წინასიტყვაობა

საქართველოდან გამოსულ მწერალთა კავშირის ხელ-
მძღვანელობის მიერ პოეზიის,პროზის,დრამატურგიის,პ-
უბლიცისტიკისა და იუმორის საუკეთესო ნაწარმოებზე გ
ამოცხადებულმა კონკურსმა შექმნა შესაძლებლობა ქარ-
თულ ენაზე ლიტერატურული ალმანახის გამოცემისა.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს თავისებურ კულ
ტურულ-ისტორიულ დოკუმენტს,რომელიც ცხადად ავლენს ს
აქართველოს ებრაელობის ღრმა ინტერესს სიტყვაკაზმუ-
ლი მწერლობისადმი.

წარმოდგენილი ლიტერატურული ალმანახი მიზნად ისა
სავს გააცნოს ფართო მკითხველ საზოგადოებას საქართ-
ველოდან გამოსულ შემოქმედთა ლიტერატურული ნაწარმო-
ებები და მიუთითოს,თუ რა მხატვრული ღირსება და სა-
ზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ მწერლის
შემოქმედებას,წარმოდგენილ თხზულებას.

საქართველოდან გამოსულ მწერალთა კავშირის გამგე
ობა ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ჩვენს პოეტებსა და მ
წერლებს,რათა მათი შემოქმედება გულმართლობით ასახა
ვდეს ჩვენი თაობის ფიქრებს,სასოებას,განწყობასა და
იმედებს,და მასთან ერთად,ასახიერებდეს ებრაული მსო
ფლგაგების ძირითად ელემენტებს,ებრაელი ხალხის რჩე-
ულობისადმი ღრმა რწმენას,მის მომავალ ხსნას, უშრეტ
სიყვარულსა და სიონისადმი ერთგულებას.

მაგრამ,ამ მნიშვნელოვანი პრობლემის წარმატებით
გადაჭრისათვის საჭიროა,რომ საქართველოდან გამოსუ-
ლი მხატვრული სიტყვის ოსტატები უფრო ღრმად ერკვე-

ოდნენ მხატვრული ლიტერატურის სააღმზრდელო იდეურ და ესთეტიკურ მნიშვნელობაში,ლიტერატურის საზოგადოებ-რივ-ეროვნული ფუნქციის არსში,მხატვრულ ნაწარმოებთა აღნაგობასა და ექსპრესიული მეტყველების ბუნებაში.

ებრაული ლიტერატურა ქართულ ენაზე შინაარსით უნ-და იყოს ღრმად ებრაული,ხოლო ფორმით - ქართული.მაგ-რამ,რას ნიშნავს ებრაული ლიტერატურა ქართულ ენაზე? უნდა ვიცოდეთ,რომ ებრაული ლიტერატურა ქართულ ენაზე - ეს არის გამოხატვა ისტორიულ-კონკრეტული სინამდვი ლისა მის სიონისტურ განვითარებაში. ამასთან ერთად ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწისაგან უნდა ვლი ნდებოდეს მოწინავე საზოგადოებრივი აზრის,საქვეყნო ინტერესების,ხალხის მისწრაფების,სამშობლოს სიყვარუ ლის გრძნობის მხატვრული გამოხატვა,რაც წარმოადგენს ლიტერატურის იდეურობის შინაარსის განმსაზღვრელს. დიდი საზოგადოებრივი იდეალების გარეშე როდი არსებ-ობს დიდი ლიტერატურა. ეს უკანასკნელი კი გულისხმო-ბს მაღალ მხატვრულობას,რაც დამახასიათებელი უნდა იყოს ქართულ ენაზე შექმნილი ებრაული ლიტერატურისა-თვის.

**შალომ დავითაშვილი**

**საქართველოდან გამოსულ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე**

# თანამედროვე ქართულ-ებრაული მწერლობა

საქართველოდან გამოსულ მწერალთა კავშირის მიერ მაღალ დონეზე ჩატარებული კონკურსის კვალდაკვალ წინამდებარე ალმანახი-კრებულის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს საზოგადოებრივსა და სულიერი ყოველდღიურობის სინამდვილეში. ჯერ ერთი,ეს პირველი შემთხვევაა როცა მთლიანი ლიტერატურული კრებულის ფარგლებში თავს იყრის საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანილი და ობიექტურად შეფასებული საკმაოდ მაღალი დონის პროზაულ-პოეტური და სხვა ჟანრის ნაწარმოებთა ერთობლიობა. მწერალთა კავშირმა და მისმა ხელმძღვანელობამ,განსაკუთრებით კი ამ კავშირის თავმჯდომარემ შალომ დავითაშვილმა უაღრესად დიდი,ფართო,უანგარო შრომა გასწიეს კონკურსის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის; ორმხრივაა სასიხარულო ხსენებული მოვლენაც. უპირველეს ყოვლისა,კონკურსმა გამოავლინა ქართულ ენაზე მეტყველი,მოაზროვნე არაერთი საუკეთესო შემოქმედი,მათ შორის რამდენიმე ფრიად პერსპექტიული ახალგაზრდა კადრიც. მეორე მხრივ კი კონკურსი წარმოადგენდა გარკვეულ დროით მიჯნას,ისრაელში ფორმირებული ქართულ-ებრაული მწერლობის ლიტერატურულ დონეზე,შემოქმედებით გაქანებაზე,სპეციფიკურ ენობრივ-სტილისტურ თავისებურებებზე პირუთვნელი შეფასების წარმოდგენის ასპექტით,გამომდინარე ისრაელური სინამდვილის ასახვის თავისებური ხერხების,მეთოდებისა და აღქმისაგან.

წარმოდგენილ მასალებს შორის არაერთი ნაწარმოები თავისი ბუნებრივი მაფებით ისევ საქართველოს რეალობას-

თანაა დაკავშირებული,ისევ საქართველოსათვის დამახასიათებელ ებრაულ ყოველდღიურობას ასახავს,რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს იმ გარემოებაზე,რომ ჩვენი თაობა დამაკავშირებელი რგოლია წარსულსა და მომავალს შორის,იგი იმ დროებით ცეხილს მოგვაგონებს,რომელიც მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან ორ პერიოდს ქართულ-ებრაული მწერლობის განვითარების ისტორიაში: საკუთრივ ქართულსა და ახალ ებრაულს.

ზემოთქმული გარკვეული საკითხების დაყენებისა და დასკვნების გაკეთებისკენაც გვიბიძგებს.

საკითხთა წყება კი ასეთია:

1). როგორი უნდა იყოს ისრაელში განვითარებადი ქართულ-ებრაული მწერლობა თავისი ჟანრობრივი შემცველობით,როგორ თემატიკას უნდა ასახავდეს იგი,რა სახის იდეოლოგიურ ქარგას უნდა ემყარებოდეს? 2) როგორი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ ისრაელურ ქართულ-ებრაულ მწერლობას ენობრივ-სტილისტური დონის,სინამდვილის ობიექტური ასახვის,ლიტერატურულ-კრიტიკული მეთოდოლოგიური ლაბორატორიის დასვეწის თვალსაზრისით? 3). რამდენად,რა სახით და რა მოცულობით უნდა იქნეს გათვალისწინებული ტრადიციული კლასიკური ქართულ-ებრაული მწერლობა და პუბლიცისტიკა(გერცელ ბააზოვი,ნათან ელიაშვილი...),რამდენადაა ნიშანდობლივი და რა მასშტაბითაა მისი გავლენა ჩვენს თანამედროვე მწერლობაზე?! დასასრულ: 4). რა სახის სასიცოცხლო ესთეტიკურ,ეთიკურ და ზნეობრივ მოთხოვნებს ვუყენებთ ჩვენ ჩვენს მწერლობას,რას ველით მისგან? როგორი კრიტერიუმების ფარგლებში გვსურს მოვახდინოთ მისი კრიტიკული ანალიზი? რა გზებს ვუსახავთ მას?! თუ ვინმეს საყოველთაო-სახალხო მასობრივი მწერლობა-მანიის გაღვივებით სურს თა

ნამედროვე ქართულ-ებრაულ მწერლობაში სათანადო მიმდი-
ნარეობების შექმნა, ის სასტიკად ცდება, მაშინ შედეგ-
ად მხოლოდ დახვავებულ ლიტერატურულ გამოუსადეგარ მა
კულატურას დავაგროვებთ. მწერალი, პროზაიკოსი იქნება
იგი თუ პოეტი, უცილობლად უნდა წარმოადგენდეს ორი, ერ-
თი შეხედვით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი წინაპირო
ბის სინთეზს: გარემომცველი, ასასახავი სინამდვილის ო
ბიექტურად შეგრძნების უნარმქონეს და შინაგანი, დახვე
წილი, განწმენდილი ქვეცნობიერებით მიდა-რაობამდე და-
ყვანილი მწერლური სინდისიერების პატრონს.

ზემოთქმულიდან ორ ძირითად დასკვნას გავაკეთებდით
1). თანამედროვე ისრაელურმა ქართულ-ებრაულმა მწერლო
ბამ განვითარების საკმაოდ რთული შრომატევადი გზა გ-
ანვლო უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე. თემატურ-ჟა
რობრივი მასალების წარმოდგენისა და მათი ასახვითი
ფორმების ძიების თვალსაზრისით ეს გზა ძირითადად და-
დებითია, თუმცაღა რამდენადმე გულუბრყვილოც და
ზედაპირულიც, რაც რიგი სინამდვილისეული გარემოებებით
აიხსნება. (არამჭიდრო ენობრივი კომუნიკაცია გარემომ-
ცველ საზოგადოებასთან, განსხვავებანი ფსიქიკურ-მენტა
ლური სტრუქტურის თვალსაზრისით, სუსტი კავშირი ადგილ-
ობრივ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წრეებთან, მწერალთა ო
რგანიზაცია-დაწესებულებებთან, სპეციალური, ყოველმხრივ
დახვეწილი ლიტერატურული პერიოდული ბეჭდვითი ორგანოს
უქონლობა და ა.შ. 2). ჩვენი რწმენით, თანამედროვე ის-
რაელური ქართულ-ებრაული მწერლობა თავისი შინაარსით
ისრაელური უნდა იყოს, მან უნდა შეიცნოს თავისი აღსა-
წერი ობიექტი, თავისივე მკითხველი - ქართულ-ებრაული
მასა, თავისი ყოველდღიური წუხილ-ტკივილით, პრობლემატუ
რობით, სიძნელეებით, ეჭვებით... წარმატებებით, ახალ ე-

როვნულ-იდეოლოგიური ფასეულობების აღქმა-შეთვისების პროცესში. ეს მწერლობა არ უნდა იყოს მოწყვეტილი ხალხს,მის სულიერ სამყაროს,ურა-პატრიოტული ემელონური სოტბების მაგივრად მან ხალხს უნდა მიაწოდოს სულიერი საზრდო,აღსაქმელ-მოსააზრებელი მასალა,მომავალი თაობის აღზრდისა და გარდაქმნის გამოწრთობილი იარაღი.ამით შეიცნობა იგი,ამითვე დაფასდება,მითვე შეიმოსავს თავს მრავალსაუკუნოვანი ებრაული ლიტერატურის მარადელვარე შარავანდედით.

ვიმედოვნებთ,რომ კეთილ,უანგარო,სპეტაკ დასაწყისს ასეთივე გაგრძელება ეწილბედება საქართველოს ებრაელთა და სამშობლო-ისრაელის სამრავალჟამოდ.

## ჟიურის წევრები:

**აბრამ ბინიაშვილი**

**იცხაკ ხ. დავიდი**

**რივა დავითაშვილი**

# მოსე დანიელოვი

- სინაი, სინაი!
- მარტოდ შენ უფალო!
- ... ეგების
  (ჩემი სულის ელეგია)
- სურა ოქროს ბუჩქით

*მოსე დანიელოვი*

# სინაი, სინაი!

ებრაული ეპოსი. რაფსოდის ყაიდით. ფრაგმენტები.

שׁוֹמֵר יִשְׂרָאֵל. שְׁמוֹר שְׁאֵרִית יִשְׂרָאֵל. וְאַל יֹאבַד יִשְׂרָאֵל
הָאוֹמְרִים בְּכָל יוֹם שְׁמַע יִשְׂרָאֵל:

გუშაგო, მცველო ისრაელისავ.
დაიცავ შთენილი ისრაელისა.
რომ არ დაიღუპოს ისრაელი.
რომელ უბნობენ: ისმინე ისრაელ!

სისხამ დილის ლოცვა. გვ.77.

ოჰ,ეს მთები სინაისა,
ოჰ,ეს კლდენი სინაისა!
ზეცისაკენ აზიდულნი,
მდუმარეში აცუზულნი!
ერთმანეთზე მიწყობილნი,
ერთმანეთში შემჭიდრულნი!

ეს ვინ არიან,
ეს არსებანი!? ეს აჩრდილები?!
სინაის მთებში,კლდეში,
სინაის ქვებში:
ჩასახულები,
ჩახაცულები!?

ეს ვინ არიან,
ეს არხეზანი!? ეს აჩრდილები?!
ერთმანეთში ჩახუცული
ერთმანეთში ჩახვეული,
გახუდრული,გაყუჩული.
წელში მოკუზული,
მხრებში მოზუზული.
ურთიერთს გადახვეული.
ნეცარ რხეული,
რწმენით ხვეული,
უფლისაგან კურთხეული.
ფეხზედა მდგარნი, ლოცვად შემდგარნი.
ცალითებით შემოსილნი,თეფილინით შემკობილნი.
ბათ-კოლის ხმას აყოლილნი:
ლოცვად ქცეული, - გაქვავებული!?
არა! ანგელოზებად გადაქცეული!
ლოცვად ამღერებული,
მოთქმად აღერებული!
ექვსფრთიან ხერაფიმებად აღფრენილები!
ებრაელები, ებრაელები!
ფეხზედა მდგარნი,
ლოცვად შემდგარნი!
ებრაელები!
ლოცულობენ, ლოცულობენ!
ირხევიან, ირხევიან!
ცერზე მდგარნი - ქავანითა
ირწევიან, ირწევიან!
ხელთ უპყრიათ:
ხეფერ-თორა - უფლის ნებით!
ხელთ უპყრიათ:

სეფერ-თორა - ათი მცნებით!
მომაღლებულნი, მომაღლებულნი!
არა ბჭობენ,მხოლოდ ხმობენ:
მყის უბნობენ:
„ნა'ასე ვენიშმა'!
                    ეს მოვლენა მთელ სამყაროს
სასწაულად ენიშნა.
მარცხნივ - მარჯვნივ ქანაობენ,
მარჯვნივ - მარცხნივ ნანაობენ.
                              და ერთი თქმით,
ერთი ხმით, ერთი ხუნთქვით,
კრძალვითა და ძრწოლითა, -
დიდი აღტყინებითა,
უბნობენ და უმკობენ:
ზენაარსსა,უფალსა,უხილავსა:

קָדוֹשׁ. קָדוֹשׁ. קָדוֹשׁ. יְהוָה צְבָאוֹת מְלֹא כָל הָאָרֶץ כְּבוֹדוֹ׃

წმიდაო, წმიდაო, წმიდაო.
ლაშქართ უფალო,მისი ღირსებით აღსავსეა მთელი
სამყარო.

სინაის მთები,
        სინაის კლდენი
აქ არ ეძიოთ -
        უღრანი ტყენი.
აქ უდაბნოა, უდაბურია.
დღემდე სამყარო უმადურია,
რომ ვერ ეღირსა მის ამწვანებას,
რომ ვერ ეღირსა მის აყვავებას.

ხინაის მთეში,
ხინაის კლდენი.
აქ არ ეძიოთ -
უღრანი ტყენი.
ხინაის მთეში,
ხინაის კლდენი!
ხინაი, ხინაი!

# მარტოდ შენ უფალო

რაფსოდი ორატორიულად.
„გოდების კედელთან" თქმული

მონოლოგი

ვითარცა:
„ჩემი ლოცვა"

„არიან ადამიანები ქვა-ლოდის გულით,
არის ქვა-ლოდი ადამიანის გულით!"

ეს თქმა „გოდების კედლის"
ქვა-ლოდებს ეკუთვნის.

წინათქმა:

...თვალცრემლიანებმა საქართველო დავტოვეთ...
თვალცრემლიანები ისრაელის წმიდა მიწას

კოცნა-ამბორით ვემთხვიეთ...
ქართლოსისა და ჰაოსის სამშობლოში
ყმად თუ მოყვარედ შეხიზნულთ ჩვენს ებრაელ
წინაპრებს ალბათ სადღეგრძელო ჰქონდათ:
ორად ორი  სამშობლო:
- ისრაელი და კოლხეთი!
- ისრაელი და იბერია!
- ისრაელი და ქართლი!
- ისრაელი და საქართველო!
ეს ხომ დაღდასმული,დაღაღული საუკუნეების
მხაზღვრელი სახელები და ცნებებია...
... დიახ,ეს იყო ალბათ ჩვენი წარსულის
სადღეგრძელო...
...და მას შემდეგ,რაც რომ საუკუნეებმა
აჩრდილივით გადაიარეს ჩვენს ყოფაში და არ
ყოფნაში ო,ღმერთო - გამჩენო, გვიხსენ!
მას შემდეგ და ამას იქით მარცვლიდენ
ფიცად გვაქვს: ისრაელი!

შეათქმა:

საოცარია!!!
აქ,ისრაელში სხვა მრავალ რჯულთა ცაძარნი
და ხელთქმნილნი კერპნი ოქროსანნი:
ზურმუხტ-ფირუზიანნი
ლალ-ბროლ-ალმასიანნი,-
რარიგ ბრწყინავენ,
რარიგ პეწიაობენ...
... და მათი ქურუმნი ლოცვად შემდგარნი,-
რარიგ ნაქარგოქრომკედებით მორთულ-მოკაზმულ

სამოსელითა,
მღერითა,გალობითა ზეიმ-ზარობენ...
...და აქვე,არც ისე შორს უამრავი მტრების
მიერ
უმოწყალოდ
გაპარტახებულ,
აოხრებულ,იავარქმნილ,
ხერემად-ქცეულ წმიდა ტაძრის,
სასწაულად გადარჩენილ
მის ერთადერთ
"გოდების კედელს"
ერთი ხელით,
რომ იტყვიან:
ერთი ნეშამით
აჭუზვია,
ჩახუტვია
შემოკვეთილ-შავფარჩა-ატლასიანი,მგლოვიარე
ებრაელი ისრაელი
დიახ, თითქოს და თითქმის კიდეც ამ წმიდა
"გოდების კედელში"
ჩასასხულა
და ჩალთქმულა
შავსამოსიანი,ძაძა-ფლასიანი მგლოვიარე ებრაელი
ისრაელი

გული უტირის, თვალი უტირის უცრემლოდ
თუ გინახავთ თვალთა ტირილი უცრემლოდ?!
- ეს უთუოდ და უმეტესწილად ებრაელთა თვალებზეა.
ზუსტად მასზეა გამოჭრილი და თქმული!

ჭირთამძლევი,
ჭირმომთმენი,

ჭირთაჭირის გადამტანი,
ჭირნანახი,

ჭირნაცადი, ჭირნახულო!
ო,ეს ეპითეტები,ეს ეპიტაფები ვის ეძლევნება,
ვის ეკუთვნის? ... ვის?.. აბა, მიმოიხედეთ
და მოინახულეთ მსოფლიოში უამრავი საფლავის
ქვები,თუნდ ძეგლები,ქანდაკებები... ენით უთქმელი
აღსავსე ჰეროიკებითა და ყალყზე დამდგარი
შემაძრწუნებელი ტრაგედიების აღმნიშვნელი
მემორიალები,ობელისკები,სვეტები,ვის ეკუთვნის?
ვის?
- უმეტესწილ მხოლოდ ებრაელს!
ბევრჯერ ყოფნა-არყოფნის ბედისწერას აყოლილი და
გამოვლილი. იგია,რომ ცხოვრებაში,ჩვენს ყოფაში
ჭირს ნახულობს,თორაში კი ჭინახულობს!
და ესაა სწორედ მისი წყარო
უკვდავებისა,გამჩენის მიერ
ბოძებული თორისა!
ყველას ხელთუპყრია მძიმე სქელტანიანი თორები,
ჩაყვითლებული,თითქმის ობმოკიდებული ფოლიანტები.
ფურცლავენ,ფურცლავენ და კითხულობენ
მთელი სხეულის რხევითა,რწევითა,
უფრო უკეთ ჭირნახულობენ თუ ჭინახულობენ?
(...უჰ,რა კირკიტი და უტეხი სიტყვაა ქართული!)
და აი,ასე ჰამსინისა და ხორშაკისაგან მათი
დათუთქული ბაგენი კვლავ მოთქვამენ გულმხურვალე
ქავანითა უფლის სახელებს:

- ელოჰენუ

- ადონაი!

რომელ იყავ!

რომელ ხარ!

და რომელ იქნები უკუნის-უკუნისამდე!

შენ ხომ უთხარ,უფალო,შენს მოშეს „უფლის კაცად" ხმობილს: „... მე ვარ,რომელ ვარ...ესრეთ: არქუ ძეთა ისრაელისათა: რომელი არს,მან მომავლინა მე თქუენდა: ესე არს სახელი ჩემი საუკუნოი, და სახსენებელი ჩემი თესლითი თესლამდე!

და ბოლოს თითოეული იქვე დასძენს:

- უფალო,ყველას აშორე,ყველას აავილე ბედი და ხვედრი ჩემიო!

ბოლოთქმა:

ეს ვინ ყოფილა?!... ეს ებრაელი... ეს ისრაელი!? ყველას მიერ მოძულებული,ყველას იბრალებს, ყველა ებრალვის...

...ეს ებრაელი-კი არვის ებრალვის... ჰა?!... სიტყვა: ებრალვის?... ებრაელი?... ეს რა ფესვია... რა ზეკაცურია... აფერუმ! ქართულია!...

ჰო-და:ვით კაინი უკუგდებული,ყიალ-ყიალ ხეტიალითა გაძევებული, - არვის ებრალვის!..

მოიცა! ხმა ჩამესმის: უთქვამთ... „არ ვარგა კაცი უმტროდ" - ჰაი-ჰაი,რომ ბრძნულად უთქვამთ.ყაბულ ვარ უფალო!.. მაგრამ,არც ეგრე მტერმორეული,როგორც არს ერი ებრაელი,უფალო! მაგრამ იგი მაინც ამბობს:

- უფალო! მადლიერი ვარ ჩემი ხვედრისა,-შენ მიერ მონიჭებულისა! თუმცა,უფალო,მე ებრაელი არვის ვებრალვი, გარნა შენს მეტი შემბრალე ამ ქვეყნად,

შენ თავს კფი ავარ, არვინ მეგულვის!

- შენ გარდა მე არარაი ვარ, უფალო!
- შენ და ჩემ გარნა არარაის რა სამყარო!
- მე შენში ვარ, უფალო! შენ ჩემში ხარ, უფალო
- შენ, მარტოდ შენ, უფალო! მარტოდ შენ და მე
- მარტოდ შენ და ჩვენ - უფალო!



"ვედრება". მხატ. მ. ჯანაშვილი

# •••ეფეგის•••

## ჩემი სულის ელეგია

קבא.

[illegible]

א שִׁיר לַֽמַּעֲלוֹת אֶשָּׂא עֵינַי אֶל־הֶהָרִים מֵאַיִן יָבֹא
עֶזְרִי׃ ב עֶזְרִי מֵעִם יְהוָה

გალობა სულის ამაღლებისათვის
აღვაპყრობ თვალებს მთებისკე
,თუ,
საიდან მოვა მშველელი ჩემი:
ადონაისგან მოვა მშველელი ჩე
მი,

დავითისი ფსალმუნი,121.
(ჩემებური თარგმანით)

ააჰავაიმე!

რა ერთბაშად მოვხუცდი...

დავბერდი და ვერც კი შევძელი თუნდაც ვით ბავშვ მა,რომელსაც შეეძლო სამყაროს უსასრულო სივრცეში,შ: ცნო თავის თვისის პაწა „მე"

ის კი ვიხილე,რომ ამ უსასრულო სივრცეში ვფრინ: ვდი... ვილტვოდი... ამ უთვალავ ყამის ორომტრიალში ოდნავ,ყრუდ მაინც,როგორმე მესმინა ჩემი „მე"-ს მ: ხილი,თუნდაც ხმისყოფა...

ვფიქრობდი,რომ უფალი ამ წადილსა და ნატვრას წ

არ აღუდგებოდა,რამეთუ ეს ხვებედნიერება თვით მისგა-ნაა მონიჭებული ჩვენთვის,თითოეული ადამიანისათვის, რომ ხასი სულით მისკენ ვისწრაფოდეთ და მას ვედარებ-ოდეთ.

ნეტამც ჩვენ ყველა ვით ჩვენი „ერთი მე"-თი, ანუ „ერთი ღმერთის" სახელით ვილოცვოდეთ და ვისწრაფოდეთ, რომ ეგების,როგორმე გვეშოვნა ჩვენი სულის განწმენდა ამ უამრავ-მირიად ცოდვებისაგან!..

- ეგების გვეშოვნა!?
- ჰა?!
- ეგების... ეგების...

# სურა ოქროს კუჩქით

...რახელ-რაისა მეუღლის ხსოვნას

აჰა,სურა: ორი ყურით,
ვარდისფერი ლია ყელით,
რომ თავდება - წყლისა ფერით-
ნათელ ფსკერით;

თიქოს ვარდის წყალი შიგ ასხია,
რომ შეხედავ,იტყვი:
-ეს ხომ ოდნავ მოკიდული
წყალ-ხავსია,
ამ ძირიდან-და-ბაკომდე

ყვავილ-ბუჩქი
ოქროს ფერად
ასხია.

ამოხულა:

ოქროს ცვარით
შემკობილი წოჭებით,
მზისადარი ფოთლებით,
იისფერი ყვავილოვან
– კოკოროვან ფურცლებით,
სისხამ დილით კურთხეული
ცის ნამით.

აჰა, სურა სარაისო,
რომ მის მიერ
აისობას – დაისობას
საამისო
ვარდ-ყვავილით,
რომ აივსოს.

მაშ, ეს სურა იყოს ჩვენი ფერად
ვარდობისა-თვისათვის.

ვიშ, რა ნაზია,
რა ლამაზია,
მზეში დადგმული
ბროლისა სურა
ნაირფერადოვანი.

ასე მგონია მზის ზღაპარია,
მინდორს ნაზარდი ოქროს ყვავილით,
წყაროს

ჩუმი კამკამით დაძინებული.
სიოს
მცკნარი ლივლივით გაღვიძებული.

ნახავთ და აღმოგხდებათ:
- ვიშ,რა კარგია!
რა ლამაზია!
და რა ნაზია!

სურა ჩვენი,საკმის მფშვენი,
სურა, ჩვენი სიყრმის მჩენი
ლიმის მჩენი,თვალის მშვენი,
მუქის მფენი,იყოს მზჯენი -
ორთავთ მრჩევი,ამომრჩევი.
კუმზერ ვრჩები
- მღერას რჩები?!
არა!
ვამბობ:
- ოთხ თვეს ვამკობ!
- მღერას რჩები?!
- არა ვრჩები!..
შენთან ვრჩები!..

თბილისი-იერუშალაიმი
1941 - 1979

# აბნაბ ბაბისთვალოვი

- პალადა უძველესისა
- ჰემინდე, დედავ!
- რისთვის მოხვედი?
- გულით ნათქვამი

- ძმაო ქართველო!
- ახალი ლოცვა
- გახსენება

აბრამ მამისთვალოვი

# ბალადა უძველესისა

„დასთხიეს სისხლი მათ ვითარცა წყალი
გარემოის იერუსალემსა და არვინ იყო
მფლველ მათდა".

ფსალმუნი,78,3.

„ღამე... ღამე... რა გრძელია!
გათენება არ წერია?
გათენდება ოდესმე თუ... ვერა?
რა ყოფილა ბედისწერა, -
მის სულს ბრძენიც ვერ მისწვდება,
მის სულს - უცნობს,უხილავს და ვერაგს.

ჰგავს ქალაქი სისხლის გუბეს.
მთლად მოგვსპეს და გადაგვბუგეს.
ოთხივ-კუთხივ დაიქსაქსა ერი.
შეგვიგინეს,რაც კი გვწამდა...
ბედკრულთ თაფლიც გაგვიმწარდა...
რა სიმარი ხმით ხარხარებს მტერი.

რა გვიწყინა ღმერთმა ნეტა,
ასე რატომ გაგვიმეტა,
ასე მწარედ რად შემოსწყრა ჩემს ერს?
ვესპასიან,ჰე,ვერაგო,
თუ პასუხი დღეს ვერ აგო,
არ გეგონოს,სამუდამოდ შეგრჩეს!.."

ბნელ საკანში,კეფით ქვაზე
მიყრდნობილი ფიქრობს ასე.
სიკვდილს ელის სხვის სიცოცხლის მცველი.
გუშინდელ გმირს ახლა მონას
უწოდებენ... და მოჟონავს
თვალებიდან სისხლნარევი ცრემლი.

„ოი,ტკბილო ერუსალიმ,
დანა ჩაგცა მტერმა ძალით.
ერუსალიმ! შენი კვნესაც გესმა?!
გარეთ-მკვდარი... სახლში - მკვდარი...
დამმარხავი არვინ არი,
ყველა მოსრა მახვილმა და გესლმა".

ვიწრო სარკმლით შემოჭრილი
მთვარის შუქის თეთრი ჩრდილი
ბნელს ვერ არღვევს,დნება,იკარგება.
გულშემზარავ ფიქრის ზღვაში
უფსკრულისკენ მიჰქრის ვაჟი,
თან მიჰყვება მზარავ ფიქრთა კრება.

რომ მოჰყავდათ,მაშინ სწორედ
მცველთ უფროსი თავმომწონე
გველის მსგავსად ასისინდა კართან:
„მადლის მეტი რაღა გეთქმის,
დაუბერტყავს ზეტას შენთვის
სიკეთის და უკვდავების კალთა.

შენებრ ტურფა,დედის ერთა
დღეს ასული ისრაელთა
ღვთის შეწევნით ტყვედ ჩავიგდე დილით.
მშვენიერსა და უცოდველს

თვით მხევიც გულს გაუწოლებს.
მაგრამ მომკლა კვნესითა და გმინვით.

თუმც არ მიყვარს შენი ერი,
ხართ ორნივე მშვენიერი.
სახიკვდილოდ ვერ გიმეტებთ ვერც ერთს.
არ ამიგდო სახაცილოდ,-
არ მსურს,გესმის,დაგაცილოთ.
დე,ეს ღამე საქორწინოდ გექცეთ.

დამიმადლებთ ამას,ვგონებ,
გამიმრავლებთ ლამაზ მონებს,
ღირსეულად დამიფასებთ ამაგს.
თქვენც იცხოვრებთ დამშვიდებით,
რჩევით აღარ დაშინდებით.
თქვი თვითონვე: დასამდური რა მაქვს?"
ასე უთხრა,დასწურ ასე
გესლითა და მწრობით სავსემ,
მოწყალებით თავიც მიანება.
„მამ,ვიცოცხლო,ბედ-წიალო,
წურფა ასულს ვეწრფიალო;
რომ ასრულდეს იმ ურჩუკის ნება...

იქნებ რუთიც... იქნებ... იქნებ...
არა,როგორ გავიფიქრებ,
რომ ამ წამებს განიცდიდეს ისიც.
თუ ასეა,გვედრებ,ღმერთო,
ძალით სხვას არ შეაერთო,
ის სხვაგვარი სვედრის იყო ღირსი".

მოშორებით,ბნელ კუთხეში
ვიღაც მწარედ ოხრავს,სვნეშის.

მის კვნესაზე შეთრთოლდება ცინიც.
ყრუ კედელთან ზის ნინველა,
გულმდუღარედ ცირის ნელა,
თავის ბედზე,ერის ბედზე ცირის.

„რად შემახწარ,ღმერთო,ამ დღეს?
გული როგორ დამიამდეს,
როცა ერი უნუგეშოდ მოთქვამს.
ან სადღაა ჩემი ერი -
აზრიანი,ხელძლიერი...
რა მოსვლია იეჰუდას მოდგმას?!

იეჰუდას ნაშიერი
უქომაგო და მშიერი
უდრეკ კისერს დღეს ურჯულოს უხრის.
ზეცის რისხვამ,მცარვალთ ძალამ
ის აქცია მაწანწალად,
მოჰკვეთია აზრიცა და მუხლიც..."

ერზე დარდით ან კი ახსოვს,
მწარე ბედი მისთვის რას ქსოვს,
რა მოელის ამ უკუღმართ ღამეს?
მხოლოდ ვაყის ჩუმი კვნესა
უმხელს გუმანს სამინელსა.
ცანჯვით ელის... ელის მძიმე წამეზს.

გუშინ იყო,სწორედ გუშინ,
შიგ ქალაქის შუაგულში
ბრძოლის ცეცხლში შეეფეთა ცეზი.
„სულდგმავ, - უთხრა ნეცარეზით,-
გწამდეს,მკვდარხაც მეყვარეზი.

თავს უშველე,წადი,გეხვეწები."

ხელით მცკიცემ მკლავით გმირმა
ვერ აზიდა ხალხის გმინვა...
ბნელ საკანშიც თვალწინ უდგას ხელ ის.
იქვითინეთ,ბენოთ ციონ,
მცრებზ ხერთ ხელ მთლად დაგვაქციონ,
ამოგვგლიჯონ გულიცა და ხელიც.

გულს გაუდის ზაგა-ზუგი:
ვინ იქნება ეს ჭაბუკი,
რა აწუხებს - ნამუსი თუ ვნება?
უკუნიდან მხოლოდ კვნესის
მახლობელი ხმა მოესმის.
ჰო,ამ ხმაში რაღაც ენიშნება.

შეხვედრია? სად ან როდის?
ვინ იქნება,რად არ მოდის?
ვერ დგამს ნაბიჯს - გალუთივით მძიმეს?
ჰმ! მოვიდეს?.. ვაჰ, იმ წამსვე
თავს მოიკლავს ვაჟის მკლავზე,
თვით ჩაიხმობს უკანასკნელ იმედს.

„შენს სიყვარულს,გმირო ცეზი,
სამლავშიც კი ვილოცეზდი
და მწარე ყამს უცხო ვაჟზე გაგცვლი?
მცრის სერვილის მონა გავხდე,
ვიშვე ხხვათა მომავალ დღედ?
არა!.. თრთოლეს ბედისწერა მკაცრი".

ყრუ საკანში ნელა,დინჯად
დილის შუქმა შეაბიჯა.

ვაყი დგება აქეთ,ქალი - იქით.
ორივ უფალს მადლსა სწირავს,
რომ ხელითაც არ გასწირა
და არ შერყვნა უწმინდური ფიქრით.

მაგრამ ახლა რაღა ელით:
აღსასრული მსახვრალ ხელით
თუ შერცხვენა ათასწილად მძიმე?
არა,აუგს ბევრად ის სჯობს -
მათი ლეში ძერამ სჯიჯგნოს,
ნუ იხილონ შუქი მოციმციმე.

ერთ კუნჭულში გმინავს ქალი -
წამებისგან მინამკრთალი
თხუთმეტი დღის მთვარე ხანეტარო.
მის პირდაპირ არის ვაყი -
სახით მართლაც გარიყრაყი,
გულით - რკინა,ხელით - ბროლის წყარო.

იდგნენ დიდხანს გაუნძრევლად...
ბოლოს ესეც გაუძნელდათ,
ერთურთს სტყორცნეს მზერა რიდით სრული.
ვაყს აღმოხდა: „ნუთუ ვცდები?"
ქალს აღმოხდა: „შენ ხარ,ცები?
ხომ მიგრძნობდა ხატიალო გული.

არ ელოდნენ. გაიხარეს.
ნეტარების ცრემლი ღვარეს.
ვაყს ათრობდა სიახლოვე ქალის.
დაავიწყდა ტანჯვა წამით,
დაუკოცნა წარბ-წამწამი,
ნაზი ყელი და ბაგენი ლალის.

უნაზესი იყო წუთი.
ილიმოდა წყნარად რუთი.
ვაყის მკერდზე მიენაბა თვალი.
გამშრალიყო შიში,სევდა,
დარდით აღარ ვიშვიშებდა.
წუთი იყო ლხინად მისათვალი.

ვიწრო სარკმლით ღლის გვირისცად
შემოჭრილი სხივი მზისა
ვაყს აფრთხილებს: გუშაგთა ხმას ისმენ?
არც დრო არის გარიგების.
უნდა თვითვე მოიაზროს მყისვე.

პოი,რა ხარ,ბედისწერავ -
ხან ცკზილი,ვით ღელის კერა,
ხან ბალდამი,თვით სიკვდილზე მწარე,
ღღე დამდგარა - არ ენაცროთ
ერთად ყოფნა ასე მარცოდ?
ღღეს კი რა პქენ,რა პქენ,სად შეპყარე!

რომ ისურვონ,წამიც კმარა -
ხომ პპოვებენ ამით მარად
ცოლქმრობასა და მოუშლელ ფუძეს.
მაგრამ მცერსაც ეს სურს განა!
მცერმაც სწორედ ეს უზრძანა,-
და მცრის გუმანს ვინ შეიცნობს უცებ?

მცრის წისქვილზე ასხან წყალი -
გახდნენ ნეფე-პაცარძალი
და შვილები მოამრავლონ სხვისთვის!..
მაშ,ლირსება რას მოითხოვს?

„ბედს მიენდე",–ესმის თითქოს...
არა,ამ გზით ვერ წარხოცავს სირცხვილს.
ეჰ,ვინ უწყის ნახავს კიდევ?
ხელს კვლავ და კვლავ თრთოლვით ჰკიდებს.
სიყვარულში წუთი წუთზე დნება.
იდუმალი ხმა ახსენებს:
თუ ამგვარად დახვდით მცველებს,
ასრულდება მტრის ბოროტი ნება.

გულო,ნუღარ უშმაგდები.
ჩუ! მოდიან გუშაგები.
ძველ ადგილზე დგება ვაჟი მყისვე.
მცველთ უფროსი რისხით ამბობს:
„ხომ ეღირსე ძვირფას ამბორს?
ჰა,მიმალი? მიპასუხე,გისმენ.

რაო,დუმხარ? არც გემჩნევა,
რომ გსმენოდეს ჩემი რჩევა.
არჩევანი დამიწუნე ვითომ?
თავს წააგებ შენი ქცევით,
ბორკილს ვერსად გაექცევი!...
ამ ლამაზს კი მე მოვუვლი თვითონ.

ჰე,გუშაგნო,მიდით ჩქარა!
არ დაინდოთ ვიგინდარა!
ასე!.. ახლა დამტოვეთ და წადით!
შენ კი,ტურფავ,რა გატირებს?
ახლა ღმერთიც გვაპატიებს...
ბედს გწევ,მენდე,თუ დამყვები წადილს".

ქალი ერთხლა გაიფიქრებს:

მისი ცები არის იქვე,
ის ამ წუპაკს არ შეარჩენს,დასჯის.
დაუპირა დაძახება.
გადახედა და გახევდა:
ხუნდგაყრილი მობობღავდა ჭანჯვით.

ვეღარ ხედავს შველის იმედს.
დაიგმინა ერთი მძიმედ
და კბილებით ავხორცს მხარში მისწვდა.
მჯიღის ქნევა... დაკივლება...
ნამუსი და შმაგი ვნება
შეეჯახნენ. ზანზარებდა მიწა.

იგრძნო რუთმა: ჰკარგავს ღონეს.
ღამის გული შეუღონდეს.
წამიც... წამიც და ფრთებს გაშლის სვავი.
გაიბრძოლა ერთხელ კიდევ
და კლდოვანი ჭახჭის კიდეს
გამეჭებით დაუშინა თავი.

აქ ჯალათი შეკრთა ერთობ:
თავს იკლავსო ეს ულმერთო...
წამოიჭრა და გასახსვლელს ეცა.
მიაძახა: „აზრზე მოდი!
გესმის? ამავ საღამოთი
მე დამრჩები,მოწმე იყოს ზეცა".

ძლივს მიბობღდა ცები ქალთან.
დაუკოცნა გზნებით კალთა.
„რუთ! ნუ შიშობ. მომაპყარი ყური.
რუთ!.. ეს მე ვარ შენი მხსნელი,

ბორკილები შემიხსენი,
რომ ვიმიო მწარვალებზე შური".

მაგრამ თვალში სხივჩამქრალი
გონწახული იწვა ქალი.
მხოლოდ ბაგეთ ოდნავ ხსნიდა ძალით.
თითქოს სურდა რალაც ეთქვა
ან განგმირულ გულის ფეთქვა
ცეზისათვის გადაეცა კრძალვით.

კვლავ დავარდა ვაჟკაცს ცრემლი.
„რუთ!.. - დაჰკოცნა გაცაცებით.-
არც სიკვდილში მიგაცოვებ - ვფიცავ!
მცერი ცოცხალს ვერც ერთს გვნახავს,
ვერ აისრულებს მზაკვრულ ზრახვას...
მიგვიბარე,ისრაელის მიწავ!"

გუშაგებმა გახსნეს კარი
და ორივე ნახეს მკვდარი.
ბაგეებზე აღბეჭდილი ღიმი.
მზე ჩაიქრეს გულმართლებმა
და სახეებს უნათებდათ
ვიწრო სარკმლით შემოჭრილი სხივი.

1962 წ.

# შემინდე, დედავ!

ჟამთა სიავემ მწარე ხვედრი წილად გვარგუნა,
შვილები დედას დაგვაშორა,დაგვათითოვა.
ვხეტიალობდით უნუგეშოდ,ღიმდაკარგულად,
მოვთქვამდით: ღმერთო! შევერთდებით კვლავაც
ვითომა?

მოთქვამდა დედაც უდაბნოში მარტოდ შთენილი,
დაქვრივებული,ობოლ შვილთა ბედზე მკვნესარი.
წარსულ დიდებას მისტიროდა თალხდაფენილი,
ხელთ ჰქონდა ნარი,თვალზე - ცრემლი,გულში -
ნესტარი.

ეგონათ - ვეღარ გაუძლებდა ჭირ-ვარამს ამდენს,
შუღლი მოხრავდა,მოაშთობდა,დარდი მხუთავი.
მის სიდიადეს დასცინოდნენ,გესლავდნენ,
ნთქავდნენ...
უძლებდა დრო-ჟამს მომავალზე ფიქრით მხუნთქავი.

სხვათა შემყურე,ძალდაცლილი,უტყვი,ხიზანი
არ ნებდებოდა - ეცემოდა? ისევ დგებოდა.
მის სუსტ სხეულზე შუბ-აბჯარი მილეთიხანი
ღვთიური ძალით ილეწებოდა.

წამოდგა ბოლოს. ძალა იგრძნო. მხრები გაშალა.
ვინც დასცინოდა,მისი ძალა მანაც ირწმუნა.
ანდამატივით უხმო შვილებს დედის ჯავშანმა.
ბევრნი შემოკრბნენ. მე?.. კვლავ დავრჩი
გადახიზნულად.

და როცა დედას მოელოდა ისევ ძმები,
და ძუ ვეფხვივით ოთხივ-კუთხივ მომხდურთ ეკვეთა,
როცა უცხონიც ჭვრეტდნენ კრძალვით და აღტაცებით,
როცა დაცინვას და გესლს კარი გამოეკეტა,-

მე,შენი შვილი,სიხარულით ცად ატყორცნილი
„მფარველის" შიშით მივიმალე სადღაც ჩეროში.
ვერც ვიღაღადე,რასაც შევტრფი მარად ოცნებით,
ფრთებშეკვეცილი ფრთაფართატა ნატვრას შემოვრჩი.

შენთან ვარ,გწამდეს,შენ გეკუთვნის ჩემი
სიცოცხლე.

რა ვქნათ,სხვის ნებით გული თუ ვერ გადამიხსნია
... და ჟამს მრისხანეს ხელი თუ ვერ გამოგიწოდე,
შემინდე,დედავ,შენი ხორცი,შენი სისხლი ვარ!

შენთან ვარ,გწამდეს,აზრნათელო,ვარსკვლავიანო,
შენი მეხოტბე,შენთვის ცოცხალ,ფიქრით შენი მწდე
... და თუ შენს მკერდზე დაკონება დავაგვიანო,
შემინდე,დედავ! დედავ, შემინდე!

1967 წ.

# რისთვის მოხვედი?

(მათ,ვინც პირველ სიძნელეებს შეუშინდნენ)

მწამს:
      წინაპართა აჩრდილები გიდგნენ თვალთა წინ,
გულს რომ პატარა ისრაელზე ფიქრით ათრობდი.
შენ სხვა ქვეყანას -
                    ლამაზსაც და მძლავრსაც ათასწილ
არარად თვლიდი სანუკვარი მიზნით ნაწრთობი.

რამდენი ღამე ოცნებებით გაგითევია.
იერუშალაიმის სიზმრად ნახვა გქონდა ოცნებად.
ახლა შენს ირგვლივ ბაღჩები და ლაღი მთებია,
ერებმა მკერდი გადაგიხსნა დასაკოცნელად.

და როცა ნატვრამ საუკუნომ ფრთები შეისხა,
როცა პირველად თავისუფლად თვალი აღაპყარ,-
მითხარ,შენს ბაგეს რატომ დასცდა ქვეყნის
                                                  შერისხვა
და შენი ბედის მადლიერი რატომ აღარ ხარ?

თქვი: რა გინდოდა? რად მოხვედი და რას ეძებდი?
რატომ ყველაფერს გადმოპყურებ აგრე ზემოდან?
იქნებ გეგონა: დაგხვდებოდა ოქროს ვერძები
და ყოველივე ფიანდაზად გაგეშლებოდა!

მიჭირსო,ამბობ.
          მჯერა: გიჭირს. გბორკავს ძალიან
უსულგულობა,გულცივობა გულის გამტეხი.

რა ვქნათ,ერეცხაც ყველაფრისთვის ჯერ არ სცალია,
არ გადუვლია საბოლოოდ ომის ქარტეხილს.

შენ გიჭირს - მჯერა.
                    ძნელი არის იმის დათმობა,
რასაც ყრმობიდან შეეზარდე,შეესისხლხორცე.
მაშ,შენც გჯეროდეს:
                    შვილთა შველა ისე რად მოვა,
თუ არ შესწირე შენი აწმყო,შენი სიცოცხლე.

დაფიქრდი: ხომ არ დაგაბნია შენმა არშინმა,
მაშ,ეგ არშინი რომელ ბაღში ნახარებია?
ანდა პირველმა გაჭირვებამ თუ შეგაშინა,
გეტყვი პირდაპირ: შენ სამშობლო არც გყვარებია!

რატომ მისტირი,რასაც რისხვით გამოექეცი,
ნუთუ ხელახლად გულით ნატრობ აყრილ ბორკილებს?
ნუთუ არა გწამს: შენი მიწა,შენი ერეცი
შენს სამკვიდროში ცრემლს და სევდას არ აბოგინებს!

და შენც,რომ გკითხონ,ამ ცრემლს მკერდით ამოაშრობო,
მკერდს შეაგებებ ტყვიის წვიმას დასაბუთებით.
ლამპრად გინთია მაგ ბობოქარ გულში სამშობლო
საუკუნეთა ლაბირინთში ნახათუთები.

იქნებ არც გჯერა? გაიხსენე ქიფურის ომი,
როგორ ტოვებდი მოსხმულ ციცითს დაუკეცავად.
განა არ აღსდექ სამშობლოსათვის მეწირვის მდომი,
განა შენ მაშინ სამშობლოდან წასვლა გეწადა?

ამაოდ ფიქრობ,ვითომ'გული სხვაგან მიგიწევს,
ამაოდ ფიქრობ,რომ არ გტკივა ქვეყნის ტკივილი.

ქარმელიც გიყვარს,ქინერეთიც,ქვიშაც,დიდი მზეც.
მიტომ არ გშვენის უიმედო ურვა-ჩივილი.

საკმარისია დაგვემუქროს მტერი ოტებით,
საკმარისია მოიქუფროს საზღვრის კარები,-
მაგ მკერდით,დღეს რომ მდურვას ანთხევ
აბობოქრებით,
ხვალ ამავ მიწას კედელივით აეფარები.

მაშ,თქვი: რა გინდა? ვერ აზიდე წაბორძიკება?
ან იქნებ ქვეყნის სამსახური ყმობა გგონია?
მწამს: ვაჟკაცობა ლხინ-ზეიმზე როდი იქნება,
განსაცდელის ჟამს გამოსცდიან და ასწონიან!

არა,ნურც მეტყვი,ძირს ვერ დაგცემს მარცხი უცები.
რა ვქნათ, თუ ტვირთქვეშ დაეცემა ერთი ასიდან.
შენ ავბედობას ათასწლობით უხმოდ უძლებდი
და კვლავ ნაპოვნი სამშობლოსათვის რას არ აზიდავ!

1974 წ.

# ახალი ლოცვა

არც ჩივილია და არც ზღაპარი,
ეს – წინაპართა ფერფლი ღუღუნებს...
ჩვენი გულწმინდა მამა-პაპანი
ლოცვით აღებდნენ ზეცის ურდულებს.

წმიდა ქალაქო! ერთა მშვიდობის,
სინდის-სიკეთის თვალ-მარგალიტო,
შენ გლოცულობდნენ დედა-შვილობის,
ღმერთთან ერთობის სამაგალითოდ.

თორის სამშობლოს, ერის სახელით
მაგ შენი მიწის ნაწილს ნატრობდნენ.
მტერმა მრავალჯერ შერისხა ხელით...
და შენ უდექი თვალწინ მარტოდენ.

დღესაც ნატვრა ხარ, ნატვრა ამხდარი,
თუმცა საწუთრო აგრე გდევნიდა.
მტერი ძირს გდია ხმალგადამტყდარი,
შენ კი აღმდგარხარ ნანგრევებიდან!

გულში ჩაგიკრავს ერი დიადი –
შენი მშენი და მშველი წინათვე.
ვაგლახ, კვლავ მზაკვრობს ბნელი წყვდიადი,
ლამობს კვლავ მოსრას შენი სინათლე.

ბორგავს დუშმანი... მზად არის იქცეს
გველის შხამად და ცეცხლის ენებად,
რომ ცისქვეშეთში მარადის მიწყდეს
ჩვენი ალალი ერის ხსენება.

ვერ მოესწრება!.. უფლის სამკვიდრო
ვერც ცეცხლმა, და ვერც ნისლმა შერისხა.
დღეს სამყაროს კიდითი კიდე
ძალუმად ისმის ისრაელის ხმა.

და რაკი ღმერთმა ჩვენი მოკრება
კვლავ შენი კედლის ახლოს ინება,-
გვწამდეს: გალუთი შეგვიმოკლდება,
მოვა გულხრული აღორძინება.

მუდამ და ყველგან უფლის დიდება
ხომ იყო ჩვენი ხალხის თავდები!
ჩვენი ცა ნუღარ დაიბინდება,
სხვის საყმოდ ნუღარ დავჩივლებით;

ერის ნიჭი და ძალა ცაშალის,
იფურჩქნოს მარად, ვითარც ედენი,
ჰქუხდეს აბრამის მთამომავალი,
ლხინს დაემოყვრონ გმირთა დღეები;

ნუ მოსძებნიან თალხებს ქალები...
უფალო, გზები შენ წაგვიმართე.
შენ აუხილე ხალხებს თვალები:
ყველამ ირწმუნოს ჩვენი სიმართლე.

რქა ისრაელის მძლავრი, მაღალი
იხილონ ცებმა - „ირუ შამაიმ".
ეს არის ჩვენი ლოცვა ახალი,
წმიდა ქალაქო იერუშალაიმ!

# გულით ნათქვამი

რას მომჩხავიან? ვინ დამაჯერებს,
შვილს აღზევებდეს დედის ურვება,
ანდა ზედაურს კლდე-კლდე ნაჭენებს
რიყეზე ფეხი დაუცურდება?

ვინც არ შეუდრკა ათას განსაცდელს,
ზიზღი და გვემა გარს რომ უვლიდა,
ვისაც ყოველჟამს კლავდნენ, ძარცვავდნენ,
ვერ ამოგლიჯეს დედა გულიდან,-

ნუთუ დღეს - დედის კალთას მიკრულმა
ეხლენ დაჰკარგა ხმა და იერი?
სხვა უტკბილესი სად დაიგულა,-
დედას არჩია გადამთიელი?!

დედა გონჯია?! დედა სუსტია?!
ეს ცნება გულში არც მოთავსდება.
დედინაცვალი ვისაც უცდია,
დედის აუგი როგორ დასცდება!..

ვეამბორები რაც კი ჩვენია -
ზღვას და დამშრალ ხევს,
ვაზს და ქვიშნარებს.
თქვი: შენი ქოხი არ გირჩევნია
ოქროს სასახლეს - შხამ-და შიშნარევს?

არცა მსურს ბჭობა არავითარი:
უცხო მხარეში რა დამრჩენია?
ჩემი სხვისაზე ცუდი რით არის!..

ცუდიც რომ იყოს,მაინც ჩემია!

დედას თუ უჭირს, - რა საბჭობია,-
თავსაც შევწირავთ! გაქრეს ყვედრება!
თუ ჩემი - ცუდიც სხვის კარგს სჯობია,
ჩემს კარგს,დაფიქრდით,რა შეედრება!

1976 წ.

# ძმაო ქართველო!

ძმაო ქართველო! დიდი ხანია
მუზა ივერთა ველ-მინდვრებს უვლის...
ეს არც პოეტის არმაღანია,
არც საყვედური,-სუნთქვაა გულის.

მეც საქართველოს დიდებას ვწერდი
და მეც მგრძნობელ მქმნა ტკბილმა ქართულმა.
მე წარსულს როგორ დავუსვამ წერტილს,
ლექსში რომ წყაროდ გაიდგაფუნა.

ჩემს ლექსს შემორჩა ნაძვის სურნელი,
მთის მდინარეთა ხმაურ-ღაღადი.
მე მკრეხელობის არ ვარ მსურველი,
თორემ დაიტევს სიტყვებს ქაღალდი.

შენ კი მიგონებ თურმე ყვედრებით
და ჩემი მრწამსის ქირდვას მიმართე.

მე პატიებას არ გევედრები,
მაგრამ შეიტყო - მინდა - სიმრთლე.

რატომ მიყურებ თვალით ვიწროთი?
მარქვი,ჩემს სამტროდ ვინ დაგარიგა?
ერთ დროს ჩემსავით შენც ხომ იღწვოდი
ქვეყნის სახსნელად,გინდა ტარიგად!..

მე ჩემი ქვეყნის დარდი მადარდებს,
მის სადიდებლად ვიბრძვი ალალად.
თუ ჩემი ბრძოლა აღწევს მანდამდეც,-
ლაქად გიჩნს ნუთუ? თქვი,ნუ დამალავ!

შენც ხომ ცალ ხელში თოფი გეჭირა
და მეორეთი გეპყრა გუთანი:
მტერთაგან მიწა გადაგერჩინა,
სუნთქვაც გქონოდა,მზეც საკუთარი.

ხომ არ დანებდი,ხომ გაუძელი
სიკვდილს,ჯოჯოხეთს,ნგრევას საშინელს.
დიდი თამარის დროშა უძლევი
დაწვას და აუგს გადაარჩინე.

მეც შენს დღეში ვარ. მეც ვქმნი და ვიბრძვი
და მტერი წელში ვერ გაიმართვის.
დავითის ფარით,შელომის სიბრძნით
მინდა ისარის ნერგმა სიმართლის.

რომ გვერქვა ძმები ჩვენ ათასწლობით,
ნუთუ ისურვებ - ახლა გათელო?
თუნდაც გამკიცხე სწორი სასწორით,
ავს კი არ აჰყვე,ძმაო ქართველო!

# გახსენება

ნამდვილი ამბავი,რომელიც შეემთხვა
ჩემს მეგობარს.

I

შუაღამე გადასულია და ლეა ისევ გულაღმა წევს თვალებდაჭყეტილი. ეს მეხუთე ღამეა ძილი არ ეკარება.

კაკოს კი სძინავს? ვინ იცის, იქნებ თავს იმძინა რებს.

არა,რა დაემართა ამ კაცს? მოვა საღამოთი,უხმოდ წაივახშმებს,გაზეთს გადახედავს და ხმის ამოუღებლად შედის საძინებლად ოთახში.

ლეამ ამ საღამოთიც ჩვეულებრივად დააწვინა ბავშ-ვები და შეეცადა ცოტა ხანს წიგნის კითხვით გართულ-იყო,დაღლილს უფრო ადვილად წაართმევსო თავს ძილი... გული ვერ დაუდო. ასოები ერთმანეთში ირეოდა,ხოლო ს-ტრიქონებს შუა ჩნდებოდა საზარელი სიტყვები: ღალატი გულის გაცივება... სიძულვილი... ზოგჯერ კი ვი-ლაც უცნობი ქალის სახელი, ან ვინ იცის,შესაძლოა სა-ხეც...

თითქოს უხსენებელმა უკბინაო,ზეზე წამოიჭრა,თავი შეარხია უჯმაჯური ფიქრების გასაფანტავად და უნებ - ლიეთ სარკეში ჩაიხედა.

ანაზდად სიცილი წასკდა. ვერ მიხვდა,თავის სულე-ლურ ქცევაზე გაეცინა თუ ჯერ კიდევ ახალგაზრდულად მფეთქავი მკერდისა და მწყაზარი სახის დანახვაზე.

ვინ არის „ის ქალი",ნუთუ ლეას სჯობია? დაიფიცებს,
რომ თუკი საერთოდ არსებობს „ის ქალი",მომჯადოებლად
ლამაზი იქნება. თორემ განა არ იცის ლეამ,რომ კაკო
სრულიად არ აქცევს ყურადღებას უცხო ქალებს. განა
არ ახსოვს,მისი დობილი ყანეტა მთელ წელიწადს რომ ს
დევდა და კაკომ უბრალოდ ხელის მოკიდების ღირსიც არ
გახადა! ლამაზი გოგო იყო ყანეტა. კაკოს დანახვაზე
სანთელივით ინთებოდა. სწორედ ამ მიზეზმა დაამეგობ-
რა ლეასთან. იმდენად დაკარგა თავგზა,რომ ვეღარ ახ-
ერხებდა გრძნობის მოთოკვას.

კაკომ პირდაპირ უთხრა ცოლს:

- მომაცილე თავიდან ეს ქუჩის ქალი,თორემ ორივეს
ერთად გაგაგდებთ!..

- გაგიჟდი! - შეუტია ლეამ. - ყანეტა ჩემი დაიკ-
ოა. შენც ძმად მიაჩნიხარ. მის ადგილზე მეც მოგეფე-
რებოდი. მერე როგორი ლამაზი მყავხარ: ტანადი,ბრგე,
ემხიანი. მარტო შენი ულვაშებისათვის გიჟდებიან გო-
გოები.

- სხვა გოგოებისა რა გითხრა,ყანეტა კი მართლა გ
იჟდება და შენც მალე გაგაგიჟებდა,მე რომ ამყოლი ვ-
იყო.

- კარგი ახლა,ძალიან ნუ გამოიდებ თავს!..

მანამდე არ დაიჯერა ლეამ,ვიდრე თვითონ არ მოკრა
ყური მეორე ოთახში მიმალულმა,როგორ ეფიცებოდა ყანე
ტა მის ქმარს:

- შენი მონა-მორჩილი ვიქნები,ძაღლივით გიერთგუ-
ლებ,მხოლოდ იმას ვიქმ,რასაც შენ მიბრძანებ... თუ ც
ოლს მოიშორებ,ხომ უკეთესი,იდეალურ ოჯახს შევქმნით,
თუ არა-და,ხარჭად მაინც მიკადრე... შენი მოხვევნის
ღირსი გამხადე!..

ვერ მოითმინა მაშინ ლეამ,მოულოდნელად სიკვდილის ანგელოზივით წაადგა თავზე ექსცაზში შეხულ „დოზილს" და დასჭექა:

– ახლავე გაეთრიე აქედან,კახპავ!..

მეცი არაფერი უთქვამს... ყანეცა,რომელიც მის გამოჩენას არ ელოდა,დაიზნა,აკანკალდა და უცნაურად დამფრთხალი ისე გაიძურწა,ხკამზე გადაკიდებული თხელი ყაკეცის წაღება არც გახსენებია.

იმის შემდეგ ყანეცა თვალითაც აღარ უნახავთ.

თუ ისევ გამოჩნდა და მორიდან გამოხდო ჩანგალი თავის საოცნებოს?

შეუძლებელია! ყანეცა ამას ვერ გაზედავდა. კიდეც რომ გაეზედა,კაკო ისე დაიმცირებდა თავს,რომ სახლიდან გაგდებულს ახლა თვითონ აეკიდებოდა!

მაშ,ვინ არის „ის ქალი"?

„მართლა ხულელი ვარ,-გაიფიქრა. – იქნებ არავითარი სხვა ქალი არ არსებობს და მალით რად ვიკლავ თავს!.."

თუმცა არ ეძინებოდა,უცბად გაიხადა და ქმარს გვერდით მიუწვა.

კაკოს არც გაუგია. ამან უფრო გააზრაზა ქალი. სხვა დროს მკვდარივით დაღლილსაც რომ სძინებოდა,ლეას ხხეულის შეგრძნებაზე თვალს გაახელდა,სიყვარულით შეხცინებდა,მარჯვენა ხელს კისერზე შემოაჭდობდა და ისევ ცკზილ ზურანს მისცემდა თავს.

„ნუთუ ასე უგრძნობლად სძინავს თუ... თუ... თუ..

ეშინია ლეას,არ სურს რაღაც საზარელი გაივლოს აზრში. არ სურს,რომ მათი შეხმაცკზილებული ცხოვრების ანკარა ცაღლებს მღვრიე ზვირთები მიეხეთქოს. მაგრამ...

რა ხდება ამ კაცის თავზე? ხუთი ღამეა ცოლისკენ არ გადმობრუნებულა,ხელიც კი არ შეუხია. სხვა დროს ახალი დაქორწინებულივით ეალერსებოდა,შუაღამემდე არ აძინებდა ხვევნა-კოცნით და ათას რამეზე ლაპარაკით...

## II

ეს ხუთი ღამეა შეუცნობლად შეიცვალა.

ეჭვი ახრჩობს ახალგაზრდა ქალს. რა ხდება,რაშია საქმე? ნუთუ მართლა სხვასთან დადის?

ოჰ,ისევ სულელური ეჭვი აეკვიატა! სამუშაოდან პირდაპირ სახლში მოდის. არც ის ემჩნევა,რომ სხვასთან ატარებდეს დროს. ძილში ერთთავად ხვნეშის,რაღაც ნაღველი აწევს გულზე. ვინმესთან რომ დადიოდეს,პირიქით,ეცდება არ შეამჩნევინოს და ძალაუნებურად ალერსს არ გამოულევს...

ჰო,ყოველ საღამოს ჩვეულებრივზე ადრე ბრუნდება სახლში. მარტო ხუთი დღის წინათ დაიგვიანა და მაშინაც უკვე უხასიათოდ იყო.

ვაი,თუ ღმერთი გაუწყრა,ყომარბაზებს აჰყვა და ვალებში ჩავარდა?..

„რამ გააცივა ასე? - არ ეშვებოდა ფიქრი. - განა ერთხელ და ორჯერ ჩავწოლილვარ მძინარეს!.. ყოველთვის ჩემი მიკარება და ამის გაღვიძება ერთი იყო... თვრამეტი წლის ბიჭივით დამეწაფებოდა... ახლა ვერც ამჩნევს,მე ვწევარ მის გვერდით თუ ჯირკვი დევს".

კაკო შეინძრა,ხელები გაშალა,მაღლა ასწია და მერე მოსხვეპილი ტოტებივით დაუშვა საბანზე,თან ერთი მაგრად ამოიხვნეშა.

- ოჰ, ელი, ელი!..

ელის ხსენებაზე ლეას უნებლიეთ გააყრუოლა და ქმარი შეანჯღრია.

- რა მოგივიდა, კაცო, ელის რად ახსენებ?

ელი მათ უფროს ვაჟს ერქვა. სწორედ ახლა აპირებდნენ თეფილინის დახადებად მომზადებას.

კაკო გამოფხიზლდა და ცოლის შეკითხვაზე შეკრთა.

- პა? - ამის თქმაღა მოახერხა.

- ელის ახსენებდი ძილში და თან ოხრავდი. რატომ? რატომ? პო, რატომ? ლეამაც ხომ უნდა იცოდეს...

უცბად მოეგო გონს.

- არაფერია... ცუდი სიზმარი ვნახე... ღმერთმა კარგად აგვიხდინოს.

- რა ნახე? ჩვენს ელის ცუდი ხომ არაფერი მოელის? უწინამც დედა მოუკვდეს!..

- არაფერია-მეთქი, - უკვე თბილად ჩაილაპარაკა კაკომ. - დაიძინე, შენი ჭირიმე... - ცოლს ძალით დაადებინა ბალიშზე თავი და მკლავი წელზე შემოაჭდო.

ესიამოვნა ლეას ქმრის მიფერება. უეცარ სიმშვიდეს თან ერთად სასიამოვნო მოთენთილობაც იგრძნო, აკვიატებული ეჭვები გაუქრა და ისე უცბად ჩაეძინა, საპასუხო მოხვევნაც ველარ მოახერხა.

კაკომ ფრთხილად გაითავისუფლა მკლავი, თვალები ჭერს მიაპყრო და ფიქრებში ჩაიძირა.

ისიც გრძნობდა, რომ ცოლი ხვდებოდა მის მოულოდნელ გაცივებას და ეჭვი უღრღნიდა გულს.

პო, ეს ხუთი ღამეა უგუნებოდ არის. აქვს მიზეზი, მაგრამ ცოლისათვის განდობას ვერ ბედავს. საცოდავი ქალი იმასაც ვერ მიხვდა, რომ „ელის" წამოძახება მათ ვაჟს არ შეეხებოდა. თუმცა მამაკაცის სახელს რატომ უნდა დაეეჭვებინა! „ავივა" რომ წამოსცდენოდა, მაშინ...

მაშინ ეჭვს წინ აღარაფერი დაუდგებოდა.

.ავივა...

იოჰ,ავივა!.. საიდან მოხვედი ჩვენს კანცორაში... ეიგების სხოპდა,სულაც არ შევხვედროდით ერთმანეთს რაცომ ამაფორიაქე და შენც აფორიაქდი... რა იქნებოდა ჟვეცხოვრა ჩვენ-ჩვენთვის დამშვიდებულად..."

III

ერთი წლის წინათ გაიცნეს ერთურთი სამსახურში.პირ ველ ხანებში კეთილი სალმის გარდა არაფერი ყოფილა მ-ათ შორის. თუმცა კაკომ თავიდანვე შეამჩნია,რომ ახალ გაზრდა ქვრივი ქალი საკმაოდ ლამაზი და მიმზიდველი იყო. მზეზე შერუჯული ხორბლისფერი სახე,ბროლივით სუ-ფთა ყელზე,მარჯვენა ყურის ჩამოსწვრივ ხალი,ბიჭურად შეკრეჭილი გიშრისფერი თმა მოხუცსაც კი აიძულებდა შე ჩერებულიყო და დამცკბარიყო ამ მშვენიერების ჭვრეტით.

გადიოდა დრო და ისინი ჩვეულებრივ ხვდებოდნენ ერთ მანეთს. კაკოს ეგონა,რომ ვერ გრძნობდა ავივას იქ ყო ფნას. მაშინ კი,როცა ავივა ორ კვირას არ გამოჩენილა, აშკარად იგრძნო უმისობა. თითქოს რაღაც აკლდა,რაღაც აწუხებდა,ცანჯავდა,სევდას აქსოვდა. ვითომ შემთხვევით ჰკითხა მდივან გოგონას,ავივას რა დაემართაო.

- შვებულებაშია, - უპასუხა მან და ეშმაკურად გაი ღიმა.

- შვებულებაში? - გაიმეორა კაკომ. - მე კი მეგო-ნა...

- გეგონა,სულ წავიდა აქედან? მე კი მგონია,არასო დეს არ იფიქრებს აქედან წასვლას.

კაკომ მდივანი გოგოს კილოში უცნაური ირონია შენი-

მნა და თავისი დაბნეულობა რომ არ ეგრძნობინებინა,მო
ჩვენებითი გულგრილობით ესროლა:

- ვითომ რატომ?

- იმიტომ,რომ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა  და
კარგი ბიჭების დაყინებული მზერა არ გამოეპარება.

- ერთი შენც! - გაეცინა კაკოს. - ლამაზ ქალებს
ყველგან დაყინებით უცქერიან. რაო,შენ თვითონ არაფე-
რს გრძნობ ხოლმე?

გოგონას ესიამოვნა კომპლიმენტი და იყუჩა.

სწორედ ამ საუბრის მეორე დღეს დაბრუნდა ავივა მ-
ვებულებიდან. ყველას ხელის ჩამორთმევით მიესალმა.თა
ვისი რიგის მომლოდინე კაკომ შეამჩნია,რომ ავივა რა-
დაცას თუ ვიღაცას ეძებდა თვალებით. როგორღაც უხერხუ
ლობა იგრძნო,თვალი მოარიდა და უეცრად მდივანი გოგო-
ნას ეშმაკურ მზერას წააწყდა. ის თითქოს ხაზს ავლებ-
და ავივას გაფაციცებულ მზერასა და რომელიღაც წერტი-
ლს შორის... და კაკომ იგრძნო,რომ ის „რომელიღაც წერ
ტილი" მიგ გულში ხვდებოდა.

გული ისე შეუთამაშდა,რომ როცა ავივა მისასალმებ-
ლად მიუახლოვდა,ხელის გაწოდება ვერ მოახერხა.ავივამ
შეუმჩნევლად,მაგრამ ძალით ჩამოართვა ხელი,და კაკოს
მოეჩვენა,რომ მის საოცნებო ახალგაზრდა ქვრივს ეზარე
ბოდა მისი ხელის გაშვება.

- როგორ ხარ? - ღიმილით ჰკითხა ავივამ.

- გმადლობ. თვითონ ხომ კარგად ხარ? - კაკომაც
გაუღიმა. ამჯერად ყურადღება აღარ მიუქცევია მდივნის
ეშმაკური თვალთვალისათვის.

- არა მიშავს-რა, - თქვა ქალმა და მხოლოდ ახლა
მიხვდა,რომ ვაჟკაცის მძლავრი ხელი ისევ თავის ნაზ თ
ითებში ჰქონდა ჩაბღუჯული. თითქოს შერცხვაო,უცბად გ-

აუშვა და თავისი მაგიდისაკენ გაეშურა. ერთხელ კიდევ მალულად გახედა კაკოს წარბებს ქვემოდან და საქმეს შ ეუდგა.

„რა მემართება? - ფიქრში უხაყველურა ავივამ თავის თავს. - ნუთუ მემიყვარდა? რა საკითხავია, ორი კვირა არ მინახავს და... სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ყველგან სიცარიელეს ვგრძნობდი... ეცყობა, მასაც მოვწონვარ, მაგრამ... ოჰ, ავივა, მოეშვი სისულელეს, კაკოს ცოლ-შვილი ჰყავს!"

„ჰყავდეს, რაა!.. - თითქოს სხვა ხმა ალაპარაკდა მის გულში. - განა მამაკაცი რომ მოგწონდეს, დანაშაულია?"

მართლაცდა, მოსწონთ ერთმანეთი, ძალიან მოსწონთ... რა მოხდა მერე? თვალები დახუჭონ და სილამაზე არ შეამჩნიონ? მაგრამ...

ფრთხილად, ავივა! შენ ხომ აღთქმა დახდე, რომ მამაკაცს ახლოს აღარ გაიკარებდი.

„მართალია... ვასრულებდი კიდეც. განა ერთსა და ორს მოვწონებივარ! ბუზებივით მეხვეოდნენ გარს... რამდენმა ხელიც მთხოვა... არავის გული არ გავუერთე, არც ახალი ოჯახის შექმნა ვისურვე... კაკო კი თავიდანვე მომეწონა... საიდან გამოჩნდა, რაღა აქ მოხვდა სამუშაოდ!.. ნუთუ ჩემს ახაფორიაქებლად დააჯილდოვა ბუნებამ ასეთი ვაჟკაცური სილამაზით!.. ღმერთო, შენ იყავი ჩემი წმინდა ოჯახის დამფარავი!"

## IV

შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ უფრო მიმზიდველი ეჩვენა ავივა კაკოს. უკვე აშკარად გრძნობდა მისადმი ლტოლვას. ცდილობდა გრძნობის ალაგმვას. ვერ

შეძლო: ქალის საპასუხო ყურადღებამ არ მისცა ამის საშუალება..

ერთ საღამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ,ვითომც შემთხვევით წამოეწია გზაზე და მკლავში ხელი გამოსდო. დაფიქრებით მიმავალი ავივა ჯერ შეკრთა ხელის შეხებაზე,მერე კი,კაკო რომ შენიშნა,ნაზად შესცინა. მკლავის განთავისუფლება არც უცდია.

რამდენიმე წუთს უხმოდ მიდიოდნენ. კრინცს არ ძრავდნენ,თითქოს ლაპარაკის ახპარეზი ხელიდან ხელზე გადაცემული იდუმალი ღენებისათვის დაეთმოთ.

- კინოში გპატიჟებ, - თქვა უცბად კაკომ. - კარგი ფილმი გადის. წამოხვალ?

- არა... ახლა არა, - ბოდიშნარევი ხმით უპასუხა ქალმა. - თუ გინდა,სახლამდე მიმაცილე.

- არ მენდობი? გეშინია ჩემი?

ქალს ნაზად გაეცინა.

- უნდობლობა რა მოსაცანია...

- აბა,მაშ?.. ჩემთან ყოფნა არ გინდა?

- დღეს არ შემიძლია. ელი მარტოა სახლში.

- შენს ბიჭუნას ელი ჰქვია?

- დიახ.

- ჩემს უფროს ვაჟსაც ელი ჰქვია.

- რა სასიამოვნო დამთხვევაა... იქნებ შენს ცოლსაც ავივა ჰქვია?

- არა,ჩემი ცოლი ლეაა. ავივა ჩემი ოცნების საგანია,ხანეცარო და მიუწვდომელი.

-მიუწვდომელი? - კიდევ ნაზად გაიღიმა ქალმა.

- ასე გამოდის...

„ნეცა მართლაც ასე იყოს", გაიფიქრა ქალმა მეყსეულად. მას კი ჰკითხა:

- რაცომ ფიქრობ ახე?

- ერთხელ გავბედე,კინოში დაგპატიჟე და უარით დამიკოდე გული.

- გეწყინა? ხომ გითხარი,ელი მარცოა-მეთქი.თუ გინდა,ხვალ საღამოს წავიდეთ. ელის დედაჩემთან დავცოვებ.

კაკოს სახეზე პირველი გამარჯვების ღიმილი აკიაფდა. აღარაფერი უთქვამს. სახლამდე უხმოდ მიაცილა,ქუჩაშივე დაემშვიდობა და ხვალინდელ საღამოზე ფიქრით ფრთებშესხმული შინისაკენ გაეშურა.

მეორე საღამოს კინოთეატრში ისხდნენ ბოლო რიგზე. საინცერესო ფილმი გამოდგა. დასაწყისმა ორივე მიიზიდა. კაკოს მხარზე მიყრდნობილი ავივა თვალს არ აცილებდა ეკრანს. კაკოს კი მალე მოსწყინდა. ეკრანის ნაცვლად ავივას სახეს მესცრფიალებდა. მარჯვენა ხელი ნელ-ნელა გააცურა სკამის ზურგს უკან და ფრთხილად,თითქმის შეუმჩნევლად შემოხვია ქალს მხრებზე. ავივაც უფრო მეცად მიეკრა კაკოს მხარს და ინსცინქცურად ლოყა ლოყაზე მიადო. ახლა ველარც ის ამჩნევდა ეკრანს.ორივენი გაუნძრევლად ისხდნენ თვალმინაბულნი და ერთიმეორის სიახლოვით გამოწვეული სიამის ცალღებში ცურავდნენ. თითქოს ამ ნეცარი წამის დაკარგვისა ეშინიათო, არ იძროდნენ,თვალს არ ახამხამებდნენ და ჩურჩულსაც კი ერიდებოდნენ.

ასე იყვნენ,ვიდრე დარბაზში შუქი აინთებოდა.

უხმოდ გამოვიდნენ გარეთ. ცაზე უკვე ვარსკვლავები კიაფობდნენ. ქალს აღარ უთხოვია,სახლამდე მიმაცილეო. არც კაცს უთქვამს არაფერი. ისედაც იცოდნენ,საით მიდიოდნენ.

როცა ბინაში შევიდნენ,ავივამ შუქი აანთო და მაშინღა დაძრა ენა:

- ერთ წამს დამიცადე,ძვირფასო. კაბას გამოვიცვლ
და ვივახშმოთ. კარგი? საძინებელ ოთახში შევიდა.

კაკოს ახლა ყოველი წამი უსასრულობად ეჩვენებოდა. გულმა ვერ გაუძლო,ნახევრად ღია კარიდან შეიხედა.მარ
მაშის პერანგის ამარა ავივა საშინაო კაბის გადაცმას
აპირებდა. ფეხის ხმაზე შეკრთა.

- ნუ შემოხვალ! - მუდარით უთხრა.

უკვე გვიანი იყო. კაკო მის გვერდით იდგა. მან ძა
ლის გამოუყენებლად მოაცილა კაბას ქალის ხელები და ი
ქვე სკამზე მიაგდო. მერე მიშველ მხრებზე შემოაჭდო მ
კლავები,მთელი ძალით მიიკრა მკერდზე და გამმაგებით
დაუწყო კოცნა. გაძალიანება ზედმეტი იყო... და ქალ
მაც კოცნითვე უპასუხა.

- ძვირფასო!.. - თითქმის ერთდროულად აღმოხდა ორი
ვეს... თავდავიწყებით კოცნიდნენ და ეკვროდნენ,თითქ-
ოს ერთ სხეულად შენივთება სურვებოდეთ.

„რას შვრები ავივა!.." - მოესმა ქალს საიდანღაც. კაკოს შეხედა: მის ბაგეებს სალაპარაკოდ არ ეცალათ. მაშ,ვისი ხმა იყო?

„გონს მოეგე,ავივა! რას სჩადიხარ ცოდვისა არ გე-
შინია?" - მოესმა კვლავ და იგრძნო,შინაგანი ხმა ბო-
ბოქრობდა მის სულში.

წამით შეკრთა. ფიქრშივე გაეპასუხა შინაგან ხმას: „ნუთუ შეცოდებად ჩამეთვლება ის,რაც ადამიანებს ბედ-
ნიერების წყაროდ მიაჩნიათ დასაბამიდან? თუ ასეა, მე
მაზღვევინოს განგებამ,ჩემს პაწარა ელის არ მოეკით-
ოს ჩემი ცოდვა... რა ვქნა,ჩემი ბრალი არ არის... ე-
ქვსი წელიწადია მამაკაცზე არ მიფიქრია..."

ახლა კი...

აღარც ახსოვთ,რამდენ ხანს იყვნენ ასე. ბოლოს თი-

თქოს მოულოდნელმა ზიძგმა გამოაფხიზლა თავდავიწყება-
ში.მყოფი კაკო. წამით შეწყვიტა ხვევნა-კოცნა. ხიყვა
რულით შეჰყურებდა ქალის მომაჯადოებელ სახეს,ახლად
გადაშლილი ვარდივით მფეთქავ მკერდს,მარმარილოსავით
ჩამოქნილ ნახევრად შიშველ ხხეულს და... მოულოდნელად
ხელში აიტაცა და საწოლისაკენ წაიყვანა. ქალმა ხმის
ამოღება ველარ მოახერხა. რაკი ერთი მიენდო უცხო მა-
მაკაცს,გრძნობდა,რომ თავის გამოდებას აზრი აღარ ჰქო
ნდა.

ექვსი წელი ელოდა ავივა ამ წუთს ქვეშეცნეულად,ე-
ლოდა ისე,რომ თავის თავსაც არ უმხელდა და,ალბათ,არც
გრძნობდა... ლოდინით კი ელოდა. ამასთან? არა,ექვსი
კი არა,თუნდაც ერთი წლის წინათ კაკოს სახელიც არ ჰ-
ქონდა გაგონილი... ხხვასთან? არც ხხვაზე უფიქრია ა-
რასოდეს... ქმართან მხოლოდ ერთ თვეს ცხოვრობდა.მხო-
ლოდ ის-ის იყო შეიცნო ცოლქმრული ურთიერთობის სიტკ -
ბო...

სწორედ ექვსი წლის წინათ ნეტარებდნენ ამ საწოლზე
ის და ელი...

„გონს მოეგე,ავივა!.."

ქალი შეძრწუნდა.

ნუთუ ელის ხმაა?

– ელი!.. – ხმამაღლა აღმოხდა ავივას და თვალებში
ცრემლი აუკიაფდა. – ოჰ,ელი,სადა ხარ ახლა?

– კაკო მხოლოდ ოდნავ გააკვირვა ამ წამოძახილმა.

– რა მოხდა,ძვირფასო,ელი ხომ ღედამენთან გადაიყ-
ვანე!

– შენ არ იცი... – დაბნეულად წარმოთქვა ავივამ.-
ის ხხვა ელი იყო... პაწარა ელის მამა... ექვსი წლის
წინათ დაიღუპა...

- დაიღუპა? - კაკოს თითქოს რაღაც ჩასწყდა მკერდში. იჭვნეულად იგრძნო,რომ რაღაც საშინელი მოხდა. მაგრამ სად? როგორ?

- ავივა,ძვირფასო,შენ ტირი... მითხარი,რა მოხდა, როგორ მოხდა?., ქალი დუმდა.

კაკო უკვე აღარ ეხვეოდა. დაძაბულად შესცქეროდა პასუხის მოლოდინში. მკლავში ხელი ჩაავლო და შეანჯღრია.

- მიამბე,ავივა!.. ჰა,გაიხსენე!

და გაახსენდა ქალს: სწორედ ექვსი წლის წინათ ნეტარებდნენ ამ საწოლზე ის და ელი უკანასკნელად.

- ვინ იცის,როდის შევხვდებით კიდევ... - ჩურჩულებდა ელი და თითქოს ცდილობდა წინასწარ აენაზღაურებინა გაცდენილი დრო,დამტკბარიყო საყვარელი არსების ალერსით.

- ნელა,შე მხეცო! - ნაზად,სიყვარულით აღსავსე კილოთი დატუქსა ახალგაზრდა ქალმა. - სულ არ უფრთხილდები ჩემს მუცელს...

- ჰო,ჩვენი მომავალი, - სახოებით წარმოთქვა ვაჟმა და მუცელზე ისე მოწიწებით აკოცა,თითქოს ჩვილს ეამბორებაო.

- ვინ იცის,როდის შევხვდებით კიდევ,- გაიმეორა ელიმ. - ამბობენ,რამალისკენ გვამწესებენო.

- რამალა შორს არ არის...

- ორ კვირას მაინც არ გამოგვიშვებენ შინ...

- არც ორი კვირაა შორს...

- ცაჰალს არ ელალატება,თორემ ერთ დღესაც öიჭირს უშენობა.

- მე უფრო მიჭირს.

- მაგრამ უნდა გავუძლოთ.

- უნდა გავუძლოთ...

წავიდა.

ეს იყო ქიფურის წინა კვირაში. ქიფურის დღეს არაბები დაესხნენ თავს ქვეყანას. დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. ბევრი შეეწირა სამშობლოს თავისუფლებასა და ღირსებას.

ელი აღარ დაბრუნებულა.

ავივა ელოდა. იცოდა,რომ დაიღუპა,ცნობაც კი მიიღო სამხედრო ნაწილიდან მისი გმირული სიკვდილის შესახებ. მაინც ელოდა. ელოდა იმიტომ,რომ ახალი დაქორწინებულები იყვნენ,ერთიმეორის აღერსით გაუმაძღარნი, ჯერ კიდევ ცხოვრებაში გამოუცდელნი,სადაა პირველი ბავშვი უნდა შესძენოდათ,ელის კი დიდი ხანია ენატრებოდა მისი ხილვა... და ბუნება ისეთი სასტიკი როგორ იქნებოდა,რომ გაფურჩქვნის მომლოდინე ყვავილი ჩანასახშივე მოეშთო!

სასტიკი გამოდგა ბუნება... არა,ბუნება კი არა, ომი გამოდგა სასტიკი...

ბევრი სიცოცხლე შეიწირა ომმა.

ელიც...

როცა სამშობიარო სახლში წაიყვანეს,ელიზე ფიქრი მაშინაც არ ასვენებდა. ტკივილები აწუხებდა და ის ედგა თვალწინ. „ელი რომ აქ იყოს,თავიდან არ მომცილდებოდა,ტკივილებს შემიმსუბუქებდა".

ბავშვს ელი დაარქვა და დაიფიცა,რომ მასზე გადაიტანდა ელის სიყვარულს,აღარ გათხოვდებოდა და გმირი ჯარისკაცის სახელის გამგრძელებელს შამინაცვლის ხელში არ ჩააგდებდა.

ასრულებდა აღთქმას.

ბევრი კარგი ბიჭი ცდილობდა ახალგაზრდა,ლამაზ ქვ

რივთან დაახლოებას,ბევრი ცოლად შერთვასაც შეჰპირდა. არავინ ახლოს არ გაიკარა.

ამ „ქართველმა" კი პირველი შეხვედრისთანავე აა-ფორიაქა. არ უნდოდა ცდუნების/აყოლა. არ უნდოდა აღთქმის გატეხა. იქნებ მოეხერხებინა კიდეც,იმასაც რომ არ მოსწონებოდა და არ წამოსწეოდა...

კაკომ ახლა უკვე სიბრალულით დახედა ავივას,ლოყაზე აკოცა,შენამული უპეები ხელისგულით ამოუმშრალა და წამოდგა. უცბად მოეჩვენა,რომ ქალი დამშვიდდა,თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნაო.

- მიდიხარ,კაკო? - არ განძრეულა,ისე ჰკითხა ავივამ.

ვერ მიხვდა,დარჩენის მუდარა იყო ამ ხმაში თუ ისე,ზრდილობის გულისათვის ჰკითხა. პასუხი არ გაუცია, კარის სახელურს მისწვდა.

- აღარასოდეს აღარ მოხვალ? - უკვე გარეთ გასულს წამოეწია ეს შეკითხვა.

ოთახში აღარ შებრუნებულა,კარებიდანვე უპასუხა დაბნეულად:

- მოვალ,ავივა,მოვალ... როგორც დასთან.

1980 წ.

# რომან იაკობაშვილი

- კურთხეული მიწა
- ახალ რეპატრიანტებს!
- ცნობისმოყვარეს
- რ. იაკობაშვილს
- ებრაელი უისრაელოდ
- მამა
- ნელი
- ზევით ახლოს არიან
- ზღვა და ღამე
- გვიანი ლექსი
- ქართველ პოეტს
- ოქროს საწმისი
- გაზაფხულის ეტიუ
- მშვენიერება
- მუსიკის დაბადება

## რომან იაკობაშვილი

# კურთხეული მიწა

თუ დადგა ჟამი ავამინდობის
წამოვა კუპრი ნათელ ცის სამტროდ.
ორპირალესილ ხანჯლად ვიქცევი,
შენს მტერს გავუპობ გულს, ჩემო სატრფოვ!

კურთხეული მიწაა თუ ცრემლის მიწა,
ებრაელთა ძვლებთან ერთად დანაყული,
დარდით ნათოვ დიდ საცერში რომ გაცრილა,
თუ სტომაქი ჩვენი სისხლით დანაყრული.

წვიმა მოდის თუ დიდედას ცრემლებია,
ცის ქუხილი მამა-პაპის ტირილია,
სოკოები - ჯარისკაცთა ქუდებია,
ქვრივი ქალის შავმანდილი - ტირიფია.

სისხლის კვალი ამჩნევია თუ წაშლილა,
მიწამ შესვა თუ მზის სხივმა ჩაისუნთქა,
ქარია თუ ვერხვთა ჩუმი ჩურჩულია,
ლალადისი ებრაელს რომ ლოცვად ეთქვა.

ერუშალიმს გზა არის თუ კომშის წნელი,
ან მეეტლეს მათრახი თუ დავარდნია,
ზეთის მთაზე ზეთის ხეა გაფანტული
თუ ამ მხარეს ზეთის ხილიც კი ვარდნია.

დაივიწყე ძველთაძველი ჭრილობები
თუ ჭრილობა თავისთავად მოიშუშა

და მძლე მუხამ თუ მოხვეტე ნაფოტები;
მუხა-დედა,შვილები კი იყო შეშა.

მიწა არის თუ სამოთხის ბაღჩის კონა,
უძველესი თუ ახალი ნატვრისთვალი,
მადრევანი თუ თაფლი ჩქეფს მადრევანად,
მდინარეა თუ რიყეზე ვერცხლის წყალი.

ვაშლის ხეა თუ ნატვრის ხეს ცვივა ვაშლი,
ვაზი ტყეში თუ ტყე არის უსურვაზის,
ზურმუხტი თუ ბროწეული აკინძული,
ლამაზების მხარეა თუ მხარე არის თვით
ლამაზი.

კურთხეული მიწაც გვაქვს და კიბუცებიც,
მტერი შურით,მოყვარე კი ალერსებით
თვალს გაყოლებს,სიონიზმის ჰიმნს მიყვები,
ისრაელო,შენზე მღერით არ ვიღლები.

თუ დადგა ჟამი ავამინდობის,
წამოვა კუპრი,ნათელ ცის სამტროდ
გავსულნათლდები,გავრაინდდები,
ხანჯლით გავუპობ შენ მტერს გულს,საყრდოვ!

27. 12. 1978 წ.

# ახალ რეპატრიანტებს!

მოხვედი, რაბი? მოხვედით ძმები?!
რაბი და ძმებიც აქ დაგხვდებიან.
მოხვედით, პურის ამრავლოთ ძნები,
დაგვიანებას არ გაუყვედრიან.

საქართველოში ღვია ტიროდა,
ხოკო კოცნიდა ტირიფს ნაწვიმარს,
ორთაჭალაში ფონს არ ელოდა
ღვიას შავი ზღვა ძმურ ხელს აწვდიდა.

ღვია ტიროდა მტკვრისფერ ცრემლებით,
ხუჭუჭს ვარცხნიდა რიონის ტალღა,
თერგი ღრინავდა გაცოფებული,
ამდენ ცრემლის ღვრით ვარძიაც გაღვა.

შეკრთა, შეტოკდა რაბი რატომღაც,
ყვავილთა კონას კიდევ დახედა,
თვალწინ დაუდგა მოშე რაბენუ
და გოჩას ხევიც თითქოს გახედა.

იცოდე, ვისი გორისახარო,
ჭექა-ქუხილით დაიქუხილა
ვიციო, ძიძავ! – რაბის აღმოხდა –
და მისწვდა ფიქრით მიწას უხილავს.

უხილავ მიწას მოშეს აჩრდილი
ვით ცისარტყელა აფერადებდა,
რაბი ყვავილთა კონას აღმზრდელის
მკერდზე ვარდების ცვარად აფენდა.

რაბიმ ყვავილთა კონა დაფურცლა,
(მის მიმოფანტულს რა გაახმობდა?)
აღმზრდელმა თორამ გეზში უშველა;
რაბის მშობელი მხარე უხმობდა.

მხარე უხმობდა ერუშალიმის,
ბეთ ამიკდაშის ცრემლის კარიბჭე.
დედა იხუტებს, ქვითინით ისმის:
„შვილი დედისთვის უნდა გაირჯეს".

უნდა გაირჯეს, როგორც იცხაკი,
მკერდს რომ უშვერდა დანას აბრამის.
ახსოვდეს ქოხბა, მაქაბელები,
ხაშმონაიმთა გმირთა ვარამი.

გმირთა ვარამით დღეს მიწა ჰყვავის.
ნეგევი ბაღჩას დამსგავსებია
მათ მოდგმისაა ეს ლამაზმანი
თვალები ზღვის მზით რომ ავსებია.

მოხვედი რაბი?! მოხვედით ძმები,
რაბი და ძმები აქ დაგხვედრიან.
მოხვედით, ჰურის ამრავლოთ ძნები,
დაგვიანებას არ გაყვედრიან.

20. 11. 1979 წ.

# ცნობისმოყვარეს

შენ გინდა ჩემ ლექსის ზუსტი მისამართი,
დაუთვლელი კოცნების დათვალო კოცნები,
რით არის ნაქარგი: სიცრუით,სიმართლით,
ვისია დამჭკნარი ის იის კონები?!

რად გინდა იცოდე ბაღების კუთხეში
დაყრილი კოცნები დამჭკნარი კორდებად?!
რად გინდა იცოდე რად გავხდი უხეში,
რატომ მიმატოვეს გულის სწორ ტოლებმა?!

ო,არ მყვარებია მე ქალი ამ ქვეყნად,
ეშმაკმა დალახვროს იმ ქალის მომგონი,
მე ეს სიყვარული საფლავში ჩამყვება,
მის სახელს ვერ ვიტყვი,არც მახსოვს მე მგონი.

ქალია ეშმაკზე ადრე მოვლენილი
და ევას ის ვაშლი დღემდე არ შეჭმულა;
რას დავალთ,რას ვეძებთ ბედისგან დევნილნი,
ვაშლს ვპოვებთ? ნეტავი ვინ ნახა,სად თქმულა.

ნუ მკითხავ,რად გინდა,მალე დაგაბერებს,
იცოდე,სხვის გულში ხელების ფათური.
მთლად გაგაბოროტებს,უფრო გაგახელებს,
მე კი ვერ მიშველი,ისე ვარ გართული.

ასე ვარ გართული,დაკარგულ კოცნების
კვალს ვეძებ ლაწვებზე ჩემს მერი პიქფორდის;
თუ გინდა გაიგო,ნუღარ გაოცდები,
საფლავზე შეიტყობ,რომ მოვკვდე იქ მოდი.

# რიტა იაკობაშვილს

მტკვარწაღებული
მზიას ხსოვნას.

შენ იყავ ერთი მოუმდურავი,
გჯეროდა ბედის - შენი ედემის,
გადიდდებოდი,როგორც მცურავი
ნაპირს მომდგარი ოცნების გემი.

ოცნების გემის ნავსაყუდელი
ედემის ბაღში იყო სასახლე,
მზის ყვავილებით გასიზმრებული
ოცნება ლექსად შენ რომ ასახე.

დაბრუნებია ნაპირს დაღლილი,
უკიდეგანო და უსასრულო
აქაფებული ტალღა ღრიალით
შენი სიზმარი რომ აახდინოს.

სიზმრის ახდენა მოვა ისევე,
როგორც ალიონს ზანტი ზმორება,
მოლივლივდება თვით აფროდიტე
მზიას სახება ან გაორება.

სიზმრის ახდენა მოვა ალერსით,
როგორც მზის სხივის ლიცლიცი ზანტი,
ზღვის ღმერთი მოვა ზღვაზე შენ ლექსით,
მხოლოდ მოთოკვა გმართებს აზარტის.

გაგიჭირდება შენ უნიათომ,
რომ დაიოკო ვნების აზარტი

და სიჭაბუკის ის უნდილობა
რომ არ დაბეგრო განცდების ხარკით.

განისლებულა გოგონას ლანდი
შენ რომ უყვარდი. არ შეიფერე;
თითებზე კბენის ვერ გშველის ფანდი
როს გულგრილობა დარდს მოაფარე.

და დაღლილი ზღვა,ქვევით რომ გდია,
გიბრუნებს ვაგლახ წართმეულ ნადავლს
და ევას სახით ცოცხალი მზია
მოვა წაგიძღვეს ედემში ადამს.

შენ ერთადერთი იყავ ჩემი,
გჯეროდა ჩემი და ბედი ჩემი,
გადიდდებოდი კრული,აუგი
და მაინც ნაპირს მომდგარი გემი.

29. 1. 1979 წ.

# ႤႡႰႠႤႪႨ ႳႨႱႰႠႤႪႭႣ

რად გინდა იყო ამ ქვეყანაზე
ებრაელი და უისრაელოდ!!
შენ წინაპრებმა სისხლით განაგეს
ქვეყნები,
დარჩნენ უსიყვარულოდ.

უსიყვარულოდ დალიეს დღენი
და უცხო შეხვდათ სასუფეველი...
ხომ გახსოვს მოდგმა და გვარი შენი
და სადღეგრძელო დაულეველი?!

მაშ,შევსვათ ერთად და ჩავიაროთ:
ჩრდილოეთს წახვალ იქ ხაიფაა,
ოდნავ ზევით კი ეჰ,ნაჰარია,
(დაკნინდა ახე,მთლად გაიაფდა?
ის სილამაზე დრომ დაანგრია?)

კი,დაანგრია შავბნელმა ყამმა...

ხელი მთაზერა ხალხის გენიამ.
ხომ დაგვიბარა პაპის პაპამა:
ჩვენ მიწა-წყალზე,ჩვენ მოგველიან?!

ფერფლს დაუფარავს სისხლი თრთვილივით,...
მიდიხარ მარჯვნივ - იარკონია.,
მარცხნივ შეუხვევ - გოგო შველივით,
თავი ედემის ბაღში გგონია.

აგრძელებ შენ გზას,წინ ხულონია

და ხეივნებში ძველი არხები,
დასავლეთისკენ ბათ-იამია,
ლამაზმანებში ლომი გახდები.

არც ფიქრობ არც გსურს უკან დახევა,
რომის ლეგიონს რას ეუბნები?!
შთაბეჭდილება ისე დახვავდა,
როგორც ჭერმები და უნაბები.

დილით ხაიფის თაკარა მზე გწვავს,
დღე თელ-ავივს  ვერ დაემალები,
ერუსალიმზე ღამე ოცნება და ფერმკრთალ
ქალის ნუშის თვალები.

რად გაქვს თვალები... ზევით ახედე
ოცნების ლურჯი ნავის იალქანს.
თვით ერთ ღმერთიდან შერჩათ ამ ხელებს
ნივთებს - სახელი, ფარა - იალაღს.

და თუ დაგჭირდა ფეხქვეშ დახედვა,
არ დაიხედო,არა,არ გინდა!
განა სამირკვლად შენ მიწა გიდგას?
სისხლი ქცეულა მიწის ჩემ ბინდად.

და ჩემი ბინდი რთვილად ფენდება,
ნამავს,გაყინულ სისხლის ცრემლს ნამავს...
შურისძიების ალი გედება,
გულზე დაიწერ გულსაკლავ ამბავს.

და მივარდები ხმალს მტერთსამრად,
ხელში შეგრჩება მდინარე  კიდრონ,

და მთა მორიაც თითქოს გაორდა
და ბრძოლის ველზეც კი ხალხი მკვიდრობს.

ერუშალიმი... ცრემლის კარიბჭე
და ზეთის ხილის მთის სასაფლაო,
კაცი ცეცხლდები,გსურს,რომ გაირჯე
და გამოიბა ხელი ბრინჯაოს.

დილის ხაიფის იწვი ზმანებით,
დღე თელ-ავივს ვერ დაემალები.
ერუშალიმის ლამაზმანები
ნახე?
    გქონია მაშინ თვალები.
ვინ არის ქვეყნად უსიყვარულოდ?!
ებრაელი და უისრაელოდ?

26. 4. 1980 წ.

# მამა

ქარს გადვურჩი... დამტვრეული პალმის ტოტი
სახეში მცემს, მზარავს.
ლექსებისთვის აღარ მინდა კალმისტარი,
არც მელანი, მამა.

მამა! მამა! მამა!

როგორ გთხოვდი,სასწავლებლად წიგნებს გთხოვდი,
სწავლა მაკლდა განა?!
ჩიტის რძესაც არ მაკლებდი,მისრულებდი,
არ გვიმტყუნე,მამა.

მამა! მამა! მამა!

მე გიმტყუნე,შეგარცხვინე ონავარამ,
დარდი,ღვინო მძმარავს,
მერე რაა,თუ კაეშანს მაინც ვფარავ?
რა კაცი ვარ. მამა?!

მამა! მამა! მამა!

ვეფხვებისთვის ჩასაფრებულს სანადიროდ
ლერწმის ფარდა მფარავს.
და შაშვების შრიალი კი ვაგლახ მაფრთხობს,
უშიშარო,მამა.

მამა! მამა! მამა!

მე ამაყი ვიყავ მაშინ,გვერდით მყავდი,
ცაში ვწყვეტდი ვარსკვლავს,
ახლა ფრთები დამცვენია და ბაღლივით

ვეღარ დავალ, მამა.

მამა! მამა! მამა!

რა მადარდებს,განა მართლა ყველამ იცის?
არვის ვანდობ,არა!
არცა ღვინოს,არც ქალს,მთვარეს ჩემი ფიქრი
არ გავუნდე, მამა.

მამა! მამა! მამა!

უდედობით ის დამჭკნარი ყმაწვილობა
ლექსებს წელზე ქამრად
შემოვარტყი და გაფიცებ ჩემს შვილობას,
ნუ დამძრახავ, მამა.

მამა! მამა! მამა!

6. 3. 80 წ.

# ნელი

ძალას კარგავს, ფერმკრთალდება
ნისლი ზანტი, ნელი.
კაზალონზე ლაყვარდდება
შენი ლექსი ნელი,
ლექსი... ნელი, ნელი.

თითის წვერზე გოგმანდება,
ცეკვავს დარდის მთელი
სალამური, რომ ზნელდება,
ლამე წვება ზნელი,
ზნელი... ნელი, ნელი.

სუსხმიაც კი მათბობს, მართობს
შენი ლექსი ნელი,
შენს ფიქრებს და დარდებს მანდობს,
ლექსებს ვარდად ელი,
ელი... ნელი, ნელი.

ვული გჭკივა? წამოდექი,
აჰა, მძლავრი ხელი...
წახვედი და დაგვიტოვე
სიმარტოვე ძნელი,
ძნელი... ნელი, ნელი.

14. 10. 1978 წ.

# გვიანი ლექსი

ჯირითში დაღუპულ სტუდენტობის
მეგობარ ა. აბზიანიძეს

ხაფლავზე ყვავიან ტყემლები,
ენძელას დასტირის ტირიფი
ურა ცხენს ტორავენ ჩრდილები,
ნაძვის ხე ლილინებს გიტარით.

ყელნაზი,ლურჯთვალა იები
ამსგავსე ტბათვალა გოგონებს,
შავთვალა ყაყაჩოს წარბები
შველტანა გოგონას გაგონებს.

გშვენოდა ლამაზი ღიმილი,
ნათელი მომავლის ოცნება,
სითეთრე ანთებულ გვირილის
თუ სატრფოს ლაწვებად გეცნობა.

გიყვარდა ბავშვობას ჯირითი,
უბელო ცხენების ჭენება,
ჭაბუკსაც გეწვია ფიქრივით,
ცხენი,რომ კვლავ გეგრძნო მშვენება.

მშვენება ლამაზი სიზმარის
ამჯერად განისლდა,ავთანდილ,
დადუმდი უთქმელი ლანდივით,
გრცხვენია ღელის შავ მანდილის.

ან მამას რას ეტყვი,ვაჟკაც კაცს
ბალღივით უღვრია ცრემლები,
დაიკოც დატოვე კენტად და
მეგობრებს დაგწყვიტე ხელები.

ხელები მომწყვიტე მრავალწელს
ლექსი ვერ მოგიძღვენ საჩვენო,
მიიღე გვიანი,ახლა გწერ,
იქნება სიზმარში მეჩვენო.

5. 8. 1979 წ.

# ზევით, ახლოს არიან

როგორც მკვდარი მდინარე,ყინულების სამარე
დამჭკნარ ვარდებს დატკეპნის გაყინული ცრემლებით.
აქ ძაძების მთებია,გლოვა ჩონჩხით დაბარეს,
ჩაფლეს ლექსის ფურცლები ტოტებივით ხელებით.

ფოთლებივით ყვითელი შეშლილი პროფილები
ნახატივით წაშალა კეთროვანმა ბელტებმა.
ქარი დაქრის ავშარა და წყვდიადში იფლობი,
მზეს არტახი ჩააცვა ხეიბარის კეტებმა

მზემ არტახი ჩაიცვა ხეიბარის კეტებით
და ტაატით გასცურა ხიკვდილების ტალანი.
წინწვიანი ჩონჩხებით თუკი მოეფერები
ნაცრადყრილ შენ ქვაგულს- მაშინ ჰპოვე ფარანი.

გული თითქოს ფარანი ან მბჟუტავი სხივია.
მიხვალ,ეძებ მეგობარს,გესმის ძაღლის ყმუილი,
ხედავ,გიცქერს თვალები,ეს ყინულის მძივია, -
- ყინულივით უგრძნობი,ცხოვრებისებრ ტყუილი.

სიცოცხლეა ტყუილი - მხევალების ბუნაგი,
გესმის შენი სახელი,რომ იგდებენ აბუჩად,
ზევით გესმის ტირილი... გამყინავი ზურნაკი
კვნესის,თითქოს ქვესკნელში ტკივილები გაყუჩდა.

აქ ქვესკნელში ტკივილის გაყუჩების გარეშე,
ტკივილს არ გრძნობ,არ არის,ტკენა ნასიზმრალია.
აქ,არ არის ადგილი ტკივილამდე დაეშვე,
ტკივილები - ყინულის ნაპრალებში ქარია.

მხოლოდ ლექსის მძივები,გაყინული სიტყვები,
თქეშით აწვიმს სამარეს,აწვიმს და გიხარია.
რომ ხმა გესმის ლექსების,ვარსკვლავივით ენთები,
ისევ ქრები იძინებ... ზევით ახლოს არიან.

18. 4. 1980 წ.

# ქართველ პოეტს

„... ხელში აგიღებ, გაკოცებ,
კიდევ გაკოცებ, ჩაგცქერი..."

გოგლა.

ჩაგძირავს ლექსების ტალღები,
შეგფოთლავს ფურცლებით ზღვის ფიქრი,
დაკოცნი ლურჯ თვალებს აღსდგები,
ლაჟვარდში მძლე ლომად რომ მიქრი.

ჭიუხებს მიაღწევ გაირჯე,
ჩამოთლი ნაპრალებს სამშვილდეთ,
მარცხენით - მზელექსებს იმარჯვებ,
მარჯვენით - არწივებს ამშვილებ.

ლომკაცო არწივისმკლავებავ,
ლექსს სატრფოს მსგავსად რომ კოცნიდი,
ვარსკვლავებს ცაში ჰკრეფ ალებად,
ლექსების დაანთო კოცონი.

კოცონი არწივთა სამეფოს,
ორბების საბუდარს მიწვდება,
ლექსით დაბანგული მაჩვიც კი
ლირიკის ნაბაზე მიწვება.

ლექსები - სიცოცხლის მიზანი,
ლირიკა - ცხოვრების არსია,
მთვარეა ლექსების მთოველი,
რითმების პერანგი აცვია.

კალამი - არწივთა ფრთებია,
მელანი - ჩანჩქერთა შხეფები
თეთრ ქაღალდს ხუნთქვაც კი შეკვრია
შავ კალმის ვნებიან შეხებით.

ლაჟვარდებს მიაღწევ მოიხმარ
ზუჩიან ნაპრალებს სამშვილდეთ,
მარცხენით- მზელექხებს იმარჯვებ,
მარჯვენით - არწივებს ამშვიდებ,

გაგრიყეს ვარსკვლავთა ტალღებმა
მთვარეს რომ შემაფრო სამი რამ:
ლექსები,მშვიდობა და ძმობა
ქართველო პრომეთევ,ამირან.

27. 7. 1979 წ.

# ოქროს საწმისი

ედემის ბაღის ოქროს ვაშლის ხე
საქართველოში მხოლოდ [illegible],
თუ იაზონის ოქროს საწმისი
აქ დაიკარგა - აქვე იპოვეს.

აქლემივით კუზიანი ზურგი,
ზურგის ძირში გდია ლურჯი ტბები,
ამირანმა მყინვარწვერის თუნგით
გადმოღვარა თერგი - ვერცხლის თმები.

ვერცხლის თმები რომ შეღეღდა ცივი,
წარმოიქმნა ორი ზღვათა გუბე:
კასპიის და შავი ზღვის ცივი,
საქართველო - ნეცარების უბე.

მიწისძვრებით დახეთქილი ფლაცე,
საქართველოს დაჩემების ეშხი,
მონგოლების,არაბების ბრბოებს
ამარცხებდნენ ჯავახელი, მესხი.

მთის წყაროთი დანამული მოლი,
ლურჯ მდინარით დასერილი ვაკე,
მეცხვარე თუ მწყემსი,ცხვრების დოლი,
მწვანე ცბების ჯადოსნური სარკე.

ცის ფოთლებით მოქსოვილი ნოხი,
გიჟ მდინარის მჩქეფარება მთაში,
ჭიუხებზე ლომკაცების ქოხი,
გვირილების თოვლის მცვერი თმაში.

ძერისფერი მწვერვალების ლოგინს
მლის მეცხვარის სალამურის ჰანგი
და ქორბუდა ირმების ცყის ჯოგი...
სად გინახავს ამ ხედებზე კარგი?!

ამ მწვერვალებს დღემდე კარგად ახსოვთ
პუშკინის და ლერმონცოვის მზერა.
და დიუმამ ათას ერთი ღამე
აქ შეიგრძნო სამოთხის მზის ფერად.

უნორჩესი მდელოების ფერი
დღეში შვიდჯერ იცვლის ზღაპრულ სახეს,

მოლისფერი, მწვანე, ჩალისფერი,
თუ გსურს იგრძნო, მოდი, მოდი, ნახე.

თუ უწერია ზღაპარს ახდენა
საქართველოში უძლებს გამოცდას,
ოქროს საწმისი იაზონისა
აქ დაიკარგა, აქვე გამოჩნდა.

## ზღვა და ღამე

ზღვა არის თუ ლურჯთვალების გაელვება,
ცა არის თუ ოცნებაა ფიქრით გულთქმა,
ჭალლაა თუ კაცის გულის აღელვება,
ნიავი თუ ლამაზმანის ვნებით ხუნთქვა.

სიოა თუ საროსჭანის მარაოა,
მზე ცაზეა თუ მზე გულის კარებია,
მზე თვალს მიკრავს,აკაცია რომ ქანაობს,
რა კაცი ვარ,გაშავება მყვარებია...

ღამეა თუ ქალის შავი თვალებია,
ნისლია თუ ცას ყაყაჩო მოჰფენია,
დაფლეთილი ცის საბანი ხალებია,
ცის ნავს ალბათ იალქანი მოხევია.

წვიმა მოდის თუ მზეს პირი უბანია,
ღრუბელია თუ ქართული ნაბადია,
სად ვყოფილვარ,ეს სამოთხის უბანია,
მისთვის დავთმობ,ქვეყნად რაც კი მაბადია.

# გაზაფხულის ეტიუდი

ფოთლებივით ვფურცლავ ფიქრებს,
ნახატივით მეჩვენება:
ლურჯთვალება ქამანდს იქნევს,
მომინდომა დაჩემება.

მეთევზესავით მესროლა ბადე,
მაისის ღამემ - მაისის მთვარემ.
თურმე იმ ღამეს მე დავიბადე
და დღემდე გაზრდა ვერ დავამთავრე.

ვერ დავამთავრე გრძნობის გამხელა,
წყალმა წაიღო სიტყვა ტივებად...
და ვერ დავწერე ლექსი იმხელა
საყვარელ ქალს რომ დაეტოლება.

ვერ დავამთავრე მთვარით გავსება.
დაუმდნარ განცდის სტროფად დაქცევა,
კარგის ჩუქება ან გასხვისება...
და ლაჩარივით მინდა გაქცევა.

ფოთლებივით ვფურცლავ ფიქრებს,
ნახატივით მეჩვენება;
ღმერთის დასმულ კითხვებს იქნებ
მიმიცია მე ჩვენება?!

ვერ დავამთავრე ბაღის მოქსოვა,
ოქროს თევზს ზედად რომ წავწყდომოდი,
გადამერჩინა მთვარე დახრჩობას,
ჯოჯოხეთს ხელით არ წავწყდომოდი.

ვერ დავამთავრე, ვერ დავამთავრე
მზის პრელუდიის ბოლომდე ბგერა,
ლექსის ხონეტა,ხონატა მთვარის,
დაუმთავრებელ გედის სიმღერა,

ფოთლებივით ვფურცლავ ფიქრებს...
ფიქრები მზის მაყრებია
და იმედის ლექსად იქცნენ,
გაზაფხული პყვარებიათ.

8. 1. 1979 წ.

# მშვენიერება

ის ავაზივით ტანმოქნეული,
ალვის ხესავით ამოლტილია,
ვარდ-ყვავილებით პირმოფენილი
ზღაპრულ-უკვდავი წყაროს ტოლია.

ყელმოღერებით თეთრ გედს ედრება
ნუშისთვალება, წამწამტევრია,
ედემის ბაღის იდუმალება
ფეხქვეშ ედება, ფეხის მტვერია.

ბერძენთ ღმერთებმა არქვეს მშვენება,
მშვენიერება სახით - ქალია.
ხელით ფარული ვნებებით ხუნთქვა,
ცრუობით - ზღვის ქაჯი, არის ალია.

ვნებების ყრყოლა,ეშხი განცდების
ღმერთისთვის დღემდე არ მითხოვია;
თუ იდილია მშვენიერების
დავისაკუთრე - მაშ, მიცხოვრია.

27. 10. 1978 წ.

## მუსიკის დაბადება

როცა მუქდება ღრუბლის ქულები
მთაგრეხილებზე აბოლდებიან,
ბურუსი ლეჩაქს საბნად მოირგებს,
მერცხლები ცაში გარინდდებიან.

როს ცისარტყელას დაემსგავსება
ცის მტვრით დაღვრილი მზის პერანგები;
მარმარილოსგან ჩამოისხმება
ჭრელ ზამბახების ფარშავანგები.

როცა ნიავი მწვანე ბალახებს
დაჰბერს,ზღვის ტალღად აათამაშებს,
ელვა გველივით დაიკლაკნება,
წვიმა მოიცმევს მძივის არშიებს.

კაშკაშა მზე თავს შიშით გამოჰყოფს
წვიმას შეუშვერს, ხელ-პირს დაიბანს,
გაეღიმება, გაეცინება,
და მოადგება ჰანგად აივანს.

აგუგუნდება მაშინ ბუნების
დიდი ორკესტრი - უტყვი სამყარო,
მუსიკის ჰანგთა მარადისობის
სიმფონიები ფიფქებით ყაროს.

დირიჟორის პულტს ბუნება იპყრობს,
ხოლოს ასრულებს მზის ბრწყინვალება,
ფორტეპიანო, ორღანი, ბანი
მთას მიეკუთვნა რთულ დავალებად.

მდინარე კლარნეტს აახმიანებს,
ნიავი, ქარი, გარმონ-ფლეიტას,
დამკვრელ ხელსაწყოს - ჭექა-ქუხილი,
ფიჭვს ვიოლინო აეკვიატა.

ხან სიმფონიის გაისმის ხმები,
ხან კი მოდური ჯაზის აგზნება,
ორკესტრთან იყრის თავს ყველა გზები,
ჰანგთ სიყვარული მოგვცეს ამ გზებმა.

აქვითინებულ ბუნების ჩანგი
მელოდიას ქსოვს მზის ბადეებად,
და ბუნებასთან გაბაასებით
შოპენის მუსიკა დაიბადება.

25. 8. 1978 წ.

# ბურთინ ბუნ-თენი (წიწუაშვილი)

- დედაო მიწავ!
- ზმანება გალუთში
- უკანასკნელი წერილი
- ხვალინდელი გოგოები
- ღამის სიმღერა

## გერშონ ბენ-ორენი (წიწუაშვილი)

# დედაო მიწავ!

თუ დასასრული ყველა გზისა იყავი მუდამ,
მაშ, ჩემი გზები რატომ ასცდა
შენს თბილ მკერდს, დედავ.
გერსაც თუ ძუძუს აწოვებდი და ეს არ გშურდა,
ვეღირსები კი, მეც ერთ შვილად მიმიღო, ნეტა?

დედაო მიწავ! შენი სისხლი ჩემში დგაფუნობს
როგორც ზღვის ტალღა, შენთხეული კლდის ცივ
ლოდებზე.
ხედავ? გოდებს მზე!
მზე კი არა, დარდია უფრო,
დარდი კი არა, ღრუბლებს დიდი ცრემლივით
მოსდევს.
ეს ის ცრემლია - ჩემი შობით ტკივილი იგრძენ,
ეს ის ცრემლია - ჩემს დაკარგვას
მისტირი ახლაც.
ეს ის ცრემლია - ღმერთს კანკალით მავედრებ:
იხსენ!
ეს ის ცრემლია - შენს ღიმილს რომ მუდამ
თან ახლავს.

დედაო მიწავ,
მიწავ დედაო,
იმ ცრემლით გიცან,
აკვნიდან რომ
დაგვებედაო.

ყველა ძეგლს უკვე დაედგა ფეხი,
ცეცხლის მაგიერ ხისხლი შეუნთეს.
წამალეს სახე მზისა და ღმერთის,
მაინც ვამზობლით: ღმერთო,შეუნდე!

მე შენი ენა დამიზნიეს ხაღლაც ზნელეთში,
ვეძებ და ღღემდე ერთი პეშვიც ვერ მიპოვია.
ჩვენ ამ ენაზე ველარ ვგალობთ,
მხოლოდლა ვხვნეშით,
ზღვა გრიალებს და - ჩვენს ენაზე ბლავის,
მგონია.

ენა კი არა,შენი კვალიც დავკარგე,დედავ,
ქვითინში უხმოდ იძირები,თბილო მიწაო.
ფერფლად დაფანცულ შენს ძუძუებს
ხიზმარში ვხედავ
შენი ხიცოცხლის ანთება რომ კვლავაც ვიწამო

ყველა ძეგლს უკვე დაედგა ფეხი,
ცეცხლის მაგიერ ხისხლივით ჩქეფდა.
ღღემდე ფიქრებს თუ ცოცხალი შევრჩი -
ეს ალბათ შენი ლოცვებით,დედა!

დგახარ და,როგორც მოლოდინის ჩუმი ხიმღერა,
ჩემს გზა-კვალს ახლაც ცრემლიანი თვალით
გახცქერი.
თუ ამღენ ფიქრში ხიყვარულმა არ დაიმღერა,
დარდს ავამღერებ,ხიყვარულის ცრემლში
დავცრემლი.

ოპოი,დედავ! თუკი შენი თვალების შუქი
კელაპტრებივით ხიხარულად ქარში დაიწვა,

მის ალს სიმღერით გავყვები და შენს წმინდა
მკერდზე
მეც ერთ კელაპტრად დავენთები, დედაო მიწავ!

4. 10. 64

## ზმანება ვალუთში

ჩამოვისგრევით
ცის გუმბათებად
და ამოიხსნევს ქვეყანა დარდებს.
იმ ხასგრევებში
ცრემლის ასოებმა
იის თვალებზედ ამოიკარდებს.

იმ გრძნეულ თარდებს
რადა გადასწევს,
რა დაეწევა გამრუდილ იერხებს...
ის გზები უკვე
ცრემლმა გადასწვა,
წარსულის კვალს კი რა გაავერსებს!

ყველა მცკაველი
ამ დედამიწის
ჩვენივე ძვლებით ვაპოხიერეთ.

შვილის ტკივილი
დედამ თუ იცის,
ის თუ განკურნავს მძიმე იარებს,

სხვა სიყვარული
არც არსებულა
უფრო უტკბესი, უფრო ზვიადი;
წინ გაინათებს
ისარდახობილ
გულებს სიმღერად ეს განთიადი,

თორემ იმდენჯერ
დავიხოცენით,
სისხლში იმდენი გზა გავიარეთ,
რომ ახლაც ღმუის
დახეულ ლოცვანს
არარატი და ბაბი იარი.

ქარში დაფლეთილ
სხეულის თრევით
ეს დედამიწა შემოვიარეთ.
ქვაზე თავს დავდებთ,
ღამეს გავათევთ-
ქვის ქვეშ კი ჩვენი ძმის თავი არის.

რამ მოიყვანა...
რა გზით მოვიდა...
ეჰ, ვინ რა იცის გუმანი ბედის.
თითქოს დამთავრდა
უკვე ომი და
ცისკარს ღიმილი ძლივს გაუბედე...

ცას შავ ღრუბლებად
დავეკიდებით,
ციურ მანანად დავიწყებთ წვეთას.
მერე კი ზღვისკენ
წავიცრემლებით,
რომ კვლავ ღრუბლებად ვეწვიოთ ზეცას.

ამ უბედობამ
და ამ სიმუხთლემ
უკვე დაფლითა ის ძველი ქნარი,
მაგრამ შენი და
ჩემი სიცოცხლე
ამ უბედობის სიკვდილი არი.

1965 წელი

# უკანასკნელი წერილი

ჩემო საყვარელო,საბრალო შვილო! არ ვიცი,არ ვიცი,
ეს ბარათი მაინც თუ მოაღწევს შენამდე. რატომღაც მ-
ჯერა,რომ იგი აუცილებლად მოაღწევს... და მგონია,რომ
შენ უკვე კითხულობ მას...
მე არ ვიცი,ჩემო ერთავ,რა ფერის თვალები და რა ფე
რის თმა გაქვს. მე არ ვიცი,გშია თუ გწყურია,არ ვიცი
მაგრამ ვიცი,რომ შენც ამ ზეცის ქვეშ ხარ და ეს-
ლა მაიმედებს. პატარა,სულ პატარა იყავი,როცა უკანას
კნელად ჩაგეხუტე; ჩაგეხუტე და დამავიწყდა,რომ ეშელო
ნი უკვე დაიძრა. შენ გიკვირდა ჩემი და ვერ გაგეგო,
რა ხდებოდა შენს გარშემო. მაშინ არ იცოდი,რა იყო ო-
მი... შენ ხომ ერთადერთი შვილი იყავი და როგორ შემე
ძლო დამეტოვებინე! და მე უფრო მაგრად ჩაგიკარ გულში
და ისე დავედევნე ვაგონებს. ძლივს გამოვგლიჯეს შენი
თავი...

ინვალიდი დავბრუნდი. დავბრუნდი და გავიგე,რომ დე
დაშენი მტრის ტანკს დაემარხა... სანამ შემეძლო,გეძე
ბდი,გწერდი. ვერ მოგაგენი,გეძებდი ისევ და... პასუ-
ხი ერთხელაც არ მიმიღია,ალბათ ვერ მოგაწვდინე ხმა.
ჩემო შვილო,ვიცოდე მაინც,როგორი ხმა გაქვს,ვიცოდე
მაინც,რომ ცოცხალი ხარ და მერე თუნდ ჩემივე ხელით
გავითხრი საფლავს. მე მჯერა,რომ ცოცხალი ხარ,ჩემო ე
რთავ,მაგრამ სად? როდემდე უნდა იყო მამაშენისათვის
ასე უჩინო? სადა ხარ,შვილო! ახლავ ალბათ თეთრი,ჩავ-
შვური სახე გაქვს,ახლაც ალბათ იცინი ან მთაზე მიიწ-
ევ მაღლა,გზადაგზა ლამაზ ყვავილებს კრეფ და ეამბორე

ზი. შენ ალბათ განიერი მკერდი და გრძელი ნიკაპი გა-
ქვს,შენ ალბათ სიყვარულზე მღერი... მე მახსოვს,როგ-
ორ ჩაგიძინია ჩემს მკლავებში და რამდენჯერ გითქვამს
ძილში: „მამა,შენც მიყვარხარ და დედიკოც". ჩემო ბიკი
ლო,ახლაც გიყვარვარ? ჩემო შვილო...

გიპოვნო,ოღონდ გიპოვნო და აღარასოდეს დაგკარგავ,
რადგან ვიცი,აღარ იქნება ომი,და ჩვენ ერთმანეთისა
ვიქნებით ისევ. ხშირად დამისახავს ნაცნობთა ღიმილსა
რევი მზერა: მოხუცდით უკვე. ეს მხოლოდ ახლა მჯერა,
როცა აღარ ძალმიძს,ძველებურად ვეძიო დაკარგული პირ-
მშოს ახავალ-დახავალი. მიხრწნილს მხოლოდ წერის თავ-
ილა შემრჩენია და შეც გწერ,სულ გწერ,მაგრამ ვისთვის
ვწერ? მოაღწევს კია ჩემი ხმა შენამდე? ჩემო შვილო...

როგორ მწყდება გული,რომ სიზმარშიც ვერ გნახე ამ-
დენხანს! ჩემო შვილო,მისმინე,მისმინე,თორემ თავს ა-
ღარ ვიცოცხლებ. მიპოვნე მამაშენი,შემიმშრალე თვალი
და ჩამჩურჩულე: „მამა,მე უკვე შენთან ვარ". ბავშვობი-
სას ჩემი ყურის აწევა გიყვარდა ხოლმე. მოდი,მიპოვე
და ახლაც ამიწიე ყური. მერე მერე მაგ პაწარა ხელებ-
ით შენსკენ მოაბრუნე ჩემი სახე (ახლაც მგონია, რომ
პაწარა ხელები გაქვს!) და მითხარი ჩუმად: „მამა,შე-
ნც მიყვარხარ და დედიკოც"...

გიპოვი,გიპოვი,შვილო,და აღარასოდეს დაგკარგავ,
რადგან აღარ იქნება ომი. ჰო,მე ეს მჯერა,მჯერა და ა
მას ვერავინ გადამაფიქრებინებს,მე შენ გიპოვი უთუოდ,
გიპოვი და მე ვიცოცხლებ გაცილებით მეტს... ღამითაც
არ დავიძინებ,რომ უფრო დიდ ხანს გიყურო,უფრო ხშირად
ჩაგცქეროდე თვალებში და უფრო ხშირად მესმოდეს შენი
სიცილი. ჰო,მართლა,ზღურბლზე რომ გადმოაბიჯებ,მარცხ-
ნივ წამოდი: ოთახის ბოლოში,ფანჯარასთანაა ჩემი საწო

ლი. შენ ფანჯარასთან გიყვარდა ძილი და ამიტომ ავირ-
ჩიე ეს ადგილი. შვილო,ჩემო შვილო...

ვიცი,ამაღამ უთუოდ გნახავ სიზმარში,მაგრამ მე ახ
ლა მინდა გნახო,ახლა,და ისე მჯერა,რომ სწორედ ახლა
შემოაღებ კარს! მართლა,არ დაგავიწყდეს: ოთახში რომ
შემოხვალ,სინათლე აანთე,თორემ საცაა დაბინდდება.რად
იგვიანებ? მოდი,შვილო,მოდი და მე აღარ მოვკვდები.ა-
რასოდეს. შენ, ალბათ,კარგი სიცილი იცი,შენ,ალბათ,სი-
ცოცხლეს მომიტან. მოდი...

შენ,ცხადია,არც კი იცი,რომ მე ვიზა მივიღე „იქი-
დან". შენი სახელიც ჩავაწერინე ვიზაში,რადგან უშენ-
ოდ იქ წასვლა არ მინდა. შენთან ერთად მინდა სიცოცხ-
ლეც და სიკვდილიც. ამქვეყნად ბევრი აღარა დამრჩენია
-რა,მაგრამ,იქაურ მზეს და მიწას რომ ვნახავ,ესეც სა
კმარისია ჩემთვის. ჩემი ყველა წინაპარი აქ იბადებო-
და და აქ კვდებოდა. მეც იქ მინდა სიკვდილი,საიდანაც
ყველაზე უწინდელი წინაპარი მოვიდა აქ და იმედი ჰქო-
ნდა,რომ მისი შთამომავლობა დაუბრუნდებოდა მამაპაპე-
ულ მიწას. შვილო,მე და შენ ვართ ის შთამომავალი!

კიდევ შეგახსენებ: ზღურბლზე რომ გადმოაბიჯებ,მარ
ცხნივ წამოდი: ოთახის ბოლოში,ფანჯარასთანაა ჩემი სა
წოლი. შენ ფანჯარასთან გიყვარდა ძილი და ამიტომ ავირ
ჩიე ეს ადგილი. შვილო,ჩემო შვილო,გელი...

1969 წელი

# ღამის სიმღერა

დიდი ხანია მიიძინა კიბუცმა.

დიდი ხანია მიყუჩდა ის პატარა ნაკადული, კიბუცს რომ ჩამოუდის. თითქოს ფეხის წვერებზე შემდგარაო, ისე მიიპარება ქვევით, რომ მყუდროება არ დაურღვიოს მიძინებულ სახლებს.

ეფრაიმ ბარ ხელას სახლს რომ ჩაუარა, ნაკადულმა მთლად განაბა სული, შეჩერდა და სიბნელეს მიუგდო ყური.

ეზოდან გიტარის ხმა ისმოდა. ტიროდა გიტარა. მისი ხმა სახეს უკოცნიდა აკვანში ჩაკრულ ბავშვს, მშვიდად რომ ეძინა აივანზე. ეს ხმა პირველი მიეგება მარაგზაზე მიმავალ დაგვიანებულ მგზავრს, მერე ნაკადულის წინ დაიჩოქა და ალერსით დაუკოცნა კალთები...

მელოდე - კვნესოდა გიტარა. მელოდე - კვნესოდა ტანმორჩილი ხე, რომლის ძირას გიტარით ხელში იჯდა ბებერი ეფრაიმი და მოთქვამდა ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულ შვილზე... მელოდე - პასუხობდნენ მწვანე მთები, რომლის იქით დიდი ხანია წავიდა იშაი ბარ ხელა. წავიდა და აღარ დაბრუნებულა...

ეზოდან ცოტა მოშორებით ცხრამეტი წლის გოგონა იდგა. უსმენდა ეფრაიმს და პატარა ტუჩებით თვითონაც იმეორებდა სიმღერას: მელოდე, დედავ... მელოდე, მიწავ

მელოდეთ, ჩიტისთვალა ყვავილებო... უცებ შემოტრიალდა, ხეს შემოხვია მკლავები და ცრემლმომდგარმა წამოიძახა: მეც, მეც გელი, იშაი!

სწორედ ასე შეემთხვა იშაის, როცა მან ეფრაიმთან ერთად იმ მწვანე მთამდე მიაცილა. გოგონას ცალი ხელით იშაის თოფი მიჰქონდა, ცალით კი მისი ღონიერი მკლავი ჩაებღუჯა მკერდში. გაოცებით შეჰყურებდა მძიმე თოფს და უკვირდა: განა ამით იშაიმ ადამიანი უნდა მოკლას? იშაიც რომ მოკლან, მერე?

- და გოგონას ისე შეეშინდა, რომ ვაჟკაცს ღონივრად მოხვია მკლავი და შეჩერდა. იშაიმ თვალებში ჩახედა გოგონას და მოეხვია: ნუ გეშინია, გოგონი. მე აუცილებლად დავბრუნდები...

დავბრუნდები - არ ცხრებოდა გიტარა. დავბრუნდები - პასუხობდნენ შორს, მთაზე შეფენილი მწვანე ხეები...

ვერ გაიგო გოგონამ, როგორ მიუახლოვდა ეფრაიმის ეზოს. იგი შედგა და თვალი ვეღარ მოაშორა ბებერი ეფრაიმის ლანდს, რომელიც ხის ძირში იჯდა და გიტარა მკერდში ჩაეკრა. მოხუცი ტიროდა...

თითქოს გიტარის ხმას დაედევნაო, მთვარეც გამოიჭყიტა ღრუბლებიდან და გადმოხედა კიბეს.

მთვარის სინათლეზე ბებერმა თვალი მოჰკრა გოგონას და გაუკვირდა: გოგონამ უცებ გადაწყვიტა, რომ გაქცეულიყო, მაგრამ ეფრაიმის მუდარა წამოეწია:

- მოდი, შვილო!

ცასმოჩრდილი ხის ქვეშ ორი ლანდი ეხუტებოდა ერთმანეთს. ორივენი გაჰყურებდნენ დიდი მთებისკენ მიმავალ გზას და მღეროდნენ. დაგვიანებულმა მგზავრმა მოაღწია ეფრაიმ ბარხელას ეზოს და ჭიშკართან შეჩერდა. დიდხანს იდგა მგზავრი ჭიშკართან. შეჰყურებდა ხის ქვეშ მომსხდარ ორ ლანდს და გახევებულს ვერა მოეფიქრებინა რა. იგი იშაის ფრონტელი მეგობარი იყო. ალბათ, ბებერს რაღაც ამბავი მოუტანა. უჭირდა ხმის

ამოღება,მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა,რომ მეგობრის მა-მისათვის ეთქვა სათქმელი,რა მძიმე მოსასმენიც არ უნდა ყოფილიყო. ის იყო,დახამახებლად პირი დააღო მ-გზავრმა, რომ:

-დავბრუნდები!- ენაზე მომდგარი სიტყვა პირზე მე აყინა გიტარამ.

- დავბრუნდები! - ჩურჩულებდნენ გოგონას პატარა ტუჩები და მოხუცის დაფერფლილი სახე. დავბრუნდები!- ბოხი ხმით შესძახეს მთებმა და ჩამუქებულმა ჯაღებმა. მგზავრი სწრაფად შეცრიალდა უკან.

მთვარემ გადმოხედა აჯანყებულ მთებს და სახე გა-ებადრა. ღიმილად გადმოიღვარა მძინარე კიბუცზე,რომე ლიც სიზმრებში ჩანთქმულიყო.

ტიროდა გიტარა.

ტიროდა და იცინოდა.

ეს ხმა სახეს უკოცნიდა აკვანში ჩაკრულ ბავშვს, მშვიდად რომ ეძინა აივანზე. ეს ხმა მისწვდა კიბუც-ის შარაზე ფეხაჩქარებით მიმავალ დაგვიანებულ მგზა-ვრს,მერე ნაკადულის წინ დაიჩოქა და აღერსით დაუკოც ნა კალთები...

ნაკადულმა უკანასკნელად შეხედა ეფრაიმ ბარ სე-ლას და გოგონას მთვარით განათებულ სახეებს და ცრე-მლმორეული ჩუმად,ფეხაკრეფით დაეშვა ქვევით...

დაგვიანებულმა მგზავრმა არ დაურღვია მოჩვენები-თი ბედნიერება ფრონტელი მეგობრის მამას და ცოლს.ი-სიც ნაკადულთან ერთად ცრემლმორეული ფეხაკრეფით და-ეშვა ქვევით.

1973 წელი

# ხვალინდელი გოგოები

შენ,ჩემო დედავ,მხოლოდ შენ გქონდა თვალებზე ცრემლი,მხოლოდ შენ ტიროდი ხაიფისაკენ მიმავალი მატარებლის ბაქანზე. გეამაყებოდა,ასეთი გამბედავი და ყოჩაღი ქალიშვილი რომ გყავდა,მაგრამ ისეთი თვალებით მიყურებდი,თითქოს მემდუროდი - რატომ მტოვებ მარტომარტოს,განა რა გიჭირს აქ,რომ ასე შორს,უცნობ მხარესა და უცნობ ადამიანებში მიდიხარო. მე კარგად მესმოდა შენი,მაგრამ ყველაფერი გათავებული იყო,საცაა მატარებელი უნდა დაძრულიყო. გადმოვედი ვაგონიდან და მაგრად,მაგრად ჩაგეკარ გულში,თქმით კი ვერაფერი გითხარი. მეც მინდოდა მეტირა,მაგრამ ვერ შევძელი. მე კიდევ გაკოცე ლოყაზე,თვალებში,შუბლზე. მერე სახე დაგიჭირე და...

- შენც მაკოცე,დედი... მაკოცე.

- დარჩი,შვილო. მალე ბინას მივიღებთ,მერე ინსტიტუტშიც მოეწყობი. დარჩი...

ისე მემუდარებოდნენ შენი თვალები,რომ იმ წუთში კინაღამ მართლა გადავწყვიტე დარჩენა. მაგრამ უცებ ორთქლმავლის წივილი გაისმა და ჩოჩქოლმა იმატა ბაქანზე. მესმოდა ამხანაგების ხმა,რომლებიც მე თვითონ ავიყოლიე გალილში წასასვლელად. ორთქლმავალმა კიდევ იწივლა და მომეჩვენა,რომ მთელი ქვეყანა მეძახდა სადღაც. მე კიდევ მოგეხვიე.

- შენც მაკოცე,დედი...

- დარჩი, შვილო!

დიდხანს,დიდხანს ვიდექი ვაგონის კიბეზე და ვხედ-

ავდი,როგორ გშორდებოდი ნელ-ნელა. ხადგური უკვე დიდი ხანია აღარ ჩანდა,მატარებელი უკვე გაშლილ მინდორზე მიქროდა,მაგრამ მე თითქოს კიდევ გხედავდი ბაქანზე, თავშლის ყურით რომ იმშრალებდი ცრემლებს და რაღაცას მეძახდი. ამხანაგებმა ძალით შემიყვანეს ვაგონში. მე მაინც შენი მუდარა მესმოდა,შენს ცრემლებს ვხედავდი მხოლოდ,იმ ცრემლებს,კოცნით რომ გიშრობდი და მაინც ლაპალუპით მოგდიოდა. მაპატიე,დედა...

ბაქანზე კიდევ ვიღაცას ვეძებდი შენს გარდა,მაგ - რამ არ ჩანდა. ვიცოდი,რომ არ მოვიდოდა ჩემს გახაცილებლად,მაგრამ მაინც ვეძებდი. შენ ძალიან გიყვარდა იგი და მთხოვდი,რომ ხშირად მომეყვანა ხოლმე ჩვენთან ხახლში. იმას მაინცდამაინც არ ეპიცნავებოდა ჩვენი ხახლი და თხოვნას ვერ გისრულებდი. აბა,რა უნდა მოხწონებოდა ჩვენთან თავიანთი დარბაზებისა და ფართო დერეფნების შემდეგ? არც იმის გახხენება უყვარდა,ჩვენი მამები რომ ახალგაზრდობისას კარგი მეგობრები ყოფილან და ფრონტზეც ერთად უომიათ. წარსულზე ლაპარაკი არ მიყვარსო,მეტყოდა ხოლმე. როცა ამ ორი თვის წინ გაღიღი ვუხხენე,თოფნაკრავივით წამოხტა: შენ რა,წახვლას ხომ არ აპირებო? დავამშვიდე,მე მხოლოდ იქ წავალ,სადაც შენ იქნები-მეთქი. მას მაინც ხმა აღარ ამოუღია,მხოლოდ ის თქვა - ავიღებ თუ არა სიმწიფის ატეს ტატს,კონსერვატორიაში უნდა ჩავაბაროო.

- კი,მაგრამ შენ ხომ არ მღერი? ვიოლინოხაც, მგონი,დიდი ხანია დაანებე თავი.

- თუ გგონია,რომ ვერ მოვხვდები? იქნებ დაგავიწყდა,რომ მამაჩემი ცნობილი მომღერალია. მუხიკათმცოდნეობის ფაკულტეტზე მაინც ჩამრიცხავენ.

მერე მომეხვია,ხახეში ჩამხედა და მკითხა:

– ხიმა,შენ მართლა აპირებ გალიაში წასვლას?

– არ ვიცი. მგონი... პო...

მან ხელი მომაცილა და იმ წუთში ვიგრძენი,რომ უცხონი ვიყავით ერთმანეთისათვის. ჩვეულებრივ მხარზე ხელგადახვეული აღარ მომაცილებდა შინ... რატომღაც ვიგრძენი,რომ ეს გაცილება უკანასკნელი იყო. ხმას არ ვიღებდით. მხოლოდ მაშინ,როცა ჩვენი პატარა ეზოს ჭიშკარი შევაღეთ...

– პმ.... პატრიოტიზმი,ახალგაზრდობა,ხიონიზმი...

ავენთე. ვიგრძენი,რომ შეილახა ჩემი გრძნობები და თავმოყვარეობა.

– როგორ ბედავ! – შევყვირე და,რაც ძალი და ღონე მქონდა,ხელი მოვუქნიე.

ისე შემრცხვა ჩემი საქციელისა,თითქოს ჩემთვის გაერტყათ სილა. შინ შემოვვარდი აღელვებული და კარე ბი ჩავკეტე,თითქოს უკან მომდევდა ვინმე. შენ მაშინ მშვიდად გეძინა,დედა. მოვედი და შენი საწოლის წინ მუხლებზე დავემხე. მაშინ ისე ლამაზი და საყვარელი იყავი,რომ მოცილება აღარ მინდოდა. ბავშვივით მომინდა იმ ღამეს შენთან დაძინება! კაბა გავიძრე და გვერდზე მოგიწექი. შენმა სითბომ და მშვიდმა სუნთქვამ მეც დამამშვიდა,ძალა დამიბრუნა. რომ იცოდე,რა ლამაზი და რა საყვარელი იყავი იმ ღამეს,დედა!

შენ სულაც არ გეგონა,თუ ციალა ბინიაშვილიც და ხონია მიხელაშვილიც დათანხმდებოდნენ ჩემს წინადადებაზე. ხონიას რომ ვუთხარი,თვალები გაუბრწყინდა და კისერზე მომეხვია:

– ყოჩაღ,ხიმა! რა კარგი გოგო ხარ,მეც სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა შენთვის და ძალიან,ძალიან მეშინოდა რომ უარს მეტყოდი. მაშ,მივდივართ! – ბზრიალასავით

დაცრიალდა და ახლა დედისკენ გაიქცა,რომ ახალი ამბავი ეხარებინა. არც ხონიას დედა აღფრთოვანებულა შვილის გადაწყვეტილებით,მაგრამ,როცა გაიგო,რომ მეც მასთან ვიქნებოდი,გული მიეცა. მარცო ბებია ბუზღუნებდა: სად გაგონილა,რომ ქალიშვილებს ასე ისცუმრებდნენ გადაკარგულში. ქალმა ოჯახი უნდა შექმნას, აქეთ-იქით კი არ უნდა იწოწიალოსო.

- არა უშავს,ბები,საქმროებს იქაც ვიშოვით! - მხიარულად შესძახა ხონიამ და თადარიგს შეუდგა. მიხაროდა,რომ ასეთი მხნე და ხელით ძლიერი მეგობარი მყავდა. ისიც ვიცოდი,რომ მისგან მე თვითონ ბევრი რამ უნდა მესწავლა. გახსოვს,დედა? - შენ მას თავქარიანს და ფეთიანს ეძახდი. მაგრამ,საქმე საქმეზე, რომ მიდგა,ის ყველაზე მამაცი აღმოჩნდა. იქიდან პირდაპირ რუთთან წავედით. მისი დაყოლიება კი საეჭვო იყო,რადგან ჯანსუსცი გოგოა,თანაც დედამისი ქალაქის რომელიღაც კუფათ-ხოლიმში ადგილის შოვნას პირდებოდა.

- კი,მაგრამ ექთნები ხომ გაღიღმიც სჭირდებათ,- მხარს გვიჭერდა რუთის მამა.

- მაშ,შენ გინდა,რომ ჩემი ერთა იქ გაემგზავროს? აბა შეხედე,რას ჰგავს. ხელი რომ შეუბერო,წაიქცევა.

- არა,დედი. აი,ნახავ,რომ იქიდან ჯანმრთელი ჩამოვალ. ვინ მოუკლავს შრომას? რაღა მე დამრევს ხელს?

- შენც მიდიხარ?-- აქვითინდა რუთის დედა,მაგრამ ისღა დარჩენოდა,რომ შვილისათვის გზა დაელოცა და,სანამ გამგზავრების დღე დადგებოდა,ყველაფერი მოემარაგებინა მისთვის და თან ერთი ვაგონი დარიგე-

ზაც გამოეცხანეზინა.

მხიარულად მივდიოდით იმ ღამეს რუთის ზინიდან. ვიცინოდით,ვმღეროდით. ერთმა მოხუცმა ეჭვის თვალით შემოგვხედა,გადაკრულში ვეგონეთ. იმდენი ვიცინეთ,იმდენი... ხონიამ ხელეზი გაშალა და:

– ოჰ,ნეცავ ქუჩა არ იყოს,ისე მინდა ცეკვა,როგორც ხიცოცხლე!

სწორედ ამ დროს მოსახვევიდან ხელიხელგაყრილი წყვილი გამოვიდა. უცებ ვაჟი შედგა და ჩვენსკენ მოიხედა,მერე გზა გადაჭრეს და სხვა მხარეს წავიდნენ. გოგოეზმა გაკვირვეზით შემომხედეს. მე ვიცანი, ვინც იყო იგი. გოგოეზი კვლავ მხიარულოზდნენ,ჩემი გაცინეზაც უნდოდათ,მაგრამ მე ისე ჩავქრი იმ საღამოს, რომ სიცილი კი არა,ცირილიც მიძნელდეზოდა...

როცა წამოსაღეზად ნივთეზს ვალაგეზდი,პირველად მისი გიცარა ჩამოვხსენი კედლიდან,დაზადეზის დღეზე რომ მისახსოვრა. ჩემოდანში მისი ნაჩუქარი ზურაცვინოც ჩავდე – ეილათში ექსკურსიაზე ვიყავით ერთად და იქ მიყიდა. ვიცი, ის ახლა იმ გოგონას ეკუთვნის, იმ ღამეს რომ შემთხვევით შევეფეთეთ. ვიცი, რომ მე აღარ ვარსეზოზ მისთვის,მაგრამ... რა ვქნა,რა ვქნა, რომ მიყვარს!

უცებ ლოყაზე რაღაცის შეხეზა ვიგრძენი. ეს თურმე რუთის ხელი იყო,ცრემლს მწმენდდა. თავი ამიწია და გაკვირვეზით ჩამეკითხა:

– ცირი?

ახეთი რამ მხოლოდ წიგნეზიდან ვიცოდი: არ ცირი, მაგრამ ცრემლი მაინც მოდის. რუთი მიხვდა ყველაფერს და არაფერი მითხრა. მე მიყვარს რუთი. მას შენსავით ჭკვიანური თვალეზი და მაღალი შუზლი აქვს,დედა. იგი

შენხავით მგრძნობიარეა და ხათნო.

ნეთანიას დიდი ხანია გავცდით. ვაგონის შესახვ-ლელში ჩამოცხა. გიცარაც დაიდაღა. არ დაიღაღა მხო-ლოდ ხაიფიხკენ მიმავალი მაცარებელი. იგი ხულ მიქ-რის და მიქრის. ხონიას კარი გაღია და ხულ ამ მინ დვრებს ყურებს,ახალი ცხოვრების პირველ ფურცლებს რომ შლის. წელან ჩემოდანი გახსნა და ცკბილეული შ-ემოგვთავაზა ხიცილით: ბებომ თქვა,ახალ ცხოვრებაში როცა დგამთ ფეხს,წინ ცკბილეული უნდა წაიმძღვაროთო. ჩვენ თითქმის არ ვლაპარაკობთ. ვუყურებთ ერთმანეთს, ვუყურებთ ზღვისპირა დაბლობის გამლილ ხივრცეებს და იშვიათად თუ ამოვიღებთ ხმას:

- რაზე ფიქრობ,ხიმა?

- ყველაფერზე... ვიმრომებთ,გავთხოვდებით,ოჯახს ავაგებთ...

- მე მიყვარს,როცა ფიქრობს ადამიანი.

- მეც...

მე ვიცი,რომ შენც ფიქრობ,დედა. შენ ალბათ ძალი-ან იდარდე იმ დღეს,ბაქანზე რომ გთხოვე,მაკოცე-მეთ-ქი,და ვერ შეიხრულე უკანასკნელი თხოვნა. შენ მაშ-ინ ჩემი დარჩენა გაინცერესებდა მხოლოდ. ახლა კი ა-ლბათ ყველაფერს კოცნი ოთახში,რისთვისაც ოდესმე ხე-ლი მიხლია,მაგრამ ვერ გიპაცებია შენი თავისთვის, რომ მაშინ არ მაკოცე. მე მიპაცებია,ოღონდ შენც,შ-ენც მაპაციე,რომ ახე მიგაცოვე, ჩემო ძვირფასო, საყ-ვარელო დედა...

ლაბილაძიაზბილი

- ჰეი, შენ, ჩემო მეგობარო...
- თენდება, დაჰკრა საათმა ექვსი
- ჩვენ გავიარეთ სოფელი შრომა
- ინტიმური ბარათებიდან
- უკანასკნელი თხოვნა
- ნუ სტირი მწარედ
- მთებისკენ
- პორტრეტი
- რომანსი
- ძველი არაკი
- ნოემბრის ნატვრა
- რატომაა, რომ ეგ ვარდი
- რა იქნა ჩემი სიმღერის ხანა
- მომღერალი დების ხსოვნისადმი
- ნელდება დღე და გული ფრიალებს

## დავით აჯიაშვილი

# ჰეი, შენ, ჩემო მეგობარო...

ჰეი,მეგობარო,იგი განა ამ თლილ ბამბუკებს
შემოდგომაზე გულს რა უკლავს და რა ამუქებს?
ან ეგ თუ უწყი და ოდესმე თუ შეესწარი,
რას უხმობს ქარი - ეგ ორპირი და გარეწარი.
იქნებ გსმენია ნაღვლიანი სიმღერა სადმე,
როცა ცისფერი მოგონებით დღეები დათმე;
და ეგ სიმღერა ეფერება ამ თლილ ბამბუკებს,-
შემოღამება გულს რომ უკლავს და რომ ამუქებს.
შეხედე,მოდის მშვენიერი ქალი ნაღველით,
უსასტიკესი ამინდების თვალით მნახველი.
მას ახსოვს ცეცხლი მუხანათი,შიშის ორანი
და საშინელი დაღამება შავი ყორანის.

ის მიდის ლოდთან ერთადერთი როგორც ფირალი,
და დალონებით იცრემლება ჩუმად მტირალი.
ჰეი,მეგობარო,ახლა იცი ამ თლილ ბამბუკებს
შემოდგომაზე გულს რა უკლავს და რა ამუქებს?
ვინ არის ნეტავ,რომ დაფლულა ამ ლოდის ქვეშე
და ქალი იგი რომ მისტირის სახოს გარეშე:
„ის იყო ჩემი სიყვარული,ჩემი ნათელი,
ჩემი ზღაპრული მომავალის წმინდა კანდელი,
მახსოვს იმ დღეთა ბედნიერი წუთი ყოველი,
სიყვარული და სათნოება ციდან მთოველი.
მე მახსოვს ფიცი იმედების,ვით მზე და ეს ცა...
მაგრამ,ვაიმე,იგი ბრძოლის ველზე დაეცა."

და იმ წუთიდან მე დამყვება წყევლა და შური,-
აცირდა ქალი და სადღავთან ჩახარა მუხლი.
ახლა ხომ მიხვდი,მეგობარო,ამ თლილ ბამბუკებს
შემოდგომაზე გულს რა უკლავს და რა ამუქებს?
ან იქ გახედე,სადაც ველად ჰყვავის სოსანი,
როგორის ჭმუნვით ჩაჩოქილა იქ შაოსანი.
აქ უშავესი ფერებია ცაზე ნალები
და ისმის მოთქმა შემზარავი,გულისწამლები:
"რაც შენ წასულხარ,დაგვიძვირდა შნო და ლაზათი,
აღარ დაჰნათის ჩვენს სახეებს სილამაზეთი
ის სვე ნათლისა,რაც შენ იყავ ბალღობის ღლიდან,
შენ ხომ ყვავილთა სიყვარული აროდეს გლიდა,

შეხედე,შვილო,შენს სადღავზე სარობს სოსანი -
და შენს მაგივრად მას ვეხვევი მე შაოსანი.
თუ გესმის,ჩემო,რაცომ ცირის ზალასი მხმარი -
ქვითინი მამის გულსაკლავი და უჩუმარი.
და ახე გადის ეგ დღეები ჩვენთვის წყეული,
ჩვენი ცხოვრების მუალამე სისხლდათხეული.
დღისა და ღამის მწუხარებით ცრემლდანამული,
გიფიცავ,შვილო,შევინახო შენი მამული."
ციროდა ღედა ძაძითა და მხცით მგლოვიარე
და სადღავს ჭმუნვით დასცქეროდა მკრთალი მთოვარე.
ახლა მიმიხვდი,მეგობარო,ამ თლილ ბამბუკებს
მუალამისას გულს რა უკლავს და რა ამუქებს?

აი,ეგ არის ჩვენი ხალხის წყეული ღამე,
რომელმაც ბევრი გაამავა ღღე მოსისხამე,
რომელმაც დარგო ყვავილები ეჭვის,სიავის
და გლოვით მორთო სიკისკისე ცელქი ნიავის,

ის დალის წყევლით და ეცემა შუკებს და შარებს
სიკვდილის ბეჭდით ნიშნავს ნათელს
და დაჰხარხარებს.
სწორედ ეგ არის,მეგობარო,ამ თლილ ბამბუკებს
სასაფლაოზე გულს რომ უკლავს და რომ ამუქებს.
მაგრამ მისმინე,მეგობარო,ნუთუ ყორანი, -
რომელსაც ასე დაუჰყრია ბილწთა ქორალი,
იქნება მუდამ ღამეების მახარობელი
და უსაშინლეს ზმანებათა ჩვენთვის მხმობელი;

და საფლავებზე მდუმარებით მძინარ ბამბუკებს
ნუთუ იმედის გაელვება არ შეაშუქებს?
- ო,არა,ჩემო მეგობარო,ჩემო იმედო,
მე შენთვის შხამის ფიალები ვით გავიმეტო!
ჩვენ გვჯერა სითბო,უკვდავება,არა ცრემლები,
აყვავილება უთეთრესი ცაზე ტყემლების,
და მომავალი სიხარული - აი,მიზანი,
სიმღერა ჩვენი - სიმღერაა სინათლისანი.
ჰეი,შენ ჩემო მეგობარო,გწამდეს,გჯეროდეს,-
იმ ბნელ ღამეებს საუკუნოდ და არასოდეს
არ დაივიწყებს თვალზე ცრემლით გადანამული
უუძველესი და უკვდავი ჩვენი მამული!

# ნუ სტირი მწარედ

(მოსე თოიძის სურათზე:„მოხუცი ებრაელის პორტრეტი")

ნუ სტირი მწარედ,ნუ სტირი მწარედ,
რად მოიღრუბლე სახე ნატიფი,
კენწეროები გადახათიბი
წვიმის და თოვლის გიცდიან გარეთ.
თუ გეცხადება ძილში ვაგიფი
და გიმღერს,გიმღერს ხმათ მონარნარეთ,
რად სტირი მწარედ?

შენ გელოდება ხანატრელ არედ
თბილი შორეთის სასწაულები.
ხმები მოგესმის:„ოჰ,დაულევი
წამება წარსულს გადააბარეთ"!
კავკასიონით სჩანს აულები;
მაშ,გახსენ ბაგე მზედ მოხარხარედ,
ნუ სტირი მწარედ.

1969 წ.

# ჩვენ გავიარეთ
# სოფელი შრომა

ნაცნობი ველი უინტიმურესს
ჩრდილების რხევით თითქო ძოწია
როგორც ტკივილის ღრმა ემოცია,-
მწუხრის შარებმა პირი იბურეს.

და გაიმურეს თოვლის სუდარი,
ბილიკებს მითად ედებათ მოთქმა,
როგორც შხამიან ყვავილის მოდგმა
და ბოროტების ნავხაყუდელი

ჰოი,ყრუდ არი ღელით,ქვიშათი
გარემო,სადაც რწმენის ნიშატი
ჰქრება და ხეხილს აღარ ახილებს.

ნახირებს მოაქვთ საღამოს დროშა,
ჩვენ გავიარეთ სოფელი შრომა,
რომელიც უსმენს გადამახილებს.

იმერეთი, 1970 წ.

# თენდება, დაჰკრა საათმა ექვსი

მაისმა მკვეთრად შესცვალა ნათლის
ბუნება მზით და მაისურათი,
გუმბათი ბაღებს ლაყვარდებს ათლის -
რა მშვენიერი,წრფელი სურათი.

ხაიფა! - ჩემი ლურჯი ტოროლა
მისცურავს მაღლა,როგორც ბადრიან
სხივთა სიზმარი თითო-ოროლა
და სიხარული დილაადრიან.

ბურუსში მოსჩანს ტალღების ძელი
პორტიდან ექვსი გემი გავიდა,
რა სიამაყე ბობოქრობს ძველი
ამ გულში,როგორც იყო თავიდან.

ხაიფა! - დაჰკრა საათმა ექვსი
რომ დრომ იმძლავროს და ინაპიროს,
მინდება კიდევ დავწერო ლექსი
და გაშმაგებით ვეძებ პაპიროსს.

მე ვხედავ ცხადად: ცისკრის შარაზე
მიმოდის ჩემი ამაყი ჯიში;
ო,შენ,წარსულო,გულში ჩარაზე
მწარე ვაების ხსოვნა საშიში.

ხაიფა! - კრთება თბილი გუმანი -
კრიალი ფერთა,ჰანგი იოგებ -
ნაზი,კეთილი. ვხდები შუმანი
და აღმაფრენახ ველარ ვიოკებ!

# მთებისკენ

ვუახლოვდები ბილიკებს
თქვენი სოფლის და წყაროთა,
ნიავი კვლავ უქილიკებს
მინდორთა; მომიხაროდა.

ბულმა ქალაქი დაღალა
და თივასავით ათელა,
მოვდივარ, – სად ხარ, მაყვალა,
შემომეგებე, ნათელა.

ოიდა, როგორ მწადია
თქვენი თვალების ნუშეთი,
რამდენი წელიწადია
აღარ მინახავს დუშეთი.

რამდენი მელის საგანი,
რამდენნაირი ზარხოში,
ლურჯი ცა – იაცაგანი
და ნისლი ზარისახოში.

მოვდივარ, რცოთა ლიწინის
ხმები ჰქრის, როგორც კარეცა,
აქ ნაკადული იცინის
სამოთხეების მხარედა.

გული ვედრებამ ათელა –
„მთაჩი როდისღა მახვალა,"
მოვდივარ, ჩემო ნათელა!
მოვდივარ, ჩემო მაყვალა!

# უკანასკნელი თხოვნა

როდესაც ტყდება ვაზე ფოლადი,
შენ მოწყენილი ნუ იმზირები;
მე უცხო ხულით როდი ვბოლავდი,
ვით უსახური,გულქვა გზირები,
წამყვება მზე და მარად ხრბოლადი
ელექსირები.

როს ჩამიქრება ნათლის ციაგი
და გულს გახვრიტავს,როგორც ხიათა,-
მაშინ მაღირსე ბოლო თრიაქი -
მაგ ბავშვურ ხმას რომ ეხასიათა,
როგორც ჩივილი და ფორიაქი
ეკლესიათა.

და როს ჩაქრება ცისფრის მარმაში,
ზღვას ჩაადნება დღეთა ხიძვირე,
და ყვავილების უცხო თამაში
ჩაივლის,როგორც ხამოთხის ძირე,-
მაშინ მოდი და ცივ აკლდამაში
გამომიტირე.

1979 წ.

# პორტრეტი

ქალაქს ეცემა ღამე ფერდებით,
მოიპარება მზერა ქურდული,
დაადეს სახლებს მძიმე ურდული
და თქვენ უზომო დარდით ზერდებით
რაღაცნაირად გულდათუთქული.

თვალები ფართე - სავსეა ნაღვლით
და სიამაყე იმ შემართებად,
რომლის წკივილით გადიფარდება
ზმანება,რასაც ღვინოში დაღლით...
ო,მიპასუხეთ. რა გემართებათ.

# ინტიმური ბარათებიდან

გული რას ახალისებს,-
მწუხარებით ნაღები,
ან შეფოთლილ ხალიჩებს-
მწვანე ყიასნალები.

გახსოვს მთაში რუები,
გარემემო ჯახველი,
კოცნა გამაზრუები,
როცა შარას ჩახველი.

თვალებს დარდი ენთება
საუკუნო გოდებად...
ნუთუ არ გახსენდება,
ნუთუ არ გაგონდება?

აქ ქარია რიოში
და ნისლების ზეწარი-
გარინდების პლიაჟი
ხევდით დანალეწარი.

## რატომაა, რომ ეგ ვარდი

რატომაა,რომ ეგ ვარდი-
ნაციები და ნამარტი
დაწეწილა როგორც კვართი,
ქრისტეს კვართი და ნავარდი
შეუწყვიტავს,ვაგლახ,მარდ:
აღარაა იგი ვარდი.
რა აქვს დარდი?...

# რომანსი

მე ხომ ველად მოზიზინე
ყვავილები მოგირბინე,
ჩემო კარგო,
რომ წკრიალით მთად და ბარად
წრფელი ცრფობა მზედ და ქარად
შემოქარგო.

შენი ბალი მშვიდი ოდით,-
მივყვეთ როგორც მივდიოდით,
ჩემო ყველავ;
შეხე: ხირთა გუნდი მალი
ხივრცეს კვეთავს,როგორც ხმალი,
რაცომ ლელავ?

უშენობამ გული მოხრა,
ბევრი მქონდა შორით ოხვრა,
ხიხხლი ვღვარე...
დღეს კი ვარდით დაგიბრუნდი,
მითხარ,ხომ არ დაძაბუნდი, -
შემიყვარე.

იერუსალიმი, 1973 წ.

# რა იქნა ჩემი სიმღერის ხანა

„მიხარის - გიმზერ,
ვწუხვარ და გიმზერ"

გრ. ორბელიანი

სად იყო ჩემი სიმღერის ხანა
და გაგიჟება არმიწიერი,
ოდეს დამარტყეს ამ გულში დანა
და სიყვარულიც წარიღეს თანა,
როგორც ნათელი და მზე ციერი.

რა იქნა ჩემი თვალით ნახული
მშვენება, დღეო, რომ იმოსები,
ან მუბისტარზე მზე წამახული
დაუვიწყარი გამოზაფხულის
და მოფარფატე ანგელოსები.

ო, მიპასუხეთ, მთვარემ იალა,
რა იქნა ჩემი გული ნეტავი,
გული, ნალეკი მაშინ მთიანა,
ო, მიპასუხეთ რად დუმს დიანა
და ციხე-კოშკის ჩრდილის ზეთავი.

1973 წ.

# ნელდება დღე და გული ფრიალებს

ასეთი მყუდრო და საოცარი
მე არ მინახავს ჩვენი ქედები,
ირთვება წითელ-ფერად მცოცარი
სულში უშფოთველ დღის იმედები.

ნელდება დღე და გული ფრიალებს,
როგორც მსუბუქი ყანა შვრიათი;
კოცნის სიმღერა ღვინის ფიალებს -
რაღაც უბრალო და იშვიათი.

იერუსალიმი, 1973 წ.

# მომღერალი დების ხსოვნისადმი

ხმაურობს ექო შავი ფერებით,
დიდი ხანია ფხიზლობს ტიალი,
და მახსენდება მაგ სიმღერებით
თქვენი ლეგენდის გარს ხეტიალი.

მე ვიცი შური, მე ვიცი ტრფობა,
მწამს - უმაღლესი ტკბობით იქებით
და როცა შხამით დღე მოისპობა,-
მაშინ წამოხვალთ სხვა ბილიკებით

წვიმს,დაიცრიცა ზეცის თავანი,
ღრუბელს მწუხარე ჩოხა აცვია,
არ ისმის მღერა და ყრიამული,
მოწყენით გზაზე ერთი ნაძვია.

წვიმს იხე ძლიერ,იხე ძალუმად,
თითქო ლანდებით დაჭრილ შფოთიან
ლეგენდებს ვუსმენ და მეჩვენება,
რომ სახახლისკენ მტრები მოდიან.

1974 წ.

# ნოემბრის ნატვრა

ნოემბრის ნატვრა, მორეული ნოემბრის ნატვრა
კვლავ იმფერია,
ვით ქალის ნელი ამღერება,როს გრძნობით დათვრა
და იმპერია.

გახედე ფარვით დაუვიწყარ ქალაქის ბაღებს
და ხეივანებს,
სად წინასწარი სიხარული აგაზამბახებს
და დაგივანებს.

აქ გელანდება სიავეთა გასაფანტელი
დღის განშორება,
სად საოცარი ხმებით გხვდება სხვა ყრუანტელი
და გაყრყოლება.

როგორ უხდება ლაჟვარდებად ზეცას უვარდესს
მიმწუხრით ფატვრა;
აქ მარმარილოს ვარდისფერი ვით არ უყვარდეს-
ნოემბრის ნატვრა!

1974 წ.

# ძველი არაკი

ძველი არაკი -
აქ დადიოდა მთვრალი ნიკალა,
ჰა,აგარაკი,
მსუბუქ დარდებმა გადაიკარა.

ცა - ვით ემალი
მდინარე მტკვარზე ტივი ლასტური,
ბაღს - ერკემალი
და ღარიბ სუფრას ალადასტური.

უკრავს არღანი,
აქ ქეიფია იადონებით,
ნაარმაღალი
ბაღდადის ტაშით და ბატონებით.

მტვრიანი სუფრა, -
მას შენ ვერაფრით გადაურჩები,
კვლავ მოიქუფრა,
თივაში ჰყრია სევდის ფუნჯები.

თალხი სარდაფი,
ქუჩაში რბიან ეჟვნით ეტლები,
მთვარე - სადაფი...
მაგ ფარულ ნაღველს მარად ვეტლები.

1970 წ.

ყვავილით და ხუროთი
დღენიადაგ მსუროდი.

რა ხანია, ფაქიზი
ღიმი არ სჩანს ბაგისი.

არც ნერვის ზამბარათი
მოწერილი ბარათი.

და ცრემლების მდუღვრანი
კივის, როგორც უღრანი.

წყაროს თავზე სურათი -
არ სჩანს ძველი სურათი.

ჩრდილებს, - როგორც ნაძვები, -
კვნესით გადავაწვები.

სიხათუთით ასეთი
რატომ ოხრავს გაზეთი?

კვლავ იით და სუროთი
მოდი, როგორც მსუროდი.

1974 წ.

# ნიკა დავითაშვილი

● ცნობა თამარ მეფის
გადმოსვენების შესახებ
იერუსალიმში

რიმა დამითაშვილი

# ცნობა თამარ მეფის გადმოსვენების შესახებ იერუსალიმში

ვასილ ჩაჩანიძე,პროფესიით სამთო ინჟინერი,საბჭოთა დიპლომატიური მისიით 1945-50 წლებში მუშაობდა იტალიაში. როგორც პატრიოტი-ინტელიგენტი,დაინტერესებული თავისი ქვეყნის ისტორიით და კულტურით,განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ცნობებსა და მოვლენებს,დაკავშირებულს საქართველოს წარსულთან; ამყარებდა კონტაქტებს უცხოელებთან,რომელნიც ავლენდნენ მეცნიერულ ინტერესს ქართულ კულტურასთან.

ამ ისტორიული შრომის ნაყოფს წარმოადგენს წიგნი „პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში",რომელიც მიეკუთვნება მეცნიერულ-პოპულარულ ლიტერატურას. მასში გაშუქებულია ფრიად საინტერესო საკითხები:

1. გამოჩენილი ბელგიელი მეცნიერის,პროფესორ ერნესტ ჰონიგმანის არეოპაგიტული გამოკვლევები.
2. თამარ მეფის ნეშტის გადმოსვენება იერუსალიმში.
3. იტალიელი მეცნიერის,ვირჯილიო კარბის არქეოლოგიური ექსპედიცია იერუსალიმში,რომელმაც აღმოაჩინა იერუსალიმის ქართული „ლაზთა მონასტერი",დაარსებული პეტრე იბერისა და იოანე ლაზის მიერ.

ვასილ ჩაჩანიძის იტალიაში მოღვაწეობის დროს თეოლოგიის დოქტორი,ქართველოლოგი მიხეილ თარხნიშვილი,ვატიკანის საარქივო ფონდში წააწყდა მეცნიერული სამყა-

რისათვის ნაკლებად ცნობილ დოკუმენტს,რომელიც ეხება საქართველოს მეფის,თამარის,ნეშტის გადმოსვენებას საქართველოდან იერუსალიმში.

მასში მითითებულია,რომ საქართველოზე მონგოლთა თავდასხმის წინ ახალგაზრდა მეფემ - გიორგი ლაშამ,თამარის ვაჟმა,შეასრულა რა დედისადმი მიცემული აღთქმა, თამარის ნეშტი გადაიტანა და დაკრძალა იერუსალიმის მახლობლად არსებულ ერთ-ერთ ქართულ მონასტერში. თამარის ნეშტთან ერთად გამოუტანიათ სამეფო კარის ძვირფასეულობანი,რომელნიც გადაუნახავთ მონასტერში.

იტალიაში მოღვაწე ქართველთათვის ვერ გახდა ხელმისაწვდომი ვატიკანის არქივში შემონახული დოკუმენტების გაცნობა ორიგინალში. საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება დოკუმენტური მასალა,სადაც მოყვანილია სარწმუნო ცნობები ახსნა-განმარტებებით. მასში მოხსენებულია ერთ-ერთი ფრანგი ჯვაროსნის წერილი.სწორედ ამ წერილშია აღნიშნული თამარის ნეშტის გადმოსვენების ფაქტი.

აი,ნაწყვეტი ამ წერილიდან:

"... შეიტყეთ ახალი ისტორია,ისტორია,რომელიც იწვევს გაკვირვებას. ჩვენ გვაცნობეს,და მაცნეებმა,რომლებიც ნდობის ღირსნი არიან,დაგვისაბუთეს,რომ ვილაცა ქრისტიანები ივერიიდან,წოდებულები ქართველებად, ენერგიულად აღდგნენ ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ ისინი წარმოადგენენ მრავალრიცხოვან ცხენოსანსა და ქვეითს და უკვე,ღვთის წყალობით,შექმნეს 300 ციხე-სიმაგრე და 9 დიდი ქალაქი. ერთი ამ ქალაქთაგანი,მდებარე მდინარე ევფრატზე, იყო ყველაზე ცნობილი წარმართულ ქალაქებს შორის. მის მბრძანებელს,ბაბილონის სულთნის ვაჟს, მოკვეთეს თავი,მიუხედავად იმისა,რომ ის შე-

ევადა საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას დიდი გამოსას-
ყიდის შეთავაზებით. რას ვამატებ კიდევ? ყოველი მხრი
დან მოდიან ამ უმრავლესობის წინააღმდეგ,რათა,იმედით
მთაგონებულებმა,გაათავისუფლონ წმინდა მიწა. ამ ხალ-
ხის კეთილმოქმედი მეფე,რომელიც 16 წლისაა,წააგავს
ალექსანდრე მაკედონელს სიმამაცითა და გმირობით,თუმ-
ცა განსხვავდება მისგან სარწმუნოებით. ამ ახალგაზრ-
და ადამიანს მოაქვს ნეშტი თავისი დედისა,ერთობ ძლე-
ვამოსილი მეფისა,სახელად თამარისა,რომელმაც სიცოცხ-
ლეშივე გაუღვივა შვილს იერუსალიმში წასვლის სურვილი.
თამარი სთხოვდა ვაჟიშვილს,სიკვდილის შემდეგ გადაეს-
ვენებინა მისი ნეშტი საუფლო სასუფეველში.
ხვემს რა უარყეს პაპივს თავისი დედის სურვილს,მე-
ფეს განზრახული აქვს მისი დაკრძალვა წმინდა ქალაქში
ურწმუნოებთან შეთანხმებით,ან მათთან წინააღმდეგობით".
ფრანგი ჯვაროსნის ეს წერილი,რომელიც არაა დათარი
ღებული,უნდა მიეკუთვნებოდეს 1220 - 1222 წლებს,როგ-
ორც ამას აღნიშნავს მკვლევარი შ. ლომსაძე,რომელიც ე
ყრდნობა ქართველოლოგ მ. თამარაშვილის მიერ ვატიკან-
ის არქივში აღმოჩენილ მასალებს.
თამარ მეფის ნეშტის იერუსალიმში გადმოსვენების ს
აკითხთან დაკავშირებით დადებითი აზრი გამოთქვეს ცნო
ბილმა ქართველმა მეცნიერებმა: პროფ. კაკაბაძემ და
აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა.
აკად. შ. ამირანაშვილი თავის სტატიაში აღნიშნავს,
რომ ისტორიული ფაქტების თანახმად დადგენილია,რომ თა-
მარ მეფე (გარდაიცვალა 1206 წლის 18 იანვარს) დაკრძა
ლეს მცხეთაში (მკაცრი ზამთრის გამო),შემდეგ კი გადა-
ასვენეს გელათში... თამარის ნეშტი სანგრძლივი დროის
განმავლობაში არ მიუბარებიათ მიწისთვის და მოთავსებ;

ლი იყო აკლდამაში.დადგენილი წესრიგის მიხედვით,ყოვე-ლწლიურად,თამარის გარდაცვალების დღეს,აკლდამას ხდიდ-ნენ თლილი ქვის სახურავს და მართავდნენ მისი ხულის მოსახსენებელს. ეს ფაქტი დადგენილია არქეოლოგიური გათხრებით. ამიტომ გვაქვს უფლება,ვიფიქროთ,რომ ფრანკი ჯვაროსნის ცნობა ლაშა გიორგიზე წარმოადგენს ისტორიულ სინამდვილეს.საჭიროა,აღინიშნოს ისიც,რომ ახალგაზრდა მეფე,გიორგი ლაშა,ცნობილი იყო,როგორც უშიშარი მებრძოლი რაინდი.ეს მოხსენებული აქვს ფრანკ ჯვაროსანს და ამასთანავე მტკიცდება ქართული ისტორიული წყაროებითაც.

კითხვაზე,იყო თუ არა შესაძლებელი თამარის ანდერძის შესრულება, აკადემიკოსი შ. ამირანაშვილი პასუხობს: „ჩვენ უპირველესად,მხედველობაში უნდა მივიღოთ ის მდგომარეობა,რომ საქართველო XII ს-ში იყო ძლიერი ფეოდალური ქრისტიანული სახელმწიფო.მისი გავლენის ქვეშ იყო მთელი ამიერკავკასია: შირვანის სამეფო,სომხეთის დიდი ნაწილი,დაღესტანი,ოსეთი.საქართველოს არც ჩრდილოეთში და არც სამხრეთში არ ჰყავდა საშიში მტერი.ამ პირობებში გიორგი ლაშას არ უნდა გაძნელებოდა დედის ანდერძის შესრულება.

დასახრულს შ. ამირანაშვილი აღნიშნავს: „ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს იმის სავარაუდოდ,რომ გიორგი ლაშამ შეასრულა დედის უკანასკნელი სურვილი. სარგებლობდა რა ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილე ფრანკ მეომართა მხარდაჭერით,გადაიტანა დედის ნეშტი იერუსალიმში და დაკრძალა საუფლო ტაძარში ქრისტეს საფლავთან.

# შალომ დავითაშვილი

● ე ს თ ე რ ი

# ესთერი

## მოთხრობა

## (ნაწყვეტი)

## შალომ დავითაშვილი

შემოდგომის მშვენიერი დღე თენდებოდა,ცა მოწმენ-
დილ-მოკრიალებული იყო და ბუნებას ის მდიდრული,მოო-
ქროვილი სამოსი მოესხა,რომელიც ყოველთვის დოვლათია
ნობას გვაგონებს. წიფლნარსა და თხილნარში ციყვების
ხმიანობა ისმოდა,ხოლო იქვე,ხანგამოშვებით და ხევ-
დიანად - მწყერის ქვითქვითი.

გათენდა. ღონემიხდილი და მომაკვდავივით ფერწასუ
ლი ესთერი ყაჩაღმა ვრაცისლავის წინაშე წარადგინა.
ყაჩაღთა მეთაური,თვალს ვერ აშორებდა ესთერს, მო-
მაკვდავის სილამაზით გაცისკროვნებულ სათაყვანებელ
ქმნილებას. ქანდაკებასავით ლამაზი გოგონა თავდახრი
ლი იდგა ბრბოს გარემოში. როცა ვრაცისლავი გამოელა-
პარაკა ესთერს,მან ნათელი,ბავშვური და გულღია მზე-
რა მიაპყრო ყაჩაღთა მეთაურს. ვრაცისლავმა გაიფიქრა,
დიდიხანია ასეთი მშვენიერი გოგონა არ მინახავსო.
ყაჩაღთა მეთაური ქალების დიდი თაყვანისმცემელი გა-
ხლდათ,ესმოდა სილამაზის ფასი და უყვარდა ამის შესა
ხებ მსჯელობა. აი,ახლაც,დაკვირვებით ათვალიერებდა
ესთერს და გულში აღნიშნავდა მის ღირსება-მომხიბვლე
ლობას. გოგონა რომ არ დაღლილიყო,სკამზე დაჯდომა შ-
ესთავაზა. ისედაც დაღლილ-დაქანცულმა ესთერმა შეთა-
ვაზება მიიღო.

- რა გქვია შენ,წარმტაცო გოგონავ? - შეეკითხა მას,ვრაცისლავი. - ესთერი. - მიუგო სხარტად.

- ძალიან მინდა ვიცოდე,იქნებ მიამბო,ვინ ხარ და რამ მოგიყვანა ამ უღრან ტყეში. - ცნობისმოყვარეობით,გულთბილად ესაუბრებოდა ვრაცისლავი ესთერს.

ესთერმა გადაწყვიტა,ნაწილობრივი სიმართლე ეთქვა ვრაცისლავისათვის და არ გაეთქვა თავისი თავგადასავლის მთლიანი საიდუმლო.

- მე,ერთი უბედური გოგონა ვარ, - დაიწყო ესთერმა გულშიჩამწვდომი,ამაღელვებელი ხმით. - ობოლი დედით და მამით. კაზაკებმა შეუბრალებლად გადასწვეს ჩვენი სადგომ-საცხოვრებელი. და ამქვეყნად დავრჩი ერთადერთი, უპატრონოდ მიგდებული არსება. მას შემდეგ, ერთი ახირებული,ბოროტი და შეუბრალებელი ნათესავის სახლში ვიმყოფებოდი,სადაც წამებასა და ჩაგვრას განვიცდიდი. ბოლოს ვიფიქრე,რომ თავს,მხოლოდ გაქცევით ვუშველიდი - მღელვარებამ ესთერს ხმა ჩაუხშო და სიტყვა გააწყვეტინა,შემდეგ კი ისევ განაგრძო და პარაკი,თავისი რბილი,მუსიკალური ხმით. - აგერ,ახლა. კი აქ ვიმყოფები,თქვენთან,უბედური,უიმედო და გაოგნებული. თუ თქვენ,ჩემი დამცირება და აბუჩად აგდება განგიზრახავთ,მაშინ სიკვდილს სიამედ ჩავთვლი. თუ არა და გამიშვით ხელუხლებელი. -

ესთერი მღელვარებით წარმოსთქვამდა ამ სიტყვებს და მისი უმანკო,წმინდა,ცისფერი თვალებიდან მხურვალე ცრემლი იღვრებოდა. ყაჩაღთა ბრბო ფრთოლვით შესცქეროდა ნაწამებ გოგონას. გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს და ჩურჩული დაიწყეს. ვრაცისლავს ღრმა მღელვარება აღმოხდა გულიდან,ესთერის სიტყვებთან დაკავშირებით,იგი გრძნობდა ესთერის ღრმა განცდებს.

- მითხარი მშვენიერო გოგონავ,ვინ იყო შენი მშობელი მამა? - შეეკითხა ვრაცისლავი ესთერს,დიდი სითბოთი და თანაგრძნობით.

- ჩემი მშობელი მამა გამოჩენილი ებრაელი რაბინი იყო,გამორჩეული ემწიკვლო საქმეებითა და ზებუნებრივი მისწრაფებებით. - ებრაელი რაბინი? - ვრაცისლავმა შეაწყვეტინა სიტყვა ესთერს და განაგრძო:

- ნუთუ შენ,ებრაელი რაბინის ქალიშვილი ხარ? შენს გარეგნობაში აღარ შეინიშნება არავითარი ებრაული. - განცვიფრებით შესძახა ვრაცისლავმა.

- კაზაკთა დარბევის შემდეგ,ჩემი ნათესავის ოჯახში,სადაც თავი მქონდა შეფარებული,განუდგა ებრაულ რელიგიას და ჩემში თანდათანობით ხპობდა ებრაულ ნიშნებს,რამაც მაიძულა მათგან გაქცევა. - ასე განუმარტავდა ესთერი ვრაცისლავს,რათა არ შეეცყო მას ებრაელი გოგონას თავგადასავლის სრული სიმართლე,იმის შიშით,რომ იგი კვლავ არ დაებრუნებინათ მეფის სასახლეში,რომელი სასახლეც მას ებრაული რწმენის დაკარგვის საშიშროებას უქმნიდა.

- რა ჰქვია შენს ნათესავს და სად ცხოვრობს? - ცნობისმოყვარეობით ეკითხებოდა ვრაცისლავი ესთერს.

- მე ვერ განგიხელ მის სამყოფელს,რადგან არ მსურს მასთან დაბრუნება.

- თქვი,გიბრძანებ! - მრისხანებით წარმოთქვა ყაჩაღთა მეთაურმა. მაგრამ ესთერი ვერ შეაკრთო ვრაცისლავის განრისხებამ და სიამაყით უპასუხა:

- მე ვერ გიპასუხებ ამ კითხვაზე,ყაჩაღთა მეთაურო! და თუ შენ ჩემი სიკვდილი განგიზრახავს,დე, შენს მიერ გაელვებულმა ხმალმა ჩააქროს ჩემი სიცოცხლე და ამით ბოლო მოუღოს ჩემს სანგრძლივ წამებას. - ე-

რაცინლავი განაცვიფრა გამობრძმელილი ნებისყოფის მ-ქონე ებრაელი გოგონას შეუდრეკელმა ხიმცკიცემ,რამაც მისადმი ღრმა პაცივისცემის გრძნობა წარმოშვა.ესთე-რი ლიდ ხულიერ მღელვარებას განიცდიდა. უცბად ვრაცი ხლავმა დაინახა, ესთერი იდგა მოკუნცული,უმწეო და უიმედო. შენიშნა უბედურებაში მყოფი გოგონა და მყი-ხვე გაახხენდა რაინდული მოვალეობა. და ესთერს მიმ-ართა:

- ნუ გეშინია,მამაცო გოგონავ,ჩვენ ადამიანებს მ ცკიცე ნებისყოფისა და რწმენისათვის არ ვკლავთ. გჯე როდეს,რომ შენ აქედან წმინდა და უმანკო წახვალ. დაახლოებით ერთი საათის წინ აქ ებრაელი მეგობარი მ ეწვია სცუმრად,მისადმი ერთგულებისა და პაცივისცემ-ის გამომყლავნების ნიშნად,შენ,როგორც მისი ხალხის შვილს,შეგიბრალებ და ვილნის ებრაულ თემს ჩაგაბარებ რა თქმა უნდა,იმ შემთხვევაში,თუ აღნიშნული თემი შ-ესძლებს შენი გამოსასყიდის ფულადი ხარჯების გაღებ-ას. - ვრაცისლავმა ესთერთან საუბარი რომ დაამთავრა, მყისვე მიმართა ბრბოს თითოეულ წევრს და გააფრთხილა მკაცრად,თუ ვინმე გაბედავდა ესთერის თუნდაც თითით შეხებას,მას სიკვდილი არ ასცდებოდა. შემდეგ ვრაცის ლავმა ერთი ახოვანი ყაჩაღი იხმო თავისთან,სწორედ ის ყაჩაღი,რომლის თავგანწირულმა ნახცომმა რაბი შა-ბთაის განსაგმირად გაელვებული ხმალი ჰაერში რომ გა აქვავა,ახლა კი ესთერისათვის ვრაცისლავის ბრძანებ-ის მიხედვით განსაკუთრებული ოთახი უნდა გამოეყო,რო მელიც შიგნიდან ჩაიკეცებოდა,რათა არავის შეძლებოდა მასთან მიკარება. იქ მოიცდიდა ესთერი,სანამ ვილნი-დან დესპანი მოვიდოდა მის გამოსახსნელად. ვრაცისლა ვის ბაგენი ჩუმად ჩურჩულებდნენ: „ჩემო ერთადერთო

მეგობარო,მამაო,შეძლებისამებრ აღვასრულე შენს წინაშე აღთქმული პირობა. ალბათ, შეიტყობ,თუ როგორ მოვეპყარი შენი ხალხის ერთ-ერთ ღირსეულ ქალიშვილთაგანს."

ბინდდებოდა,ესთერის ნაწამები სხეული მოსვენებას თხოულობდა,იგი გაემართა მისთვის განსაკუთრებით გამოყოფილი გასათევისაკენ,ოთახში რომ შევიდა,კარები გადარაზა,ხოლო შემდეგ,იქვე გაშლილ ჩალის საწოლზე ჩაიკეცა მომაკვდავივით ფერწასული და ღონემიხდილი ესთერი. სარკმლიდან კარგად ჩანდა,მზე ნება-ნება როგორ მიაგორებდა თავის ვეება სფეროს დასავლეთისაკენ. ცის ცაცნობს საუცხოო ოქროსფერი ელო,რომელიც ცის მუაგულის მუქ ლაჟვარდში გადავიდა. ჩრდილები ნელა მიცოცავდა მთაზე,მსუბუქი სიო კი არწევდა ფიჭვების კენწეროებს და კვნესოდა უკვე ჩაბნელებულ,ულრან ტყეში.

ესთერმა,როგორც იქნა,მხოლოდ გარიჟრაჟზე დაიძინა. ის ძალიან გაწამებული იყო უძილო ღამისგან. ერთ ხანს მშვიდად ეძინა,შემდეგ კი ზმანებები დაეწყო.ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოჩვენება,ერთი მეორეზე უფრო ფანცას ცივური,საოცარი სისწრაფით და ქაოტურად ცვლიდნენ ერთიმეორეს. ეს მოჩვენებები სავსე იყო ცანჯვით,ბრძოლით და შეუცნობელი საშინელების ნაკვალებს სცოვებდნენ. შემდეგ მას ესიზმრა,რომ გამოეცხადა მშობელი დედა,აცრემლებული თვალებით შესცქერის თავის ერთადერთ განაწამებ გოგონას და მასთან ერთად განიცდის განუზომელ სულიერ წამებას,მისი ბაგენი ჩუმად ლოცავენ განწირულად გამზადებულ ნორჩ არსებას.

ესთერი ფიქრობს: „როგორც იქნა მელირსა,დავიძინებ სიწყნარეში!" - და წვება ჩაბნელებულ ოთახში.მა-

გრამ იქ შემოდიან ანთებული ლამპრით,კაშკაშა სინათლე ულმობლად ჭრის თვალს და ვიღაც ზედ ყურში ჩასძახის: „ადექი,გეძახიან!"

ის დგება და წინ მიდის ბორძიკით და ბარბაცით,როგორც სასიკვდილოდ დაჭრილი,იგი ხელებს ალაპყრობს და შესძახის: „დედა! ნუთუ შენა ხარ? ხმა გამე,ხმა! არა,შენ მკვდარი არა ხარ,არა! გევედრები,ხმა ამოიღე!.. ჩემო დედიკო,მარტო არ გაგიშვებ,მარტო არ მოკვდე. მეც მინდა... მეც მინდა შენთან,რომ მოვკვდე, მეც!

ამ სიტყვებზე ესთერს უნდოდა დაწვდომოდა მირიამის მკერდს და თავის საწილო სიკვდილი ამოეწოვა,მაგრამ მირიამის აჩრდილი შეიძრა და გულისმომკვლელად შესძახა: „შვილო ესთერ,არ გაბედო ჩემთან მოკარება, დაზიანდები!"

☆☆☆

ყაჩაღთა მეთაური ღრმად ჩაფიქრებული იჯდა. თავი დაბლა ჰქონდა დახრილი მკერდზე. მას ტანჯვის ოკეანე გამოვლილი ესთერის არსება მუდამ თვალწინ ედგა.გარშემო ბინდდებოდა,თითქოს სიცარიელე ეუფლებოდა ყოველივეს. როცა ვრატისლავმა თავი ასწია,მზე უკვე ჩასული იყო და უკანასკნელი წითელი სხივები ქრებოდნენ დასავლეთით,ხოლო მის მიერ ლიტვას წარგზავნილი დესპანი,ლიტვის დედაქალაქ ვილნას უახლოვდებოდა,სადაც მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა დატყვევებული ესთერის გამოსყიდვასთან დაკავშირებით ადგილობრივი ებრაული თემის ხელმძღვანელობასთან.

იმ დროისათვის ლიტვა წარმოადგენდა ებრაელი ხალხის კულტურული,რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრს. ამ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში ებრ-

ელები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ და მისდევდნენ ხელოსნობას,ვაჭრობას. გარდა ამისა ისინი ხელოვნები-სა და მეცნიერების მწვერვალებსაც იპყრობდნენ. თემის კულტურული ცხოვრების ცენტრში გამოჩენილი სასულიერო პირები იდგნენ. ებრაელთა საზოგადოებრივ ცხოვრებას რაბინთა სასამართლო კოლეგია მართავდა.

ვრაცისლავმა ვილნის ებრაული თემის ხელმძღვანელო-ბას დაწვრილებით აუწყა,წერილის საშუალებით,ებრაელი გოგონას დატყვევების ამბავი. წერილში ნათქვამი იყო, რომ მისი მიღებიდან ზუსტად ოცდაოთხი საათის შემდეგ მათ ეახლებოდა მის მიერ წარმოგზავნილი დესპანი.

ზემოხსენებულ ამბავთან დაკავშირებით, ქ. ვილნის ებრაული თემის სასახლის სასამართლო კოლეგიის ოქროთ მოვარაყებული დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ირგვლ-ივ ყოველივე წარმტაცი ფერებით ბრწყინავდა. ფართოდ გაღებულ კარებზე ჩამოფარებული იყო მუქი წითელი ფე-რის მძიმე ფარდები,რომელშიც სანთლებისა და ჩირაღდ-ნების სხივები გამოკრთოდა სწორედ ისე,როგორც გამო-კრთიან მინდვრის წითელი ყაყაჩოს ფურცლები. წითელი ხავერდით გადაკრული უზარმაზარი მაგიდის ირგვლივ მ-შვენიერი მძიმე სავარძლები ჩაემწკრივებინათ. მაგიდ-ის უკან,ჩირაღდნების შუქზე ბრწყინავდა და ელვარებ-და ვერცხლისფერი ფარდა. ამ ფარდის ფონზე,მოჩანდა უ ძრავად მჯდარი აბ-ბეთდინი(სასამართლო კოლეგიის თ-ავმჯდომარე)გრძელ თეთრ სამოსში,რომლის სავარძელიც ტახტს ჰგავდა და სხვა სავარძლებს ზემოდან დაჰყურე-ბდა.

იქ დამსწრე საზოგადოების უმრავლესობა ანთებული თვალებით შეჰყურებდა ვრაცისლავის მიერ ებრაული თე-მის სასამართლო კოლეგიასთან წარმოგზავნილ მოციქულს.

დარბაზში ჩოჩქოლი იდგა და მღელვარება შეიმჩნეოდა. მაგრამ წამოდგა თუ არა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე,ისე გაისუსა მთელი დარბაზი,რომ საკუთარი გულის ფეთქვასაც კი გაიგონებდით. თავმჯდომარემ ჯიბიდან კონვერტი ამოიღო. სანამ გახსნიდა ამ კონვერტს და ქაღალდის ფურცელს ამოიღებდა,სუნთქვაშეკრული დარბაზი გაინაბა. მან საგანგებო დესპანისაგან გადმოცემული ესთერის ამაღელვებელი წერილი წაიკითხა მთამაგონებლად, რომელიც ვილნის ებრაული თემისადმი იყო მიმართული.ესთერმა ამ წერილში ასახა თავისი თავგადასავალი,მის მიერ განცდილი მწარე ტკივილები,გასაჭირითა და წამებით აღსავსე ნორჩი არსების ცხოვრება. მხოლოდ ის არ აცხადებდა მშობელთა ვინაობას. ესთერი წერილის დასკვნით ნაწილში წერდა:

„ძვირფასო ებრაელებო!

მიუხედავად ზემოხსენებული წამებისა დღემდე უანგაროდ ვატარებ ჩვენი ხალხის ეროვნული რწმენის სიყვარულს,  რომლის ძლიერება და შესაძლებლობა,ჩემი გულწრფელი რწმენით განუსაზღვრელია. ის ებრაელი ხალხის უმაღლეს სიამაყეს წარმოადგენს. მე თქვენ მხურვალედ მოგმართავთ,რომ გადაარჩინოთ ჩემი სიცოცხლე. მივისწრაფვი რა სიცოცხლისაკენ,მამოძრავებს არა პირადი ინტერესები,არამედ მხოლოდ და მხოლოდ მაღალი მოსაზრებანი, რათა ისრაელი ხალხის რწმენის ჩირაღდნის ნაპერწკლები შეუბღალავად და ელვარებაჩაუქრობლად გადავცე ჩემს მომავალ შვილებს,რა თქმა უნდა, თუ კი ამას ვეღირსები. შესაძლოა ეს განცდები მიუღწეველნი არიან მათთვის,ვისაც ჩემს მსგავსად თავი არ შეუწირავს მრავალტანჯული ებრაელი ხალხის რწმენისათვის.

იქნებ დამდოთ პატივი,რომ ჩემი სალამი გადასცეთ

ვილნის ებრაულ საზოგადოებას და მათ ჩემი სავალალო მ დგომარეობაც გააცნოთ?

დიდის პატივისცემით,

ქ. ვილნის ებრაული თემის ხელმძღვანელობას".

დარბაზში შემაძრწუნებელი სიჩუმე ჩამოწვა. ესთერის წერილმა შავი ღრუბლები გადააფინა სახეზე დამსწრე საზოგადოებას,შეაშფოთა და სისხლი გაუყინა მათ ძარღვებში.

თავმჯდომარემ ხალხს აუწყა,რომ ყაჩაღთა საგანგებო დესპანი ებრაელი გოგონას გამოსასყიდად 3.000 ოქროს მონეტას ითხოვდა. დარბაზს ხუნთქვა შეეკრა გაკვირვებისაგან. თემი თუ ასეთ მნიშვნელოვან თანხას გადაიხდიდა ყოველი ებრაელი მძევლისათვის,მაშინ ყაჩაღთა ბრბოს მიერ ებრაელების გატაცება ჩვეულებრივ ხასიათს მიიღებდა. სასამართლო კოლეგიის ზოგიერთი წევრი გამოთქვამდა აზრს,რომ ებრაულ თემს მხოლოდ ხუთასი ოქროს მონეტა გამოეყო ებრაელი გოგონას გადასარჩენად და თუ ყაჩაღთა წარმომადგენელი უარს იტყოდა ზემოხსენებულ თანხაზე,მაშინ გოგონა ბედის ანაბარა დარჩებოდა. კოლეგიის თავმჯდომარე თემს განუმარტავდა,რომ ზოგიერთ შემთხვევაში ვალდებულებას წარმოადგენდა ტყვეებისათვის თუნდაც ასეთი დიდი თანხის გადახდა. დარბაზი ყალყზე შემდგარი ადევნებდა თვალს სასამართლო კოლეგიის მსჯელობას.მრავალსაათიანი კამათის შემდეგ საკითხი გადაუწყვეტი რჩებოდა. მღელვარებით, თითქოს,ყველას ენა ჩაუვარდა, მერე კი ერთბაშად ჩურჩულის ტალღა დაიძრა და მთელ დარბაზს მოედო.

მაგრამ ამ დროს დარბაზს უცებ კვლავ შეეკრა ხუნთქვა ახალი გაკვირვებისაგან,რადგან ყველამ აშკარად დაინახა,თუ როგორ წამოდგა სასამართლო კოლეგიის ყვე-

აზე ახალგაზრდა წევრი,რომელსაც მენახემს ეძახდნენ.

მენახემი სრულიად ახალგაზრდა,ღრმად მორწმუნე,ცოლიანი კაცი იყო,გამორჩეული გონებითა და განსწავლულობით. 18 წლის ჭაბუკმა პოლონეთის ერთ-ერთ იეშიბაში რაბინის ხარისხი მიიღო,შემდეგ კი ბერლინის უნივერსიტეტი დაამთავრა. ივრიცისა და პოლონურის გარდა,ბრწყინვალედ ფლობდა გერმანულ,ინგლისურ და რუსულ ენებს. მას ახლახან 24 წელი შეუსრულდა და ებრაული თემის სასამართლო კოლეგიის წევრად აირჩიეს,რაც უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა ასეთი ასაკის ადამიანისათვის. იგი ერთ-ერთ მდიდარ,გამოჩენილ ბანკირად ითვლებოდა პოლონეთ-ლიცვის სახელმწიფოში. გარდა ამისა იგი ყველას აცყვევებდა თავისი სილამაზითა და მომხიბვლელობით.

ხალხი გაოგნდა.

კოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა,რომელიც მკვეთრ წინააღმდეგობას გამოთქვამდა მაღალი თანხის გადახდისათვის,მენახემს გესლიანად ჰკითხა:

- თქვენ რატომ ადექით?

- ამას ახლავე მოგახსენებთ,მისცერ! - მშვიდად მიუგო მენახემმა.

მოსალოდნელი იყო საშინელი სკანდალი,ასე თუ გაგრძელდებოდა საქმე. ხალხში აქა-იქ შეძახილები გაისმა „წესრიგი! წესრიგი!"

თავმჯდომარემ ხალხი დაამშვიდა და თქვა:

- ზრდილობას ნუ დაივიწყებთ. იმედი ვიქონიოთ,რომ ყოველივე მოგვარდება. ახლა კი ბატონ მენახემს მივვეთ საშუალება გამოთქვას თავისი აზრი.

როგორც ერთი კაცი,ისე წამოიშალა დარბაზი და მთელი გრძელი წუთის განმავლობაში მენახემისადმი პატი-

ვისცემის გამომყლავნების ნიშნად,ხალხმა დარბაზი ცა-
მის გრიალით შეაზანზარა. მერე ისევ ყოველივე დაწყნა
რდა და კოლეგიის ახალგაზრდა წევრმა ლაპარაკი დაიწყო:

- თავის მოცყუებას რაღა აზრი აქვს,ერთბაშად დიდ
განსაცდელში აღმოვჩნდით: ჩვენი თემის პატიოსნებას ს
აშიმროება ემუქრება,თავისი კარგი სახელი უცყდება.ეს
კი ძალიან დამაფიქრებელია. მაშ,ვინ უნდა იყოს ებრა
ული ჰუმანურობის - ამ დიდებული საგანძურის მცველი?
მთელი საზოგადოება? არა! პასუხისმგებლობა პიროვნული
უნდა იყოს,არა საზოგადოებრივი. დღეიდან ყველა და ყო
ველი თქვენგანი,პიროვნულად,საგანგებო დამცველი და პ
ასუხისმგებელი გახდებით ამისა,რათა არავინ შელახოს
იგი. კისრულობს ყოველი თქვენგანი ამ დიდი ნდობის
გამართლებას?(თანხმობის ნიშნად მგზნებარე შეძახილე-
ბი) მით უფრო კარგი. მაშ,უანდერძეთ ეს თქვენ შვილე-
ბსა და შვილთა შვილებს. დღეს თქვენი სისპეცაკე უმწი
კვლოა, ეცადეთ, სულ ახეთი უმწიკვლო დარჩეს. ლამაზი
არ იქნება,შედარებას რომ მოვჰყვეთ ახლა - ჩვენი სა-
ზოგადოება სჯობს,თუ სხვა რომელიმე საზოგადოება - ზო
გი მათგანი ავი თვალითაც გვიყურებს,მათ თავის გზა ა
ქვთ,ჩვენ ჩვენი გზით მივდივართ. დე,ვიყოთ ამითი კმა
ყოფილი. (ცაში). ებრაელი ხალხის ერთ-ერთ დამახასია-
თებელ ნიშანს სიბრალულის გრძნობა წარმოადგენს.როდე-
საც მძევლის დახსნის საკითხზე ვმსჯელობთ, უნდა გამო-
ვიჩინოთ მეცი გულმოწყალება. ბაცონი თავმჯდომარის მ-
იერ ახლახან წაკითხული წერილი თუნდაც სალ კლდეს ჩაუ
დგავს გულს და შეაგრძნობინებს მას ებრაელი გოგონას
განცდილ ცანჯვა-წამებას. მძევლის განთავისუფლების პ
ასუხისმგებლობა მე დამაკისრეთ და 3.000 ოქროს მონე-
ცას ყაჩაღთა წარმოგზავნილი ჩემგან მიიღებს.

მთამაგონებელი საუბრითა და უჩვეულო ქველმოქმედე-
ბის გამომჟღავნებით მენახემმა ყველა მოაჯადოვა.დარ-
ბაზი მოწონების ცაშმა გააყრუა. მეგობრები გარს შემო
ერცყნენ მენახემს - ხელს ართმევდნენ,ულოცავდნენ; ი-
მას,ვინც საწინააღმდეგო აზრს ავითარებდა უკივლეს,ხ-
მის ამოღებაც არ დაანებეს. თავმჯდომარემ მხურვალედ
ჩაიხუცა მენახემი და მღელვარე ხმით დალოცა იგი:„უფ-
ალმა გაკურთხოს შენ,შვილო ჩემო და მოგიმაცოს ათას -
წილ".

მენახემმა მყისვე შეატყობინა ეს ამბავი თავის მ-
ეუღლეს - გიცას. გიცა,რომელიც გამოირჩეოდა მომხიბვ-
ლელობითა და ღვთისმოშიშობით,აღცავებით მიესალმა მე-
უღლის გადაწყვეტილებას. მენახემი მეორე დღესვე ყაჩა
ღთა წარმოგზავნილთან ერთად გაემგზავრა ესთერის გამო
სახსნელად. მან ვრაცისლავს სამი ათასი ოქროს მონეცა
გადაუხადა.

როცა ყაჩაღთა მეთაურმა ესთერი მენახემთან წარსად
გენად დაუძახა,იგი თავის ხმელ საწოლზე იწვა. ხევდა
და მწუხარება სხეულიდან მას უკანასკნელ ძალ-ღონეს წ
ოვდნენ. ქანდაკებასავით ლამაზი ებრაელი გოგონა წარს
დგა მენახემის წინაშე. ესთერი მას შეჰყურებდა თავი-
სი ცისფერი ფართოდ გახელილი თვალებით,ჩივილს,საშინე
ლებას,საყვედურს რომ გამოხატავდა,და არა შიშს. ამან
ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მენახემზე. ესთერი,მ-
წუხარე,მორჩილი,ღირსებით სავსე იდგა უცნობი ახალგაზ
რდის წინაშე.

მენახემი თვითონაც შეძრწუნებული იყო. იგი ნაწამე
ბი ესთერის მიმზიდველ სახეს მიშცერებოდა.სახე გაფით
რებოდა,სიბრალული სცანჯავდა.ესთერი მენახემში თავის
მხსნელს ხედავდა და მას სახეში თამამად უყურებდა.მ-

ის მზერაში არაფერი იყო გამომწვევი,პირიქით,ნათელი.
ბავშვური და გულღია გამოხედვა ჰქონდა. ეს გოგონა ს-
ულ სხვა იყო,ვიდრე მენახემს ჰყავდა წარმოდგენილი,ბე
ვრად მშვენიერი და წარმტაცი.

ბინდი ჩამოწვა,დავიწყებას მიეცა,ტანჯვაც,წამებაც
და ყოველი საზრუნავიც. დაღამდა და ეს იყო ნეტარი ღ-
ამე ესთერისთვის,სხვა ღამეებთან შედარებით.რომ გათ-
ენდებოდა,'ესთერი მენახემთან ერთად გაემგზავრებოდა ვ
ილნას,სადაც მას შესაძლებლობა მიეცემოდა ეცხოვრა თა
ვისუფალი,ებრაული ცხოვრებით.

უმანკო ესთერს მშვიდად ეძინა მისთვის განკუთვნილ
ოთახში.მის უნაზეს სახეს ღიმილი დასთამაშებდა. მას
ისე ეძინა,თითქოს ზეციურ ანგელოზთა მფარველობის ქვ-
ეშ ყოფილიყოს.ნელა თენდებოდა თოვლის ფანტელების კო-
რიანტელში,რომელიც თვალს ჭრიდა და ბურავდა.გათენდა.
ყველაფერი ჯადოსნურად შეცვლილიყო. მზემ,თეთრად შეს-
ულრულ ხეობაში ჩამოიხედა. ამ მთის ჰავის დამახასია-
თებელი ერთ-ერთი თავისებურება ის გახლდათ,რომ მზის
სხივები ალერსიან სითბოს აფრქვევდა ზამთრის ბუნების
სურათს,თითქოს წარსულისათვის სინანულით თანაგრძნობ-
ას უცხადებსო.

დილით ესთერმა და მენახემმა ერთად ისაუზმეს. ეს-
თერი მის მხსნელს უყვებოდა ამ ხნის განმავლობაში მ-
ომხდარ ამბებზე. მენახემი თანაგრძნობით შეჰყურებდა
ესთერს. მან გაიღიმა ბედნიერი ღიმილით და ესთერს უ-
თხრა: - ეს ხომ დიდებულია! ჭეშმარიტად ბედნიერი ვარ
რომ შევძელი შენისთანა უმანკო არსების დახსნა.- აღ-
ტაცებით მიმოდიოდა მენახემი ოთახში,შემდეგ ვრაცისლა
ვისგან გამოგზავნილი მეეტლე გამოცხადდა მათთან და მ
ეატყობინა,რომ ეტლი მათ გასამგზავრებლად სრულ მზად-

ყოფნაშია. გამგზავრების წინ ვრატისლავი ესთერს გულ მხურვალედ, აცრემლებული გამოეთხოვა. ყაჩაღთა მეთაურმა მენახემისა და ესთერის კარეტა შეიარაღებულ რაზმს გააცილებინა.

ნაშუადღევს კარეტა მდინარის დაყოლებით მიდიოდა და ესთერი ათვალიერებდა მიდამოს, რაც სულ უფრო მომხიბვლელი ხდებოდა. ტირიფებით გარშემორტყმული წყლის ზედაპირი ერთგვარ ტბას ქმნიდა. ესთერმა მეეტლეს სთხოვა შეჩერებულიყო აქ, რათა დამტკბარიყო ხასხასა და აყრილი ჭალის მზერით, რომლის სოფლურმა მომხიბვლელობამ მღელვარებით აღუვსო გული. ხის კენწეროებს შორის ლამაზი სახლის სახურავი მოჩანდა. ამ ნაგებობის სამ კაულს ჟასმინისა და ხვიის ბუჩქები წარმოადგენდნენ. ხოლო მთელი მიდამო ხშირი, თვალისმომჭრელი მცენარეებითა და ფლოქსიის ყვავილებით კაშკაშებდა. როცა ესთერმა შეიტყო, რომ ეს მიდამო იქ მდგომი სახლით მენახემის საგარაკო სამფლობელოს წარმოადგენდა, იგი განცვიფრდა.

იმ დროს, როცა მთვარე ამობრწყინდა და თავისი ვერცხლისფერი სხივები ქ. ვილნას უხვად დააფრქვია, მენახემი და ესთერი მაღალ, დიდებულ მწვანეში ჩაფლულ შენობასთან შეჩერებული ეტლიდან ჩამოვიდნენ.

კარებთან დადარაჯებული მსახურები, კიბეზე ჩამოემვნენ ყვირილით: - „მოვიდნენ!.. მოვიდნენ!.. მენახემს კიბეზე დაუხვდა მეუღლე. მის სახეზე აღფრთოვანება და სიხარული შეიმჩნეოდა. წარმტაცი იყო გიტას მშვენიერება. თმა გადმოშლოდა გვერდზე მოქცეული თეთრი და ქათქათა სილაბანდიდან. თვალები უცინოდა, სიტყვებს სიხარულით აფრქვევდა, ვითარც სხივებს ამომავალი მზისა. გიტამ თბილი მზერა მიაპყრო ესთერს, რომლ-

ის სახე დარდს სიდიადის მარავანდედით შეემოსა.

ესთერმა აქამდე დახრილი,მშვენიერი თვალები შეანათა გიტას. ესთერის ლაწვებზე ცრემლი მოედინებოდა, გიტა კი ნაზი თითებით წმენდდა მის დანამულ სახეს და ამშვიდებდა ნაწამებ გოგონას:

- შენ მეტი აღარ უნდა იტანჯო,მე ეს არ მსურს!დიახ,ძვირფასო გოგონავ,მე შეგიქმნი ოაზისს,სადაც გაატარებ მშვიდ,ეზრაულ ცხოვრებას.

☆☆☆

მეწამული მზე უკანასკნელ სხივებს სტყორცნიდა ქვეყანას.აღმოდებული მნათობი ჩქარობდა დაეკოცნა თოვლიანი მწვერვალები.

იმ საღამოს დაისი განსაკუთრებით მშვენიერი იყო. დასავლეთისაკენ მიჯარული ნაირფეროვანი ღრუბლები ერთ მანეთში ირეოდნენ.ლაჟვარდოვანი სილურჯე მდიდრულად და დიდებულად ეხამებოდა და ერწყმოდა ერთმანეთს.ღრუბლებს ისეთი უცნაური მოხაზულობა ჰქონდათ,რომ შეიძლებოდა უცხო ქვეყნიდან მოვლენილ,მოელვარე,მომჯადოებელ არსებებად მოგჩვენებოდათ.ასეთ დიდებულ სურათს თვალი უნდა გაეხარებინა,დარდით დაღდასმული გული გაემხიარულებინა,ხოლო ბედნიერი ადამიანი კიდევ უფრო უნდა გაებედნიერებინა.

ბუნების ეს მშვენიერება ადამიანის თვალს არც გამოჰპარვია.მისადმი ძალიან ლამაზი თვალები იყო მიპყრობილი,და მაინც იმ თვალებში ნაღველს დაესადგურებინა. იმ მშვენიერ თვალებში ჩამდგარ ნაღველსა და დასადგურებულ სევდას ჩამავალი მზის ელვარებით ვერ ახსნიდით. სხვა რამე იყო ამ მზერაში ჩამდგარი დარდის მიზეზი. სხვა კაეშნით იყო ის გული სავსე.

იმ მშვენიერებით სავსე თვალთა პატრონი ახალგაზრ-და ქალწული იყო.იგი იდგა დიდებული სახლის ახოტეაზე და,ეტყობოდა,მშვენიერი დაისის სურათით ტკბებოდა.მაგრამ მისი ფიქრები სადღაც შორს,შორს დაფარფატებდნენ, დაჰქროდნენ და არასასიამოვნო ვარაუდების ქსელში ხვევდნენ ქალწულის გონებას.

კაეშანსა და ნაღველს დროებითაც ვერ ხელეყო ტურფა ასულის მშვენიერება. მისი მშვენებით სავსე სახისათვის კენარი ტანიც მიემადლებინა ღმერთს. ეს ქალწული ესთერი გახლდათ,რომელსაც უკვე თექვსმეტი წელი შესრულებოდა. მაღალი,იყო,წარმოსადეგი,მოხდენილი,სასიამოვნო და გამორჩეული.

განვლო სამმა წელმა მას შემდეგ,რაც მენასემისა და გიტას ოჯახი ესთერის თავშესაფრად გადაიქცა. დიდი ურთიერთნდობა,სიყვარული და პატივისცემა დამყარდა მ-ათ შორის. თითქოს სინათლის სხივი შემოიჭრა წყვდიად-ში,რომელიც გარს ებურა ესთერის უსიხარულო ბავშვობის წლებს. ესთერი აღსდგა დამცირებისა და სირცხვილისაგ-ან,განთავისუფლდა საკუთარი თავის სიბრალულის გრძნო-ბისაგან და მის სულს იმედის შუქი მოეფინა.

ესთერი ახოტეაზე მარტო იდგა,მცენარეებითა და სურნელოვანი ყვავილებით გარემოცული. იგი დაბალ მოაჯირ-ზე გადახრილიყო და დასავლეთისაკენ ისე იცქირებოდა თითქოს თვალთა ისარი ჩამავალი მნათობისათვის გაუშტერებიაო.

ესთერის ფიქრთა მდინარებას მოულოდნელად მოსამსა-ხურე ქალის ძახილმა დაუსვა წერტილი. შეშფოთებული მ-ოახლე გიტას ოთახისაკენ მიუთითებდა ესთერს. შუაღამე ახლოვდებოდა. გიტას საწოლი ოთახიდან მკრთალი სხივი გამოკრთოდა. მენასემი შინ არ იყო,კარის დარაჯი მის

მოლოდინში კარს შიგნით ხკამზე ჩამომჯდარიყო და თვ-
ლემდა. წამიც და ესთერმა გიტას ოთახის კარი უჩუმრ-
ად გააღო და უხმაუროდ მიხურა. ესთერმა გიტა თავის
საწოლში გაფითრებული,შემკრთალი და ღონემიხდილი იხ-
ილა. იგი ნუგეშმოკლებული,უიმედო ავადმყოფის შთაბე-
ჭდილებას ტოვებდა. გიტას უძირო თვალებიდან მდუღა-
რე ცრემლი მოედინებოდა და გრძნობის გამოსათქმელად
მხოლოდ უსიტყვო გმინვას აღმოახდენდა.ავადმყოფის წი
ნაშე თვით ბუნებასაც მოეხარა თავი და ყოველი ქმნი-
ლება გაჩუმებულიყო,გაწამებულიყო. მის სახეზე დაცე-
მული ცეცხლოვანი ცის ანარეკლიც კი ვერ ფარავდა გი-
ტას მჭმუნვარე სახეზე ჩამოწოლილ ჩრდილსა და ღრუბე-
ლს. ჩრდილს მოეღუშა მშვენიერი სახე,რადგანაც ჩრდი
ლი უბურავდა გულსა და ხელის მშვიდობას ურყევდა.

თავზარდაცემული ესთერი მივიდა ავადმყოფის საწო-
ლთან და რომ დაჰხედა ცოცხალ-მკვდარ გიტას იქვე მუ-
ხლმოჭრილმა ჩაიჩოქა. ესთერი მთელი ტანით აცახცახდა
და შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა,გული ეთოშებოდა საში
ნელებისაგან. იგი ქვითინებდა და ცრემლებში ღვარად ჩ
ამოსდიოდა.

- გიტა,გიტა! აბა ერთი მოხედე შენს ესთერს!...
რა დაგემართა!.. რამ გძლია ისე,რომ ესთერისათვის თ-
ვალს ველარ ახელ!..

გიტამ იგრძნო ესთერის მოსვლა,თვალი გაახილა და
უღონოდ მოატარა გარშემო. ორი მსხვილი ცრემლი ჩამო-
უგორდა თვალთაგან და გაფითრებულ ლოყაზე კვალი დაა-
ჩნია.

წყალი, - სუსტი ხმით წამოიძახა გიტამ.მოახლის მ
იერ მიწოდებულმა წყალმა თითქოს მოასულიერა გიტა და
მტირალი ესთერი დაინახა...

- ღმერთო შეიბრალე! - შესძახა გულმოკლულმა ეს-
ერმა.

- კიდევ სთქვი რამე ესთერ, - ჩურჩულებდა ღონემი
ხდილი გიცა. - მცირე იმედი მაინც მომეცი. სიცოცხლე
მჭირია შენთვის, მენახემისათვის... - ავადმყოფმა ა-
მოიკვნესა და კვლავ განაგრძო - შენ ხარ სიცოცხლე,
გაზაფხული და ჩემი სიცოცხლეც შენ გეკუთვნოდეს, შენ
იქნები საფუძველი ამ ოჯახისა. შენ იქნები ჩემი მე-
ორე მე. დიახ, გონებით ვიცოცხლებ შენი ცხოვრებით.
შენ ზეიმისთვის ხარ დაბადებული და შენს მომავალს მ
ზე დანათოდეს. მეცი ლაპარაკი უსარგებლოა, ხომ მიმიხ
ვდი ყოველივეს?

მისი ხმა ჩაკვდა ღრმა სიჩუმეში. ავადმყოფი სულ-
ისა და სხეულის გაყრის მოლოდინს მიეცა.

ესთერი ერთ წუთს გაუნძრევლად იდგა, შემდეგ სახე
ხელებით დაიფარა და აქვითინდა.

ეზოში მენახემის ნაბიჯების ხმა გაისმა. მას დაუ-
ყოვნებლივ სახლში მოსვლამდე შეატყობინეს მისი მეუ-
ღლის უცაბედი ავადმყოფობის ამბავი. სიარულზე და ქვე
ვაზე ემჩნეოდა, აქ მოსვლას ძალიან ჩქარობდა. მენახე
მი შევიდა გიცას საწოლ ოთახში. ერთი წუთით გაოგნებუ
ლი შეჩერდა კარებში. მთელ სახლში სამარისებური სი-
ჩუმე გამეფებულიყო. ცკვილები მოელო მენახემის მთ-
ელ სხეულს და სახეზე მკვდრის ფერი დაედო შიშით შეძ
რწუნებულს. მან ამოიოხრა და გაიფიქრა: „არა, მას ა-
რაფერი დამართია, არაფერი! ყველაფერი ეს მოჩვენებაა."
მენახემი მიუახლოვდა გიცას და გაოგნებული მდუმარედ
გაჩერდა. მან გიცას დიდ, მოელვარე თვალებში სასინე-
ლება ამოიკითხა. მენახემი უეცრად გონს მოვიდა. ახლა
ის გარკვევით გრძნობდა, რომ მომაკვდავი მეუღლის წინ

იდგა. ხედავდა ქალის შეშინებულ სახეს.

ბინდი გადაეკრა მენახემის თვალებს. რამდენიმე წუთის განმავლობაში ვერაფერს ხედავდა გიტას მკრთალი სასოწარკვეთილი სახის მეტს.ხედავდა აგრეთვე ხელებს რომლითაც ქალი უკანასკნელ ალერსს უძღვნიდა თავის მეუღლეს.

შემდეგ ნისლი გაიფანტა...

მენახემმა მიმოიხედა და დაინახა,რომ მეუღლის საწოლთან ესთერი გულსაკლავად ქვითინებდა.

მენახემმა ვერ შეიკავა თავი და თვალები დახარა. იგი გაიწია,დამალა სახე,და ესთერმა იგრძნო,რომ ამით უთხრა:„წადი",ის მიტრიალდა და გავიდა მათი ოთახიდან.

უმოძრაობამ მოიცვა მენახემი,თითქოს არც აზროვნებდა.დარდმა და ნაღველმა მის სულში სხვა ყოველივე გრძნობა ჩაახშო.სიცოცხლეში იგი პირველად მოიცვა სასოწარკვეთილებამ.ხსნის იმედი კი მას სადღაც გაუფრინდა.

- გიტა,ჩემო ძვირფასო,შენი ღიმილი კიდევ მაღირს და ამით იქნებ შეამსუბუქო მწვავე ტკივილი ჩვენი გულისა და...

მენახემმა სათქმელი ვეღარ დაამთავრა.გიტას მკერდიდან კვნესა აღმოხდა. ტუჩები გაუფითრდა და შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები დაასხა. შემდეგ ძალ-ღონე მოიკრიბა და მენახემს მიმართა:

- ჩემო ოცნებავ,შენი დიდსულოვნება ჭეშმარიტად მეფის საკადრისია,და მას,რომლითაც ღმერთმა დაგაჯილდოვა,მწამს,არასდროს არ მიატოვებ.

ვაი,ვერ შევძელი,შენთვის ამქვეყნად თუნდაც ერთ-შვილი რომ მომევლინა.

ჩემო ძვირფასო,ვკვდები და გეუბნები... ჩემს შემდეგ შენი მეუღლე... ესთერი იყოს... ეს ზეციდან მოვლენილი ანგელოზი... – აღმოხდენილმა კვნესამ გიცას სათქმელი არ დაამთავრებინა.გაფითრებული სახიდან მენახემს შემოსცქეროდა ჩვეულებრივზე უფრო გაფართოებული ცისფერი თვალები. ამ თვალებში გაოცება,იმედგაცრუება, მწუხარება და სიყვარული იგრძნობოდა. მენახემი აშკარად გრძნობდა,რომ გიცას სხეული ძალას ჰკარგავდა და მთლად ცივდებოდა.თვალცრემლიანმა მენახემმა მხურვალედ აკოცა მომაკვდავ გიცას... თავი რომ ასწია,ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზე დაეცა. მეუღლის მხურვალე ცრემლმა შესძრა გიცა და შეაჟრჟოლა. ეს ცრემლი თითქოს უკვდავების წყარო ეპკურა,თითქოს მიმავალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნაო.

– მშვიდობით სამარადისოდ,ჩემო ერთგულესო მეუღლევ.ერთგვარ სიამოვნებას განვიცდი,რადგან ვიცი,რომ შენსა და ესთერის გულებში ვიცოცხლებ. იქ იქნება ჩემი საფლავი... კიდევ მშვიდობით!.. უკანასკნელად გემშვიდობება შენი გიცა.

მენახემი და ესთერი ცრემლებს აფრქვევდნენ. ყველაფერი ძველებურად დარჩენილიყო. შადრევნიდან მოსჩქეფდა წყალი,სახურავის ქვეშ ბეღურები ისევ ჟივჟივებდნენ,როგორც გუშინ და როგორც ხვალაც იჟივჟივებენ... ის კი... ის მკვდარი იყო.

☆☆☆

მას შემდეგ,რაც გიცა გარდაიცვალა,განვლო ორმა წელმა. მენახემმა თავის დასთან გადაიყვანა ესთერი საცხოვრებლად. მისი ოთახი ბაღს გადაჰყურებდა.იგი იწვა და ჩაფიქრებული უჭვრეტდა ამომავალი მთვარის შუქს,

სარკმლის წინ ვერცხლის ფოთლებზე რომ თრთოდა. შუაღამისა ბაღიდან ნაღვლიანი მუსიკის მსუბუქი ჰანგი შემოიჰარა. ესთერი სასწრაფოდ წამოიჭრა საწოლიდან და ფეხაკრეფით მივიდა სარკმელთან.სეეზის ჩრდილში შავი ლანდი იდგა.როცა თავი ასწია,მთვარის სხივი დაეცა სახეს.და... ო,სასწაულო! მან იცნო დედის აჩრდილი!

მთვარის შუქი სარკმელში ილვრებოდა და მარმარილოს იატაკზე გრძელ ზოლებად ეფინებოდა.ყველაფერი ისე ხჩანდა,როგორც დღისით.

ესთერი ბნელ კუთხეში დადგა. რომ მივიდეს, რა იქნება ამაში ცუდი? მივიდეს ახლოს და ერთხელ კიდევ შეხედოს სახეში მშობელს;შეიძლება,მან ვეღარასოდეს ვერ ნახოს დედა. ის შეუმჩნევლად გაუვლის გვერდით და შეხედავს მხოლოდ ერთხელ,შემდეგ კი წავა უკან,დაუბრუნდება თავის საწოლს.

ესთერი სვეცების ჩრდილს გაჰყვა,ფრთხილად მიუახლოვდა აივნის მოაჯირს და ერთი წამით შეჩერდა. სუნთქვა შეაჩერა და სიბნელეში კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

– ჩემო საბრალო შვილო,ოჰ ღმერთო ჩემო! ჩემო საბრალო შვილო!...

ამ ჩურჩულში იმდენად უსაზღვრო სასოწარკვეთილება გამოსჭვიოდა,რომ ესთერი უნებურად შეკრთა.შემდეგ გაიგონა ღრმა,მძიმე,უცრემლო ქვითინი და დაინახა,რომ დედის აჩრდილმა დაიწყო ხელების მცვრევა,როგორც სულიერი ცკივილებით გაწამებულმა ადამიანმა.

– დედა! – სასოწარკვეთით შესძახა ესთერმა.

სივრცეში გაბნეულმა და მძიმედ ჩამქვდარმა საკუთარმა ხმის ბგერამ მთელი მისი არსება რაღაც მისციკური საშინელებით აავსო. ის იდგა უძრავად,ფართოდ გაღე

ბული თვალებით,რომლებიც სავსე იყო სიკვდილის საშინე ლებით. ესთერს არ შეეძლო იმის თქმა,თუ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს სიჩუმე. შეიძლება ეს იყო მხოლოდ წ უთი,ან შეიძლება მთელი საუკუნე. უცბად გონს მოვიდა. ესთერმა ისე დაიწყო რხევა,თითქოს წაქცევას აპირებდა, ხოლო მისი ტუჩები მოძრაობდნენ,თუმცა არც ერთ სიტყვ- ას არ ამბობდნენ.

- დედა, - გაისმა ბოლოს ნელი ჩურჩული, - მართლა შენ ხარ? დაბრუნდი?.. მკვდრეთით აღსდექი?

- გაჩუმდი,ესთერ! რა საჭიროა ახლა მაგაზე ლაპარა კი? ჩვენ ვიპოვეთ ერთმანეთი და გარშემო განათდა.ჩე- მო საცოდავო ბავშვო,როგორ გაწამებულხარ... რა საშინ ლად შეწუხებულხარ. შენ ისე გამოიყურები,თითქოს ტან- ჯვის ოკეანე გამოგევლოს. ჩემო ძვირფასო ბავშვო,შენ- თან მოვედ რათა გამცნო,რომ ჩემს მიერ შენთვის აღვლე ნილმა მგზნებარე ლოცვებმა ღვთის საზრდანებელს მიაღ წია და ამიერიდან შენი ცხოვრება ბედნიერების ხხივით გაბრწყინდება.დარწმუნებული იყავი,რომ ჩემი ლოცვა და ფიქრები მხოლოდ შენ გეკუთვნის.

- დედა! - გამწარებით დაიყვირა ესთერმა,როცა ნა- ხა რომ მშობლის აჩრდილი გამქრალიყო.იგი ქვითინებდა და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა.

იქაურობას კვლავ დანათოდა ქათქათა მთვარე,მაგრამ ღამეული მნათობი უკვე ჰორიზონტისაკენ გადაიხარა და სამხრეთიდან მოსაზღვრე კლდეები მიდამოს ფენდა რამდე ნიმე იარღის სიგრძის ჩრდილებს.

დაუსრულებელი გრძელი ღამის შემდეგ დადგა დილის რ იჟრაჟი,შემდეგ გათენდა,სინათლე შემოიჭრა ფარდებიდან, ესთერი წამოდგა,ბაღში გავიდა,გუბურის ნაპირას გაისე ირნა და ოცნებას მიეცა... თავის ფიქრებში მენახემის

გამოხახულებას მგზნებარე სიტყვებით მიმართავდა.აღტაცებული იყო მისი ვაჟკაცობითა და ბუნების სისპეტაკით. მას უძღვნიდა სახოტბო სიტყვებს,რომლებსაც,ალბათ,მენახემს პირადად ვერასოდეს ვერ გაუბედავდა,თან წითლდებოდა და სცხვენოდა.

ესთერს გაახსენდა,როგორ შეხვდა მენახემს ყაჩაღთა გამოქვაბულში და როგორ გახედა მისმა მხსნელმა მ წყალობელი,კეთილი თვალით ესთერს.სასიამოვნო შეგრძნებამ მოიცვა,სცადა ამ შეგრძნების შენარჩუნება.

უცებ ზურგსუკან ფეხის ნაბიჯების ხმა გაისმა.ესთერი მობრუნდა და... გაკვირვებისაგან ელდა ეცა.როგორც განათებულ სარკეში არეკლილი,იდგა ახალგაზრდა,მომხიბლავი მენახემი და მოელვარე თვალებით შესცქეროდა ესთერს.

მენახემს ეცვა ისეთი ქსოვილისაგან შეკერილი ტან საცმელი,რომელიც ფერს იცვლიდა სხეულის ყოველ შერხევაზე. მენახემს თითქოს ცეცხლის ალივით ეხვეოდა თხელი მუქი. თმაც ალივით ღელავდა მის თავზე და მუქის შარავანდედი ევლო გარს.

ესთერი თვალმოუცილებლად შესცქეროდა მენახემს,თვალებიდან თვალებში გაება ორი უხილავი სხივი და დაპქროდა ამ სხივებში ცბიერმა,შიშისა და სანეტარო გაოცების ჟრუანტელმა.

ორი თვალი,ორი მნათობივით ენთო ესთერის სახეზე,ხან თითქოს საშინელი მწუხარებისა და ხან უნაპირო ხ იხარულის გამომხატველი თვალები ფერს იცვლიდა ქალწულის უცნაურ,ნამიან წამწამებში.

ესთერმა გაიღიმა.მენახემს გულში თითქოს ანთებული ჩირაღდანი ჩაუსვენესო. მან გუშინ ბევრი იმუშავა გო ნებრივად და მისი ვაჟკაცური ჯანით სავსე ტვინი კმა-

ყოფილი იყო. როგორც ჯანსაღი ბავშვისათვის მოძრაობა და განუწყვეტელი ფუსფუსი საამური მოთხოვნილებაა,ისე მენახემისათვის მოზღვავებული ენერგიის დაუცხრომელი ხარჯვა წარმოადგენდა აუცილებელ სციქიას,რომლითაც იგი სუნთქავდა,როგორც ჰაერით.

ღღესაც ჩვეულებრივი გაცავებით უცრიალებდა თავის საყვარელ საქმეს,მაგრამ თითქოს რაღაც ახალი მიემატა მის მუდმივ აღფრთოვანებას.სადღაც,გულის მივარდნილ კუნჭულში იდგა ანთებული სარკე,საიდანაც ელავდა ქალწულის მომაჯადოებელი მშვენება.გაცხარებულ საქმიანობაში,მწვავე კამათის თუ დინჯი გააზრების დროს,მენახემის შინაგანი ჭვრეტის თვალი განუწყვეტლივ ჩახცქეროდა ესთერის შინაგან,მოელვარე სამყაროს და გადაჰქონდა ქვეშემეცნების ფარულ არეში გაოცების,სიყვარულისა და იმედის უხილავი ფრთები.

ღღევანდელი მოჩვენებითი სიმშვიდე და გარეგანი თავდაჭერილობა დაფხრიწა მოულოდნელმა გაელვებამ და სუ ლიერი წონასწორობა დაარღვია. იგი კვლავ შეიპყრო მოელვარე მოლოდინის მოუსვენარმა გრძნობამ და გულმა სიხხლის ნაცვლად ცეცხლის ალით გაუბერა ძარღვები.

მენახემი თანდათან ნებდებოდა აუცანელი აღცყინების ძლევამოსილ ქარიშხალს. ზებუნებრივმა ძალამ თით - ქოს ერთი დაკვრით ასცყორცნა იგი ცაში და ესთერთან გ ადმოაფრინა...

გიცას გარდაცვალების შემდეგ ფარული და აღალი გრძნობა აღიძრა მათ შორის. ეს დიდი გრძნობა ესთერმა ა დვილად გამოიცნო. სიამაყე და სიხარული განიცადა,რაკი მენახემის გულში მისი მიზეზით ღრმა სიყვარულმა გ აიღვიძა. მისაღმი ცრფობა მენახემის გამოხედვაში,სიც ყვებში,მოქმედებაში აღბეჭდილიყო.მათი მზერა ნაზი ი-

ყო და მორცხვი,ვით ნაკადულზე მონანავე ცისფერი მრო·
მანი. მათ მიერ უნეზლიეთ ნამოცდენილი სიცყვეზი ზაღ·
ზამის სურნელეზას ედრეზოდა. ხოლო სევდა სავერდოვანი
სავსივით სათუთი იყო. ეს გახლდათ ორი მშვენიერი სუ·
ლის ყვავილი,მდიდარ,ნოყიერ,გამძლე ნიადაგზე აღმოცე·
ნეზული.ესთერმა უკვე მრავალგზის გამოიცნო ამ სისუს·
ცეში მიმალული ძალა და უაღრესად მადლიერიც იყო იმის
გამო,რის გამოთქმასაც მენასემი ვერ ზედავდა.სულ პა·
ნანა ზიძგს შეეძლო მათი სულეზის უფრო მჭიდროდ შეკა;
შირეზა.

და ეს იყო ერთ-ერთი ის იშვიათი ნუთი ადამიანის ც
სოვრეზაში,როდესაც მთელი ძალეზი ნეცარეზით დაძაზულა
ყოველი სიმი ამოძრავეზულა და მთელი ხმით აჟღერეზუ
ლა.

ესთერი სიმორცხვის ნამეზას გრძნოზდა და დუმილით
ნეცარეზას მისცემოდა.

როცა ესთერი ნასვლას აპირეზდა,მენასემმა მას უთ·
ხრა:

- მსურს ვთქვა,რომ ის,ვინც სიმშვენიერეს მიახლო·
ეზია,ვისაც მოსვედრია სხივი ამ დიადი მნათოზელისა ‹
ის ცხოვრეზას აზრი ჰქონია,ხოლო მის შუქს თუ ველარ ‹
აუღნევია სულამდის,ყოფნა მხოლოდ სულდგმა ყოფილა და
არა ცხოვრეზა.ზედის სიმნარემ მე ორი ნლის ნინ განმა
შორა ახეთ მშვენიერეზას,გიცას სასიერეზით.ახლა კი
მე იქ მოვსულვარ,რასაც გავურივარ დიდი სანია.მე შე·
ნში ვპოვე მშვენიერეზა... ნუ დამილევ მის შუქს,ნუ გ
ამიქრობ უნარს მისი განცდისას,ნუ დამიშრიცავ ძალას
აღცავეზისას!.. სელს გთხოვ,იყავი ჩემი შვილეზის დე·
და!..

ესთერმა ალერსიანი სიცყვით გადალახა შექმნილი მ-

დგომარეობის სიმწელე.ეს იყო სიყვარულის პირველი სა-
ჩუქარი ესთერისათვის.

შეიქმნა ჟამი სისარულისა და ულრუბლო ბედნიერები-
სა მენასემისა და ესთერისათვის.მშვენიერი ასულის სე
ვდიანი სახე იმედით განათებულმა,მხიარულმა გამომეტ-
ყველებამ შეცვალა,ხედავდა,რომ ზემოთ მისი ვარსკვლა-
ვი აკაშკაშდა.იცნებობდა მომავალ,თვალწარმტაც ცხოვრე
ბაზე,რომელიც თორის პრინციპებზე აიგებოდა.

სის კენწეროებიდან მენასემსა და ესთერს თითქოს ჭ
იკჭიკით ულოცავდნენ ჩიტები მომავალ ბედნიერებას,მა-
თთვის ანცობდნენ ციყვები და იფურჩქნებოდნენ ყვავილე
ბი. ჩამავალი მზის შუქი მოოქრულ ისრებს მათთვის აცუ
რებდა ფოთლებში,რომელნიც ხშირედ მათ ახლოს ეცემოდ -
ნენ;მათ მოსალოცად გზავნიდა ბუნება დაფნისა და ფის-
ის სურნელებით გაჟღენთილ ცელქ ნიავს.

შაბათის საღამო ახლოვდებოდა,მენასემმა სთხოვა ე-
სთერს სანთლები აენთო. სანთლების შუქმა გაანათა დარ
ბაზში ჩამოწოლილი შაბათ-საღამოს ბინდი. მენასემი გა
ნუმარტავდა ესთერს: უფალმა თავის ხალხს მეშვიდე დღე
მიანიჭა დასვენების დღედ,რათა ისრაელს,სხვა ხალხისა
გან გამორჩეულს,ამ ერთ დღეს უბედურების ჟამსაც კი თ
ავისუფლად ეგრძნო თავი.საქმიანი მენასემი ჭეშმარიტ-
ად ზეიმობდა შაბათს, იგი ივიწყებდა საქმეებს და გა-
ხარებული იყო,რომ მისი ხალხი და თვით მენასემი- ღვ-
თის რჩეულები იყვნენ. ნამდვილად საზეიმო საღამო ი-
ყო.მენასემმა იგალობა შაბათის სიმღერა: „მოდი,საყვ-
ვარო,მოდი შაბათის დღეო და შეხვდი სასძლოს".

საშაბათო ვახშმობის დროს მენასემმა თავის დას სა
ზეიმო ვითარებაში შეატყობინა,რომ ესთერს ხელი სთხო-
ვა და თანხმობაც მიიღო. სიხარულით აღფრთოვანებულმა

მენახემის დამ შესძახა:..

- დიდება ყოვლადძლიერ უფალს! - მან თვალები ზემოთ აღაპყრო,ღმერთს გასაბედნიერებელი წყვილის დალოცვას; შესთხოვდა.თავდავიწყებით ჩაბმულიყვნენ ისინი ოჯახურ საუბარში და წინასწარ ტკბებოდნენ ყოველგვარი მოსალოდნელი ბედნიერებით.ქორწინების დღედ ფურიმის დღესასწაული დაინიშნა - ადარის თვის მეთოთხმეტე დღე. შუაღამე გადასულიყო,როცა მენახემის დამ ესთერი თავის საწოლ ოთახთან მიაცილა.მას ხომ სურდა ამ საღამოს დასასრული არა ჰქონოდა!

მენახემმა ეს ბედნიერი შაბათი დის ოჯახში რომ გაატარა,კვირა დილით თავის ჩვეულებრივ საქმიანობას შეუდგა და აღივსო ქორწინების დღის მოლოდინის სიტკბოებით.

ადარის თვის საზეიმო დღეები დადგა.თოთხმეტი ადარი ორი წმინდა არსების შეუღლებას მოასწავებდა.მათ გულებს თბილ მალამოდ ეფინებოდა „ქებათა ქების" უკვდავი სიტყვები: „რამეთუ ძლიერს არს სიყვარული,ვითარც სიკვდილი... ფიცხელია,ვითარც შური ჯოჯოხეთისა,ფრთემისა,ფრთე ცეცხლისა ალისა. არ ძალუძს წყალსა მრავალსა დაშრეტად სიყვარულისა,და მდინარე ვერ წარღვნის მას".

ადარის სადღესასწაულო დღეები იდგა.და აი,გათენდა ადარის მეთოთხმეტე დილა,მომასწავებელი ორი წმინდა არსების შეუღლებისა.

ქალაქ ვილნის მთელი ებრაული თემი მენახემისა და ესთერის ქორწინებისათვის ემზადებოდა.

მენახემის სახლის ორნამენტებით შემკული ფასადი,გამვლელთა ყურადღებას იპყრობდა.შიგნით თვალისმომჭრელი სიმდიდრე იყო,მთავარ კიბეს მოვარაყებულ დარბაზში

აჰყავდით,რომელიც სამეფო დარბაზს წააგავდა ბრწყინვალებით.უამრავი ხალხი მოედინებოდა ყოველი მხრიდან მენახემისა და ესთერის ქორწინებაზე დასასწრებად.

მშვენიერი ღამე იყო; ცა ვარსკვლავებს მოეკირწყლა, რომლებიც წყალში,როგორც სარკეში კამკამებდნენ.ტკბილი რამ იყო სიცოცხლე ამისთანა მადლიან ღამეს.

☆☆☆

დიდებული ეტლი მიაქროლებდა ბედნიერებით აღსავსე ახალდაქორწინებულ წყვილს - მენახემსა და ესთერს შვეიცარიის ქალაქ ვივეს თვალწარმტაც ხეობისაკენ. ისინი მდინარის სანაპიროზე გავიდნენ,და მათ იგრძნეს გრილი სუნთქვა დიდი მდინარისა; მის ვერცხლისფერ ზედაპირზე დაისის მეწამული სხივები ირეკლებოდა.

ახლოვდებოდა მთვარის მოვანების ჟამი,როცა ღამის მნათობი კიდევ უფრო მშვენიერი ხდება. სასწაულებრივი ძალა შესწევთ მის სხივებს.მთელი სამყარო ეხვევა მათ შუქში და როგორც რძეში,ისე ბანაობს. ყველაფერი წმიდად მოჩანს მაშინ.მთვარის შუქზე ქალწული ზეცას სტაცებენ მშვენებას.

დაჰქროლა ნიავმა და თან სიგრილე და სიმშვიდე მოიტანა. თრთიან ფოთლები,შევერცხლისფერდნენ ხეთა კენწეროები. აბა ვინ მოარიდებს თავს ღამის მომხიბლავ მდუმარებას?! ალმასებივით ბრწყინავენ ხის ფოთლები.ზეცას რძისფერი გადაჰკვრია. ასეთ ღამეში ღელვა ეუფლება სულს,გული ღელავს და ისწრაფვის შეუერთდეს თავისსავით მხურვალე გულს.

ესთერმა ალერსიანად შეხედა მენახემს,ტუჩებზე ღიმი აუთრთოლდა და წამსვე შეეყინა.ორივენი დუმდნენ და ერთმანეთს თვალს არ აშორებდნენ.ეს დუმილი ჰგავდა უ-

ძირო ოკეანეს,რომელშიც თანდათან ინთქმებოდნენ.თითქ-
ოს ელოდნენ,რომ იქ,სიღრმეში,იპოვიდნენ ჯადოსნურ მა-
გალიტს,რომელიც მთელ ნაღველს,მთელ შხამს ცხოვრების-
ას სიყვარულად და აღერსად აქცევდა.

ეტლი,საოცრად ლურჯი ტბის პირას მდებარე,განსაკუთ
რებით კეთილმოწყობილ სასტუმროს უახლოვდებოდა,რომელ-
იც საგრძნობლად გამოირჩეოდა ფუფუნებითა და სიდარბა-
ისლით.ახალდაქორწინებულნი ამ სასტუმროში რამდენიმე
დღეს დაჰყოფდნენ,ხოლო შემდეგ იტალიის დედაქალაქ რო-
მისაკენ გაემგზავრებოდნენ,ისტორიული ძეგლების მოსა-
ნახულებლად.

როცა ეტლი გაჩერდა მენახემი ჩამოსვლაში მიეშველა
ესთერს.შეიგრძნო თუ არა მისი ლონიერი ხელების სითბო,
წამიერმა შეგრძნებამ მღელვარებით აღავსო მისი გული.
ესთერმა თვალი მოავლო თვალწარმტაცი ტბის ზედაპირს,ს
ადაც მოელვარე მთვარის სხივები სინათლის ლაპლაპა ბი
ლიკს ქმნიდა.

- მშვენიერი ღამეა! - წარმოთქვა ესთერმა. - ჰაე-
რი თბილია და გრილი,ყვავილები სურნელს აფრქვევენ,ცა
თვალწარმტაცია.

- ყოველივე გულს ეხმატკბილება, - უპასუხა მენახ-
ემმა. იგი ცდილობდა,ადამიანისათვის უსაზღვროდ სასი-
ამოვნო პეიზაჟის უცნაურობაში,ჰაერის გამჭვირვალობა-
ში,მიწის სურნელებაში აღმოეჩინა მათ სულში დასადგუ-
რებული პოეზია.

- მოდი,აი,იქ,ტბის პირას ჩამოვსხდეთ,-თქვა ესთე-
რმა და მეუღლეს მკლავში ხელი მოკიდა. - მოდი,ვისუნ-
თქოთ ღამის ჰაერით,დავტკბეთ ტბაზე მოციმციმე მთვარ-
ის სხივთა მზერით. აღვიქვათ ბუნება,რომლის წიაღში,
თითქოს,ყოველ საგანს წარწერილი აქვს ჩვენი ბედნიერე

ბა,სიყვარულით გაცისკროვნებული.ეს არის ჟამი უღრუბლო სიხარულისა,რომელიც ღმერთმა სულიერი წამების შემდეგ მარგუნა!

ამ ღამეს ესთერს დაუსრულებლად უნდოდა ესეირნა.მან უცებ წარმოიდგინა,რა სასიამოვნო იქნებოდა მენახემთან ერთად ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ მსუბუქი ნავით გასეირნება.

- არ გსურს ნავით გასეირნება?!- გამოეხმაურა ესთერი მენახემს.

- ახლა? - შეეკითხა მენახემი.

- რა თქმა უნდა - მხიარულად მიუგო ესთერმა და განაგრძო. - ამბობენ,ნავით შილიონის ისტორიულ ციხე - დარბაზთან შეიძლება მისვლაო. - არწმუნებდა ესთერი მეუღლეს და სახეზე ღიმილი უკრთოდა,თვალები უციმციმებდა.

- ნავები ნაპირთანაა. - თქვა ესთერმა და მენახემს საფეხურებზე მიუთითა,რომლებიც ბაღიდან ნაპირისაკენ ეშვებოდნენ. - მე ხელზე დაგეყრდნობი,ჩავალთ და ნავს შევარჩევთ.

- რა მშვენიერი ნათქვამია! - შესძახა მენახემმა.

აღსრულება უფრო მშვენიერი იქნება - უპასუხა ესთერმა.

- დარწმუნებული ვარ - თქვა მენახემმა,მაგრამ ადგილიდან არ იძვროდა; განზე იდგა და იღიმებოდა.

- არა,ესთერ,ასე გვიან ნავით სეირნობას არ გირჩევ. - არწმუნებდა მენახემი. - თუმცა შილიონის ისტორიული ციხე-სიმაგრე ნახვის ღირსია.ჩვენ,დიდებული შილიონისაკენ ნავით ხვალ გავისეირნებთ! - თქვა მენახემმა. იგი ნაზ ხელში სწვდა ესთერს და მიუალერსა. მხურვალე შეხებაში ელვაა ჩამალული - ზოგჯერ იგი ერთ-

მანეთისაგან განიზიდავს ადამიანებს,მაგრამ უფრო ხში რად მალუმალ იზიდავს ერთურთისაკენ და მაშინ თვით ხ-იკვლილსაც კი აღარ შეხწევს მალა მათი დაშორიშორებისა.

აღრიანი დილა იდგა. ესთერმა და მენახემმა მხუზუ-ქად ამოირბინეს სასტუმროს კიბე.ესთერი ლამაზი ხხეულით ქოლგას ეკვროდა და თან ხელთათმნის ლილებს იზნევდა.მის ჩაცმულობას უმკაცრესი შემფასებელიც კი ვერ უპოვნიდა ნაკლს.მენახემი გრძნობდა,რომ ესთერი საუცხოოდ გამოიყურებოდა და მაშინვე წარმოიდგინა მომავალი მოგზაურობის მთელი რომანტიკა.

ისინი ლურჯი ტბისაკენ გაემართნენ.ირგვლივ ყვავილები იყო მიმოფანტული,აფრქვევდნენ სურნელს,ისევ ნორჩი ჰქონდათ ფურცლები.ხეთა ფოთლებში მზის შუქი აცანდა,ყველაფერი უზარმაზარი და ბრწყინვალე ჩანდა. წყალზე საამური,გრილი ნიავი ქროდა.ნავით მგზავრობა დიდხანს არ გაგრძელებულა,მაგრამ ესთერს ისეთი მახვილი თვალი აღმოაჩნდა,რომ მენახემი მისი შენიშვნების მოხმენას ვერ აუდიოდა. მენახემი იღიმებოდა და თვალს ვ-ერ აშორებდა ესთერს,რომელიც ნავში გაუნძრევლად იჯდა და მენახემს თავის შთაბეჭდილებებზე მოუთხრობდა.

- ასე კარგად ჩემს სიცოცხლეში არ მიგვრძნია თავი, - ჩასჩურჩულებდა ესთერი საყვარელ მეუღლეს.

დიახ,იშვიათია ცხოვრებაში ამგვარი წამები,მაგრამ ისინი მარადიულ წყურვილს უკლავენ გულებს...

როცა ნაპირზე გადმოსხდნენ და ციხე-დარბაზში შევიდნენ,ესთერი მიწისქვეშა თაღებს აკვირდებოდა და კაზ-ის შრიალით მიჰყვებოდა ხრახნილ კიბეებს,თან აღტაცებულ შეძახილებს ისროდა.საიდუმლო ოთახს თუ წააწყდებოდა,შიგ შესვლა ეშინოდა და მენახემის ახსნა-განმარტე

მას ყურადღებით ისმენდა.მენახემი ცხადად ხედავდა,რომ მილიონის ციხე-დარბაზის იდუმალმა წარსულმა მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

მიმწუხრის რუხი ჩრდილები წვებოდნენ და საამო სიგრილეს ჰფენდნენ არემარეს,როცა მენახემი და ესთერი მილიონის ციხე-დარბაზიდან დაბრუნდნენ.ესთერი მოგზაურის შესანიშნავ თვისებებს ამჟღავნებდა.შვეიცარიაში ჩამოსვლამდე მან დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები შემოიარა,მაგრამ დაღლილობა ვერ ჰკლავდა მასში მგზავრობის წყურვილს.

ესთერისა და მენახემის საწოლ ოთახში მთვარის შუქი ატანდა.თანდათან უფრო კაშკაშებდა მთვარე და ისინი მის სხივთა ტბაში ბანაობდნენ.

მაინც რა არის ის ნაპერწკალი,ყოველ გულში რომ დაუშრეტელ ცეცხლს აღანთებს? მენახემის ბაგენი შეთრთოლდნენ,და ღამის მდუმარებაში წარმოთქვეს:

„აჰ მთვარევ! მშვენიერია,მაგრამ ცივია შენი ნათელი. ვითარც მტვერი ალმასის გვერდით,ისე მოჩანს შენი შუქი ესთერის სხივმფინარ თვალთა წინაშე!"

გამთენიის ხანს გუბურებში თვალს ახელდნენ ლოტოსები,ესთერი ნელ-ნელა მიჰყვებოდა სასტუმროს ბაღის ბილიკს.სურნელებით გაჟღენთილ დილას სიმშვიდე მოჰქონდა.გუშინდელი დაღლილობა ჯერ კიდევ ჩაბუდებული ჰქონდა სხეულში,მაგრამ ყოველ ფეხის გადადგმაზე ტოვებდა მას.

უკნიდან ფრთხილი ფეხის ხმა მოესმა.მენახემი იყო.

- შესანიშნავი დილაა,დიდებულო, - უთხრა ესთერმა მენახემს,გეგონება კარგა ხანია,რაც დინჯად საუბრობენო. - რა მშვენიერია ბუნების გამოღვიძება!

აღტაცებით,ალერსიანად უმზერდა და ესაუბრებოდა მ-

ენახემი ესთერს! მის ხმაში იგრძნობოდა უდიდესი ზრუნ
ვა ესთერისადმი,რაც მას აამაყებდა და ათრთოლებდა.
  ისინი გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ გლუვ ქვის ხკამზე.
მენახემი ესთერს ებრაელთა რწმენის დიდებაზე ესაუბრე
ბოდა და საკუთარი გრძნობით ათბობდა სიტყვებს,რომლე-
ბითაც ებრაელი მეცნიერები და პოეტები ცდილობდნენ დ-
აემტკიცებინათ ებრაული მსოფლმხედველობის უპირატესო-
ბა წარმართთა ფილოსოფიასა და ქრისტიანთა მოძღვრება-
ზე. წარმართ არისტოტელეს მოძღვრება მხოლოდ გონებას
ასაზრდოებს,მაშინ,როცა ებრაელთა სიბრძნე არა მარტო
გონების მოთხოვნილებას აკმაყოფილებს,არამედ გრძნო-
ბასაც,იგი არა მარტო აზრებს აყენებს ჭეშმარიტების ფ
ართო გზაზე,არამედ თვით ადამიანის მოქმედებასაც.
  მენახემი გატაცებით უყვებოდა ესთერს ებრაული პო-
ეზიის ბრწყინვალებაზე - რაბი იეჰუდა ჰალევიზე,რომელ
მაც მოძღვრება შესანიშნავ ლექსში გადაიტანა.მან დაწ
ვრილებით მოუთხრო ესთერს რაბი ი. ჰალევის მიერ დაწე
რილი ებრაელთა აპოლოგია და წაუკითხა მისი ერთ-ერთი
სიმღერა „სიონზე": „ო,სიონო,მეფურო თავშესაფარო! ფ-
რთაშესხმული რომ ვიყო,შენსკენ გამოვფრინდები,მოკრძა
ლებითა და ნეტარებით ვემთხვეოდი შენს მტვერს,რად -
გან შენი მტვერი ბალზამივით სურნელოვანია და განა შ
ემიძლია სიცოცხლე,როცა ძაღლები გლეჯენ შენს მკვდარ
ლომებს? ო,უფლისსხივმოსილო სამყოფელო,მდაბიონი და მ
ონები როგორ უხამსად იქცევიან ახლა შენ ტახტზე!" და
სწორედ ამ რაბი ი. ჰალევიმ,მოხუცმა,უდიდესი გაჭირვე
ბით გამოიარა მთელი გზა წმიდა მიწამდე და წმიდა ქა-
ლაქის,იერუშალაიმის კარებთან მუსლიმანმა რაინდმა მ-
ოკლა იგი.
  ესთერის თვალნი ცრემლით აღივსნენ. მას პირველად

ესმოდა სიცყვები,რომლებიც ბედნიერებას ანიჭებენ ემ
რაელ ქალს.ესთერი შეხვდა იმას,ვისაც დიდი ხანია ე-
ლოდა,ვინც ესოდენ სჭირდებოდა.

დაღამდა.მთვარის მკრთალი ნათელი მოეფინა ზეცას.
აციმციმდნენ ვარსკვლავები. ქუჩრი ჩრდილები გაწვნენ
მიწაზე. ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა.მენახემმა ნა-
ზად გადაუსვა თმაზე ხელი ესთერს და უთხრა:

– დაღლილი ხარ,ესთერ! დაიძინე!

აღელვებული და ბედნიერი ესთერი დუმდა.მენახემმა
ფრთხილად დააწვინა ლოგინზე და გვერდით მიუჯდა.ესთ-
ერმა ხელებში ჩაიდო მისი ხელი,დიდხანს შესცქეროდა
სახეში და თვალს ვერ აშორებდა.მენახემმა გაუღიმა,თ
ითებით დაუხუჭა თვალები და თმაზე ხელი გადაუსვა.

ესთერმა დაინახა გრძელი გზა.მას მრავალი ნაკ
ვალევი აჩნდა,მაგრამ ირგვლივ არავინ იყო.მხოლოდ სად
ღაც შორს ისმოდა ნარნარი სიმღერა.ნაკვალევი მიემარ-
თებოდა მხოლოდ ერთი მხრისაკენ – იქ,ამწვანებულ შორ-
ეთში... გრილი ნიავი მოქრის,სურნელება მოაქვს...

...აი,ესთერი გზაზე მიდის.ღამეა,მთვარე ამოვიდა.უ
ცებ მოეჩვენა,რომ ცის თაღზე ორი მთვარე მოცურავს სწ
რაფად. დააკვირდა. არა,მთვარე ერთია.და ცაზე გამალე
ბით მიჰქრიან ღრუბლები...

მთვარის შუქით განათებულ გზაზე ესთერი ეკალს ხე-
დავს. სურს მოწყვიტოს,მაგრამ ეძნელება.ბოლოს ეკალი
ხელთ იგდო. ესთერი ათვალიერებს,მაგრამ უცებ მთვარე
მიიმალა. ესთერმა ეკალი გადააგდო. ღრუბლებმა დაფარ-
ეს ცა.ქარიშხალი ახლოვდება. ესთერი გარბის... ელვამ
გაანათა ცა,გავარდა მეხი.ესთერის წინ სახადაფჩენილი
საზარელი მხეცი ეცემა დამარცხებული.შეშინებულმა ეს-
თერმა შეჰყვირა...

მენახემი ალერსით უსვამს თავზე ხელს და თანდათა-ნობით ეკითხება: - რა დაგემართა?

ესთერი ცახცახებს. ცანზე ცივი ოფლი დაასხა.მენა-ხემს რომ შეხედა ქალმა,შვებით ამოისუნთქა და მეუღლ-ეს სუსტი ხმით უთხრა: - ო,მენახემ,რა საშინელი სიზ-მარი ვნახე,მხეცი მიპირებდა შეჭმას...

მენახემი ამშვიდებდა მეუღლეს. - ნუ გეშინია,ესთ-ერ,მე აქა ვარ,შენთან.წინათ შენ არ იყავი ასე სუს-ტი...

- არა ძვირფასო,მე არასდროს არ ვყოფილვარ ასე ძ-ლიერი. მაგრამ ვფიქრობ,რომ ეს სიზმარი რაღაც ავისა და საშინელების მაუწყებელია,რასაც დავძლევთ ღვთის წ ყალობით,თვით სიზმარის შინაარსიდან გამომდინარე.

ესთერი თანდათანობით გამოდიოდა კოშმარული სიზმრის მდგომარეობიდან.მან გაიღიმა.მენახემი შუბლზე ჩამოყ-რილ კულულებს უსწორებდა მას.ესთერი განაგრძობდა. - სიზმარში წყვდიადი იყო. მხოლოდ დროდადრო ანათებდა მ თვარე გზას... მთვარე ალბათ შენა ხარ... ეკლის მოწ-ყვეტა სიძნელეთა გადალახვაა... ელვა ანათებს...ჩვენ ვიმარჯვებთ...

მთვარე ასრულებდა თავის გზას ცაზე.

- იძინე,ესთერ! - ალერსით უთხრა მენახემმა.

- არა,მსურს მთელ ღამეს გიყურო შენ... აი,ასე,სარ ზი თვალებით... დუმილით...

მენახემს გაუხარდა,თითქოს ამ სიტყვის თქმაზე გაი-ფანტა ღრუბელი,რომელიც მთის მწვერვალს ფარავდა,და მ-ასზე კვლავ აელვარებდა მზის სხივებს.

☆☆☆

მიუხედავად კოშმარული სიზმრისა,ესთერს მთელი ღამე კარგად ეძინა და დილით ხალისიან გუნებაზე ადგა. სჯეროდა,რომ წუხანდელი სულიერი მღელვარება ძლეულ იქნა და სხეულში უკვე გრძნობდა მომავალ ბრძოლათა მომავალ სიხარულს.

თითქოს ბინდი შემოეცალა მოჯადოებულ თვალებს და მცანჯველ მოჩვენებათა შემდეგ პირველად დაინახა გარემო ქვეყანა ჩვეულებრივ სინათლეში.

მენახემი ესთერთან ერთად ზის ღია ფანჯარასთან სიხარულით გაცისკროვნებული.

ფანჯრიდან მოჩანს კვიპაროსის კენწერო და ულრუბლო რბილი ცა.

მენახემს ათრობს ესთერის ცხელი სუნთქვა და შესცქერის მის ანთებულ თვალებს.

ესთერი თავის ალისფერ ტუჩებიდან სასიყვარულო სიტყვებს ღვრის და მისი ოცნებით ანთებული თავი ყვავილივით დამძიმებულ ყლორტსავით იხრება მეუღლის მხარზე დასაყრდნობად!.. თითქოს სადღაც შთაინთქა ეს ორი მოსიყვარულე არსება,-ირგვლივ არაფერი არ არსებობდა ესთერისა და მენახემის გარდა.გაოცებით ემორჩილებოდნენ ამ ახალ,ჯერ განუცდელ გრძნობას.აი, ეს იყო ნამდვილი სიცოცხლე,დღემდე არ უცხოვრიათ თურმე,მხოლოდ თვლემდნენ.

სულ რამდენიმე დღემ განვლო,მათ კი ასე ეგონათ,შვეიცარიაში მთელი სიცოცხლე გავატარეთო.ისინი ერთფეროვნებას და მოწყენას არ გრძნობდნენ,პირიქით,დღეები მოკლედ ეჩვენებოდათ და ღამეებიც არ ყოფნიდათ,ჯერ კიდევ რამდენი საინტერესო უნდა მოეთხროთ ერთმანეთისათვის და რამდენი ახალი გასართობები და თავშესაქცევი ელოდათ მომავალში.

ახლოვდებოდა ახალდაქორწინებულ წყვილთა რომისაკენ

გამგზავრების დღე.ესთერი წინდაწინ სტკბებოდა იმ წარმოდგენით,რომ ფრთაგაშლილი თავისუფლად იფრიალებდა ბუნებასა და ისტორიული ძეგლების წიაღში.

რაც უფრო ახლოვდებოდა წასვლის მომენტი,მით ესთერს მოუსვენრობა ეტყობოდა;მენახემიც მოთმინებას ჰკარგავდა.

გათენდა საოცნებო დღეც. ქ. ვივეს დიდებულ სასტუმროს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ეტლი მოადგა,ერთი გაიჭრიალა და გაჩერდა.მეეტლე გადმოხტა.მენახემსა და ესთერს მყისვე შეატყობინა თავისი მოსვლა.

ჭიშკართან დოლი დაჰკრეს.წასვლის დროა.რომს გასამგზავრებლად მომზადებული ესთერი გაფურჩქნილ ყვავილს ჰგავს. თავზე კოხტად ვარცხნილი თმა ადგია გვირგვინად,მკერდი ბრწყინვალე სამოსში გამონაკვთია... მის ყოველ მოძრაობაზე მელოდიურად ეხმატკბილებიან ერთმანეთს მთრთოლვარე საყურენი.მომჯადოებნი არიან მისი დიდრონი,ქურციკისებრი თვალები.

ახალდაქორწინებულმა წყვილმა სწრაფად ჩამოირბინა სასტუმროს თეთრი მარმარილოს კიბეები.მენახემი და ესთერი ისე სწრაფად ავიდნენ ეტლზე,რომ მეეტლემ მათ ჩაცმულობასაც ვერ შეავლო თვალი.შოლტის მოქნევა,და ეტლი უკვე ქალაქში მიჰქრის.პაწაწინა ზარები წკარუნობდნენ განუწყვეტლად და ახალისებდნენ ცხენებს.რაც უფრო წინ მიიწევდნენ ეტლები,თვლები თითქო ეშხში მოდიოდნენ ზარების ხმაზე და მიჰქროდნენ.

ესთერი თვალს ვერ აშორებდა ახალ ადგილებს;ცხადად ატყობდა,რომ მაღლა მიიწევდნენ და ქალაქი თანდათან რჩებოდა ძირს.სულ უფრო მაღლა მიიწევდნენ.მენახემსა და ესთერს თვალწინ ეშლებოდათ,როგორც ხელისგულზე,მთელი ქალაქი,რომელიც მხურვალე მზეს ბუღში გაეხვია და

შენობების გავარვარებული სახურავები მაყურებელს თვალსა სჭრიდა,ზევით-ზევით მიმქროლავნი მგზავრები კი მსუბუქად,შვებით სუნთქავდნენ:

ბინდი წვებოდა რომის თავზე,თანდათან უფრო ემატებოდა სიცოცხლე დიდებულ ქალაქს.საღამოს სიგრილით გახალისებული მკვიდრნი ქალაქისა ყრიამულით მოსდებოდნენ ქუჩებს.კოხტად გამოწყობილი,მხრებზე შალმოგდებული ჭაბუკები ნელ-ნელა სეირნობდნენ და მშვენიერ ქალიშვილებთან მასლაათში კლავდნენ დროს.ნასევარწრედ შემოვლებული ოქროს ყელსაბამები ჩრდილს პფენდნენ ქალიშვილთა ნაზ,ბრინჯაოსფერ კანს,ხოლო მათს ყურებზე წკარუნობდნენ მძივები.

გზებს გრძელი რუხი ჩრდილები დასთამაშებდნენ.ცაზე ერთიმეორის მიყოლებით ინთებოდნენ ვარსკვლავები. ლამპართა ალის ენები ნიავის დაქროლებაზე იკლაკნებოდნენ ანდა ერთბაშად ირინდებოდნენ ღამის გუშაგთა მოელვარე მახვილებივით.

ქვაფენილზე თქარათქური გაისმა.ბრბო გაიფანტა.გამოჩნდა ეტლი,რომელიც რომის ყველაზე კომფორტაბელურ სასტუმროსთან გაჩერდა.ირგვლივ განცვიფრების შეძახილები ისმოდა.რა საუცხოოდაა მორთული ეტლი! მენახემი გადმოსვლაში მიეშველა ესთერს.ხალხი მათ გარს შემოერტყა.საუცხოო წყვილის მშვენიერებას ხალხი თვალს ვერ აშორებდა და კითხულობდა:

- ვინ არიან ეს დიდებულნი?

-დიდებული მენახემია მეუღლითურთ, - უპასუხა ვილაცამ.

მენახემს უკვე გაეთქვა სახელი რომში თავისი საფინანსო საქმეებით. და ამიტომ ამოიკითხავდით ცნობის წადილს ადგილობრივ მკვიდრთა თვალებში.

უეცრად ბრბოში კვერთხებით შეიარაღებულ მცველთა რაზმი შეიჭრა,წრე გაარღვია და სწრაფად გაფანტა ყველა. მარცხენა მხარზე თითოეულ მათგანს ფარი ეკიდა,ხელთ კი წვერბასრი გრძელი შუბი ეპყრა.

მცველებმა მენახემი და ესთერი დიდებული სასტუმროს ბაღისაკენ წაიყვანეს,რათა საამო სიგრილით დამტკბარიყვნენ. იქ მაცოცხლებელი სიო დანავარდობდა ხის ტოტებში.მიწა არც კი ჩანდა,ისე დაეფარა იგი ყვავილის მტვერს.ბალახის ღეროებზე ალმასივით ციმციმებდა ცვარი.ხასხასა მწვანე ფოთლებში თუთიყუშები ფუსფუსებდნენ.

ისინი შეჩერდნენ კიბესთან,რომელიც ხელოვნური ტბისაკენ ეშვებოდა. ესთერი მოიხიბლა გედების ჭვრეტით,ლოტოსებს შორის რომ დაცურავდნენ.

ყველგან ლამპრები აენთოთ.ყოველივე მზად იყო საზეიმო შეხვედრისათვის,რომელიც მენახემსა და ესთერს ეძღვნებოდა რომის ებრაული თემისაგან.

ქალაქის თავი აღფრთოვანებით შეეგება მენახემსა და ესთერს.მისალმების ნიშნად გაისმა სიმღერა,საზეიმო შეძახილები; ეს იშვიათი პატივი იყო თვით მდიდარი ბანკირისთვისაც კი!

ესთერმა გაიხარა გულთბილი შეხვედრით,დაიმორცხვა და წამოწითლდა,რამაც კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა იგი. დიდრონი თვალები ისე უკრთოდა,როგორც ელვა გაიკრთომარებს ხოლმე შავ ღრუბლებში.ყველაფერი ცოცხლობდა და იცვლებოდა ამ არსებაში,ისევე როგორც დაუსრულებლივ იცვლიან სახეს ცაზე მსრბოლი ღრუბლები.

საამო მელოდია დაირხა და ერთბაშად დაიმორჩილა ყველა.აღტაცებით ისმენდნენ მიმზიდველ ებრაულ ჰანგებს,წყლის აქოჩრილ ზედაპირზე ჩრდილთა თრთოლვას რომ ჰგავდა. ესთერს თვალები მიელულა და ერთთავად მისცემოდა

მეხიკახ

როცა მომღერლის ხმა მიწყდა,რომის ებრაული თემის თავმჯდომარემ ხაზეიმო კილოთი წარმოთქვა:

- პატივცემულო მოქალაქენო! ჩვენ გულითადად უნდა მივესალმოთ რომის სტუმრებს! დაე,ახეთი ებრაული პან გები მარად ყღერდნენ ჩვენს დიდი ქალაქში! ვისმენდი ამ სიმღერებს და თვალწინ მედგა ის მრავალხმოვანი გუნდი,რომელიც ბეთ-პამიკდაშში გალობდა.დიდი იყო მადლი მათი ხელოვნებისა! კეთილი იყოს თქვენი მოსვლა,ღვთის სახელით,ჩვენო სტუმარნო!

ხალხში აღიმართა ასობით ხელი.ხაზეიმო შეხვედრის მონაწილეთა შეძახილები გაისმოდა:

- დიდება ესთერს და მენახემს!

კეთილი იყოს თქვენი მოსვლა,ღვთის სახელით,ჩვენო სტუმარნო!

.მენახემმა ყველას მადლობა გადაუხადა ახეთი გულითადი მიღებისათვის და ესთერს შეხედა. სახეზე კეთილი ღიმილი დასთამაშებდა.

ხაზეიმო შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა,დიდებული სასტუმრო თითქოს საკმევლის სურნელოვან ცაღლებში ბანაობდა.მემუსიკენი კვლავ ათრთოლებდნენ საკრავთა სიმებს. ირგვლივ ირხეოდა ყურთასმენის დამატკბობელი პანგები.

საპატიო სტუმრები სასტუმროს მთავარ შესასვლელთან მიაცილეს,მათ კი თავიანთ ოთახს მიაშურეს.

შუაღამე გადასულიყო. ირგვლივ სიმშვიდე სუფევდა. რძისფერ ბუნებაში გახვეული მთვარე მკრთალ ნათელს ჰფენდა მძინარე ქალაქს.ლაპლაპებდნენ ლითონის მაღალი სახურავები.უზარმაზარი სასახლეები ბნელ ჩრდილებს ჰფენდნენ ქუჩას.

ისინი პირისპირ იყვნენ.მენახემის მზერა ესთერის თვალებისაკენ იყო მიპყრობილი.ქალმა თავი დახარა,მოკრძალების მხუზუქმა ჩრდილმა გადაურბინა ლოყებზე.ამან აალელვა მენახემი.

- ესთერ,შენ სამოთხე ხარ ამა ქვეყნისა! - აღფრთოვანებით წარმოსთქვა მან.

ესთერი გაცისკროვნებული იჯდა მის წინ.მკერდი ყოველ ამოსუნთქვაზე აუდ-ჩაუდიოდა.მენახემი ხელში სწვდა ესთერს და მიიზიდა.მხურვალე შეხებისაგან საფეთქლებმა დაუწყო ცემა ესთერს,სახეზე ვნების თრთოლვა გამოესახა.მათი თვალები ერთმანეთს შეეფეთნენ,ისინი ურთიერთისაკენ მიიზიდნენ და უკვე აღარ შეეძლოთ ამ სიახლოვის მომხიბლაობას აღდგომოდნენ წინ.თითქოს თვით ზეცამ იწყო მირს ჩამოსვლა და მიწაც მის შესაგებებლად წამოიმართა.მენახემის მხურვალე სუნთქვა შეეხო ესთერის ბაგეებს...

გათენდა. კაშკაშა მზიანი დილა იდგა.ბუჩქებში ჩიტები დაფრთხიალობდნენ;ზეცაში არწივი დანავარდობდა და მკერდით მთის წმინდა სიოს ეგებებოდა.ხალხი გამოიშალა კარზე,ხარბად შეისუნთქა მაცოცხლებელი გამჭვირვალე ჰაერი; გაისმა ათასი ხმები... გალაღებული ფრინველები სრიალებდნენ, ფრენდნენ,მიილტვოდნენ შორს სადღაც. თავისუფლება მოჰქონდათ ყოველმხრივ.

ქალაქ რომსაც სამხატვრო ელფერი დასდებოდა.მწვანე მცენარეებში გახვეული შენობები დიდებულად იყურებოდნენ შორიდან. ქუჩებს მოსდებოდა ხალხი,მზის ბრწყინვალე სხივებზე აელვარებდნენ მახვილებსა და შუბებს.

მენახემისა და ესთერის ოთახი ავსილი იყო მზის სხივებით.სარკმელები ღაელოთ და მათში თავისუფლად დაფრიალობდა წმინდა ჰაერი,რომელსაც ახალი სიცოცხლე მ-

ეჰქონდა ოთახებში.

სასტუმროში მყოფები დღის შესაფერისად მორთულიყვნენ.: მენახემი და ესთერი გამოეწყვნენ საზაფხულო მსუბუქ ტანისამოსში და ეტლით რომის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად გაემგზავრნენ. ყველაზე უწინ პინჩიოს გორაკზე გაშენებულ მშვენიერ პარკისკენ გასწიეს. საუცხოო ამინდი იდგა. ქუჩა სავსე იყო უსაქმოდ მოხეტიალე ხალხით. ეტლი პინჩიოს პარკის იმ ნაწილში შევიდა, რომელიც რომის კედელზე გადადის და მშვენიერ ვილა ბორგეზეს გადმოჰყურებს. ეს ადგილი ფართო პარაპეტით იყო შემოსაზღვრული. მენახემმა და ესთერმა მეეტლეს სთხოვეს გაჩერებულიყო და ისინი ეტლიდან გადმოვიდნენ. პარაპეტთან ორივე შეჩერდა და ვილა ბორგეზეს ირგვლივ აღმართული ნაძვების ბრტყელ კენწეროებს გადახედეს. მზის თვალისმომჭრელი სხივები ღრუბლების მსუბუქ გროვაში ატანდა. მენახემმა თავის მეგზურს უსიტყვოდ გადახედა. მის ლამაზ თვალებს წინანდებური გამომეტყველება შერჩა, თავისი მომაჯადოებელი ღიმილით იღიმებოდა და ლოყებზე ფოსოები უჩნდებოდა.

ხანმოკლე საუზრის შემდეგ ისინი გაემართნენ აყვავებული სავანესაკენ, რომელსაც იმპერატორთა პალაცო ეწოდებოდა. იტალიურ ზაფხულს ჰაერი მძაფრი სურნელებით აღევსო. მენახემი ხავსმოდებული მარმარილოთი და წარწერებიანი სვეტებით შემოფარგლულ ნანგრევებს შორის დაეხეტებოდა ესთერთან ერთად. მენახემს ჯერ არ ახსოვდა რომი ასე ლამაზი. ის და ესთერი გასცქეროდნენ ხაზების და ფერების მომჯადოებელ ჰარმონიას, რომლითაც გაჟღენთილი იყო მთელი ქალაქი. მიწის რბილ, ნოტიო ოხშივარს ისუნთქავდნენ და ტკბებოდნენ ამ ჭაბუკური ზაფხულისა და უძველესი ნაშთების იდუმალი კავშირით. ამ დღეს ე-

რომანეთი უჩვეულოდ მომხიბვლელები ეჩვენებოდათ,ისეთი ლამაზი,როგორიც ჯერ არ ახსოვდათ. ისინი თავიანთი წინაპრებისაგან ზეგარდმოხული მარავანდედით ბრწყინავდნენ.

მშვენიერი საღამო იყო და მენახემმა გადაწყვიტა აქედან დაბრუნებისას რომის ისტორიული თაღის ქვეშ და ფორუმის ახლო-მახლო ადგილებში გაეხეირნებინა ესთერი. ცა მთვარის მკრთალი სხივებით იყო განათებული,ღრუბლების თხელი საფარველი ამ სხივებს გარშემო ფანტავდა და კიდევ უფრო მეტად ანათებდა.მენახემი და ესთერი მთვარის შუქით მოფენილ კოლიზეუმის წრეს მიუახლოვდნენ. მათ გზიდან გადაუხვიეს და ერთ-ერთ თაღთან მივიდნენ. იქ სახურავახდილი კაბრიოლეტი იდგა.ასეთებს ხშირად ნახავთ რომის ქუჩებში. მენახემმა და ესთერმა ამ დიდებული კედლების ჩრდილში შეაბიჯეს და მთვარის შუქით განათებულ მდუმარე არენაზე გამოვიდნენ. კოლიზეუმი მათზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. აქ ყველაფერი გარდასულ საუკუნეთა დიდებით სუნთქავდა. განცვიფრებული მენახემი დუმდა და მთელი გზა აღტაცებული ესთერის ლაპარაკს ისმენდა,რომელიც აღსავსე იყო კოლიზეუმის ქებით.

- ხომ მაინც ვნახე კოლიზეუმი მთვარის სინათლეზე. პირდაპირ სიზმარში მგონია ჩემი თავი! - იმეორებდა ესთერი აღტაცებით. ესთერი ეტლში ჩაჯდა და ბედნიერი მენახემი გვერდით მიუჯდა. მეეტლემ ისინი სასტუმროსაკენ გააქროლა.დედოფალი მთვარე დინჯად მიცურავდა ლაჟვარდ სივრცეში,მკრთალ სხივებს აფენდა ყოველ საგანს. ქალაქი ტკბებოდა,შვებით სუნთქავდა.მენახემი და ესთერი მინდობოდნენ მაგრილებელ ჰაერს და სახვალიოდ ათას იმედებით იმსჭვალებოდნენ...

გაიწკარუნეს ზანზალაკებმა,ეტლი მეყსეულად გაჩერდა სასტუმროს წინ.ჭიშკართან მდგარი მსახური ეტლისაკენ გაიქცა,რათა მენახემისათვის ვილნიდან ჩამოსული საპატიო სტუმრის მოსვლა მიეხარებინა.ახალგაზრდა წყვილის მესაგებებლად ახალმოსული სტუმარიც გამოვიდა ეტლთან.მენახემმა მასში ვილნის ებრაული თემის სასამართლო კოლეგიის წევრი შეიცნო.შეხვედრამ ისინი აღაფრთოვანა და ერთმანეთი გულში ჩაიკრეს. შემდეგ ისინი სასტუმროში შევიდნენ და სავარძლებზე ჩამოჯდნენ.მენახემმა ახალმოსულ სტუმარს შეამჩნია,რომ თვალებში ნაღველი და სულიერი ტკივილი ჩაბუდებოდა.მენახემი ძრწოლამ და ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო,შუბლი შეიკრა და სტუმარს მიმართა: - როგორაა ვილნის ებრაული თემის საქმეები? - მოგახსენებთ,-ათრთოლებული ხმით წარმოსთქვა სტუმარმა,და მენახემს ყველაფერი დაუფარავად უამბო:

- მას შემდეგ,რაც თქვენ დასტოვეთ პოლონეთ-ლიტვის საზღვრები კათოლიკური სამღვდელოება შეუჩერებლად აქეზებს ადგილობრივ მოსახლეობას ებრაელების წინააღმდეგ. პოლემიკურ ლიტერატურაში ლიტვის ხელისუფალნი ეწევიან ანტიებრაულ აგიტაციას.წამოყენებულია ებრაელთა უფლებების შეზღუდვების მოთხოვნები.ლიტვის დიდი თავადი ამზადებს ებრაელთა განდევნის ბრძანებულებას.ებრაელებმა სამი თვის განმავლობაში უნდა დასტოვონ სამეფოს საზღვრები ისე,რომ არ წაიღონ არავითარი ქონება.აღმსდგარია თავაშვებული,დაუოკებელი,გამძვინვარებული ბრბო,რათა განდევნოს ისრაელის შვილნი.ლიტვის კათოლიკური ეკლესიის კარდინალი,წყეულიმც იყოს მისი სახელი!აღიზიანებს ხალხს და ამბობს: „შური ვიძიოთ ისრაელის შვილებზე,განა აქ,ჩვენში არ ცხოვრობენ სწორედ ის იუდეველნი,რომელთა მამებმა ჯვარს აცვეს ჩვენი ღმერთი? წმიდა ვა-

ლია მირფეხვიახად აღძოვფხვრათ იუდას სახსენებელი".
ხალხმა გაუგონა მას და ერთმანეთს ეუბნებიან: „მოვი-
ქცეთ,როგორც კარდინალი ბრძანებს",-და ბრბო მეფის ბ
რძანებას ელის,რათა წმიდა აღთქმის ხალხს შეესივნონ.
- სცუმარმა დაამთავრა საუბარი და მენახემის თვალებ-
ში საშინელი მოლოდინის ბნელი განცდები აისახა.შიშმა
დაიბუდა ესთერის გულშიც და მოახლოებული მრისხანე ა-
მბების წინათგრძნობით ცხოვრობდა. იგი პირმოღუშული ი
ჯდა. საუცხოო სავარძელზე და ფიქრს მისცემოდა.კოპე-
ბი შეეკრა,თვალმოუშორებლივ გასცქეროდა სივრცეს.ამო-
ცურდნენ ხსოვნაში ჩარჩენილი წარსულის სურათები.რამ-
დენი მახე დაუგია მისთვის ბედისწერას! მღელვარება უ
ღრღნიდა გულს და მოუსვენარი ფიქრების ოკეანეში ინთ-
ქმებოდა...

მთვარის დიდებულ ნათელს ათასობით ვარსკვლავის ს-
ხივმფინარობა დაეჯაბნა.განთიადი შორს აღარ იყო - მ-
ვიდი ბრძენის თანავარსკვლავედმა ჩრდილოეთისაკენ იბ
რუნა პირი. ცანჯვაში გასრულდა ღამე. გათენდა დილა.
ესთერი განახლებული წამოდგა ზეზე,ხელები ზეცისაკენ
აღაპყრო და ლოცვა წარმოსთქვა.

- ჰოი,ყოვლად ძლიერო ღმერთო! - შეჰღაღადა მან. -
არასდროს არ მაკლებდი წყალობას შენსას. შენ მომანი-
ჭე ძალა და ესოდენ დიდებულად მაქციე ამ უბადრუკ წუ-
თისოფელში. თუ გსურს დაიბრუნე ყოველივე... მათხოვრ-
ად მოუვლინე ჩემი თავი ამა ქვეყანას,ოღონდ შენმა მ-
ლევამოსილებამ იხსნას მრავალცანჯული ებრაელობა გა-
ჭირვებიდან.

ამ ვედრებამ განდევნა გულში ჩაბუდებული ნაღველი.
თითქოს ღმერთმა უწილადა თავისი ძალა და უთხრა: „ეს-
თერ! იმედს ნუ დაკარგავ! გაიხსენე ის დღე,როცა წყვ-

დიადში მოვარდნილი ტალღები აქეთ-იქით დააქანებდნენ შენს უბადრუკ ნავს. გაიხსენე, როგორ ეცემოდი მუხლებზე ბრძოლით დაღლილი, როგორ ითხოვდი შებრალებას! ვინ დააშოშმინა იმ დღეს ქარიშხალი? ვინ გამორიყა ნაპირზე ნავი?"



„იეჰუდას ფიქრები". მხატ. მ. ჯანაშვილი

- სტრუქტურულ-შედარებითი რელიგიათმცოდნეობა და ღმერთის ცნების დიალექტიკური გაგებისათვის

# იცხაკ ხ. დავიდი

- ქართულ-ებრაული სიმბოლისტ რემინესცენციები
- გერცელ ბააზოვის ხსოვნას. ემლვნება

# იცხაკ ს. დავიდი (დავითაშვილი)

## სტრუქტურულ-შედარებითი რელიგიათმცოდნეობა და ღმერთის ცნების დიალექტიკური გაგებისათვის (ბიბლიის ეტაპი, საკითხის დაყენების ცდა)

ხსენებული პრობლემის გარკვევისას ჩვენ ძირითად-ად გამოვდივართ იმ დებულებიდან, რომ წარმოდგენილია ხუთი განსხასაზღვრი ცნება სტრუქტურულ-შედარებითი ა-ნალიზის საწარმოებლად. ღმერთი, ადამიანი, სამყარო, რ-წმენა, სული. (ფორმალურ-პირობითი აღნიშვნისათვის ვი ყენებთ ლათინურ ასოებს **G – M – F – S**.

ქრონოლოგიური სტრატიფიკაციის თვალსაზრისით ჩვენ მხედველობაში გვაქვს (იუდაიზმის ასპექტით) სამი ძი-რითადი პერიოდი: 1. უძველესი ბიბლიური, რომელიც მოი-ცავს ძვ. წ. 13-ე – ახ. წ. 1 სს. 2. თალმუდ-რაბანიკულ პერიოდს – ახ. წ. 2 – 19 სს. და 3. ახალ თანამედრო-ვე ეპოქას, რომელსაც ზოგჯერ რეფორმულს უწოდებენ (არც თუ ისე სამართლიანად).

საზოგადოდ რომ ვთქვათ ბიბლიაში ოთხი ძირითადი მ-ოთხოვნა იქნა გადმოცემული. 1. უნივერსალიზმის, 2) პრო ზელიტიზმის, 3. ეთიზმისა და 4. სქესობრივი სიწმინდის. 1300 – 500 წლების (ძვ. წ.) მანძილზე დაწერილი, შედგე-ნილი სხვადასხვა ბიბლიური თავ-ფრაგმენტების რედაქ-ცია პირველ საუკუნეში (გარდამავალი ძველი წ.-დან ა ხალზე) დასრულდა. თითქმის ექვსი საუკუნის განმავლო ბაში უპირისპირდებოდა ისრაელ-შომრონის სახელმწიფოე ბრივ-ტომობრივი ელოჰისტური რელიგიური სისტემა იეჰუ დას სახელმწიფოებრივ-რელიგიურ იაჰვისტურ კონცეფცი-

ახ. საბოლოო ჯამში იაჰვეს ცნების ცენტრალიზაცია მოხდა მეფე ჰოშეას დროს ძვ.წ.-ით 622 წელს,როცა ჩაწარდა ცნობილი რელიგიური რეფორმები ისრაელის სახელმწიფოში,სათანადო კანონიზაცია კოდიფიკაციითურთ მომდევნო საუკუნეებში. როგორც ცნობილია, თალმუდის და რაბანიცული პერიოდებმა (მე-19 ს-ის დასაწყისამდე) მთელი 19 საუკუნე მოიცვეს დამაცებით პირობითად წოდებული რეფორმულ-კონსერვატორული პერიოდისა,რომელიც ჩვენს თანამედროვე ხანას შეადგენს.

იუდაისტურ-ბიბლიური მსოფლმხედველობის სწორხაზოვანი განვითარება სოფრიმ-მწერალთა ეტაპზე ითვალისწინებდა სულის უკვდავების,საზღაურთმიგების,ებრ. სალხის დანიშნულებისა და დიასპორის გავლენის (წარმართობა და იუდაიზმი) პრობლემებს. საბოლოოდ პალესტინაში იუდაიზმმა გაიმარჯვა,დიასპორა დაემორჩილა მას, თუმც ადგილი მაინც ჰქონდა ორ რელიგიურ სქიზმას:
1) შომრონელები გაეთიშნენ იუდაიზმს 2) ეგვიპტეში წამოიმართა იუდეო-ელენისტური მსოფლმხედველობითი სისტემა.

განვითარების მესამე ეტაპზე,ე.წ. ჰალახა-აგადის პერიოდი,ჩამოყალიბდა ებრ.თორანული ზეპირმეტყველება (თორა შებე'ალ ფე),გარდა ამისა დაკანონდა ბიბლიის სიწმინდე და ხელშეუხებლობა,ღმერთმორჩილების თეზა და მოყვასის სიყვარულის პოსტულატი. რიტუალურ მხვერპლთშეწირვას ადგილი ჰქონდა მხოლოდ ახ. წ. 70 წლამდე,შემდეგ მისი ადგილი ლოცვებისა და რიტუალურ წეს-საკითხავების მთელმა სისტემამ დაიკავა. ამავე ეტაპზე გაესვა ხაზი ქველმოქმედების,ზნეობრივ სიწმინდის,სიმართლისა და თავმდაბლობის მოთხოვნებს. ყოველივე ზემოხსენებული ჩამოყალიბდა იუდაიზმში მისი რ-

ოგორც მონოთეისტური რელიგიის გაფორმების პროცესში, მეტადრე კი ქრისტიანობის ვითარც მონათესავე რელიგიის წარმოშობის შემდეგ.

მომდევნო მეოთხე საფეხური გამოირჩეოდა არაბულ-მუსლიმური რელიგიურ-თეოლოგიური კონცეფციების გავლენით, რომელიც მიმართული იყო რწმენის ფენომენისა და მეცნიერული მეთოდის შერწყმისაკენ.

მოვლენათა ასეთ კონტექსტში ადგილი ჰქონდათ რიგ რელიგიურ გათიშვებს იუდაიზმის წიაღში; კარაიმების სქიზმა, რაციონალისტების გათიშვა, ჩამოყალიბდა საადია გაონის ფილოსოფია და ასევე შუა საუკუნეების რიგი რელიგიური ფილოსოფიური სისტემები, რომელთა მუდმივ ცდას წარმოადგენდა იუდაიზმთან ეკლექტური შერწყმა-მორიგება. აღმოცენდა ასკეტიზმი, დასაბამი მიეცა კაბალისტური მსოფლმხედველობის გაფორმებას. მიჩნეულია, რომ კაბალამ იხსნა იუდაიზმი რაბანიტული დიალოგოგიიდან და რელიგიური სქოლასტიკისაგან. ეს საფეხური დაგვირგვინდა ხასიდიზმის წარმოშობა-განვითარებით, მისი თანდათანობითი შერწყმა-გადაზრდით ორთოდოქსულ იუდაიზმში და საპასუხო რეაქციის სახით, ე.წ. რეფორმიზმის ჩასახვით.

რელიგიათა არსის შესწავლისას მხედველობაში გვაქვს შემდეგი აუცილებელი და შემადგენელი პარამეტრები. 1)სიგრძივი (ისტორიულ-გეოგრაფიული) 2)ჭრილითი (სოციოლოგიურ-ღმერთაზრითი, ფსიქოლოგიურ ესთეტიკური, მისტიურ-ეთიკური და ა.შ.) 3)კონცენტრული - მთლიანი აღქმა კაცობრიობის რელიგიებისა.

შემადგენელი ნაწილების მიხედვით: ა)წმ.ობიექტი 2)წმ.ადგილი, 3)წმ.დრო-პერიოდი 4)წმ.რიცხვი (კოსმოლოგიურ-მეტაფიზიკური ტრიადები 5)წმ.ქმედების არსი -

რიტუალი 6)წმ.სიტყვა - წერილები 7)წმ. ადამიანი საზოგადოება.

რელიგიის წარმოსახვების ნაწილები: ა)ღმერთი ბ)ქმნადობა გ)გამოცხადება-აპოკალიპსი გ)ხსნა. ცხადია, რომ აპოკალიპსის მარადიული არსი სივრცისა და დროის აპოკალიპტური ზე-გრძნობითი შემეცნებაა. მის აღსაწერად საჭიროა გარკვეული თეოლოგიურ-ფილოსოფიური მეთოდოლოგიის მოდელის შექმნა,რათა ნათლად იქნეს დანახული საბოლოო(ბოლოვადი)რეალობის ცნება,რომელიც სიტყვის დიალექტიკის მეშვეობით დაფარული რაობისაკენ(დეუს აბსკონდიტუს) მიისწრაფის.

ენის სასრული შეზღუდულობის გადალახვას ადამიანი განვითარებული,გართულებული სემიო-სიმბოლური ფსიქოსომატური ცნებების მეშვეობით ცდილობს. ამ მხრივ მისი სული სხვა არას წარმოადგენს თუ არა აზრის თვითგანსაზღვრებას არსში.

ჩვენეულ სამყაროში ენა ერთგანზომილებიან საფუძველს ემყარება. იგი ბუნებრივ-ისტორიულ-ფსიქოლოგიურ კვანძს (ნექსუსს) წარმოადგენს,მხოლოდ ჩვენთვის,ადამიანებისათვის განკუთვნილს,სხვა სამყაროსათვის ეს ენა მოკლებულია ყოველგვარ რელევანტურ მნიშვნელობას. ენა ჩვენგან,ჩვენი ტვინისა და ცნობიერების სტრუქტურიდან კი არ გამომდინარეობს,არამედ რეალურ-ცხოვრებისეული ფორმებიდან. ამრიგად,ენა ადამიანისა და სინამდვილის გზაგასაყარზეა,იგი ღმერთის ცნების თანაწილადია სამყაროსეული სტრუქტურის ახსნის სფეროში.

რელიგიური ფენომენოლოგიის ამოსავალი წერტილია წმ. ცნობიერების მიღება რედუქციის საშუალებით,ეს ცნობიერება არაა არც ყოფიერება და არც ჩვეულებრივი რეალური გრძნობადობა. მაშ რაა წმ. ცნობიერება? იქ-

ნებ წმ. არსობათა ერთობლიობა?! რას წარმოადგენს მ-
აიღეერებელი აბსტრაქცია?! რის საფუძველზე მოიძიება იგი? როგორ მიმდინარეობს ლოგიკური ონტოლოგიზაციის პროცესი?! აი,ეს და ანალოგიური საკითხები ისმის ჩ-ვენი ძირითადი პრობლემის გარკვევისას. საკუთრივ ღმერთის ცნების ინტერპრეტაციისას ჩვენ ვადგენთ,რომ ღმერთი არაა ბუნებაში გათქვეფილი არსი (როგორც პანთეიზმი ქადაგებს),ასევე არაა ბუნებას მოწყვეტილი არსი (როგორც დეიზმი ვარაუდობს),ვუშვებთ,რომ იგი წ არმოადგენს ზებუნებრივსა,მაგრამ ბუნებაშივე მოქმედ არსს (ასე ადგენს იუდაიზმი).

ღმერთი - სიყვარულის,სიკეთისა და შეწყალების ს იმბოლო. ბიბლიით იგი ადამიანის მიერ წარმოდგენილი ზებუნებრივი ძალების კონცენტრაციაა, ე.ი. სხვანაი-რად რომ ვთქვათ,სამყაროსა და ადამიანის ბედს ღმერ-თის ხელი მართავს.

ზოგადადვე აქვე ჩამოვთვლით ღმერთის ცნებობრ-ივ დახასიათებებს. ღმერთი - თვითგანსაზღვრითი,ტრან სცენდენტალური,ყოვლისმომცველი,ყველგანმყოფი,დროით-სივრცით კავშირს გარემყოფი,თვითსრულყოფადი,ყოვლის-მცოდნე,ყოვლისშემძლე,უვნებო გენეტიკური არსია; ლო-გოსი - მისი ფუნქციაა; ღმერთის ერთადერთობის საწინ დარი,მისი დიალექტიკური განსაზღვრებაა - ყოველივე ერთშია,ერთი კი ყველაფერშია.

ღმერთი ბიბლიის იმიერცნობიერებითი სფეროა,იგი ა რაა ხელშესახები,სტატიკური რეალობა,იგი ადამიანის ქვეშეცნეულ ფსიქიკურ-ცნობიერებით უწყვეტ ნაკადთა ა დექვატური ანალოგია.

საბოლოო ჯამში,ღმერთებიც,ისევე როგორც მთელი რე ლიგიური ზედნაშენი სისტემა,ისევე როგორც ადამიანური

ცნობიერების სფერო არეკლილი პოეზიაში,მუსიკაში,ხე-
ლოვნებაში ადამიანის თვითგანწმენდის უმაღლეს მიზა-
ნს უნდა ემსახურებოდეს,რომელსაც რეალური ცნობიერე-
ბის სფეროში მძლავრი ფიზიკურ-მორალური მარწუხები ე
დება,რომელთა მოხსნასაც ისევ ქვეცნობიერი ფსიქიკურ
-ფიზიკური ნაკადი ცდილობს.ბიბლიამ ეს ქვეცნობიერი-
თობა საკუთრივ ღმერთ იჰვი-ში გადაიტანა,რადგანაც მ
ხოლოდ მის ფარგლებში შეიძლებოდა დანაწევრებული დრ-
ოის (იყო - არის - იქნება) ერთობლივი,სინთეზური წა
რმოდგენა. თავის განვითარებად სცადიაში ბიბლიამაც
ასახა ტრადიციული შეხედულებები მისი შემქმნელი ხალ
ხისა,თუმც განვითარება არ ყოფილა სწორხაზოვანი,ამ-
დენად დღევანდელი ებრაულ-მყოვრობა მხოლოდ პირობითი
პასუხია ძველი ტრადიციული ებრაულ-მყოვრობისა,და მა
ნამ ხანამ ხსენებული მყოვრობა არ მოექცევა,უფრო ს-
წორედ არ დაუბრუნდება თავის გზასაცდენილ განვითარ-
ებად პროცესს,ძნელია ლაპარაკი საზოგადოდ,ჩვენი ვი-
თარც ადამიანების მომავლის პერსპექტიულობაზე,რა თ-
ქმა უნდა,:განვითარებადი პროცესის იმანენტურ,შემად-
გენელ ნაწილებად ყველა სახის (ეთნოლინგვისტური)მყო
ვრობა უნდა მოვიაზროთ,გამოუკლებლივ,თითოეული მათგა
ნი ხომ ცოცხალი ცნობიერების განვითარების გარკვეულ
დონესა და სცადიას ასახავს.

ბიბლიას ღმერთცნების საკითხი აინტერესებს საკუთ
რივ ვრცელი ეთნოგენეტური სურათის გადმოცემისას.შე-
მთხვევითი როდია ის გარემოება,რომ ბიბლია არც ერი-
დება მოვლენათა გარკვეულ ანაქრონიზაციას ამ თვალსა
ზრისით. (შდრ.ბერეშითი,4,26 და 5 - 1) „შეთსაც შეე
ძინა შვილი და მას სახელად ენოში (= კაცი,ადამიან-
ის შვილი საზოგადოდ - ი.დ.) დაარქვა,მაშინ იქნა დ-

აწყებული ლოცვა იჰვჰს სახელი , და შემდეგ: "ესაა წიგნი ადამიანის წარმოშობისა,იმ დღეს როცა ღმერთმა გააჩინა ადამიანი,ღმერთის სახისა განსახა იგი".

ე.ი. როცა ადამიანი - ენოში განისახა ღმერთის სახის მქონე,მაშინვე შეიქმნა შესაძლებლობა უკუქცევითი პროცესისა როცა ადამიანმა მიმართა ღმერთს,ილოცა მასთან,ან შესძახა მას. ცხადია,ბიბლია სუბიექტურ-ებრაულ თვალსაზრისს მტკიცედ იცავს,მისთვის იჰვჰ-ს ღმერთცნება უკვე მაშინ გახდა ცხადი,როცა ღმერთის სახის მატარებელი ე ნ ო შ ი(საზოგადოდ ადამიანი)დაიბადა. მეორეს მხრივ განა ბიბლიაში არ ვხვდებით ძველი მეზობელი ხალხების რელიგიური სისტემებისათვის დამახასიათებელ წარმოდგენებს,კერძოდ ღმერთის შვილე-ბისა და მისთანა ცნებების შესახებ?! (შდრ.ბერეშითი 6,1-3) და დაინახეს ღმერთის შვილებმა ადამიანისი ქალიშვილები... და მოიყვანეს ისინი ცოლებად.
...და ბრძანა იჰვჰ-მ არ დაეპაექრება ჩემი სული ადამიანში საუკუნოდ..."გამოდის, რომ ადამიანი,რომელიც ღმერთის სახეს ატარებდა,ასევე ღმერთის სულითვე სადგურობდა. ამდენად ღმერთცნება იჰვჰ ბიბლიის აღნიშნ-ულ ეპიზოდებში ან გვიანდელი შესწორება-ინტერპოლაციაა ანდა ცხადლივ მიუთითებს ძველი ჰაბირუს ტომების მიერ ამ ღმერთცნების აღქმაზე არსებობის უძველეს ეტა-პზევე. სხვათა შორის ხსენებულ გარემოებაზე საკუთრ-ივ ბიბლიური პატრიარქის აბრაამის,უფრო სწორედ აბრ-აამ ებრაელის(= ივრი, 'ევერ, 'ებერის) არაერთი ეპიზოდიც მიუთითებს. ჩვენ ვვარაუდობთ,რომ აბრაამი სიმბოლურად ასახავს ბიბლიის კონვენციონალურ ჩარჩოებში სამხრეთ კავკასია - ჩრდ. მესოპოტამიიდან წამოსულ მოხეტიალე ჰაბირუს ტომებს,კონკრეტულად ამ საკითხს ს

ათანადო შრომებში შევხვდებით,აქ მხოლოდ ღმერთცნებ-
ის ასპექტით გავამახვილებთ ყურადღებას იმ ფაქტზე,
რომ აბრაამის სახით პაბირუს ტომებმა დაახლ.ძვ.წ.
2000 წლებში შეიცნეს იჰვჰ (იხ. ბერეშითი 12,7-8)
„და გამოეცხადა იჰვჰ აბრამს... და ააშენა იქ სამ-
წირველო იჰვჰ-სთვის,რომელიც მას გამოეცხადა... და
ილოცა იჰვჰ-ს სახელი.

ხსენებული გარემოება საგრძნობლად აკონკრეტებს ე
ბრაელობის მიერ იჰვჰ-ს ფენომენის შეცნობის ქრონოლო
გიურ ფარგლებს,რომლებიც სპეციფიკურ მიმდინარე მოვ-
ლენებს ასახავდნენ ადრეულ პაბირუს ტომებში. სავარა
უდოა ამავე კონტექსტში ისიც, რომ ძვ.ებრაული ტომებ-
ის ინტენსიურმა კავშირმა სამხრეთ კავკასია მცირე ა
ზიის (მითანი - ხეთი, საკვლევია სპეციალურად საკუთ
რივ ადგილობრივ კავკასიურ ეთნიკურ ელემენტებთან კ-
ავშირ-მიმართების პრობლემა) ეთნოსებთან განაპირობა
მათი გარკვეული ჯერ პროტომონოთეისტური,შემდეგში კი ს
აკუთრივ ისტორიულ-მონოთეისტური რელიგიური წარმოდგე
ნების ჩამოყალიბების პროცესი (განსხვავებით სემიტი
ხალხების რიგი ბუნებრივი რელიგიებისა) ექვს გარემ-
ეა ისიც,რომ ებრ. ეთნოეპონიმური სახელწოდებების გ-
აფორმება 'ივრი-ისრაელი-იეჰუდა (ბიბლ.ქრონოლოგიის
ასპექტით) ასახავდა ცალკეულ ეტაპებს ამ ხალხის არა
მარტო ეთნო-ტომობრივი თვითგაფორმების პროცესში,არა
მედ სათანადო რელიგიურ ცნობიერებასაც და ღმერთცნე-
ბით წარმოსახვებს. ასე მაგ. მარადიული ღმერთცნების
გაგება ეგვიპტურ-'ევერულ ეტაპზე (მოხეტიალე აბრაამ
პატრიარქის ხანა) უნივერსალურ საფუძვლებს ემყარებო
და,ღმერთი ამ დროს მთელი სამყაროს უცილობელი ღმერ-
თი იყო,ისრაელ-ქანაანურ ეპოქაში კი ეს გაგება თან-

დათან ვიწროვდება,ნაციონალიზირდება და საზოგადო-სა ყოველთაო ღმერთი კერძო-ისრაელურ ეთნო-ცომობრივ ღმერთად იქცევა (შდრ.მეზობელი ხალხების ანალოგიური ღმერთცნებები: ფინიკიელების ბა'ალი,მოავიელთა კემოში,ამონელების - მილკომი) აღსანიშნავია ისიც,რომ ქანაანურ ეცაპზე ძვ.1000-800 წწ. როცა ადგილი ჰქონდა ერთიანი ისრაელის სახელმწიფოს დაშლა-გათიშვას ჩრდ. შომრონისა და სამხ. იეჰუდას სახელმწიფოებად,პარალერულად მოხდა ორი პირვანდელი ებრაულ-ისრაელური ეთნიკური ელემენტის კონხოლიდაცია ეთნო-რელიგიური თვალსაზრისითაც.ჩრდილოეთში ძირითადად ელოჰიმ-ის,ხოლო სამხრეთში იჰვჰ-ს კულტები გაფორმდნენ. საკვლევია ეპონიმ იეჰუ-დას თეოფორობის საკითხიც,ამ სახელში იჰვჰ-ს ელემენტის იეჰუს(თავისთავად საკუთარი სახელის) გამოყოფა. გარდა ამისა,როგორც ზემოთ იყო უკვე მინიშნებული ღმერთცნების ებრაულ-ისრაელურ-იეჰუდეური პროცესი უკუქცევითი იყო. თავისი წარმოშობის გარიყრაყზე ხალხი ქმნის თავის სახოვან ეროვნულ ღმერთს,რთული შიდაეთნიკური სპირიტუალურ-მსოფლმხედველობითი იდეოლოგიური ბრძოლების შემდეგ ინიშნება უნიკალური ცენდენცია ერის ეთნიკური სახიერებისა ღმერთის მსგავსად პან-ეთიკური პოსტულატების თანახმად. ღმერთის ბიბლიური რეველაცია (გამოცხადება)ერთ-ერთი ფორმაა მრავალ ეთნიკურ-რელიგიური ადამიანთმოაზრებისა. ბიბლია არ არკვევს ღმერთის არსობა-არარსებობის საკითხს,არამედ: ვინაა ღმერთი,რაა იგი და როგორ მოქმედებს ის?!

ბიბლიური ღმერთგაგების დიალექტიკური ელემენტები პრელიმინარულად შემდეგში უნდა ვეძიოთ.

1) „ელ" არის დინამიური იმანენტური ტრანსცენდენ

ცია,რომელიც უპირისპირდება პასიურ,არაიმანენტურ ადამს (ადამიანს).

2. იჰვჰ წარმოადგენს ებრ.ერის ისტორიის სპეციფიკურად გრძნობად-ცდით გამოხატულებას, ე.წ. თანამონაწილეობის ელემენტს.

3. ერთადერთი ღმერთი უპირისპირდება მრავალ ღმერთებს,ვითარც ტრანსცენდენტალური უზენაესობა,ყოვლისშემძლეობა,სიწმინდე.

4.ღმერთი, ვითარც სულიერ-ზნეობრივი პიროვნებულობა (= ცოცხალი მარადიული პირადულობა),წარმოადგენს არა მარტო უზენაეს აბსოლუტურ მეობას,არამედ ეთიკურად არის დაპირისპირებული ადამიანისადმი (ცოდვის ს აწყისისადმი),ამდენად იგი გვევლინება ვით მხსნელი მამა-ღმერთი.

ბიბლიაში ღმერთი თითქოს კარგავს თავის ფილოსოფიურ განყენებულობას (აბსოლუტური ყოფიერება,სულიერი სუბსტანცია,მსოფლიო სული,სამყაროს ზნეობრივი წყობა და ა.შ.) და კონკრეტულ სახე-ფორმას იძენს. იგი ხდება მეუფე(ადონი),ციურ ლაშქართა სარდალი(ცევაოთ) ყოვლისშემძლე (შადაი), შემქმნელ - განმსახავი(ბორე) უზენაესი('ელიონ),სიმყარე(ცური),მამა-ღმერთი(ავ), შემბრალე(რახუმ) წმინდა(კადოშ). ბიბლიაში მონოთეისტური კონცეფციის განვითარება უკვე დასრულებული იყო, ამასთან საკუთრივ ებრ. ავტოქტონური ღმერთცნების - ი-ჰ-ვ-ჰ-ის დაკანონებამდე,ებრ. მონოთეიზმი არ ყოფილა აგრესიული მონოთეიზმი,ამდენად მან შეისისხლხორცა მეზობელი ხალხების ღმერთცნებებიც და არც უარყოფდა მათ. ე.ი. ზემოთ დასმულ კითხვას ებრ. მონოლატრიის შესახებ ჩვენ დადებითად ვუპასუხებთ. სამაგიეროდ თავს იჩენს პარალელური საკითხი ღმერთის რაობისა და

არსობის შესახებ,რაა იგი ბიბლიის თვალსაზრისით?! უ სასრულო,უპიროვნო სამყაროს საფუძველი თუ საკუთრივ ნება და პიროვნება?!

ჩვენთვის ღმერთის ცნების ზოგადი დიალექტიკა შემდეგ საკვლევ პრობლემატიკაში გადმოიცემა. 1.ენერგიის ერთიანობა. 2.შინაარს-ფუნქციის ურთიერთკავშირი. 3. ენობრივი გამოსახვის ან საერთოდ ღმერთგამოსახვის ფორმა-საშუალება (მაგ.მიმიური,ანალიტური, სიმბოლური.).

ღმერთი ერთადერთია თავის ატრიბუტებში,იგი ვლინდება სიცოცხლეში,ქმნადობაში,ადამიანში. ღმერთის დიმინუცია-შემცირებით ვიღებთ სამყაროსეულ ფორმას,ბიბლია სცნობს ღმერთის ე.წ. თვითშემეცნებას,რომელიც მისი შემქმნელი ძალის გაშლა-გაფართოებას იწვევს. ღმერთის ანთროპომორფული და საერთოდ სახვითი წარმოდგენა ბიბლიაში,ადამიანის ინტელექტში ტრანსცენდირებულ-ფილოსოფიურ ცნებასა და მთელ კომპლექსს წარმოშობს.

ღმერთი შემქმნელი ფენომენია,მისი ხელი მოიცავს სამყაროს(იხ.ბერეშითი,1-31; იობი,26-13; თეპილიმი 104-30,ირმიაჰუ 51,16).

ღმერთის ხილვა დანახვა შესაძლებელია(იხ.შემოთი, 24,-10-12; ასევე 34,5-6).

ღმერთის რწმენაც იმანენტურია(დევარიმი,34,4)„ცა კვამლივით გაქრება,მიწა სამოსივით გაცვდება,მე კი ..."- ამბობს იგი: ეს თეზა გადავიდა ახალი აღქმის სისტემაშიც,ასე მაგ. მოციქული პავლე კორინთელებისადმი მიწერილ პირველ მიმართვაში(2,10-11) წერს:რამეთუ სული ყოველსავე გამოიძიებს და სიღრმესაცა ღმერთისასა,რამეთუ ვინმე უკუე იცის კაცმან კაცისაი,გა-

რნა ხულმანვე კაცისამან... ეგრეცა ღმერთისაი არავ-
ინ იცის გარნა ხულმანვე ღმერთისამან".

ღმერთი უხასრულოა,უხილავი და განუსაზღვრელი,ახ-
ეც წერს მეფსალმუნე: „ამაღლებულია იგი ვერ ვწვდები
მას(თეჰილიმი,139,6 ახევე 147,5) იობი კი შესმახე-
ბს: „აგერ,წინ გავაბიჯებ,არაა იგი,დავიხევ უკან,ვ-
ერ გავიგებ მას (23,8); ანალოგიურ აზრს ავითარებს
ქრისცეს მიმდევარი მოციქული ციმოთესადმი გაგზავნილ
წერილში. (1,17, 6,16) „ხოლო მეუფესა მას საუკუნე-
თასა,უხრწნელსა,უხილავსა...,რომელსა მხოლოსა აქუს
უკვდავებაი და ნათელსა მყოფ არს მიუწდომელსა
(შდრ. ნეხემია 9,6 თეჰილიმი 95,3).

ღმერთის ხმა ზღვათა ხმისებრია(იეხიზკიელი 43,2)
დევარიმი 28,58) სიბრძნის საწყისი ღვთის მოშიშებაა
(მიშლე 9,10) იობი კი პათეტიკურად კითხულობს „განა
გამართლდება ადამიანი ღმერთთან?!-"(4,17). ღმერთი
ჩვენშია განფენილი: „არ შეგეშინდეს მათი რამეთუ უ-
ფალი ღმერთი შენშია (დევარიმი 7,21) ახევე „მოციქ-
ულთა საქმენი" რამეთუ მის მიერ ცხოველ ვართ...(ანუ
რადგანაც მასში ვცხოვრობთ). ამდენად ღმერთის შიში
და სიყვარული დიალექციკურადაა განპირობებული ბიბლი
აში,ისინი ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ,არამედ ა-
ვსებენ.(იხ. კოჰელეთი 12,13; ბენ სირა 1,18.ღმერთი
ადამიანშია და ადამიანთან. სიმბოლურადაც,ე.წ. თეო-
ფორული სახელები ბიბლიაში მაგ. ირმი-ა-ჰუ,იეშა'ია-
ჰუ და ა.შ. იაჰვეს შემოკლებულ ფორმასაც შეიცავენ.
(შდრ. ელეფანცური წარწერები).

ღმერთმა,ვითარც ისცორიულმა ფაქცმა,განსახა და შ
ექმნა ადამიანი. იობი. 33,4 „ღმერთის ქარმა შემქმ-
ნა და სული მისი მაცოცხლებს". ანალოგიურია საქმენი

მოციქულთა (17,26) „და დახხნა ყველა ერნი ადამიანის შ ვილთა ერთი სისხლისაგან." სამაგიეროდ ადამიანი შეზღუდულია, ღმერთი განუსაზღვრელია თავის ცოდნაში, რომელსაც არ გააჩნია დროითი საწყის-სასრული. იხ. ირმია ჰუ 1,5; იეშა'იაჰუ 44,24; თეჰილიმი 139, 1-13. ებრაული აპოკრიფების მიხედვითაც ღმერთი უმაღლესი წმინდა შემეცნებაა (იხ. მაქაბელთა მეორე წიგნი 6,36).

ღმერთი უკვდავი, მუდმივი ფენომენია. ამაზე ამახვილებენ ჩვენს ყურადღებას ებრ. წინასწარმეტყველები, უპირველეს ყოვლისა იეშა'იაჰუ 44,6 „ასე ბრძანა იჰვჰმ მეფემ ისრაელისამ და მხსნელმა მისმა იჰვჰ-მ ლაშქართა, მე ვარ პირველი და მე ვარ უკანასკნელი და ჩემს გარეშე არაა ღმერთი." (შდრ. იქვე.41,4, ასევე მისა 2,7; საბაკუკი 1,12. ანალოგიურადაა აზრი განვითარებული ქრისტიანულ აპოკალიპსისშიც 4,8 ღმერთი იყო, არის, მოვა).

პალესტინურ აპოკრიფებში ძვ. ბიბლ. ანთროპომორფული კონცურები ღმერთისა შერბილებულია. საზგასმულია ღმერთის ერთიანობა, იგი ყოვლისშემძლეა, ყოვლისმცოდნე, ყველგანარსებული, მარადიული. (იხ. ბარუხი 2,17; ბენ-სირა 2,13-19; 9,14; 15,11; 16,17 სამაგიეროდ ალექსანდრიულ აპოკრიფებში ხდება ღმერთის ცნება-მოძღვრების მოდიფიცირება იხ. მაქაბელ. წ. 111, 2,1-16; სიბილათა პირვ.წ.17,20 და ა.შ. მესამე წიგნი 1,18) ასევე გვმოძღვრავს სანოსი თავის პირველ წიგნში „მანამ სანამ არავინ არ არსებობდა, და სანამ არ განისახნენ ყველა განსახულნი, განსახა ღმერთმა მთელი სილვადი და უხილავი სახიერება".

ბიბლიის ღმერთი შურისმაძიებელი ღმერთიცაა (იხ. იეჰოშეა' 24,20) „და თუ მიატოვებთ იჰვჰ-ს და ემსახურე

ბით სხვა ღმერთებს და გეავებათ თქვენ... რადგანაც
იჰვჰ მარტო წარგვმართავს,და მასთან არაა უცხო ღმერ-
თი (დევარიმი 17,20)". იქნებ სწორედ ამიტომ მოუწოდ-
ებს იეშა'იაჰუ 26,4 „დაენდეთ იჰვჰ-ს სამარადისოდ,რ-
ადგანაც მასში იჰვჰ-შია საუკუნოო სიმტკიცე". ამას-
თან თითქოს ებრაელი ხალხის ეგვიპტიდან გამოსვ-
ლა მისითვე იყო განპირობებული (იხ. ვაიკრა 26,45)
„... რათა ვიყო მათთვის ღმერთი ხალხების წინაშე, მე
ვარ იჰვჰ." ეს კავშირი ორმხრივაა განპირობებული(იხ.
დევარიმი 26,17-18). დაბოლოს „ისმინე ისრაელო,იჰვჰ
ჩვენი ღმერთია,იჰვჰ ერთია (ბამიდბარ 6,4-5).

საინტერესოა ისიც,რომ იჰვჰ იხსენიება „ებრაელთა
ღმერთების იჰვჰ-დ (იხ. შემოთი 3,18 ასევე 7,16) ან
როცა იჰვჰ მიმართავს ებრაელებს „მე ვარ იჰვჰ შენი
ღმერთებისა" ე.ი. არა თავისუფალი თარგმანი „უფალი
ღმერთი შენი,არამედ სწორედ „შენი ღმერთების იჰვჰ",
(იხ. შემოთი 20,5; ვაიკრა 25,17; 38,55; 26,44;ბამ-
იდბარი 10,10 და ა.შ.) ამას ამაგრებს საკუთრივ ებრა
ელთა მიმართვაც ღმერთცნება იჰვჰ-სადმი, „ვინაა შენ-
ისთანა ღმერთებში იჰვჰ-ვ!" (იხ.შემოთი 15,11)აღნი-
შნულია ელიმ და არა ელოჰიმ,რადგანაც დროთა განმავლო
ბაში ელოჰიმი თვით იჰვჰმ ღმერთცნების იდენტურ ცნებ-
ად იქცა,დაიცალა რა იგი სავსებით შინაარსობრივ-გრა-
მატიკული პლურალისტური გაგებისაგან. ამ ფონზე ნათლ-
ად ჩანს ბიბლიის სალი,არაორაზროვანი დამოკიდებულება
ღმერთთა სიმრავლის მოვლენისადმი. ღმერთები არ არსე-
ბობენ,მაგრამ არსებობენ ელიმ ანუ უსიცოცხლო სტატიკ-
ური კერპ-ღმერთები,ისეთნი რომელთა კულტებიც მიღებუ-
ლი იყო მაშინდელ მთელს ახლო აღმოსავლეთში.

ცხადია,ღმერთშემეცნების ბიბლიურ ეტაპზე ებრაელო-

ზამ არაერთი თეოგონიური ცნება შეითვისა მეზობელი შ ორეული თუ ახლოური ხალხებისაგან,უპირველეს ყოვლისა კი ხემიც. ელ-ოაპზე დაყრდნობით. ამ მხრივ ელოპიმ წ არმოადგენს ზოგადლოგმატურ ასახვას სტატიკური,მატე-რიალიზებული ცნებისას. ღმერთი,გარდა ამისა,ეს ღმერ თი სხვა ხალხების ღმერთიცაა,მათ მიერ განცდილი,მათ მიერ აღქმული,მათ მიერ აღწერილი,დახასიათებული.ყვე ლაზე დიდი პარადოქსი ბიბლიას ხწორედ ღმერთაღწერით ხფეროში მოუნახავს. მას წარმოუდგენლად მიაჩნია რომ შეიძლებოდეს ღმერთის ბუნების სახელწოდებით აღწერა, ანუ მარტივად რომ ვთქვათ მისი სახელდება მისივე ბუ ნებიდან და ხასიათ-თვისებებიდან გამომდინარე.

სინამდვილეში პრემონოთეისტური ღმერთი მოკლებულ-ია თავის დიალექტიკურ რაობას,იგი გაყინულია,მოკლე-ბულია შინაგან წინააღმდეგობებს,ნიშან-თვისებათა დ-აპირისპირებულობას,იგი თითქოს ერთია,მაგრამ მრავა-ლია თავის მსგავსთა არსებობის გამო,მაშინ როცა ბი-ბლიური ღმერთი თავის თავში მოიცავს მრავალატრიბუტ-ოვან ღმერთებს,ამ მხრივ იგი წინააღმდეგობათა და დ-აპირისპირებულთა თავმოყრის კვანძია. ეს საკითხი სა მი სხვადასხვა თვალსაზრისით განიხილება: ისტორიული, ენობრივი და ანთროპოფსიქოლოგიური.

პირველი ისტორიული ასპექტით ტეტრაგრამატონი იჰვჰ ვითარც მონოთეისტური ღმერთგაგება იუდაიზმმა განავი-თარა მას შემდეგ,როცა მისი მატარებელი ხალხი დარწ-მუნდა არსებული ღმერთცნებების არსობრივსა და აზრო-ბრივ სიცარიელეში,სიფუჭეში,სუბიექტურობაში,უშედეგო ბაში. საყოველთაოდ მოარულ გაყინულ,სტატიკურ,ყველას მიერ გადაღეჭილ ცნებებს იგი არ დაეყრდნო,არამედ გა ნავითარა საკუთარი თუნდაც ეროვნულ-სპეციფიკურ გარ-

ხში გამოხვეული დიალექტიკური ცნება ღმერთისა.

მეორე,ენობრივი ასპექტით - იჰვჰ პირველი ტაძრის განადგურებამდე ძვ. 586 წ. ენობრივ ფონეტიკურად წარ მოითქმოდა თავისივე ბგერებით (იხ. წერილები ლახიში- დან,მეშას წარწერა და ა.შ.). ძვ. წელთაღრიცხვის მე- სამე საუკუნიდან, იჰვჰ-ს ფონოარტიკულაცია შეწყდა და იგი მხოლოდ დამწერლობაში დარჩა აღნიშნული ბგერობრი- ვი შემადგენლობით. აქედან გაფორმდა ბერძნული სახელ- წოდება ამ მოვლენისა - ტეტრაგრამატონი (ე.ი. ოთხას- ობრივი ი ჰ ვ ჰ). სემანტიკურ-მორფოლოგიურად იჰვჰ-ს ღმერთცნება გამოირჩევა შიდაგრამატიკული დაპირისპირ- ებით სხვადასხვა დროით საფეხურებს შორის. ე.ი. ღმერ თი არის ის,რაც იქნება,არის და იყო.

იჰვჰ-ს ფონეტიკური არტიკულაციის თვალსაზრისით სა ინტერესოა თეოდორეტის ცნობა რომ იჰვჰ წარმოითქმოდა იაბე-დ,სავარაუდოა სამარიტ. იავე ფორმიდან. პირველი ტეტრაგრამატონი ენ ფესხას წარწერებშია დადასტურებუ- ლი.

ამ სახით იჰვჰ აფოკუსირებს საკუთრივ ებრაული ე- ნის გრამატიკულ დროების ერთობლიობას ებრაულსავე სა ფუძველზე იხსნება იგი და არა ჰეტეროეთნიკური ენების საფუძველზე.

გერმანელი ებრაელი მკვლევარი იულიუს ფირსტი იჰვჰ-ს თავის ფუნდამენტალურ კონკორდანაციაში,სწორედ მოქმედება-არსებობის აღმნიშვნელ ზმნურ ფორმა ჰაია-ს რიგში აქცევს. მისი აზრით,შომრონ-სამარიტელნი იჰვჰს გამოსთქვამდნენ შიმა-დ ებრაელები კი წმ. საკითხავე- ბში ადონაი-დ საერთო ყოველდღიურ მეტყველებაში კი ადონიშემად (= ადონაი - შემ).

ამდენად საკუთრივ იჰვჰ-ს გრამატიკული შიდა ფორ -

მაა დამყარებული დიალექტიკურ წინააღმდეგობას ღრმით-ხივრცითი აღქმის თვალსაზრისით. აქ თითქოს ერთ ღრმით კვანძშია მოქცეული არსი,რითაც იგი განსხვავდება სხ-ვა არს-მოვლენათაგან. და თუ ღრმშია იგი უსასრულოდ გ აშლილი და განფენილი,ცხადია,მას შესაბამისი სივრცობ რივი საფუძველიც უნდა გააჩნდეს. გამოდის,რომ ღრო და სივრცე ერთის წინააღმდეგობრივი დიფერენციაციის შედ-ეგია.

შეიძლება სავსებით გადაუჭარბებლად ითქვას,რომ ა-რც ერთ ენაში(რამდენადაც ჩვენ მიგვიწვდა ხელი)არ გ-ვაქვს ანალოგიური შემთხვევა ღმერთცნების ასეთი გამო ხატვისა,ყოველივე ეს კი ებრაული ენის უძველესი მატა-რებლების მაღალსა და დახვეწილ ფილოსოფიური აზსტრაჰი რების დონეზე მიუთითებს. აღსანიშნავია ისიც,რომ ტე-ტრაგრამატონი იჰვჰ ბიბლიაში 6. 823-ჯერაა მოხსენებუ ლი. სამაგიეროდ ღმერთცნება ელოჰიმ ბიბლიაში თითქმის 2.500-ჯერ იხსენიება.

ძველი სამყაროს ებრაელთა დამოკიდებულება ჰეტერო-ეთნიკური ღმერთებისადმი ორაზროვანი იყო. ისინი ფაქტ ობრივად იღებდნენ ე.წ. ელოჰიმ - ღმერთების არსებობ-ას,სწორედ მრავლ. რიცხვში,რადგანაც მათი წარმოდგენ-ით სხვა ხალხებსაც ჰქონდათ პრეროგატივა ღმერთთა კულ ტების მოაზრებისა. ებრაულმა ბიბლიამ მხოლოდ დააკონ-კრეტა სხვა ეთნიკურ ერთეულთა (ვინც არ უნდა ყოფილი-ყო ის) ღმერთცნება ღმერთებისა. ამით გამოჰყო,გამოში ჯნა ძირითადი უზენაესი ღმერთი,უცხო ერ-ეთნოსთა ღმერ თებს. რამდენადაც სწვდებოდა ძველ ებრაელთა ცნობიერე ბა ხმელთაშუაზღვეთ - მცირე აზია - ირან-ინდო-ჩინეთ-ის ვრცელ გეოგრაფიულ არეალში არსებულსა და მიმდინა-რე ეთნოგლოტოგონიურ პროცესებს, ამდენად ვარაუდობდა

და სავსებით სამართლიანად,რომ ხსენებულ კონკრეტულ-ეთნიკურ ერთეულებსა და მათ გენეტურ-ოჯახობრივ დაჯგუფებებში პოტენციალურად იაზრებოდნენ სხვადასხვა სახის ღმერთები,მითოლოგიური,ნახევრადმითოლოგიური,ფეტიშურ-ტოტემური,სპირიტისტულ-ანიმისტური და ა.შ. ებრაულმა იუდაიზმმა კი არ უარყო ხსენებული ღმერთების არსებობა,აკი მათ ფაქტობრივ-ენობრივ-გრამატიკული ლეგიტიმაცია მიანიჭა ფორმა ელოპიმ-ში,მან მხოლოდ მათ სიმრავლით ჭეშმარიტებაში შეიტანა ეჭვი,ამაში მდგომარეობდა ერთი მხრივ, იუდაიზმის ობიექტურ-უნივერსალური დამოკიდებულება უცხო ეთნოსთა რელიგიური სისტემებისადმი და მეორე მხრივ, კი ცალკეულ რელიგიათა კონკრეტულ-სუბიექტური მოცემულობის ფაქტი. აკი ბიბლიის პირველივე ფრაზა გამოხატავს სრული დატვირთვით ჩვენს აღნიშნულ მტკიცებას. დასაწყისში გააჩინა(განსაზა) ღმერთმა(ფორმალურად „ღმერთებმა" - მრავლობითში) ცა და დედამიწა, ამ სახით ბიბლიამ ანგარიში გაუწია პეტეროეთნიკურ ღმერთებსაც,წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკმაყოფილდებოდა საკუთარი ავტოქტონური ღმერთების სმარებით იპვპ.

როგორ განვითარდა თეოლოგიური აზრი ღმერთის შესახებ? - ამ საკითხს რომ ვუპასუხოთ,გულდასმით უნდა მოვეკიდოთ შემდეგ არანაკლებად მნიშვნელოვან ქვესაკითხებს 1) როგორ შეიქმნა პანქრონულად არსებადი,ერთი უზენაესი ღმერთის ცნება? 2) რა როლი უნდა ეთამაშათ წინარელიგიურ ეტაპებს ევოლუციონიზმის,წინაპართა კულტის,ანიმიზმის,ტოტემიზმის,პოლითეიზმის,მონოთეიზმისა და ათეიზმის სახით,ინდივიდუალურად და ცალკე არსებული რელიგიების ჩამოყალიბება-გაფორმების პროცესში?

ამ მხრივ იუდაიზმი და შესაძლოა სხვა ნებისმიერი

რელიგიური მოძღვრება(თავისი დოგმატური გაგებით)შემ-
დეგი დილემის წინაშე დადგა: ან ღმერთი იყო ერთი მა-
რადის შეუცნობი,გაუცნობიერებელი,და ისტორ. ქრონოლო-
გიის გარკვეულ ეტაპზე ებრაელი ერის გამორჩენა-არსთწ-
ვდომამ წარმოაჩინა იგი,მიარქვა რა მას სუბიექტურად
ისრაელის ღმერთის სახელი,პარალელურად სხვა ხალხების,
ერების ტრანსცენდენტების არსებობისა,ან ებრაული სა-
ხელწოდებები ღმერთისა და მათ შორის ძირითადი დიალექ
ტიკური ტეტრაგრამატონი ი-ჰ-ვ-ჰ არის მხოლოდ ერთადერ
თი,სპეციფიკური,ეთნიკურ-ენობრივი სახელწოდება,კოსმი
ური ობიექტი ტრანსცენდენტისა,სხვა ეთნიკურ-ენობრივ
სახელწოდებებთან ერთად?!

ამდენად,ღმერთის ფენომენის მოაზრება სხვადასხვა
ენებში,სათანადო ეთნოგლოტოგონიური კლასიფიკაციით,ე-
ნობრივი სპეციფიკაციის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ პრობლე
მას წარმოადგენს. მივყვეთ ენობრივ-კონცეპტუალური ს
იტყვა „ღმერთის" ანალიზს სხვადასხვა ენებში.

წინასწარ შევნიშნავთ,რომ ჩვენთვის ამ მხრივ ამო-
სავალი საკვლევი ძირითადი თემის (ღმერთის ცნების დი
ალექტიკური გაგება ბიბლიაში) მთავარი პუნქტის გარკ-
ვევისას რელევანტური ღმერთის აღმნიშვნელ კონცეპტთა
ბგერობრივ-ფონეტიკური შემცველობის არსი შეადგენს.ა-
სე მაგ. პროტოსემიტური ცნება ელ-ილუ-თია გადმოცემუ-
ლი(აქვე დავძენთ,რომ ეს სიტყვა სათანადო ფორმობრივი
დიფერენციაციებით ნასესხებია ებრაული ენის მიერაც,
თუმც არ წარმოადგენს მისთვის მკვიდრ-ავტოქტონურ კონ
ცეპტს), პროტოორომაულ-ბერძნულ დეუს-ზეუს; პროტოგერმა
ნულ-სკანდინავიურ გოდდ,პროტოსლავ. ბოგ; პროტოქართ-
ველ-ღორონთ და ა.შ.

ერთი თვალის გადავლებითაც კი შევნიშნავთ,რომ წარ

მოდგენილი ლინგვისტური ცნებები თავიანთი ფონეტიკური გამოსახულებებით ეყრდნობიან სპეციფიკურ,მყარ მატერიალიზებულ ასო-ბგერებს მეტნაკლები მაგარი თუ რბილი ან გარდამავალი ფონეტიკური ნიშანთვისებების - მიხედვით. ასე მაგ. სემიტურში რბილი ლატერალური ლ, გერმ.-სლავ. რომ.-ში მკვეთრი ემფატიკური ბგერები ბ, გ, დ, ქართველურში კავკასიური ლ + ნაზალური ბგერები. წინასწარი სამუშაო ჰიპოთეზის სახით შეიძლება დავუშვათ რომ რაც უფრო აბსტრაქტულია,განყენებული, გამონოთეიზებულია ღმერთის ცნება,მით უფრო ნაკლებია მის ამსახველ ენობრივ კორელატში მყარი,მკვეთრი,ემფაფტიკური ბგერები და პირიქით. ე.ი. ხალხის,ტომის, ეთნიკური ელემენტის ისტორიულ ღმერთცნებით-აღქმით პროცესსა და სხვადასხვა ქრონოლოგიურ ეტაპებზე ჩვენ მათ მიერვე აღნიშნული,სახელდებული ღმერთის ცნებებიდან ვგებულობთ. ანალოგიური მაგალითების მოყვანა სხვა ენობრივი ჯგუფებიდანაცაა შესაძლებელი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიაში სატომო ღმერთების სახელწოდებებს შორის გვხვდება - ბაიამე,დარამულუნი,ნურუნდერე,ნურალიე.

კალიფორნიის ინდიელებით - ტაიკომოლი,კუკსუ.

გვინეის პაპუასებით - მაიო,სოსომი.

ცეცხლოვანმიწილებთან სამხრ. ამერიკაში - კატაუინევა,ტემაუკლი,აცტეკ-ტენოჩიკები ღმერთს იცნობენ უიტცილოპოჩტლის სახელით,ტეცკუნაკები კი - ტეცკატლიპოკას სახელით,მაიას ტომების მიხედვით - კუკულკანი. საინტერესოა რომ ყველა ამ ენებში თვალშია საცემი მკვეთრი ემფატიკური და სისინა ბგერების სიჭარბე.

ვიეტნამურად - ხნა ტროი,ონგ ტროი,ოხუონგ დე.

ბირმულად - ფხეაი,ინდონეზურად კი - ტუჰან.

აღსანიშნავია,რომ მელანეზია-პოლინეზიის,ასევე ა-ლგონკინურ,იროკეზულ,სიუანურსა და სხვა ტომებთან ღ-ი გაიგივებულია დიფუზურ,არა-ინდივიდუალიზირებულ ძალა-ხთან,რომელსაც მანა-ს ეძახიან.

მონღოლურად,ღ-ს,ღვთაებას სხვადასხვა დასახელებე-ბი აქვს - ტენგერ,ბურჰან; შუტტენ. ევენურად - ხევკი -ხევკი,ტანგარა.

თურქულსა და მონათესავე ენებში სემიტურის გავლე-ნით სახეზე გვაქვს სახელწოდება ილაჰ. ასევე თურქულ-მონღოლური სპეციფიკური ღმერთწოდებები - ტანრი,მაზუთ, ჰაკ,ჰულა,ჩალაჰ,რ ჰ. ღმერთქალი - ტაურიჩა,მაზულე(ნ-აწარმოებია პარალელური მამრ. ფორმისაგან).

მოკმანურით - ტკაი. ალთაურად - კუდაი. ერზიანულ-ად პაზ,სათანადოდ ღმერთქალი - პაზავა. მარიულად - იუმო,პასკუალურად - მანარანგა,ასევე ატუა. ხაუსას ე-ნაზე - უბანგიიი,ზულუს ენაზე - ი იტპისო,ამხარულად - ეგზიაბჰერ ხოლო უნგრულად - ისტენ,მონათესავე ფინ-ურად კი იუმალა,ღმერთქალი - იუმალატარ.

ადიღეებთან კავკასიაში - ტხ'ე,ტაგალურად - ბატხა ლა,თამილურად - გებან და ა.შ. ენებისა და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით მოტანილ ვრცელ ენობრივ მასალაში საცნაურია მკვეთრი და ემფატიკური იშვიათად ნაზალური ბგერების თავმოყრა,ყოველ შემთხვევაში ერთ რამ სავ-სებით ცხადად ირკვევა. ენობრივ-კონცეპტუალური განვი თარების თვალსაზრისით თითქმის ყველა ეთნიკურმა ერთე ულმა განვლო თავის რელიგიურ სფეროში ღმერთის ასახვა -წარმოდგენისა და სახელდების ფეტიშურ-სტატიკური პერ იოდი,ამის ვარაუდის საფუძველს იძლევა მათ მიერ ღმე-რთწოდებებით სახელებში წარმოდგენილი მყარი,მატერიალი-ზებული ბგერათაღნიშვნები.

თუ ებრაული ღმერთცნებითი ტერმინის იჰვჰ-ს დიალექ ტიკურ გაგებას სხვა რელიგიურ მონაცემებზეც განვავრ- ცობთ,აღმოვაჩენთ რომ საქმე გვაქვს სამგანზომილები- ან დროით რეალობასთან(წარსული,აწმყო და მომავალი - როგორც იჰვჰ-ს გრამატიკული ფორმები გადმოსცემენ - ი ყო,არის,იქნება) შესაძლოა დავუშვათ,რომ მრავალ რელი გიაში არსებული ტრიადულ-სამობრივი სისტემა სწორედ იჰვჰ-ს სამგანზომილებითობას ეფუძნება. ქრისტიანობა- ში - ღმერთი-მე(ქრისტე) - სული-(მე),ბრაჰმანიზმში ბრაჰმა - ვიშნუ - შივა,ძვ.ეგვიპტურში - ოსირისი - ი სიდა - ჰორი; ძვ. რომაულში - იუნონა - იუპიტერი - მ ინერვა, ძვ. ბაბილონ.-ში ანუ - ენლილი - ეა. აქ ჩვ- ენ სამობრიობის ფენომენის გენეტური მხარე კი არ გვა ინტერესებს (საიდან რა წარმოიშვა) არამედ მისი სის- ტემური მხარე,თუ იუდაიზმში იგი ერთშია მოაზრებული და სინთეზირებული,სხვა რელიგიებში იგი დაშლილ-დიფე- რენცირებულია. შესაბამისადვეა გადაწყვეტილი რწმენა- ცნობიერების საკითხიც. ბიბლიაში რწმენა არის ღმერთ- თან დაკავშირებული ადამიანის განსაკუთრებული ფორმა არსებობისა. ე.ი. კარტეზიანული მეტაფრაზი რომ გამოგ ვეყენებინა „მწამს ე.ი. ვარსებობ"(რწმენა = არსებო- ბას) მათ შორის თითქოს სრული იდენტობაა(შდრ. საბაკუ კი 2,4). რწმენა ღვთაებრივის მიწიერი გამოხატულება -გარდასახვაა. ქრისტიანობამ რწმენის ფენომენი ღვთაე ბრივი მოციქულობის ობიექტში ქრისტეში გადაიტანა,ვი- თარც გზა ხსნისაკენ. რწმენა,როგორც აქტი სიტყვისაგ- ან გამომდინარეობს და ამ მხრივ იგი ცნობიერების ფუნ ქციაა. ლოგოსის რწმენა მისტერიის ამოვლენა-ამოხსნას ისახავს მიზნად,იმანენტურიდან ტრანსცენდენტურში გა- დასვლას. რწმენა თითქოს ღმერთშია ჩასაფუძვლებული,მი

ხი მდინარეზაა,და ამდენად იგი ზედროითი ხულის იდენ-ტურია.

ე.ი. ცნობიერების იმანენტურობა ბიბლიაში,წმ.აბსოლუტური არსის - ღმერთის დაშვებას ნიშნავს. (ლათინური იპსუმ ესსე,აკტუს პურუს).

ფენომენოლოგიურ -კაუზალურად(მიზეზობრივად)ღმერთი მოქცეულია უსასრულო მაქსიმუმსა და უსასრულო მინიმუმს შორის და სამყაროში ყოველივე არსებული მის ანარეკლს წარმოადგენს თითქოს. შეიცნო,გაიაზრო და შემდეგ იწამო ეს ანარეკლები ადამიანის თავისუფალი ნების გადაწყვეტის საკითხია,ამაში მდგომარეობს რწმენის პარადოქსიც. ღმერთი(ჰეგელის ნააზრევს რომ მივყვეთ)ვითარც აბსოლუტური სულის უსასრულობა ყოვლისმომცველი საზრისია,გონებაა,ღმერთის არსებობის საიდუმლოების შეცნობა ცხადია საკუთრივ ღმერთის შეცნობას ნიშნავს, ეს კი ადამიანური შეზღუდული მატერიალურ-ონტოლოგიური შესაძლებლობების მიღმაა. ერთი შეხედვით საკმარისი იქნებოდა მოგვეხდინა ღმერთცნების დიალექტიკური შემადგენელი ნაწილების დანაწევრება-დათიშვა,ცალკე გააზრება და ამის შედეგად მიახლოებითი წარმოდგენის შექმნა ღვთაებრივ ონტოლოგიაზე,მაგრამ თუნდაც ეს ნაწილობრივი პროცესი რომ განგვეხორციელებინა საჭირო იქნებოდა არანაკლებ რთული თანა-პროცესის გავლა; კერძოდ,ბუნებრივი მარტივი აზროვნების გზით მიგვეღწია წმინდა არსებადი არსის პრელიმინარულ გაგებამდე,შემდეგ აბსოლუტურად არსებადი აზროვნების საფეხურამდე,შემდეგ საფუძველთა უზენაესი საზრის საფუძვლის მეშვეობით დაგვეძლია უმაღლესი აზროვნების ქარგა,რომელიც თავისთავად,ყოვლადლიურობაში,კერძო პიროვნული აზროვნების ლოგიკურ,მაგრამ ნაწილობრივ სტრუქტურას შეადგენს.

მოკლედ რომ ვთქვათ,(და ბიბლია ამ მხრივ ამაღლდა ღმერთ...გების უმაღლეს ლოგიკურ საფეხურამდე,განსაზღვრა რა იგი არა საზღვრული ცნებებით,არამედ საკუთრივ განსახაზღვრი ოდენობებით. იყო - არის - იქნება, არც ერთი მათგანი არაა განსაზღვრული,დეფინირებული),ღმერთის განსაზღვრა-შეცნობისათვის არაა საკმარისი არსებული აღწერითი ცნება-ტერმინები,უსასრულობა,განუსაზღვრელობა ვერ აღიწერება სასრული ცნებებით. უსასრულო შეიძლება იყოს მხოლოდ წმ.ფენომენოლოგიური რწმენა,ცნობიერება,გონი,საზრისი და მისი ონტოლოგიური ანასახი - ღმერთის სახით. დანარჩენი ყოველგვარი განსაზღვრება პირობით-ადამიანურია,ამდენად არასრულყოფილი,მეზღუდული.

გარდა ამისა,ჩვენ ვუშვებთ,რომ ყოველი მოვლენა ღვთაებრივია,ყოველივეშია მოცემული სიწმინდის ნაწილი, ემანირებული,გარდასახული ადამიანი და მასთან ერთად კაცობრიობა(ადამიანთა ერთობლიობა)თავის განვითარებაში(ისტორია)მხოლოდ ეპიზოდია ვრცელი კოსმო-თეოგონიური პროცესისა. ვერავითარი ულტრამეცნიერული მიღწევი ვერ ეწინააღმდეგება და ვერ სპობს იმ პროცესს,რად განაც პოტენციალურად ეს მიღწევი და ყოველივე არსებული-არსებადი და საარსებო(= იპეპ)მისი ნაწილია.(მაგ. ატომი,ლეიზერის სხივი,წყალბადის ბირთვი და ა.შ.) მზის ფიზიკური პოტენციის ანარეკლი-გამოვლინებაა ადამიანური გონების მიერ მიკვლეული)საქმე მხოლოდ მათ ადამიანურ მიზანწვლომა-მიგნებაშია. (შდრ.პიერო-ფანია =წმ. მოვლენიობა). ესქატოლოგიურად ინდივიდის ბედი და სამყაროსეულ კოსმიური განვითარების გზა გამოუვალ წინააღმდეგობაში არიან მოქცეულნი. ლედამიწა უკან ი ბრუნებს თავის ღვთაებრივი ემანაციით ანაპერნკლებულ

და ჩამქრალ შვილებს,მთავარი ისაა,რომ სიკვდილის მე-
რე'ღმერთცნებითი ადამიანის „მე" ხელუხლებელი რჩება.
მაგრამ სად,როგორ,რა პირობებში,რა სახით?! – საკმა-
ოდ რთული საკითხია! როცა საქმე დაფარულის არსობრიო-
ბას ეხება,მისი რეალობის აღჩინებას და შემდეგ მის ნ
ევროლოგიურ წვდომას,ლაპარაკი გვაქვს უკვე წვდომის ო
ნტოლოგიურ არსზე,თანადროულად გრძნობის ონტოლოგიზაც-
იაზე და თუ ეს პრაქტიკულად განხორციელებადია,ხაზს ვ
უსვამთ კიდევ-გრძნობა-შეგრძნების მატერიალიზება-ონ-
ტოლოგიზაციას,მაშინ არავითარი დაბრკოლება არ დააყოვ
ნებს მკვდარ მატერიასა და მკვდარ იდეას შორის მოქცე
ული,ისევ სამელემენტოვანი ღმერთცნებითი რეალობის წ-
ვდომას,ესენია მოძრაობა,წმ. სპეციფიკური ქმედება,წ-
არმოდგენილი ტრანსცენდენტალური მარადიული ცვალებადო
ბის (ანუ ღმერთის) სახით და აბსოლუტური მყოფობა.
ე.ი. ხსენებულ ორ ცნებას შორის უნდა იყოს ფენომენი,
რომელიც სიცოცხლისუნარიანობას შესძენს,ქმედება-მოძ-
რაობაში მოიყვან.ს მათ ამა თუ იმ სახით.

ღმერთცნების დიალექტიკური ანალიზის ცდა ჯერ კიდ-
ევ ქრისტეს თანამედროვე ებრაელმა ფილონმა სცადა თა-
ვის ცნობილ თხზულებაში „აბრაამის გადასახლება" აქ ი
გი წერს: „მამა ყოველგვარ ნივთთა შუაშია,რომელსაც წ
მინდა ნაწერებში თავის საკუთარი სახელი გააჩნია ,ის
რომელიც არის (ბერძნ. ჰო ონ) გარდიგარდმო,ცალკეულ მ
ხარეზე ორი ძალა(=დუნამეის)მდებარეობს,რომლებიც ყვე
ლაზე უძველესნი და მასთან მიახლოებულნი არიან,ერთი შ
ემქმნელ ძალად,მეორე კი სამეუფეო ძალად იწოდება.შემ
ქმნელ ძალას ღმერთი(=თეოს)წარმოადგენს,რომლის საშუა
ლებითაც მან,განაწყო და განაწესრიგა ყოველივე,სამე-
უფეო ძალას უფალი(=კურიოს)ეწოდება,რომლის მეოხები-

თაც შემქმნელი მართავს და ხელმძღვანელობს ყოველივე შექმნილს. იგი კი, რომელიც საკუთრივ შუაგულს წარმოად გენს, თანხლებულს თითოეული თავის ძალებითურთ, ცნობიერებით გონებას წარმოესახება ხან ერთის, ხან კი სამის სახით."

ახეთია ფილონისეული სამების ერთობის დიალექციკა, დავაკვირდეთ:

(შემქმნელი ღმერთი - არსიიგივე ონი - მმართველი მეუფე).

ე.ი. ლაპარაკია ღმერთის სამობრივსა, მაგრამ ერთ ა რსებაში სამი სულის, სამი მყოვრობის არსებობის ფაქტზე. ამასთან ერთიანი ღვთაების შუათანა არსი წარმოდგება ვითარც ღვთაების-უფლის სიტყვა, შეუქმნელი, თვითარსებადი სიტყვა, იგივე იჰვჰ და მისთვის დამახასიათებელი ატრიბუტები. ხსენებული სხვა არა არის რა თუ არა ბერძნული ლოგოსი. ამ მხრივ საინტერესოა ის ფაქ ტი, რომ წინასწარმეტყველ იეშაიაჰუსთან (42,8) ღმერთი თ ავის საკუთარ სახელდებაზეც ლაპარაკობს: „მე ვარ იჰვჰ ესაა (ანუ აწმყოა) სახელი ჩემი და ჩემს ღირსებას არავის არ მივცემ". რიგ ადგილებში, ღმერთცნება-ტეტრაგრამატონ იჰვჰ თავის იერუშალაიმურ თარგმანში იონათ ან ბენ 'უზიელი თარგმნის მემრეჰ და-ადონაიდ ანუ სიტყვად იჰვჰ-ისა. თუნდაც ეს ადგილი რომ ავილოთ „და განსახა იჰვჰ-ს სიტყვამ ადამიანი თავის სახიერების მსგავსად, იჰვჰ-ს მსგავსებით განსახა ისინი... ან ცნობილი პასაჟი ღმერთის მოსესთან საუბრისა". და ღმერთის (იჰვჰ) სიტყვა ეთქვა მოსეს: „მე ვარ ის, რომელმაც უ ბრძანა სამყაროს, იყავნ, და შეიქმნა, და ის, რომელიც მო მავალში ეტყვის მას იყავნ. და ის შეიქმნება". ასე ე უბნე ისრაელის შვილებს მე ვარ ის (ვიქნები-მ) გამო-

მგზავნა თქვენთან,(იხ.შემოთი 3,14)ანალოგიური მოვლე
ნები დასტურდება ონკელოსის ცნობილ არამეულ თარგმან-
შიც. ამდენად ბიბლიას სწამს ამ იჰვჰ-სეული სიტყვისა
და მას ღმერთცნების აბსოლუტურ იდენტობად წარმოსახა-
ვს(სათანადო თარგმან კომენტარების სიბრტყეზე მაინც)

რწმენა ღვთაებრივი სიტყვის ძალაში იმდენად ძლიე-
რი იყო,რომ ზემოთ უკვე რამდენჯერმე ხსენებული არსობ
რივი კოლიზია ღმერთცნების ანალიზის სფეროში თავჩენი
ლი,პრეზუმპტულად იქნა მოხსნილი იუდაისტურ თეოლოგიურ
მსოფლმხედველობაში. იუდაიზმის თანახმად სამყარო გარ
კვეულ,გეგმაზომიერებით აგებულ სისტემას წარმოადგენს
რომელიც მხოლოდ ღვთაებამ უწყის,ღვთაებაა ერთადერთი
უზენაესი სამართლებრივი ძალა,თუმც აქვე დამატებითმა
წინააღმდეგობამ იჩინა თავი,კერძოდ,როგორ შეიძლება
უზენაესი სამართლიანი განგების გვერდით არსებობდეს
სამყაროში ბოროტება?! იუდაისტურმა მრავალსაუკუნოვან
მა კონცეფციამ თავისებურად გადაჭრა ეს საკითხი.

ბრწყინვალე დიალექტიკური ღმერთცნებითი განსჯა მო
გვცა მაიმონიდმა. ღმერთი სამყაროს პირველმიზეზია,ი-
გი არაა მრავლობითი,რამეთუ მრავლობითი სხვადასხვაა,
ღმერთი კი აბსოლუტურია. ადამიანის სიცოცხლე= თუ კი
მას იუდაისტური თეოლოგიის ეთიკური პრინციპების თვალ
საზრისით შევხედავთ არაა შემთხვევითი და გარდამავა-
ლი მოვლენა,არამედ წარმოადგენს ინტეგრალურ ნაწილს უ
მაღლესი ზნეობრივი პრინციპის განხორციელებაში.ყველა
ადამიანი თანაბარია,განგებასთან თავის ურთიერთმიმარ
თებაში,ადამიანები,ვითარც კაცობრიობის ნაწილი,ერთია
ნი მონოთეისტური ენის სხვადასხვა ბგერებს წარმოადგე
ნენ.მონოთეისტური ღმერთცნების უნივერსალიზაცია სპე-
ციფიკური ებრაულ-ეროვნული თვალსაზრისით ეყრდნობა ი-

მავე პოსტულატებსა და კრიტერიუმებს,როგორც სხვა დ-ანარჩენი რელიგიები ეყრდნობიან სათანადო სპეციფიკ-ურ ეროვნულსა ან ზოგ შემთხვევებში საყოველთაო,მრა-ვალ ეთნიკურ საფუძვლებს(ქრისტიანობა-ისლამი).

ებრაული ეთნოგლოტოგონური პროცესის ორომტრიალში ფორმირდებოდა ბიბლიური იჰვჰ-სეული მონოთეიზმი. ეს მონოთეიზმი როდი იყო შიშველი,მარტივი,უშინაარსო.ი-გი მორალურ-ეთიკური პრეზუმპციებიდან მომდინარეობ-და,როცა სამი ძირითადი ცნებითი ატრიბუტიდან (ყოვლ-ის შემძლე,-მცოდნე,-ჭეშმარიტი)სწორედ ეს უკანასკნე ლი თვისება იქნა წამოწეული. ეს პროცესი ხასიათდებო და ღმერთცნების თანდათანობითი გადასვლით ონტოლოგიუ რი იმანენტური სამყაროდან აქსიოლოგიურ ანუ ფასეულობა თა ტრანსცენდენტალურ სამყაროში. გარკვეული სამი ძი რითადი სამოქმედო სფეროდან ძალა,სიბრძნე,და ზნეობა, იუდაიზმმა სწორედ ეთიკური სფერო აირჩია და ასეთივე ფუნქციონალური გაგება მიუსაზღვრა ღმერთს იჰვჰ-ს.ამ მხრივ მეორეულ თანა-მიზანს მისთვის ადამიანის წარ-მოადგენდა,რომელსაც არა რას შემატებდა გაყინული ი-ნტელექტუალური მთლიანობით შეპყრობილი ღმერთი,არამ-ედ მას ეთიზმის დინამური ფორმებით აღჭურვილი ღრმად შეღწევადი და ყოვლისგამჭოლავი ღვთაება ესაჭიროებო-და. ზნეობრივი ვექტორი სწორედ იმას ითვალისწინებ-და ბიბლიური ღმერთცნების დიალექტიკურ გაგებაში,რომ ღმერთი არ ექცეოდა ჩაკეტილი აზრი-მააზრებელი-მოაზ-რებულის ინტელექტუალურ წრეხაზში,არამედ ადამიანსა და ღმერთის ორმხრივ ყოფიერებით სფეროს ეფუძნებოდა, როცა ღმერთი შემბრალე-შემწყალეა,ხოლო ადამიანი კი საკომპენსაციო სიკეთის განხორციელებას კისრულობს. ბიბლიის მიხედვით ღმერთი ყოფიერების აბსოლუტური სუ

ბიექტით,არ შეიძლება მისი წვდომა,შეცნობა,რადგანაც წვდომითი პროცესი სუბიექტად შემმეცნებელ ადამიანს აქცევდა,ხოლო ღმერთს კი - შესამეცნებელ ობიექტად.

ბიბლიის ღმერთი მარადიულია დაუწყებელსა და დაუბოლოებელ დროში,მაშინ როცა ფილოსოფიური ღმერთი მარადიულია მოც. გაყინულ-ვრცელ დროში. იჰვჰ-ს ეთიკური ძალა,უსასრულოდ შინა-იმანენტურ დინამიზმს ემყარება,ასეთი სახით ფორმირდებოდა ეს გაგება ეგვიპტის ხანაში,          მკვლევარების თვალსაზრისით იჰვჰ ფორმა გრამატიკულად კაუზატიურ ფორმას წარმოადგენდა ე.ი. მიზეზგამომწვევ,აქტიურ ფაქტორს(აფ'ელ - პიფ'-ილ ტიპისას) და ამ შემთხვევაში მისი სემანტური თარგმანია ის,რომელიც ამყოფებს ანუ იწვევს რაიმის ყ-ოფნას ან ყოფიერებაში მოჰყავს,რაც კი მას სურს,შდრ. ანალოგიები ძველეგვიპტური ლიტერატურიდან. ე.ი. ღმერთცნება - იჰვჰ-ს მარადიულ დინამიზმის,ქმედებას,აქტიურ სურვილს გამოხატავს და ამდენად მხოლოდ ავსებს იჰვჰ-ს თავის დიალექტიკური დაპირისპირებულობითი ი-ყო-არის-იქნება-ს სახით,ან ეჰიე აშერ ეჰიე-ს გაგებას. ამის გამო ბიბლიური ღმერთი მიზეზქმედებითი აქტიური-სუბიექტური გარემოებაა და არა როგორც მაგ. ბერძნებთან მიზან შედეგობრივი სტატიური ფენომენი.

დიალექტიკურადვე იუდაიზმ-ბიბლიის ერთი ღმერთი არის მრავალი,ანუ ესაა გა-ერთ-ებული მრავალი,რომელშიც ყოველი ცალკეული თავის თავის იდენტურია,თვითეგივებადია,ამდენად გვაძლევს ერთს,ტრანსცენდენტურს,განყენებულს,არაკონკრეტულს,არამატერიალურს,სხვა მხრივ წინააღმდეგ შემთხვევაში,ჩვენი სამყარო,კაცობრიობა,ისტორია გამოუვალ,პარადოქსალურ ერთისა და მრავლის დაუძლეველი წინააღმდეგობის წრეხაზში მოექცეოდა.მეო-

რეს მხრივ,ცხადია ისიც,რომ როგორც პროცესი - დაშლა, დიფერენციაცია - მატერიალიზაციის,არასრულყოფილების პროცესს წარმოადგენს,სამაგიეროდ გაერთმთლიანება,შერწყმა-მიერთება ერთში - გასრულყოფილების,განწმენდის პროცესია.

გარდა ამისა,ჭეშმარიტება(თავის პოტენციალური აბსოლუტური სახით) ერთია,იგი არაა მრავალი და წარმოუდგენელიცაა იგი მრავალი იყოს,ამდენად ჭეშმარიტება ერთია ისევე,როგორც ღმერთის ცნებაა ერთი. მატერიალიზებულ სამყაროსეულ კონგლომერატს რაღაც უნდა ასულიერებდეს. ადამიანი,ჭეშმარიტების დაქუცმაცებულ,დანაწევრებულ ნამსხვრევებს ხედავს,მათ გამუდმებით შეგროვება-შეწებებაშია დროებით-სივრცობრივი სიცოცხლის განმავლობაში.

ჩვენი აზრით,ბიბლიის კონცეფცია,შექმნის ანუ ქმნადობის პროცესის ერთადერთობას,ღმერთის თვითიდენტობის ცნებას აფუძნებს,გამოდის,რომ,შექმნა ღმერთის იგივებადია.

ძველ აღქმაში,ღმერთისირგვლივი ცნების მთელი პარადოქსულობა იმაში გამოიხატება,რომ ადამიანს ერთი მხრივ,ეშინია მისი, უფრთხის მას, მასთან შეხებას,დაპირისპირებას,მეორე მხრივ, კი არავის,არც ერთ მადას არ შეუძლია მთაზეროს ადამიანს იმ უშიშროების გრძნობა,თვითმტკიცების უნარი,როგორც ღმერთს,აბრაამის,ია'აკობის მოშეს;იეშა'იაჰუს, ირმიაჰუს კონტაქტები ღმერთთან.(ბერეშითი 12,22,23;1 და ა.შ.).

იუდაიზმი ამ მხრივ,როგორც კულტურულ-რელიგიურ-ისტორიული მოვლენა უპირისპირდება კერპთაყვანისმცემლურ-მონოთეისტურ რელიგიებს,განვითარების კანონების,მორალურ-ეთიკური ნორმების საერთო კომპლექსისა და ღმე-

რთცნების დიალექტიკური ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ხაზგასმულია სწორედ ის,რომ მიუხედავად თავის ობიექ-ტურად არსებული ეთნიკურ-სპეციფიკური შეზღუდულობისა, იუდაიზმი ცდილობს გამონახოს საყოველთაო-საკაცობრიო უნივერსალური ღმერთგაგების გზები. ისტორიულ-რელიგი-ურმა კანონზომიერებამ სხვანაირად წარმართა ხალხთა ი-დეოლოგიური განვითარების პროცესი. იუდაიზმის-ფენომე-ნოლოგიურ სხეულზე ორი,მონოთეისტურ გარსში გახვეული, ხორცმეტობა წამოიმართა,ქრისტიანობისა და ისლამის სა-ხით. საკუთრივ ქრისტიანობის გაჩენამ იუდაიზმის წიაღ-ში გზა გაუხსნა ისეთი აპოკალიპტური,უდაბნოურ-პათოლო-გიური და ანტიესთეტიკური რელიგიური მიმდინარეობის წ-არმოშობას,როგორც იყო ისლამი.

იუდაიზმი ეყრდნობოდა რა ბუნებრივი მორალის იმპე-რატივებს,ცდილობდა ბუნების ძირითადი კანონები სიმბო-ლურად გამოეხატა,სამყარო-სიმბოლო,ღმერთი - სიმბოლო, ადამიანი - სიმბოლო და ა.შ. სიმბოლოს დიალექტიკური არსი მის ერთადერთობაში იხვეწება,ეს ერთადერთობა კი სტრუქტურულად სავსებით არ არის მარტივი,იგი საკმაოდ რთულია. ამ მხრივ,იუდაიზმი,როგორც ზოგადად რელიგიის ფორმა.ამბივალენტური ხდება,ერთის მხრივ მან სამსახუ-რი უნდა გაუწიოს გარკვეულ რაობას ეროვნულ-მატერიალუ-რის არსებობის სულიერი ფორმის თვალსაზრისით,მეორეს მხრივ კი მოქცეულია კონკრეტულისა და ზოგადის,ინდივი-დუალურისა და უნივერსალურის დაუძლეველ წინააღმდეგო-ბაში.

ამ საფეხურზე ბიბლიური ღმერთგაგების პრობლემა რომ შეგვეჯამებინა,დავუშვებდით,რომ ღმერთი ბიბლიის მიხედ-ვით საყოველთაო ყოფიერებისაგან ცალკე არსებული მყოვ-რობაა,რომლის დამოკიდებულება ყოფიერებისადმი ანალოგ-

იურია შემქმნელის დამოკიდებულებისა შექმნილისადმი, ყოფიერება კი თავისთავად ღვთაების აბსოლუტურად თავისუფალი ნების გამოვლინებაა.

# ქართულ-ებრაული სიმბოლისტური რემინისცენციები

ბებერი პალესტინის ცისფერ ღამეებში
შენ მეცხადები მაია სორრელ!

იყო რაღაც და იყო ვიღაც
იყო შუადღე,

ქართა ქროლა ცისებრ მზისფერი,
აშრიალებდა ფარდას ჩუმი ოცნების კალთა -
ჩვენ შევცქეროდით მისტერიას ვნებად ავლენილს
და მონავნავე ნაკადების უსაზღვრო სამანს.

შავით მოსილი ოქროსფერი თეთრი მანდილი
გზნება-დანთებულ,გაციებულ სიმახინჯეთა -
შენ მიცინოდი,შენ ტიროდი -
თრთოდი კანკალით
ლურჯი ზოლების სწორი ხაზი მიმაცილებდა.

ჰა, ანგელოსმა შეარხია უსიტყვოდ ვნება,
ვნებამ იკივლა, ჩაიფერფლა შავისნიერში,
შენ მიცინოდი, შენ ტიროდი ციურ განგებად
და სამარეში ჩამოღვენთილ სანთლებს ინთებდი.

მარმარილოთა სვეტშეფრქვეულ ჩინურ ურჩხულებს
თუ მოაჩქარებს კამარათა ურჩი გენია,
შენ მეცხადები ღამეებში მაია სორრელ -
ისევ და ისევ მეუფლები ნევრასთენიად.

სპირტი, სითეთრე დაფრქვეული სურნელი ამბრის,
დღე მიილია, მიიცვალა მოუსავლეთით -
შენ მოგელოდა დაქანცული მთოვარე ღამის
და უსახიერ ჩონჩხთა წყება მიუკარები.

მაია სორრელ... გაგონდება დრო გაბზარული,
დრო ჩათენთილი დღეთა, თვეთა, წელთა თარეშში-
ამობრწყინდება ახალი მზე არ-განსახული
და მოცვარული მიწის გულზე დაიბადები.

შენ წამოდგები პირმცინარი, კუშტი, მორჩილი
მშვიდობითაო - შემომძახებ, გშორდები, კმარა!
გადიხარხარებს ავი ღმერთი და ჯოჯოხეთში
გაიმართება კარნავალი ჩვენეულ გვამთა.

იქ განსხვავებად წამოგსკდება ძველი ზღაპარი
ჩამოგემსხვრევა მარმარილო თოვლში შთენილი
და სამყაროთა იავარქმნილ გზაგასაყარზე
აშრიალდება ჩუმი სევდა სხივშეფენილი.

გვალვაა ცხელა ჩვენს მშობლიურ პალესტინაში
ჩონჩხს გადაეწვა თავის ქალა, სადაა ქრისტე!
საქართველოდან ევროპისკენ დაძრულა ჯარი
და სიონიზმის სამარესთან ჯვარი ხითხითებს.

ბედის ნიაღვრად მოვარდნილი შენაპირები,
გეჩურჩულება ცისარტყელა ენთება ფიცად,-
ანგელოსებმა სამრეკლოზე დასდეს პირობა
და საქართველოს ცისფერ ძარღვებს შენს სულში
სძინავთ.

მაია სორრელ... გაიხსენებ?! ჰა, გუგუნებენ,
კოსმოსს სისხლი რწყავს და სწყურია ადამიანი
მუხლის თავებში ჩაითურთავ ავხორცულ ვნებას,
ვნება, რომელიც შავ ეკრანზე შეიფრთხიალებს.

გაჟონავს სითხე, ბალზამდება ვაჟკაცის გვამი,
ამ წუთისოფელს რა სანია სძულს ვაჟკაცობა-
ღამის წყვდიადში მიირხევა მეძავთა რაზმი
და ეკლესიით გამოისმის ჩუმი გალობა...

შენ გიგალობენ, შენს სითეთრეს მაია სორრელ,
შენს ფერმკრთალ სიცილს და განცდათა
შემობრწყინებას,
ასაფლავებენ პარასკევის განწმენდილ მოგვებს,
მათში ჩაყინულ, ჩამოშიგნულ ესენციებსაც.

ამოცარგვალდა, აცისკროვნდა და ჩაესვენა
მზე მოქუფრული ღლეგამწყრალი პარაკლისებით,
და ჭრიალებდა ოწინარი სოფლის ბოლოში -
ვით სასოება ჩვილი ბავშვის განაციები.

მე ეს დუმილი რა ხანია მაწამებს ხორრელ,
შენ მოკანკალე შემომცქერი ნერვული ყინით,
ველის ყვავილებს სიკვდილისფრად შემოისწორებ-
და ზეციერი დაუყვები მიწიერ ბილიკს.

შემოგეძარცვა ხორციელი სამოსი მკრთალი,
სული გასჭოლა ღვთაებრივმა დისჰარმონიამ,
ამოფრიალდა ლურჯი ზღვების თავნება ქარი
და იალქნების იისფერი ჩანს აგონია.

იყო შუადღე,
ქართა ქროლა ცისებრ მზისფერი
აშრიალებდა ფარდას ჩემი ოცნების კალთა
ჩვენ შევცქეროდით მისტერიას ვნებად ავლენილს
და მონავნავე ნაკადების უსაზღვრო სამანს.

ცრიფინი, 5 ივნისი 75 წ.
სამხედრო კსარკეტინები.

## ჰერცელ ბააზოვის ხსოვნას
## ელეგია

მზე მიეტანა დასავლეთის ცისფერ ოლარებს,
ნგრევის წყურვილში გაზაფხული დაბედისწერდა-
წვიმა და ქარი ღამის სარძლოს აატორტმანებს,
და ოქროსფრთოვან ფახკუნჯებად მთვარე იფრქვევა.

რა აკანკალებს სარკეებში ქარის აჩრდილებს,
ემბაზს აწყდება ვალტორნების უხულო კვნესა -
დღის ქარიშხლიან კანდელებად ელავს სამშობლო
და იავარქმნილ აკორდებად ინთქმევა ზეცა.

ძეგლების სუნთქვას რა ხანია უსმენს მდუმარედ,
აღმოსავლელთა დავრდომილი სნეული ხული,
და საუნჯეთა გადამარხულ ბორცვებს უდარებს,
მიწის მძივების აწყვეტილი ხმა შენეული.

სიკოცხლეს სთხოვდა სანთლის მუქი მინდვრის
ყვავილებს,
და ირხეოდნენ მორეული კვიპაროსები -
არსგარდაქმნილთა გრიგალებში ესვენა მთვარე,
ესვენა მშვიდად,ჯოჯოხეთურ სიმარტოვეში.

ვით დაფარული დიადემა,ღრუბლების ფენა,
ლურჯ-მოზურმუხტე ყინულოვან სასახლეს ჰგავდა,
განუკურნებელ სენს უხმობდა ეული ღმერთი
და დაღლილ სახეს ქვეყნიერი წუხილი ნთქავდა.

შავად შეფერილ ანძისეულ მსხვრეულ ოცნებებს
თრთოლვით ერთხმოდა მათხოვართა ურიცხვი წყება,
შორს,სამზატიონს მომავალი უმზერდა შვებით
და უმიზნობას ნებდებოდა მესია მსხვერპლად.

ერთფეროვანი ბრწყინვალება მოსწყინდათ ლანდებს,
მაღალთაღოვან კოშკურებში დასცალეს თასი -
სამშობლო მხარეს სისხლისფერი ზვირთების სჯერა,
და მგლოვიარე განკიცხულთა თეთრფერა ბაფთის.

და ვით წამება თენდებოდა წითელი დილა,
დილას სწყუროდა სიბრალული ვით ნეტარ ღამეს,
მიყუჩდა წყლული და წამება ცვარ-ნამად იქცა,
დაუვიწყარი აისების უღრუბლო ცაზე.

ლოცვა – ვედრება მოჰყვა ზღვების თავნება სიოს,
უმანკოეთში ჩაილურსა ვარსკვლავთა წყება –
კავკასიონი ესალმება მდუმარე სიონს
და იავნანად გვესიტყვება სამშობლო – დედა!

1976 წ.

# თარგმანები

● იეჰუდა ჰალევი

● შელომო იბნ გაბიროლი

● მენახემ თალმი

*იეჰუდა ჰალევი*

# ებრაული პოეზიის ბრწყინვალება

"... პოეტი იყო, ვით საოცრება,
თვისი ეპოქის სვეტი ნათლისა,
და ლაჟვარდ ცაზე ციმციმი მისი
იუდეველთა მზედ ციაგებდა..."

ჰ. ჰაინე

იეჰუდა ჰალევი ებრაული ნაციონალური კულტურის კორიფეა. მისი შემოქმედება სამართლიანად ითვლება შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის ბრწყინვალებად.

ი. ჰალევის, როგორც პოეტის სიდიადე მდგომარეობს იმაში, რომ, დაეუფლა რა ვირტუოზულად ვერსიფიკავიის რთულ ტექნიკას, მან იგი ყოველგვარი ნარჩენის გარეშე გახსნა თავის პოეზიაში და შექმნა საუცხოო ლექსები, რომლებშიც გულმართლობით ასახავს თავისი თაობის ფიქრებსა და სახოებას, განწყობასა და იმედებს. ტექნიკა მისთვის არასდროს არ ყოფილა თვითმიზანი, არამედ ის წარმოადგენდა დიდ იდეურ-მხატვრულ ამოცანათა გადაჭრის საშუალებას.

ი. ჰალევის ლექსთა სტროფები ელვარებენ ყოველგვარი სალებავებით, ახარებენ სმენას კეთილხმოვანებით, გვაოცებენ აზრთა სიღრმითა და პოეტურ სახეთა სიკაშკაშით.

გენიალური პოეტი წერდა მხოლოდ იმის შესახებ, რა-

საც თვით გრძნობდა და განიცდიდა,მისთვის უცხო იყო აბსტრაქტული,გონებაჭვრეტითი მთხზველობა,და ამ მიმართებით ი. ჰალევის თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ებრაული პოეზიის უდიდესი რეალისტი,ხოლო მის ლექსებს პოეტის მინაგანი სამყაროს ამსახველი სარკე.

პოეტის „სატრფიალო" რუბრიკაში შემავალი ლექსები თითქოს ჩვენ გვაბრუნებს უკვდავი „ქებათა ქების" ატმოსფეროში.კვლავ,მრავალსაუკუნოვანი შესვენების შემდეგ დაუღწევი ჭმუნვის მოტივებით გამსჭვალულ ებრაულ პოეზიაში კვნესას იწყებენ იადონები,სივრცეში იღვრებიან ნარდისა და ამბრის სურნელებანი.აქ ყოველივე ახარებს თვალსა და სმენას,უწინარეს ყოვლისა კი - ნაზ იადონთა და ქურციკების სიტურფე,ან მათი ბაგე-ლალის და კბილ - მარგალიტის მშვენიერება... აქა-იქ გაყუჩებულად ჟღერენ ეროტიკული ნოტები,მაგრამ პოეტი არასდროს არ ვარდება ნატურალიზმში და არ ჰკარგავს ზომიერების გრძნობას. პირიქით, ი. ჰალევის პოეზია „ქებათა ქების" მსგავსად ალეგორიაა,ისრაელისა და ღმერთის ურთიერთობას რომ ასახავს. გამიჯნურებულ წყვილებთან ერთად მის ლექსებში ზეიმობს მთლიანი ბუნება,და მათ სიხარულს უერთდებიან თუნდაც პლეადები და ვარსკვლავნი ორიონისა!

ი. ჰალევის შემოქმედება შეიცავს მისი ეპოქისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა პოეტურ ფორმებს,ხოლო მინაარსი განსხვავდება თავისი თემატიკის ფართო დიაპაზონით,რომელიც ღრმად ლირიკული ლექსებისა და სატირული ეპიგრამებისაგან ვრცელდება ნაციონალური თემების ამაღელვებელ და გულშიჩამწვდომ ელეგიამდე.

ვთავაზობთ მკითხველს შალომ დავითაშვილის მიერ ებრაულიდან თარგმნილ ორ ლექსს, ი. ჰალევის „სატრფიალო" რუბრიკისა და „სიონიდის" ციკლიდან.

# Ⴑ Ⴈ Ⴍ Ⴌ Ⴈ Ⴃ Ⴈ

სიონ!

ამ უჩვეულო გარდაგეზისთვის
მადლი აღუთქვი განდევნილ შვილებს,-
იმ არვეს შთენილს,ზედსვიან ერთან
ოდეს რომ სძოვდა შენს იალაღზე.

დედამიწის ყოველ ფრთედან,
უსავანო ტრამალიდან,
სამხრეთული ხორშაკიდან,
ჩრდილოეთის ველებიდან,
დასავლეთის შორეთიდან,-
მარად შენ გიმღერთ,
შენდა მოვილტვით,
დედაო მიწავ,
სამშობლოვ,წმინდავ,
ვფიცავთ,მართ ოდენ მარტო შენს მზესა!

ო, რა ხანგრძლივად ვოცნებობდი,
მომერწყა ცრემლით
ყველა მწვერვალი დიდებული ხერმონის მთისა.
მარად,ვითარცა ტურა მე დავსტირი
სევდიან ნანგრევად ქცეულ შენსა დიდებას.

რაყამს ოცნება თუნდაც წამით, როს წარმოსახავს,
აჰა, დასრულდა დატყვევება დაჩაგრულ შვილთა,
მამინ გალობა ჩემი მჭმუნვარე მუზის
კვლავ აყღერდება სიხარულით და აღმაფრენით.

მე იქ მილიფად და დარდალინად ვიხეცრიალებ,
ოდეს,რომ იჯდა ცახცზე მეფე და
აღმართული იყო ცამარი.
მე იქ შევიგრძნობ ნეცარებას ნანგრევთა შორის,
ვიდრე უცხოეთს თავზე ვაცარო გვირგვინი მეფის.

ულამაზესმა ქალწულთა შორის,
თვის ყელსაკიდი როს შეისწორა,
ნადიმი გახსნა.და ფერად ბაღში
მხიარულება აახმიანა,

იხიბლებიან მირცები თუნდაც
და მას აფრქვევენ კეთილსურნელსა.

რა საამოა მწვანით მოსილ
ამ მინდორ-ველში,
ვარდისფერ ლაქად ანთებული
რიყრაყის ხილვა,

ჩამავალი მზის ფერად კიდეზე
უკანასკნელი სხივი კრთებოდა
და ეს წალკოცი,
ღრუბლების ძნებით იმოსებოდა.

ო, მირტო, ედემის ბაღში
კეთილსურნელად აყვავებულო,
ორიონის ვარსკვლავთა შორის,
უზრწყინვალესო.

მური, კესი, მუშკამბარი, ვალსამონი, ბალასინი
გიძღვნა, ზესთა ზენაარმა
იგი მან შექმნა – და არა
მეხორციელის სწავლულის ხელმა.

მირტი უნაზეს იადონებს
სცავებდა სურნელს
და იგი მოსიყვარულედ
დრცვინავდა მათთან...

ამ ჩუმ ღამეს ნუ იკითხავთ
განთიადი როს დადგება
რადგან იმას არ უკითხავს
ნაზი მთვარის აღმოვლენა.

მირცებში იადონი საზრალოდ კვნესის-
განა ეს გულიც არ აკვნესდება?
შენი მოთქმა მე გრძნობას მიშლის
შენი ხმა განდევნის ჭმუნვას და სევდას.

ჩემი ვნება აფეთქდა ახალი ძალით,
და მას ვერ აქრობს თუნდაც ძალა ანგელოსების.
სულს მივაბარებ შენს თვითნებობას,
თუნდაც დაშლეუპო შენ სული ჩემი!

შენ გეტრფის, ქურციკი ჩემი,
შენი ალერსით მოხიბლული, დატყვევებული.

ვფიცავ, რომ არ არსებობს
შენზე უტრფესი და უნაზესი,
დედამიწის ყველა ტომის
ქალწულთა შორის!

შენს ამოხუნთქვას ვაშლის სურნელს,-
დამათრობელს, რომ ადარებენ:
ეს ხომ - შენი გულ-მკერდის პირველსახეა,
მასში შენი სიწითლის ანარეკლია.

# შელომო იბნ გაბიროლი

დიდი პოეტი და ფილოსოფოსი - შელომო იბნ გაბიროლი მიეკუთვნება ეგრეთ წოდებულ ესპანურ ეპოქას, ებრაული კულტურის ისტორიაში. იგი მალაგაში დაიბადა 1022 წ. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სარაგოსაში მიმდინარეობდა. იბნ გაბიროლი გარდაიცვალა ვალენსიაში 1050 წ. მისი პოეტური ქმნილებები ივრითზე დაიწერა; ფილოსოფიური შრომები კი - არაბულ ენაზე. მის ნაწარმოებთა მრავალი ტექსტები დროთა მდინარებას ვერ გადაურჩა.

იბნ გაბიროლის პოეტური შემოქმედების სხვადასხვა ფორმები,რომლებიც იმ დროისათვის იყო მიღებული,ერწყმოდა ძველ-ებრაული ენის მუსიკალურ-რიტმულ და სინტაქსურ განსაკუთრებულობებს.

გულში ჩამწვდომი ლირიზმი და რთული ასოცირებული სახოვნება იბნ გაბიროლის პოეზიას ანიჭებს განუმეორებელი ინდივიდუალობის თვისებას. მისი ლირიკული ლექსების მინაარსში ასახვას პოულობს პოეტის პირადი ბედის დრამატიზმი.

ჩვენი ალმანახის ფურცლებზე გამოქვეყნებული,ქართულ ენაზე თარგმნილი ლექსი „მე შებორკილმა მივეცი აღთქმა ..." გამსჭვალულია საავდრო ღამის მოჩვენებებით, რომლის სიმბოლური და მეტაფორული გამოსახვა შეადგენს კულმინაციურ ნაწყვეტს ლირიკული სიუჟეტის განვითარებაში.

მე შებორკილმა,მივეცი აღთქმა,
და ვერ დავიხსენ ბედისწერისგან,-
თუმცა ეს გული შეიპყრო შიშმა,-
მაგრამ სხვა გულით მე მაინც მზად ვარ,-
ვინც გაიცავა შემეცნებამ სიჭაბუკეში -
მის ჯიბრზე ბედის მვიდმაგმა შეღუღაბებამ
გადასწყვიტა:
რასაც ააგებ,ბედისწერა აარხრებს,გაანადგურებს,
შენს ზღუდეს,შენს ნერგს ნაფქვევად აქცევს.
შენ მიაღწევდი ღღეთა ნაყოფს,-
დროს რომ არ ენთქა;
სიღრმეთა საგანძურს და შემეცნების კიდეს,
მიაღწევდი ხულისა და გონების მწვერვალს.
იცოდე,იდუმალების საიდუმლოს ვერ ამოვაჩენ,
თუ არ მივეცი ჩემი თავი თავდავიწყებას:

აი, გუშინ კვლავ მოვიპოვე,-
ჭეშმარიტების მცირე მარცვალი,
აჰა,დროც დადგა ხარკისა და ღალის კრეფისაც.
ხანამ ვიცოცხლებ - ამხედრებული გავკაფავ
ამ გზას,
თუნდაც ნუ მომცემს აკაზმულობას დრო იადგარის,-
ყამთა გამოცდა ვერ დაღლის ამ გულს,
და აღასრულებს,დაურღვევლად,მიცემულ აღთქმას.
მე მეშინია,მეგობრებო,იმის,რაც გველის -
იცოდეს ყველამ,რაც ჩვენ გვაშინებს-
იმას მოგვიზღავს ეს ბედისწერა.
ხელისგულივით,ვარსკვლავთა შუქზე,წმინდაა ზეცა,
თვლემარე ღამეს პირსავსე მთვარე,რარიგ
კაშკაშებს,
აცისკროვნებს გონების გზას თვისი სხივებით
და მიმაქროლებს შორეულში შემეცნების გზით.
მაგრამ მე ვშფოთავ წმინდა შუქისთვის,
ვითარც მამა მწუხარების ტკივილით სიყრმის
შვილისთვის.
აგერ,მცხუნვარე ქარმა,ცაზე ღრუბელთა გროვა მორეკა,
და ნათელი სახე ნაბდის ნიღაბით შემოსა.
თითქოს ქარს სწყურდა,წვიმის თქრიალი,
ჭექასა და ღვართქაფამდე ღრუბლებს მიეყრდნო.
ბინდმა მოიცვა ზეცა,და მთვარე
სიკვდილიერში დასაფლავდა ლანდთა ღრუბლები,
და აქვითინდნენ გულამოსკვნით ღრუბლები მათზე,-
ასე იქნა დატირებული ბენ-ბეორი არამიელით.
ბნელეთის ჯავშანში შეიმოსა ცის კაბადონი,
მეხი შეიჭრა და ელვამ გააპო ღამე.
ცისარტყელამ შემოიფრინა ღამისეული კამარა, თაღი,

თითქოს გაამასხარა ცაზე გრგვინვანი.
და შორიდან ფრთოსან ელვას შეავლო თვალი -
'იქით,შორეთს ემგერნენ ზნელეთიდან მოფრენილი
ყორნები.
და მაშინ მან შეიპყრო ფიქრები ჩემი,
გული სურვილმა აღავსო ყოველი მხრიდან,-
ღამეულში ზნელეთის ჯაჭვმა შებორკა იგი...
და გავიღვიძე,ვითარც გმირმა ალყაში მდგომმა.

მთვარის ოქროსფერ შუქზე,მეგობრებო,ვერ ვპოვებ იმედს:
ის ხომ შეცვალა ღამის წყვდიადმა.
თითქოს ღრუბლები შურით,მღელვარე ხელს,
მოტყუებით ართმევენ სიკეთის შუქსაც.
კვლავ ვაცქერდები - იქნებ მთვარემ გამიხსნას სახე:
მეუფის მონას,ხელახლა ხომ არ შემხედავს.
ადამიანი იარაღს ბრძოლებში ამსხვრევს,
და ბორძიკებს უკანდახევით აჩქარებული.
ადამიანს ფათერაკი ეკვრება ასე.
სხვა სამყაროს ვარსკვლავეთშიც,რომ მიაღწევდეს!

ივრითიდან თარგმნა
შალომ დავითაშვილმა

# მენახემ თალმი

# ვერცხლის გველი

ნათელი ღამე იდგა. ზღვაც წყნარი იყო და ბადრი მთ-
ვარე აღვრიდა შუქს. ისინი დივანზე ისხდნენ ოთახში და
გასცქეროდნენ ზღვას,ვერცხლის ჯამს რომ წააგავდა მთვა
რის შუქით ავსებული.

- მეტრფევ, - თითქოს ხიზმარში წარმოთქვა ქალიშვი-
ლმა. - ჩემო ძვირფასო მეტრფევ...

ვაყმა ხელი გაიწოდა და მის თმას შეეხო. ის კი უწ-
ყინარი კატის კნუტივით შესციცინებდა. მისი მზერა ვა-
ყის მიმზიდველ სახესა და სანდომიან ბაგეებს ვერ სცილ
დებოდა. მისი თვალები დიდ სიყვარულზე მეტყველებდნენ,
და ვაყმა იგრძნო,რომ ის ბედნიერი იყო. მაშინ თამამში
დაუწყო მის თმას.

- ძვირფასო მეტრფევ,წამიყვანე შენთან.მინდა რაღაც
გკითხო. ...ბევრ ქალს იცნობდი შენს ცხოვრებაში?

- ბევრს, - უპასუხა.

- ძვირფასო მეტრფევ,თუ გიყვარდა რომელიმე მათგანი
ჩემებრ?

- მხოლოდ ერთი,-უპასუხა მცირე დუმილის შემდეგ.

- როდის გიყვარდა?

- რამდენიმე ხნის,ოთხი თუ ხუთი წლის წინათ.

- და ის ქალი ლამაზი იყო?

- მგონია,ლამაზი იყო.

- ჩემზე უფრო?

- არ ვიცი.

ქალიშვილმა თვალები ფართოდ გაალო და სერიოზულად შ
ეხედა მას.

- შემპირდი,ყველაფერს გიამბობ,მხოლოდ სიმართლეს გეტყვით...

- გეფიცები არ ვიცი. არც დამინახავს.

ქალიშვილს გაეცინა,რამეთუ არ ერწმუნა,ჰკითხა:

- როგორ შეიძლება შეიყვარო დაუნახავად?

- ეს,სიმართლე გითხრა,გრძელი ამბავია. - თქვა ვაყმა.

- კეთილი,მომიყევი. ჭეშმარიტად გთხოვ.

- ოთხმა თუ ხუთმა წელმა გაჰვლო იმ დღიდან,-უყვებოდა თვალმილულული. - ოცისა ვიქნებოდი.შესაძლოა ოცდაერთისაც.

- მივხვდი. ეს იყო ომის დროს. კისმენ.

- მართალი ხარ.ომის დროს იყო.ყორანივით შავი ღამე იყო.ცა,ქვიშა და ჰაერი ერთი სხეულივით შენივთული ყვნენ.

ეს მოხდა ნეგევის შუაგულში.საომრად გასვლისათვის ვემზადებოდით.დამშრალ ხევში დაიბანაკა პოლკმა.ჩვენი ასეული ზემოთ იყო,მთაზე.ღამე იყო ცივი და წყნარი.ვი გრძენით,რომ უდაბნოდან ქროდა მშრალი ქარი.შუქის ანთობა ან თამბაქოს მოწევა აკრძალული გვქონდა.რაც კი შეგვეძლო,ჩუმად უნდა ვყოფილიყავით.ამიტომ ერთთავად ხმას არ ვიღებდით.თუმცა ბევრ ბრძოლაში მიმიღია მონაწილეობა,ვღელავდი და ცოტაოდენ შიშსაც ვგრძნობდი.სევდიანი ფიქრები არ მცილდებოდა და თამბაქოს მოწევისათვის სული მძვრებოდა.

ვიცოდი,რომ დაბლა,დამშრალ ხევში ჩვენი შტაბის კარვები იყო. გავიფიქრე,რომ ერთ-ერთ კარავში შემიძლია მოვწიო და იქ კაციშვილი ვერ დამინახავს.

ჩემს ოფიცერს,ასეულის უფროსს ვუთხარი - ქვემოთ ჩ

ავარბენ,მოვწევ და მყისვე დავბრუნდები-მეთქი.ათეულის
მეთაური ვიყავი და თანაც მისი კარგი მეგობარი.ამიტომ
არ გამიჯავრდა.ოღონდ საათს კი დახედა და მითხრა,ნახე
ვარ საათში გზას გაუდგებითო.

ისეთი წკვარამი იდგა,რომ ვერ ვარჩევდი,საით მივდი
ოდი.ნელ-ნელა მივიწევდი წინ და როგორც იქნა ჩავედი ს
ევში.მივაღწიე კარვების ბანაკს. ანაზდად შევამჩნიე,რ
ომ ვიღაც გადმოხტა სიბნელეში.ჩემსკენ მორბოდა.გაქცე-
ვა დავაპირე,მაგრამ ადგილზე გაჩერება ვამჯობინე.ხელი
უცნობისაკენ გავიშვირე და დავიჭირე.

ღაღადისივით შემომესმა:

- დედავ... ვინ არის ეს?

ხმა იყო ნაზი და ტკბილი,ქალიშვილის ხმა.

- ვინ არის ეს? თქვი,ვინა ხარ?

- პირველი ასეულის მესამე ათეულის მეთაური,-ვიგრ-
ძენი,რომ შიშმა გამიარა.

- მადლობა ღმერთს,გეფიცები მიხარია,რომ არაბი არ
გამოდექი. - ეს თქვა და გადაიკისკისა. იმასაც აღარ ე
შინოდა.

- შენ ვინა ხარ? - ვკითხე.

სანიტარული ნაწილის სერჟანტი.შეგიძლია დამტოვო,ახ
ლა უკვე საკუთარ ფეხზე ვდგავარ.

მხოლოდ მაშინ ვიგრძენი,რომ ისევ ხელით მეჭირა.

- მართლაც,ლამაზად არ გამომივიდა.ისე კი განგებ
არ გამიკეთებია, - ვუთხარი.

ძალიან მსურდა გამეგო,როგორი შესახედავი იყო,მაგ-
რამ უკვე გიამბე,რა წყვდიადი ღამე იდგა...ვუთხარი,ხევ
ში იმიტომ ჩამოვედი,ერთ-ერთ ბანაკში თამბაქოს მოვწევ
-მეთქი.

- ჩვენთან მზვერავთა კარავია,შეგიძლია,იქ შეხვიდე

- მითხრა მან.

ბრმასავით გავყევი უკან.ორჯერ თუ სამჯერ კინაღამ წავიქეცი.მისი მრცხვენოდა.იმან კი ხელი გამომიწოდა და ჩვილი ბავშვივით გამიყოლა თან.კარავი ერთი ბეწვა იყო.ქალიშვილმა საბანი გადამაფარა და მხოლოდ მაშინ გავბედე პაპიროსის მოკიდება.არ შემეძლო ანთებული ას ანთით გამოვსხულიყავი და მისი სახე დამენახა,რამეთუ აკრძალული გვქონდა შუქის ანთება.ძალიან კი მაინცერე ხებდა გამეგო,როგორ გამოიყურებოდა.

- უკან უნდა დაბრუნდე? - მკითხა.

საათს დავამცერდი.

- ძალიან ვწუხვარ.ოც წუთში უნდა გზას გავუდგეთ.

- ჭეშმარიცად უცნაური და საუცხოო იყო ჩვენი შეხ-ვედრა, - ჩაილაპარაკა ხმადაბლა და მორიდებით.

პაპიროსი რომ ჩავაქრე,ბევრი აღარ გვილაპარაკია, თითქმის ხულ ვდუმდით,მაგრამ ვგრძნობდით,რაღაცას სა-ხიამოვნოს და კარგს,ვგრძნობდით,რომ რაღაც იწყებოდა ჩვენს შორის.ვისხედით უდაბნოს შუაგულში,პაცარა კარა ვში ერთიმეორისათვის მთლად უცხო მამაკაცი და ქალი. ერთხელაც არ შევხვედრივართ ერთმანეთს,მაგრამ ვგრძნო ბდით,რომ ახლობლები ვართ,ძალიან ახლობლები...

ანაზდად მეუბნება:

- იცი,რა? ვწუხვარ,რომ შუქის ანთება არ შეიძლება.

- პაცარა გოგონას ხმა ჰქონდა,მიმზიდველი და ბუნებრი ვი ემხით სავსე ხმა. - რაოდენ მსურს შენი ხილვა!... წამით მაინც.

- ბრმებს ვგავართ, - ესლა ვუთხარი.

ბრმებსაც შეუძლიათ დანახვა... იქნებ მართლაც შე-ვძლოთ ერთმანეთის დანახვა.

ვერ მივხვდი რას ამბობდა.მან კი უკვე მომხადა ჩ-

აფხუცი და თითები ჩემს სახეს შეახო.ჯერ შუბლზე შემო
მიცარა თითები, მერე ნელ-ნელა ცხვირზე დაუშვა
იქიდან ბაგეებისაკენ... თვალები დავხუჭე და უდიდეს
ბედნიერებას ვგრძნობდი.

- მშვენიერი ბიჭი ხარ.ხახურველი ხარ და ჭკვიანი.
თანაც ორი თუ სამი დღეა პირი არ მოგიპარსავს.შენც გ
ინდა დამინახო?

გავიცინე და მეც შევეხე თითებით მის სახეს,ხშო-
რედ ისე,როგორც ბრმები შვრებიან.

კვლავ საათს დავაშცერდი და უახლოესი მომავლის ში
შმა შემიპყრო.ვიცოდი,რომ შეიძლებოდა ამის მეცად აღ-
არ მენახა... და მაშინ ვიგრძენი,რომ ძალიან შემყვა-
რებია.

- ახლავე წავალ, - ვთქვი დანანებით.

- და დაბრუნდები; - თქვა მან.

- თქვენს საოპერაციო მაგიდაზე...

ეს არ უნდა მეთქვა იმ წამსვე შევნიშნე.

- ხულელი ხარ. ასეთი ლაპარაკის უფლება არ
გაქვს.

- შენ მართალი ხარ.

- თილისმა გწამს?

- ყველაფერი მწამს,ექიმების და მესაფლავეების გ
არდა. - ისევ სისულელეებს როშავ.მაგრამ მე შენ თილი
სმას მოგცემ.ეს არის სამაჯური,ორთავიანი ვერცხლის გ
ველი.

თხელი სამაჯური ორ თანაბარ ნაწილად გაცეხა და ნა
ხევარი მე მომცა.

- სალი და მთელი გადარჩები.იცი,რაცომ? იმიცომ,რ-
ომ მთელი ჩემი ზრუნვა და ლოცვა ჩაქსოვილია ნახევარ
გველში,რომელიც შენ მოგეცი.

- რაოდენ ხახურველი და კარგი ხარ.მინდოდა მადლო-
ბის კოცნა მომეძღვნა შენთვის,მაგრამ...

ადრე ჭეშმარიტი უბრალოებით შემომთავაზა,ერთმანე-
თი ვნახოთ,ახლა ლოყა მომიშვირა საკოცნელად. ვაკოცე
ლოყაზე.

- იცი რა? არასოდეს არ უკოცნიათ ჩემთვის... შენ
პირველი ხარ. არ დამცინო.

- რამდენი წლისა ხარ?

- ორ თვეში ჩვიდმეტისა შევსრულდები.

- მაშ აქ რატომ ხარ? - ვკითხე.

- თვრამეტი წლისა ვარ-მეთქი,დამიჯერეს და წამომი
ყვანეს არ შემეძლო შინ ჯდომა,უბრალოდ არ შემეძლო,რო
ცა თქვენ ყველანი ...

- ასე არ უნდა მოქცეულიყავი,შენ მეტისმეტად ახალ
გაზრდა ხარ.

- მაგრამ ხომ ხედავ! აქ რომ არ მოვსულიყავი,ვერ
შეგხვდებოდი.

- პატარა სულელი ხარ, - ვუთხარი სიცილით.

- მე ბედნიერი სულელი ვარ,ვინაიდან მეგონა,რომ ა
სეთი რამ მხოლოდ ზღაპრებში ხდება.

... ვაჟი უცბად გადმოხტა დივანიდან.მხოლოდ ახლა
შენიშნა,რომ მისი თხრობის დროს ქალიშვილს თავი აელო
მისი მკერდიდან,კედლისკენ მიბრუნებულიყო და ჩუმად
ტიროდა.

- რა მოგივიდა,ბალღო? - ჰკითხა მზრუნველი კილოთი.

- არაფერი.განაგრძე,მიამბე.აი,აღარ ვტირი.მინდა
შევიტყო დასასრული.

ვაჟი თვალებში ჩააცქერდა მას და გაეცინა:

- არ მომატყუო: გშურს,ხომ?

- აღარ ვტირი-მეთქი,გთხოვ მიამბო.

– კარგი,გიამბობ.

... საათს დავამცერდი.დავინახე,რომ ათი წუთიღა დ-არჩენილიყო პოლკის გასვლამდე.ვიცოდი რომ უნდა წავხუ-ლიყავი თბილი და სახურველი კარვიდან და ჩემს ბიჭებ -თან დავბრუნებულიყავი.

– იცი,რა? – მეუბნება. – ჩვენ ძალიან ახალგაზრდე-ბი ვართ ერთიმეორისათვის,მაგრამ ჯერაც არ ვიცი შენი სახელი,შენ კი...

იმ წამს ძალიან შემეშინდა.გრიგალივით წამოვიჭერი, ვინაიდან უცბად გავიგონე დაძრული მანქანის ხმა.დათქ-მულ ვადაზე ადრე გადგომოდნენ გზას.გავიქეცი კარვიდ -ან.ისიც უკან დამედევნა.მესმოდა მხოლოდ მისი გამყინა ვი ხმა: – რა გქვია? – ეს იყო განწირულის ყვირილი.ეს იყო მუდარა,რომელსაც მხოლოდ ქვის გული გაექცეოდა.მა-გრამ ჩემი ბიჭების წინაშე პასუხისმგებლობამ ქვად მა-ქცია.არ მეპატიება ნაწილის მიცოვება.ამიცომ ერთი წა-მითაც არ შევჩერდი.

– რა გქვია? – საზარელი და განწირული კივილი სის-ხლს მიყინავდა.მას შემდეგაც მრავალჯერ მსმენია ჩემს წარმოსახვაში.ეს იყო კივილი ქალიშვილისა,რომელსაც ყ-ოველივე ძვირფასი წაართვეს და ის დარჩა უდაბნოს შუა-გულში სევდიან და საშინელ ღამეს.

ჩვენი ბიჭები ბრმებივით მიდიოდნენ წინ.ავედი ჩემს ცანკზე და ღმერთს მადლობა შევწირე,რომ დროზე მივას -წარი.

ბრძოლა სამ საათს გაგრძელდა,განთიადისას თითქმის მინელდა.ბრძოლის უკანასკნელ წუთებში ასეულის მეთაურ-მა დამიძახა,მეორე ცანკში გადადიო.მეთაურს სურდა,რომ მეორე ცანკი ყველაზე წინ გაჭრილიყო და ცეცხლით ამოე-ყუყა მცრის რამდენიმე სანგარი.

მოულოდნელად გაჩერდნენ ტანკები.ჩვენი სასწრაფო დახმარების მანქანები მოვიდნენ. ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა.

გადმოვედი ბრძოლაში ჩაბმული ტანკიდან,რომ ჩემს ტანკში დავბრუნებულიყავი.უკან გავიხედე და ძალიან შევშინდი:ჩემი ტანკიდან კვამლი ამოდიოდა და მის ირგვლივ ჩემი ათეულის რამდენიმე ჯარისკაცი შეჯგუფებულიყო.იმის მიხედვით,თუ როგორ იდგნენ ისინი,მივხვდი,რომ რაღაც საშინელი მოხდა.მივირბინე და დავინახე,რომ ტანკში მსხდომები ყველანი დაღუპულიყვნენ ქვემეხების ცეცხლით.ეს მომხდარა ჩემი წასვლიდან ერთი თუ ორი წუთის შემდეგ. მაშინ გამახსენდა თილისმა და ჯიბიდან ამოვიღე ნახევარგველი.ისე დავაცქერდი,თითქოს სასწაულს ვხედავდი ჩემს წინ.

- რა გქვია? - გამახსენდა მშვენიერი ქალიშვილის ყვირილი.ვიგრძენი,რომ ჩემთვის სავალდებულოა მისი ნახვა.

საღამოხანს დამშრალ ხევში დავბრუნდი,მაგრამ ხევი უკაცრიელი დაგვხვდა.კარვების ბანაკი სიზმარივით გამქრალიყო.მხოლოდ რამდენიმე კოლოფი საჭმელისა და სისხლში მოსვრილი ბანდაჟი დარჩენილიყო ადგილზე.

ვიდექი ბორცვზე და გავცქეროდი იქაურობას.ორი ხის მეტი ვეღარაფერი დავინახე.უბრალოდ აღარ მჯეროდა,რომ კიდევ ვიპოვიდი მას...

გადიოდა დღეები და მას ვერ ვივიწყებდი.ოცი თუ ოცდაერთი წლისა ვიყავი.ჩემს გულს შეეძლო სიყვარული! ვიცოდი,რომ ვალდებული ვიყავი მეპოვა ის.დიდი და უცხო სიყვარული ისადგურებდა ჩემს გულში.მრავალი თვის განმავლობაში ვეძებდი,ვეძებდი და მუდამ მეშინოდა, რომ სულელად,სასაცილო ადამიანად ჩამთვლიდნენ...ყოველ-

თვის,როცა საავადმყოფოებში მივდიოდი ან სანიცარული ნაწილის სალხს ვხვდებოდი,ყველა ქალიშვილს ვაკვირდებოდი,ვისაც კი სერყანცის წოდება ჰქონდა.ეს იყო უცნაური და თითქმის უიმედო ძიება ვინაიდან სახით არ ვიცნობდი.

თავდაპირველად ასე თუ ისე მჯეროდა,რომ ვიპოვიდი. მერე სამხედრო გაზეთში განცხადება გამოვაქვეყნე და იმ ქალიშვილს ვთხოვდი დამკავშირებოდა.მაგრამ ის უცხო იყო და უცხოდ დარჩა...

ვაყმა თავი ასწია და გამომცდელად შეხედა ქალიშვილს.

- ისევ ცირი? რა მოგივიდა,ჩემო ფისუნია?

- ჩემო მეცრფევ,იმ ნახევარგვედს ისევ თან აცარებ? ისევ მიგაჩნია თილისმად?

-გშურს მისი? - ჰკითხა ვაყმა.

- არა,ნახვა მსურს მხოლოდ.ვაყმა მარვლის ჯიბიდან ამოიღო გველისთავიანი ვერცხლის სამაჯურის ნახევარი. ქალიშვილი უმზერდა ნახევარ სამაჯურს და დუმდა.

- მვირფასო მეცრფევ,-უთხრა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ. - ერთ წამს დამელოდე...

დივნიდან გადმოვიდა და როცა უკან დაბრუნდა,ორი მომუჭული ხელი გაუშვირა.

- შეხედე! - შესძახა. - შეხედე!

- ღმერთო! - წამოიძახა ვაყმა და მისკენ წამოიწია.

ქალიშვილს თითოეულ ხელში ვერცხლის ნახევარგველი ეჭირა.

ივრითიდან თარგმნა

აბრამ მამისთვალოვმა

# ცისანა ბინიაშვილი

- აჩრდილი გოდების კედელთან
- სანთელი (მინიატურა)
- უკანასკნელი ცეკვა

- ღიმილი
- წახვალ და...

ცისანა ბინიაშვილი

# აჩრდილი გოდების კედელთან

სოლომონ ბრძენის ენაზე „ვეფხისტყაოსნის" გმირების ამეტყველებამ მთელი საქართველო შეძრა. ამ ამბავმა იერუშალაიმის ქართულ მონასტერშიც შეაღწია. იქ, სადაც საქართველოს გული,რუსთაველია დასვენებული.

შეინძრა სვეტი,რომელზეც გენიოსია გამოსახული,ძარღვებში სისხლი ამოძრავდა და სვეტიდან ქართველის დიდება გადმოვიდა. ეს რუსთაველი იყო,სწორედ ისეთი, როგორიც საქართველოდან გადაიხვეწა,მხოლოდ თვალებზე რვაასი წლის ცრემლები ჰქონდა შემშრალი.

გადმოვიდა,ციხეს კლიტენი შეხსნა. ფრთხილად,მუხლების კანკალით გადმოაბიჯა ზღურბლსა.

ყურებში გუგუნი ჩაესმა. შედგა...

ცრემლმა იწვიმა თვალთაგან...

გულით მოუნდა ქართველის ნახვა,მთებს გადაევლო...

ვარძიას თვალი რომ შეავლო,მუხლები მოეკვეთა....

აქ იყო... მხოლოდ ეს გაიფიქრა.

გულმა სწრაფად დაუწყო ცემა.

- რას იტყვიან,რომ მნახავენ?... კიდევ ხომ არ გამდევნიან?..

მეტეხთან შედგა,ზურგით მიეყრდნო ციხის კედელს.
ნაბიჯი ვერ გადადგა.

- მთაწმინდაზე ვინ დაყარა ამდენი ვარსკვლავი?!.
გუგუნი,ისევ გუგუნი ჩაესმა...



„ხალ წაიყვან ხალაურხა"     მხატ. მ. ჯანაშვილი

უხმობდა,წმინდა მიწა უხმობდა. ისევ ცრემლმა იწ-ვიმა თვალთაგან...

დაიჩოქა,მიწას ეამბორა,პეშვით აილო,მკერდში ჩაი კრა...

განთიადი იერუსალაიმის კარიბჭესთან წამოეწ-ია.

ქალწულის მანდილივით გამჭვირვალე ნისლში გახვე-ული ლეგენდების ქალაქი.

მშობლიური,ტკბილი ქართული ჩაესმა.

ნიავი ნაზად მიესალბუნა,წყნარად ჩასჩურჩლა:

„ - ებრაელებო,ქართველი ებრაელებო,რომელთაც მე-ნებრ ლტოლვილის ბედი იწილადეს,სამშობლოს უბრუნდებ-იანო...

შენ კი,შენ...

შენმა ხელთუქმნელმა,ხელიხელსაგოგმანებელმა „ვე-ფხისტყაოსანმა" უკვდავების წყარო ასხურაო შენ ხალ-ხს,პოეზიის ღმერთად გაღიარაო,სამშობლოში დაგაბრუ - ნაო.

შენი ქმნილების გმირები იმ წმინდა,კურთხეული მ-იწის შვილთა ენაზეც ამეტყველდნენ,სადაც სამუდამო სასუფეველი ჰპოვეო".

შეაჟრჟოლა,იქვე,გოდების კედელთან წაიჩოქა...

ისევ მიწას ეამბორა,მერე ხელით დასწვდა და აი-ლო.....

ორი სხვადასხვა,მაგრამ ორივე მშობლიური,ორი პე-შვი მიწა მკერდში ჩაიკრა,მუხლი მოიყარა,ხელები ზე-ცისაკენ აღაპყრო და მისმა ბაგეებმა ლაღადისით წარ-მოთქვა:

- მიწავ ქართლის და იუდეისაო,შენო ქართვლის და იუდეისანო,კურთხეულ იყავნთ...

და თითქოს ღაღადისის დასტურიაო,ყრუდ,გაბმულად გაისმა ჯვრის მონასტრის და სიონის. ზარის გუგუნი...

# სანთელი

## მინიატურა

მარტოობა მომინდა. ჩავიკეტე ჩემს ოთახში და შენ გესაუბრები...

შენი ალი მკრთალად ანათებს ბნელ ოთახს...

გიყურებ... პასუხს ველი...

შენც იწვი?!..

ნელა ილვიხთები და შენი თითოეული ცრემლი გზას მოიკვლევს შენს თლილ ტანზე,კვალს ტოვებს და გულზე მეცემა... შენც ტირი?

ქვეყნის უკულმართობამ აგატირა?...

შენი ჩამოქნილი ტანი უსწორმასწორო ნაკვალევით იფარება. როგორ დაპატარავდი!..

მდუღარე ცრემლები გზაში იყინება,ცოტაც და სამუდამოდ გაქრები. რა დარჩება შენგან?!

ოდნავღა ბჟუტავ... უკანასკნელი ამოსუნთქვაღა დაგრჩენია... სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა გრძელდება....

აგერ,საცაა ჩაქრები...

არ მინდა სიკვდილის მოწმე გავხდე და თვალებს ვხუჭავ...

# უკანასკნელი ცეკვა

ოთახში იღვრება წყნარი მუსიკა...

გიყურებ, სიცოცხლესავით მწყურია შენთან ცეკვა. თითქოს ჩემი ფიქრების დასტურად მოდიხარ და საცეკვაოდ მიწვევ. მუხლების კანკალით ვდგები ადგილიდან და მოგყვები. გაბრუებული ვაწყობ ხელებს შენს მხრებზე და გული ამოვარდნას ლამობს. ვგრძნობ შენს სუნთქვას, ვეხები შენს თმებს და ნეტარების ზღურბლში ვეხვევი...

არ მინდა მუსიკა დამთავრდეს...

უცებ ვწყვეტ, მინდა, რაც სათქმელი მაქვს გითხრა და ჩემი ბედნიერების თუ უბედურების დასაწყისად ეს საღამო ჩავთვალო...

მიჭირს, მაგრამ მაინც ვბედავ

- მიყვარხარ...

- რა-ა?

- მი-ყვარ-ხარ - ვიმეორებ ხმის კანკალით და მთელი სხეული მითრთის.

იბნევი, მიუხედავად იმისა, რომ ადრე თუ გვიან ჩემგან მაინც ელოდი ამის თქმას.

დუმილი, მონაშებრივი დუმილი. წამი საუკუნედ მეჩვენება.

- მერე მე რა შემიძლია გავაკეთო?

გული მეკუმშება...

- მითხარი, მითხარი რამე - ვედრებასავით გაისმის ჩემი სიტყვები.

- რა გითხრა?

- ვიცი,ვიცი,რომ „არას" მეტყვი,მაგრამ მინდა ეგ „არა" შენგან მოვისმინო.

- თუ იცი,რაღას მეკითხები?

ცეკვის შეწყვეტის ნაცვლად უფრო გიახლოვდები,ხელებს კისერზე გხვევ... ვიცი,ეს ჩვენი უკანასკნელი ცეკვაა და მსურს ბოლომდე ვიცეკვო,ცრემლი კი თავისით პოულობს გზას...

ეს თვალები,ო,რა ულმობელი,მაგრამ მაინც როგორი ძვირფასია ჩემთვის ეს თვალები... გაკვირდები,თითქოს მინდა სამუდამოდ ჩავიბეჭდო გონებაში შენი სახე, სახე,რომელიც უკვე დიდი ხანია ზმანებად მექცა...

- რატომ მიყურებ ასეთი თვალებით? - მეკითხები იმისათვის,რომ რაღაც უნდა თქვა.

- როგორი თვალებით? - კითხვაზე კითხვითვე გპასუხობ და თავს ძალას ვატან,რომ არ ჩავიკეცო...

მუსიკა კი...

გულთან ერთად ორღანიც კვნესის. ალბათ ისიც გრძნობს უკანასკნელ ცეკვას და წამებს ითვლის...

# წახვალ და...

სამი წელი გავიდა...

სამი წელი ოცნებასა და ნატვრაში;ცრემლსა და სიხარულში...

სამი წელი და იმედი ხვალისა...

დღეს კი ყველაფერი დამთავრდება...

სამი წელი გელოდი...

სამი წელი ველოდი შენს ღიმილს.

დღეს კი ყველაფერი დამთავრდება...

ჩემი ოცნება თოვლის ფარფატა ფიფქივით შემომადნება ხელში...

სამუდამოდ წახვალ ჩემგან...

სამუდამოდ...

წახვალ და დამთავრდება ჩემი სიყვარულის ზღაპარიც ...წახვალ და ლამაზი სიზმრიდან გამოვფხიზლდები...

წახვალ და თან წაიღებ ჩემს სიხარულს...

მე კი რას მიტოვებ?!.

ოხ,როგორ არ მინდა ცრემლები,როგორ მომბეზრდა ტკივილი... წახვალ...

ბავშვობასავით მომენატრები...

მერე,ვინ დამიბრუნებს ბავშვობას,ვინ გამიმრთელებს გაბზარულ გულს,ვინ მომიშუშებს ჭრილობებს,ვინ?

შენ ბედნიერი ხარ.

მეგონა შენი ბედნიერება მეყოფოდა,მაგრამ ჩემი წილი სიხარული,ჩემი წილი ბედნიერება მეც მდომებია...

# ღიმილი

შენ ცეკვავ...
მეც ვცეკვავ...
თვალს მარიდებ...
გიყურებ და მეღიმება,ნაღვლიანად მეღიმება...
ვინ თქვა ღიმილი ბედნიერების გამომხატველიაო,ღიმილი უფრო სევდაა, დარდია, გამოუთქმელი მწუხარებაა
წარსულმა მხოლოდ ეს ღიმილი დამიტოვა...
ოცნებით შენს გვერდით ვარ.
შენ კი?!. ცეკვავ...
ცეკვავ ყველასთან,შენთვის ხომ სულერთია ვისთან იცეკვებ...
მე ცრემლი მიბრწყინავს თვალზე და მაინც მეღი - მება

ქეთი ბიბილეიშვილი

- ბედნიერება
- ლამეთეული
- მშვიდობა მინდა...
- ეს ჩემი გული
- ყვავილების გამყიდველი გოგონა
- როდის ვნახავდი!..
- პოეზიას
- ზღვა და მზე
- ბედნიერი ვარ!
- სამი დედა
- სანთელი

*ქეთი ბიბილეიშვილი*

# როდის ვნახავდი!..

...თვრამეტი წელი
შენს სიყვარულს გულში ვმარხავდი.
ხელი მისწრება,
ჩემს სამშობლოს როდის ვნახავდი...

თოვლის ფიფქები ნაზად ეშვებოდნენ დედამიწაზე,რომელიც ქათქათა საბანში გახვეულიყო. თეთრი ხალიჩა მოექსოვა ზამთრის დედოფალს საქართველოს მთა-ბარისათვის; თეთრი,ნაზი და სათუთი,მთვარის შუქზე რომ მოლურჯო-იისფერად კამკამებდა.

თვრამეტჯერ შევხვდი ბუნების ამ დამატყვევებელ ძალას; განა მარტო ფიფქების ცვენას? განა გაზაფხულის სურნელება არ მატყვევებდა? - იისა და ატმის ყვავილობა? განა შემოდგომის უცნაური ხასიათი არ მიღელვებდა პოეზიის სულს? განა მარტო თეთრი ფიფქები მხიბლავდა? არა! ის მთა-ველი ხომ ჩემი ძიძაა,მის ენაზე ვმღერი და მის ენაზე ვტირი...

ო,საქართველოს ზეციდან მონადენო ფიფქებო,იმ დღეს ჩემს ლაწვებზე დნებოდით და თვალიდან ნადენ ცრემლებს უერთდებოდით... არ გაგიმხილე ჩემი ნაღველი, ნაღველი სამუდამო განშორებისა. მაგრამ,ო,ჩემო თავო, განა შეიძლება დედა შვილს ნაღველს არ მიუხვდეს? იმ დღეს თოვლის ფიფქებით იცრემლებოდი. არა,კი არ წვიმდა,ცრემლი ფიფქში მოაქციე.

ო,საქართველოვ,დედაო ჩემო,თეთრი ხალიჩა დამიფი-

ნე გზაზე... ისრაელისაკენ მიმავალ გზაზე... აღმზრდელო ბიძავ,ძნელი ყოფილა შენთან დაშორება,მაგრამ უფრო ძნელი - დედის უნახაობა. ჰოდა,ხვალ საკუთარ დედას შევხვდები. არ ვიცი,თოვლის ფიფქებით შემხვედება თუ მზის მხურვალე სხივებით... ო,ბიძაო ჩემო,ძლიერ მიყვარხარ და ამიტომ ვტირი განშორებისას.

...შენს მიერ მოქსოვილ თეთრ ხალიჩაში ვეხვევი,
შენს მიერ ნასწავლ ქართულ ენაზე ვმღერი,
მემშვიდობება თეთრად დაპენტილი ვერხვები...
ოდესღაც რომ დავრგე შენს ბაღში ჩემი ხელით.

დილა გათენდა და მზემ გააბრწყინა თოვლის ფიფქებით დამძიმებული ნაძვები,შენს დაფენილ თეთრ ხალიჩაზე ფეხი ნაზად დავდგი და გავყევი ისრაელისაკენ მიმავალ გზას. მატარებლის კივილმა შთანთქა შენი ბოლო დედური დარიგება...

ბიძავ,ჰა,ჟამი მოსულა
დედასთან ჩემი წასვლისა,
მეტყვი: „ო,შვილო ამ სევდას
დედის ამბორი გასრისავს".
აბა,რად მინდა მე შენზე
მრავალი სიტყვა საქები,
შენ ხომ ჩემში ხარ,სულში ხარ,-
მზიური ნაქანდაკები.

ახე დავშორდი ტკბილ მზიურ საქართველოს და ფეხი დავდგი ისრაელის,ჩემი ტოლი ქალ-ვაჟების სისხლით მ-ელებილ ნატანჯ მიწაზე.

პატარა ისრაელს თვალი გადავავლე და უცნაური გრ-

ძნობა დამებადა. თითქოს ოდესღაც,მრავალსულიანი ოჯახი დანგრეულიყო; ოჯახის დედამ თავისი ჩვილი ბავშვები სხვადასხვა მხარეს დაარიგა,რომ ლუკმა პური არ დაკლებოდათ,მერე ამ ოჯახის დედ-მამა ფეხზე ისევ დამდგარა და ხათუთი დედა თავის შვილებს გარშემო იკრებდა. მაგრამ ვერ ღირსებია ყველა შვილის ხილვით დატკბობა. მაინც ამაყად იდგა დედა,ნატანჯი დედა ებრაელი ერისა,რომელიც ვერ დამტკბარიყო ყველა შვილის გულში ჩაკვრით.

დედის მხურვალე ბაგემ გამიშრო სიხარულით ნადენი ცრემლები.აბა როგორ არ უნდა მეღვარა ცრემლები,როცა თვალი ხედავდა ამწვანებულ,აყვავებულ,დოვლათით სავსე ქვეყანას,რომელიც ჩემი იყო,ჩვენი იყო,ჩვენი!! ტანჯული ებრაელი ერისა,რომელსაც საუკუნეების მანძილზე არ ღირსებია საკუთარი კერა,ჭერი არა ჰქონია,საკუთარ ენაზე ვერ უმღერია და,აბა,როგორ არ მეღვარა ცრემლი სიხარულისა,როცა შემეძლო ხმამაღლა მეყვირა: ებრაელი ვარ!!!

მიხარია,მიხარია და ამიტომ ვიღვრები სიხარულის ცრემლად. ვამაყობ შენით,დედაო იმით,რომ სასახელო და-ძმანი დამახვედრე.

ო,დედაო ჩემო,ვიცი ბევრი მტერი გყავს. თუმცა გამიგია,მტერი იმასა ჰყავს,ვინც კარგი და ძლიერია. ამიტომ არ მეშინია არავითარი ბოროტი სულების...

დედაო ჩემო!
ნამი დაგჭირდეს? - ტალღად ვიქცევი,
ოდნავ შეგცივდეს?- ცეცხლის ალებად.
სიცხე გაწუხებს? - თოვლად ვიქცევი
და ლამაზ მკერდზე გადაგადნები...

მე თუ ქალი ვარ და სინაზე ქალური მახლავს
სინაზეს შევცვლი! და ფოლადად სამშობლო მნახავს,
შენს წყლულს თუ ჩემი სისხლის დაღვრა მიეშველება
მტერს შევაკვდები,რომ დავიცვა შენი მშვენება.

დედაო ჩემო,ჩემი გულის ფეთქვის რიტმი ხარ,
ასე ძლიერი,მარადისი მე შენ მინდიხარ,
შენთვის ვიცოცხლებ,ამ ქვეყნად და რა მადლია:
არა!! არ მინდა სხვისი ლუკმა,-დამამადლიან!..

1980 წელი
იერუსალიმი

# პოეზიას

მე ჩემს სიცოცხლეს ამ ქვეყნად არაფრად ჩავთვლი,
ვერავითარი ძალა აწი ვეღარ გამტეხავს,
უკუნეთ ღამეს შემოვივლი ანთებულ სანთლით
და მოვალ შენთან,რადგან მელი... მელი ამდენ ხანს.

მოვალ შენამდე,მოვიცილებ ოხერ-ტიალებს,
ვეღარავინ მნახავს უსაქმურად მოხეტიალეს.
ო,პოეზიავ,საყვედური არ ამაცილო
მხოლოდ ნუ იზამ - რითმებისგან გამაღარიბო.

მოვალ შენამდე,რადგან გული გამევსო სევდით,
გახსოვს? - ორივე პეპლებს რომ მინდორზე ვსდევდით?
მუხლზე დამხობილ შენს წინაშე დავიწყებ ლაღადს,
შენ კი... იმედით გამომიწვდი - დასაწერ ქაღალდს.

ვხედავ,შორს სადღაც ქარმა ნორჩ ხეს ტოტი მოტეხა,
აგერ იებსაც დასჭირვიათ ნამის პკურება,
ო,პოეზიავ,შენც იყავი ნორჩი ოდესღაც,
და სევდამ ჩემმა მოგინდომა განადგურება.

ასე მგონია,რომ ამ სევდით ყველა დაჭკნება,
ყველა ვარდი - თუ იები სადმე მენახა,
მფეთქავი გულიც დამიკაწრა სევდის კლანჭებმა,
მაგრამ ჭრილობის მკურნალი ხომ-ვიცი შენა ხარ.

შენთან მოვედი,აწ იწყება ჩემი ცხოვრება,
არა,არ მინდა მე დაცემა - გამათხოვრება,
ო,პოეზიავ,მიხარია შენი არსება,
ალბათ,უშენოდ ეს ქვეყანა გაღისავსება.

შენგან მოველი განკურნებას და სვლას მეფურად,
შენით განვკურნავ ჩემს თავს ისევ უწინდებურად,
სხვა მკლავს,მაწუხებს,მე კი მაინც ვთავაზიანობ,
რადგან არ ძალმიძს სულიერი დავაზიანო.

დრო ისევ გარბის,ჟამი ჩუმად მიიპარება,
ეს ჩვენი ხორცი ოდეს მიწას მიებარება,...
არა მგონია ამისრულდეს მე ის ოცნება,
რომ ვალი შენი გადიხადონ ყველა მგოხნებმა.

ქ. იერუშალაიმი 1979 წ.

# ზღვა და მზე

ჩემი სული სიზმარია,
ლექსის წერა მიხარია.
ქვეყნად ყველა მივატოვე,
ავირჩიე სიმარტოვე.

სიმარტოვე ზღვასთან ვპოვე,
შევისწავლე მათი ენა:
ზღვის ჩურჩული,მზის კამკამი,
ხის შრიალი,ფოთოლთ ცვენა;

ვზივარ,ყურს ვუგდებ,ჩურჩულებს ტალღა,
იცინის?? თუ არის გოდება,
შორს,სივრცეში კი,სიღრმეში სადღაც,
მზე ჩაესვენა ოქროს ზოდებად.

ზღვა,მზე,ფოთლები ხისა,
მიჩურჩულებენ ჩუმად...
პოეტი ხარ? რად მიყვები სხვათა გზებს,
პოეზიის სათავეა ზღვა და მზე.

მიჩურჩულებს ლექსის რითმებს,
საიდუმლოდ მე ზღვის ტალღა,
მე ვწერ,ზღვა კი ვეღარ ითმენს:
„ნუ იციო მალე დაღლა"...

...................................

პოეტი ვარ!! არ გავყვები სხვათა გზებს,
პოეზიის სათავეა ზღვა და მზე.

# ბედნიერი ვარ!

ხანდახან სული ამემღვრევა ლექსის საწერად,
უსაზღვროდ ვწერ და,დაიცალა გული,მგონია.
დავწერე? მოვრჩი? არა,გული ისევ სავსეა,
მივხვდი,წერისთვის საყოფი სიტყვა არა მქონია;

გრძნობით გავავსე მე ეს გული,ფიქრით ვაწვალე.
გულო! მითხარი სად მოვძებნო შენთვის სახატე,
ჩუმად მომესმა: „ეგ კალამი ფუნჯში გასცვალე -
და ყველა გრძნობა შენი,მიდი,·დახატე"...

მიდი,დახატე,თითო სიტყვა თითო ფერია,
მძივად ააგე ეგ ფერები,ლექსად დაწერე,
გამომაცალე ყველა გრძნობა,ყველა ფიქრები,
და მაგ ნახატზე ლექსთან ერთად მეც შევიქმნები.

გულისთქმას მივყევ,ყველა ლექსი მე გვერდზე დავდე,
და მოვიმარჯვე,კალმად ხელში სახატი ფუნჯი,
თითქოს ფერები ჩემი ლექსის სტრიქონებს გავდეს,
ალაპარაკდა ჩემი გული აქამდე მუნჯი.

ასე მგონია მე გონს მხოლოდ ახლა მოვედი,
ხელში მიჭირავს ჩემი პატარა ლექსთა კრებული
ბედნიერი ვარ! ამ ქვეყნად რომ ვარ პოეტი,
რომ ვდგავარ ლექსთან და ნახატთან გამარჯვებული.

ქ. იერუშალაიმი 1978 წ.

# სამი დედა

რა მომსვლია სიხარულით,ფეხზე ველარ ვდგავარ,
ჩამოვსულვარ,ისრაელის მე მიწაზე ვდგავარ,
ისრაელო! შემიფარე! როგორც მკვიდრი დედა,
ეკლიანი გზები ფუჭად არ მივლია,ხედავთ??

რა მომსვლია სიხარულით,ფეხზე ველარ ვდგავარ,
ებრაელი რომ ვყოფილვარ,მე ვიგრძენი ახლა.
რომ მყოლია ქვეყანაზე თურმე სამი დედა:
საქართველო,
ისრაელი,
ერთიც ღვიძლი დედა.

იერუსალიმი,1973 წ. 18 ნოემბერი
ისრაელში ჩამოსვლის დღეს.

● ● ●

მე რომ ჩავხედე თვალებში და ვიგრძენ სიცივე...
გულმა იტირა, მაგრამ, სახევ, მაინც იცინე.
ვიგრძენი, გულმა არ გამიღო გრძნობის კარები,
მეც წავალ შენგან და არასდროს მოგეკარები.

● ● ●

სიყვარული ქვეყნად ალბათ ყველას გამოუცდია,
გულს შეჭრილა დიდი გრძნობა, სულაც არ დაუცდია,
შეყვარებულ კაცსა თავის თავიც ვეღარ უცვნია,
რამდენ ჭაბუკს ხის ჩრდილის ქვეშ სატრფოსათვის
უცდია.

● ● ●

თუ სიყვარული სამუდამოდ ოცნებად გექცა,
და თუ მოხუცდი სიყვარულის შენ უგრძნობელად,
მაშინ ილოცე, იცრემლე და შეთხოვე ზეცას,
არ მოგკლას ასე სიყვარულის შეუცნობელად.

● ● ●

წყალი დაასხი, ახარებენ ქვეყნად იები,
ფოთლებს გაშლიან ცად აწვდილი აკაციები,
შენც ერთი სიტყვა გაიმეტე, სიტყვა კეთილი,
და გაახარე შენივ მიზეზით ხე მოკვეთილი.

● ● ●

თუ კი ჟამი მოახლოვდა სიბერის,
ეს ცხოვრების სიავ-კარგის ჭიდილია,
ახლა დადგა ჯერი ჩემი სიმღერის,
ბავშვობაში თითქოს არც კი მიტირია.

# სანთელი

ოთახში ვსუნთქავთ მარტო მე და შენ,
ორივ ვდუმვართ და სიჩუმე სუფევს,
შენი ცრემლები ამ ჩემს სტრიქონებს,
ყველა სიტყვის წინ სინათლეს უფენს.

ვიცი,დამყვება მუდამდღე ლანდი,
ვიცი,რომ მზეში ხესაც აქვს ჩერო,
შენი ცრემლებით შექმნილი ჰანგი,
მითხარი,აბა მე დავიჩემო?!!

შენი სახელი ხომ სანთელია,
ჩემი - უბრალო ვიღაც პოეტი,
შენსკენ სავალი გზა ნათელია
და მეც ადვილად მიტომ მოველი.

სანთელო ყველას დასაფიცარო,
შენ გამინათე გულის კუნჭული,
მინდა ახლავე ღმერთად გიწამო,
ყვირილი მინდა,არა ჩურჩული.

პოეტის გული მუდამ მღელვარე,
შენი ალი კი მარად ელვარე,
პოეტის ფიქრი,ტანჯვა თუ ვნება
შენს ცეცხლთან ერთად მუდამდღე დნება.

იერუსალიმი 1977 წ.

# ბედნიერება

ბედნიერება შენთან არის,ვერ გრძნობ,არ იცი,
მოგჩვენებია ეს ცხოვრება,როგორც აისი.
ამ წუთისოფელს უჩუქნია შენთვის,რა იცი?
ბედნიერება მზიანი და ვარდი მაისის.

ბედნიერება თუკი გახდა შენი სტუმარი,
სტუმარი,დიახ! წუთიერი,მხოლოდ მდუმარი,
რატომ ვერ მიხვდი,ვერ გაუგე არ გაქვს უნარი?
ამ ქვეყანაზე შენც სტუმარი ხარ,დააფასე
სტუმრის სტუმარი.

ბედნიერი ხარ,გაიღვიძე,ნუ გძინავს,კაცო!
სიყვარულის და სიხარულის ხომ არის ღირსი ის
შენი სატრფო,

და ამ სიხარულს ის მთელი დღე უცდის და ნატრობს,
ნატრობს და შიშობს,ეს დიდი გრძნობა სხვამ არ
გასტაცოს...

იერუსალიმი 1976 წ.

# ყვავილების გამყიდველი გოგონა

მზემ თავის ბრჭყვიალა ვარაყით
შემოსა ლურჯთვალა ზეცა,
და ერთი პაწარა ქალაქი
ხმაურით იღვიძებს დღესაც.

გაზაფხულს, ყვავილებს, იმედი მოაქვს,
და ყველა იცინის როგორ...
ახლა, სიხარულის, სიცოცხლის დროა,
მხოლოდ არ იცინის პაწარა გოგო.

ვხედავ, გიჭირავს კონები ყვავილის
და თანაც სევდიან სიმღერებს მღერი,
და თუ სულიერი შენს გვერდით ჩაივლის,
ეძახი და ამით გეღლება ყელი.

– ყვავილი! ვის გინდათ, ყვავილი აქეთ!
ვის გინდათ ლამაზი ვარდი?
ხალხი გარბის და არავინ გიყურებს,
პაწარა გული გევსება დარდით.

„იყიდე, ქალბატონო – ვყიდი სამ ლირად,
ნახეთ, რა კარგია, შეხედეთ ერთი.
იყიდეთ ყვავილები, არ ვყიდი ძვირად,
იყიდეთ, რა იქნება, იწამეთ ღმერთი!"

ლამაზი ყვავილი! – იყიდეთ ორ ლირად...
გაწვება ცრემლები, თავს ვერ გრძნობ კარგად

მთელი დღე გროშისთვის აქ დგომა არ ღირდა,
წუთები გარბიან,შენ იმედს კარგავ...

დაღამდა,თვალებიდან გეღვრება ცრემლები,
მდუღარე ცრემლები შენ გიწვავს თვალებს,
მაგრად ჩაგიკრავს ყვავილთა კონა...
ნეტავი გაზაფხული შენთვის თუ მოვა...

გულში აქვს ჩაკრული ყვავილთა ფერები
და ეს ყვავილები უხდება ძალიან...
თმაზე ხელს შევახებ და მოვეფერები,
ვიცი რომ მისთვის არავის ხვალია.

იერუსალიმი, 1975 წ.

# მშვიდობა მინდა

ო,ლურჯო ზეცავ მიყვარს როცა გესაუბრები,
მიყვარს ლურჯ ფონზე რუხი ღრუბლები,
შენსკენ მოვილტვი გაფიცხებულ თეთრი რაშივით,
რადგან ვიცი რომ დამიხვდები მკლავებგაშლილი.

ო,ღმერთო,ლურჯ ცას მოფარებულს გეკამათები,
მაგრამ შენცა და ლურჯი ზეცაც რად ხართ უბრები?..
ნატანჯი ერის შვილი ვარ და თქვენთან მოველი,
გეკამათები,შებრალებას კი არ მოველი.

გეკამათები და პასუხად მშვიდობას ველი,
მშვიდობას ვამბობ,მიკანკალებს საწერად ხელი,
რადგან პირქუშად მიყურებენ შავი ქედები,
რადგან ტირიან საფლავებზე თალხი დედები...

ლურჯი სამეფოს შვილებია ეგ ვარსკვლავები,
მათ იცავს,ზეცავ,ყოველ ღამე შენი მკლავები.
მაგრამ რამდენჯერ შენ მნათობი შემოგაკლდება,
დედას იმდენჯერ მეომარი შემოაკვდება.

აბა,მითხარით,რისთვის არის აქ ეს ტანკები,
ო! ეს მიწაა ჩემი ძმების სისხლით ნაკვები,
რაღა ფასი აქვს სილამაზეს,როცა მზე ჩავა.
როცა „აბელი" აქ დედები სხედან ბეჩავად.

მინდა მშვიდობამ მოარჩინოს დედების წყლული,
მინდა ნაომარ ამ მიწაზე იები რგული,
მინდა,რომ იყოს სამუდამო ვარსკვლავთ ციმციმი
მინდა,რომ ვნახო მე დედების მუდამ სიცილი.

ვიცი რომ ხალხი ამა ქვეყნად ბევრსა სცოდავენ...
მე არ უარვყოფ და არცა ვარ ამის მოდავე,
მაგრამ ო,ღმერთო უშეცდომო არც შენ არა ხარ,
ომი რომ ქენი,ეი,მშვიდობავ,მითხარ სადა ხარ...

აბა მითხარი,რა სჯობია ზამთრის თეთრ ფიფქებს,
ანდა აპრილის სურნელებას,მერცხლების ყლურწულს,
შეყვარებულთა პირველ ამბორს,ოჯახზე ფიქრებს,
ღმერთო!.. მშვიდობას ნუ დაადებ,გთხოვ,მძიმე
ურდულს.

ღმერთო,ლურჯ კალთას მოფარებულს გესაუბრები,
გემუდარები,თქვით რამე,ნუ ხართ უბრები,
მე არ მოვსულვარ სილამაზის სადიადებლად,
მშვიდობა მინდა რომ მოვიდეს განთიადებად.

იერუსალიმი 1980 წ.

# ეს ჩემი გული

ეს ჩემი გული, გული პაწარა
იწევს ოცნებას და იწევს ფიქრებს.
მან თუ გრძნობები წლობით აწარა,
მეც მინდა,გრძნობა რომ ლექსად იქცეს.

წავალ იქ,სადაც თეთრი მთებია,
ბევრი ყვავილი,ბევრი ფერები,
გზაზე იები შემომხვდებიან,
მეც სიყვარულით მოვეფერები.

დილის ნისლი და ყვავილზე ნამი...
დამავიწყდება გულის დარდები,
ჩამომცილდება ყველა ვარამი
და უცებ ლექსად ამოვვარდები.

გრძნობები ლექსად გაჭენდებიან,
მოგროვდებიან ჩემთან მერცხლები,
წამით ღრუბლებიც გაჩერდებიან,
მეც სიხარულით ზეცას მივწვდები.

ხევდას ვერ ნახავთ თვალის გუგებში,
გულს ვერ მოშხამავს გესლი ნაღველის
რადგან ლექსია ჩემი ნუგეში,
მეც ველარ მნახავთ სახედაღვრემილს.

იერუშალაიმი,1977 წ.

# ღამეთეული

მე სიხარულით შევეგებე დილის განთიადს,
სულ არ მიგვრძნია, რომ ვიყავი ღამეთეული,
რადგან ამ გულში პოეზიის ცეცხლი ანთია,
რადგან მე გრძნობა ლექსადა მაქვს გადაქცეული.

შემოქმედების ძალასა ვგრძნობ, სულში მის დუღილს,
ღამეს განთიადს ვუკავშირებ, როგორც პოეტი,
გულში კი ვამბობ: ამ ქვეყნად სიცოცხლე თუ ღირს,
მხოლოდ იმიტომ, რომ პოეზიას ყველგან ვპოვებდი.

ო, ღმერთო! შენსკენ აწვდილია ჩემი ხელები,
ხოლო თვალთაგან ცრემლი მომდის, ცრემლის ღელეები,
ერთი ხარ! მხოლოდ შენ მიგიძღვის იმაში ღვაწლი,
რომ ჩემი გული, პოეზიის შენ ცეცხლით დასწვი.

ღმერთო ძლიერო, ვიცი კარგად გეცოდინება,
როგორ სპობს ყველას და ყველაფერს ჟამთა დინება,
მხოლოდ ერთია - ხელოვნება! ვერ სჭამს მას მიწა,
უკვდავებაა, ხელოვნებას მუდამ რომ იცავს.

პოდა, მითხარი: ღმერთო ჩემო, როგორ არ ვღვარო
ცრემლი მდუღარე, პოეტისა, ასე რომ ხარობს,
შენა ხარ ერთი, რომ ჩამიდგი პოეტის სული,
და მომანიჭე უკვდავება მარადი, სრული.

მე სიხარულით შევეგებე დილის განთიადს...
სულ არ მიგრძვნია, რომ ვიყავი ღამეთეული,
რადგან ამ გულში პოეზიის ცეცხლი ანთია,
რადგან მე გრძნობა ლექსადა მაქვს გადაქცეული.

# თამარ ბეჟერაშვილი

● მოლოდინი

● ისრაელო ჩემო!

*თამარ პეზერაშვილი*

# მოლოდინი

მოთხრობა

დაბა,სადაც მე დავიბადე და გავიზარდე,ისე დამშვენდა და გალამაზდა,გული სიამაყით მევსება. ზოგჯერ დაუოკებელი სურვილი დამეუფლება ვინმეს გავუზიარო ჩემი სიხარული,დაბის განახლებით გამოწვეული.მაგრამ დღეს ვის გააკვირვებ ლამაზი და მაღალი შენობებით! ამიტომ მეც არ მიკვირს,როცა ჩვენთან ჩამოსულ სტუმრებს არ უკვირთ აქ მომხდარი ცვლილებები.

ერთადერთი,რაც სტუმრებს თვალში ხვდება და კიდევ აკვირვებს,ეს გახლავთ დაბის ცენტრიდან. ცოტა მოშორებით მდგარი ძველი ფიცრული სახლი,ქარისაგან ფეხვებშერყეულ ხესავით რომ გაუდის ფამფალი. ჟამთა სვლისაგან გაცრეცილი კედლები,აქა-იქ ჩამტვრეული,კუპრივით ჩაშავებული ყავარი და სარკმელში გამოჩრილი,დაჟანგული თუნუქის მილი მნახველს გულს შეუქანებს და სიბრალულის ცრემლს გადმოაფრქვევინებს.

... აქ,ამ სახლში ცხოვრობდა ერთი მოხუცი ებრაელი ქალი. რაც თავი მახსოვს,მისი სახელი არ მსმენია. ის იყო დედა,მარტოხელა დედა.

ამ სახლიდან გაისტუმრა ფრონტზე ობლობით გამოზრდილი ოთხი ვაჟკაცი: ბინიამინი,აბრამი,დავიდი და შალომი. ისე გააცილა,ერთი ცრემლიც არ ჩამოუგდია - არავინ იფიქროს,ებრაელია და შვილების ომში გაშვება ეზარებაო. უბრალოდ სირცხვილად მიაჩნდა... ან იქნებ დიდმა ელდამ დაუშრო ცრემლის სათავე...

ოთხ შვილს ლხინში ერთად წასასვლელად ვერ იმეტე-
ბდა,ერთი მაინც შინ დარჩეს,თორემ დედის თვალებს სი
ნათლე მოაკლდებაო.
ომში კი ყველა ერთად გაგზავნა.
რა ექნა,სხვანაირად არ შეიძლებოდა,ებრაელი დედ-
ის ლეჩაქს უცხოს თვალში ვერ შეარცხვენდა. მით უმე-
ტეს,სამშობლო გასაჭირში იყო. დიახ,სამშობლო,იმიტ-
ომ რომ მისი მამა-პაპა და მათი მამა-პაპა იქ დაიბა
და,თვითონ და მისი შვილებიც... სამშობლო კი დედათა
- დედაა. ჰოდა,დედას ვინ შებედავს უარს! სამშობლოს
ყველას ტკივილი აწუხებს. რამდენი ნაპრალია დედამი-
წაზე,იმდენი მოუშუშებელი ჭრილობაა ქვეყნის გულში.
აკი ამბობენ,სადღაც სიღრმეში დედამიწის გული დუღს
და თუხთუხებსო. ეს,ალბათ,ყველა გულდათუთქული დედის
მოუნელებელი ვარამია,ერთად შეერთებული.
ვერა,ვერ ეტყოდა უარს დედათა-დედას... და დარჩა
დედა ფიცრულ სახლში მარტოდმარტო,იმედისა და ლოდინ-
ის ამარა. ზრუნვით უვლიდა შვილების კერას,ვითარცა
წმიდათაწმიდას. კვირას ისე არ გაიყვანდა,ამანათი
არ გაეგზავნა შვილებისათვის. ოთხივე ერთ ნაწილში მ
ოხვედრილიყო. ერთად გზავნიდნენ ბარათებს... მაგრამ
მალე შეწყდა ბარათების მიღება. ალბათ,არ სცალიათო,
თავს ინუგეშებდა დედა. ამანათებს კი მაინც გზავნი-
და,ოღონდ სხვა მისამართით: ფრონტზე - ჯარისკაცებს!
მთელ სიცოცხლედ უღირდა დედას შვილების ხელით დ-
აწერილი ერთი ფარატინა ქაღალდი,მაგრამ სად იყო....
მოხუცი ფოსტალიონი მის ჭიშკარს არ ეკარებოდა. ბოლ-
ოს გამოჩნდა თავჩაქინდრული,დამნაშავესავით ნირწამ-
ხდარი და ავი წინათგრძნობისაგან თავზარდაცემულ დე-
დას უმწეოდ გამოწვდილ გაყვითლებულ ხელისგულზე კან-

კალით დაუდო კომისარიაცის უწყება. ახეთ უწყებას ჩვენს ცაზაში მაც დეპეშას უწოდებდნენ.

„თქვენი შვილები... გმირულად დაეცნენ..."

დედა ჯერ გახევდა, გაქვავდა. მერე ჭიშკარს მიეყრდნო და გარსშემოხვეულ მეზობლებს ნისლჩამდგარი თვალებით მიაშტერდა.

– ხალხო, იქნებ ტყუილია, იქნებ შეეშალათ? – თქვა ერთმა.

დედის გასამხნევებლად ათასი რამ გაიხსენეს მეზობლებმა, ზოგი ტყუილი, ზოგი მართალი: შავი დეპეშის მერე როგორ ბრუნდებოდნენ ოჯახებში მკვდრად მიჩნეული, შემთხვევით გზაკვალდაკარგული ჯარისკაცები.

დედაც ხავსივით ჩაებღაუჭა ამ უნუგეშო ნუგეშს.

შორს გაგზავნილი ერთი შვილის ავადმყოფობაც კი გააყრუებს ქალს, და რა ნებისყოფა უნდა ჰქონოდა დედას, რომ ოთხი შვილის სიკვდილი განეჭვრიტა. მას მ ხოლოდ ჯანმაგარი, ღომგული ვაჟკაცები ახსოვდა.

ბოლომდე მაინც ვერ დაიჯერა, ბოლომდე მაინც ვერ ჩ ახწვდა თავსდატეხილ საშინელებას.

„დეპეშაში ხომ ეწერა, გმირულად დაეცნენო, – ფიქრობდა დედა, – იქნებ მართლაც დაეცნენ, მაგრამ ვინმე ღვთისნიერი ხომ გამოჩნდებოდა, წამოაყენებდა დაჭრილებს, მოუვლიდა... განა არ შეიძლება ერთი შეხედვით დაჭრილი მკვდარი ეგონოთ!..."

„არა, ეშმაკს პირს ვერ გავუხსნი, შავებს არ ჩავიცვამ. როცა იქნება, გამოჩნდებიან".

...კვლავინდებურად უვლიდა დედა შვილების ხელით გაშენებულ ბაღს. ყველაზე გვიან კრეფდა ხილს. სანამ თოვას არ დააპირებდა, ვაშლს ხელს არ მიაკარებდა, იქნებ ბიჭები დამიბრუნდნენ და საკუთარი ხელით მოწყვე

ტილი ეამებათო.

როცა ნახერხში შენახულ ხილს მეტი გაძლება აღარ შეეძლო,ფრთხილად ამოაწყობდა,მეზობლის ბიჭებს დაუძახებდა,ვაშლს,მსხალსა და კომშს დაურიგებდა,ხახლშიც გაატანდა.

ბევრჯერ შესთავაზეს მეზობლებმა: ახალი სახლის დადგმაში დაგეხმარებით,მხარში ამოგიდგებითო. გაგონებაც არ სურდა: ბიჭები მოვლენ და თვითონ ააშენებენო.

თავს იტყუებდა?

ვინ იცის...

...გავიდა დრო. ძალიან დიდი დრო.

ოცი წლის წინათ ჩასხმულ ღვინოს გული გაუწყალდა ლოდინისაგან.

დედის გული კი შეუვალ კლდესავით უძლებდა ლოდინს. ეს კია,ცოტა მოტყდა,მხრები ჩამოუცვივდა,დათოვლილი თმები გაუმეჩხერდა. წელში მაინც არ მოხრილა. არც თვალში დაჰკლებია სინათლე.

შვილებზე ფიქრმა მის სახეზე ხევის ბადე მოქსოვა. ნაოჭებიც შვენოდა. იმიტომ,რომ დედა იყო.

ზაფხულობით კარის ზღურბლზე იჯდა და გზას გაჰყურებდა. ზამთარში კი მუდამ ფანჯარასთან იყო ატუზული.

ელოდა...

ელოდა...

ელოდა...

ერთხელ,ახალ გათენებულზე რაღაც ხმაურმა თუ ყრუ ხმაურმა გამოაღვიძა. ფანჯარასთან მიიჭრა. სახე გაყინულ მინას მიაბჯინა და თვალები იდუმალ სიჩუმეში მთვლემარე ეზოს მიაპყრო. თურმე საკუთარი გულის ხმა

შემოეხმა.

დიდხანს იყო თვალებგაშტერებული და... აღარც განძრეულა. დაძაბუნებული სხეული უღრტვინველად შეავიე:: ზამთრის სუსხისაგან დაზაფრულ ფანჯარას.

დედას შვილების მოლოდინში ამოხდა სული.

ჰოი,საკვირველებავ! მიცვალებულის ღიად დარჩენილი თვალები კვლავ გზას გაჰყურებდნენ...

ორი წელია დედა აღარ არის. დაცარიელებულ ძველ ფიცრულ სახლს კი ვერავინ შებედა დანგრევა.

ქარის ქროლვაზე ძლიერი შტორმისაგან აფრებაგლეჯილი ხომალდივით ტორტმანებს,გეგონებათ,ეს-ეს არის წაიქცევაო. მაგრამ მაინც იმაგრებს თავს. არც იქცევა,არც იმტვრევა.

ქარის ჯინაზე.

ხეტყვის ჯინაზე.

მტრების ჯინაზე.

დგას ძველი სახლი,სევდიანი,მაინც ამაყი,როგორც ბალადა შინმოუსვლელთა მოლოდინზე.

# ისრაელო ჩემო

## (ეტიუდი)

აჰა,განვვლეგზა გრძელი და ძნელად სავალი. მე მოვედ შენთან!

მოვედი შენდა სამსახურად,ისრაელო ჩემო! დედაშვილობას,ხელი არა მკრა,მიწამე შვილად. შემომაგებე მშობლის ალერსი. დედის კალთა გადამაფარე და უცხოობაში გაცივებული გული გამითბე.

იქნებ დრო-ჟამმა ჩემს ხასიათს უსიამო დაღი დაასვა...

იქნებ ვერ ჰპოვო ჩემს ხასიათში ხმა შენეული..

ნუ გაიკვირვებ, - მე ხომ შენგან ესდენ შორს ვიყავ... ნურც გამიწყრები, - შენ დედა ხარ და პატიებაც გეცოდინება.

იქნებ მეც ვერ გცნობ,ზოგი რამ მეც მეხამუშება.მაგრამ მომწონხარ სწორედ ისეთი როგორიც ხარ. მიყვარ - ხარ ძლიერ - შენი ნაკლით,შენი ღირსებით,თუმც შენს სახელთან ნაკლი რაღა მოსატანია.

ბავშვს ჰკითხეს თურმე,დედაშენი რომელიაო. მან უპასუხა: ქალი ყველაზე ლამაზი და უძვირფასესი - დედაჩემია. და მე რომ მკითხონ,ისრაელი როგორიაო,ვიტყვი ამაყად: უცრფესი და უძლიერესი ქვეყანა თუ ვაგი გონიათ,სწორედ ის არის ჩემი ერეცი!

დიახ,ვამაყობ,შენით ვამაყობ,ჩემო ისრაელო! ბედნიერი ვარ,რომ ვისუნთქე შენი ჰაერი. გოდების კედელს სიხარულის ცრემლი ვაწვიმე. სულმოუთქმელად მოვია

რე ყველა ქალაქი. დავლახე გზები მეტულიდან ეილათამდე.

ფრთხილად ვაბიჯებ შენს წმინდა და ტანჯულ მიწაზე და მეშინია არ გატკინო ნაჭრილობევი... ვიცი,რაც გტკივა, - აქ,ამ მიწის ქვეშ განისვენებენ უწვერულვაშო ჯარისკაცები.

ვიცი,რომ გტკივა,მაგრამ რა ძალმიძს. რით მოგიშუშო მწველი იარა? თუ გაგიჭირდეს, წამლად დაგედოს სიცოცხლე ჩემი! თუმცა მე შენთვის მშვიდობა მინდა.

მშვიდობა შენდა,ჩემო ისრაელო. აღარ დაქუფროს ომმა ქვეყანა. აღარ გაიჭრას საძმო საფლავი.

ღმერთო ძლიერო! შენ დაიფარე ჩემი ხალხი,შენი რჩეული. დაგვეც დასტური,რომ სიცოცხლე მოვახმაროთ მხოლოდ შენებას. შენ მოგვეც ძალა,რომ გვათქმევინო აღალი გულით: „დედასავით ტკბილო,ჩვენო სათაყვანებელო ისრაელო! მიითვალე ჩვენი ხელმართალი შრომის ნაყოფი,როგორც ხარკი გულისა იმ ბედნიერებისათვის,ჩვენს თაობებს რომ არგუნე ხვედრად".

# ი ა შ ო ბ რ ი შ შ ა შ ვ ი ლ ი

● პარალელური ხაზები

*იაკობ ჩიქვაშვილი*

# პარალელური ხაზები

თავის უახლოეს ადამიანებს უძღვნის ავტორი ამ მოთხრობას

- ბედს დამორჩილებულნი შეცოდებას იმსახურებენ, - სიჩუმე დაარღვია,დაცლილი ბოთლი გვერდზე გადასდო,მხრები უკან გადაიზიდა,ხელები ცხელ ქვიშაში ჩააჭდო - წონასწორობა რომ შეენარჩუნებინა,მეგობარს მზერა გადააპარა და განაგრძო. - ძლიერი მეგონე,სულით ძლიერი, მეგონა ყოველივეს ასე დაამსხვრევდი, - მარჯვენა მტევნით სილის გუნდა დაშალა და ძველ პოზას დაუბრუნდა. - ცხოვრებამ შენც შეგცვალა,მოგთენთა,დაგიმორჩილა. ხვალინდელი დღე აღარ არსებობს შენში,დანი. მრავალფეროვანი,შინაარსიანი დღე. ყოველ შემთხვევაში,მე ასე ვფიქრობ,ჰო,ასე ვფიქრობ.

სილაში ჩაფლულ დანის თვალები ცისკენ გაქცეოდა,მზის ცხელი დისკო ნატვრისთვალივით ეკიდა ლურჯ უსასრულობაში. ჰო,ნატვრისთვალივით,რადგან ის თუ არა - არ იქნებოდა წყნარი ზღვა,თბილი ჰაერი,ოქროსფერი სანაპირო და გაშიშვლებული ორფეხების ღიმილით სავსე ზაფხულის ლამაზი დღე,სიყვარულივით თბილი დღე,მოდენილი სიზმარეთით რომ გაწოლილიყო განუმეორებელ პლაჟზე.

- ბენი,ჩვენ ისევ სხვადასხვა პოლუსებზე ვსხედვართ, - როგორც იქნა,გამოსცრა დანიმ.

- მნიშვნელობა არა აქვს ჩემს მდებარეობას, - გამოეპასუხა. - შენ უნდა დაუბრუნდე.

- განა ოდესმე მითქვამს,რომ დავშორდით? მაშ რაღა

საჭიროა დაბრუნება?

- ისევ ცივი ფილოსოფია,დღეს მასთან მხოლოდ წარსული და ოცნება გაკავშირებს. სხვა რაღა განსაზღვრავს განშორებას? ეს განა საკმარისი არ არის?

- სრულიადაც არა!

- მაშ,რად არ ბრუნდები ოჯახში,ბავშვებთან?

- ნუ ჩქარობ,ბავშვები აქ ზედმეტია. მე არ შევცვლილვარ მათდამი. არც ისინი შეცვლილან ჩემდამი. ეს ალბათ,ისე უბრალოდ,სიცყვა ვერ მოზომე ალბათ, - წყენამორეული ღიმილით გაეხუმრა დანი.

ბენიმ დუმილით აგრძნობინა თანხმობა.

- საჭიროა,ხშირად მგონია თითქოს წინათ არასოდეს ვიცნობდით ერთმანეთს. ახლაც იგივე შეგრძნება მეუფლება.

- შენ ყოველთვის გამოცანა იყავი ჩემთვის. შენში ხან ანგელოზი მიმისხმობდა,ხან საცანა ჭყეცდა თვალებს.

- ჰა,ჰა,ჰა,ჰა! - გადაიხარხარა დანიმ, - ეს კარგად თქვი. თუმცა,როგორც ყოველთვის,ახლაც შეცდი.

- არა მგონია.

- ჰო,ვიცი,რასაც ფიქრობ,გიმეორებ,ეს იმიტომ,რომ ჯერ კიდევ არ მიცნობ ისე,როგორც საჭიროა.

- დანი,გარე სამყარო ხშირად აიძულებს ადამიანს შექმნას თავისივე „მეში" შიდა,სხვებისათვის შეუცნობელი მეორე ქვეყანა,სადაც იგი თავისი ავადმყოფური ფანტაზიით ქმნის ყოველივე მას,რომელიც აუცილებელია მისი არსებობისათვის და რაც ასე ძუნწად გამოუმეტებია მისთვის ამ დაწყევლილ ღედამიწას. იმისდა მიხედვით,თუ რამდენად დაკავშირებულია იგი „მის სამოთხეს" - შეუცნობელი ხდება ამა ქვეყნის მდგმურთათვის. და

შენც ერთი სარკმელიც კი არ გაგიღია შენი იმიერისა.

- ბენი,ვგონებ,ჩვენ გადავუხვიეთ.

- დე,აგრე იყოს,მინდა მხოლოდ გისმინო,თქვი შენი სათქმელი.

- მეორდება ნაცნობი სურათი.

დანი წამოდგა,რამდენიმე კენჭი ზღვაში გადაცყორცნა,შორიახლო მწოლარე ლამაზმანებს მშიერი თვალები შეავლო და მეგობარს დაუბრუნდა.

- მოდი აქ,ჩემს გვერდში დაჯექი,თვითონ ჩაიმუხლა და განაგრძო:

- მეორედ მოსვლისა გჯერა,ხომ? „თისიათ ჰამეთიმ"-ის ჰა?

-რა თქმა უნდა.

- ვითომ ყველა დავბრუნდებით?

????

- რა თქმა უნდა არა,იმიცომ რომ გაურკვეველია,როგორი იქნება მის შემდეგ ეს სამყარო. თუ ბევრი არაფერი შეიცვლება,რა თქმა უნდა,ბევრი აღარც მოისურვებს უკან დაბრუნებას. იმათგან პირველი მე ვიქნები.

- საქმეზე,საქმეზე გადადი,ფილოსოფოსო, - გაეცინა ბენის.

- ჰო,მეუღლეზე,არა? კარგი,ქალში სამი რამ უნდა გ სიბლავდეს: დედა,მეუღლე და ქალი. სამივე მათგანში მ თავარი ერთგულებაა,თუ ეს ასე არ არის,მაშინ ის ემსგავსება სწორ ხაზს,რომელიც გადაივლის გულზე და კვალად მხოლოდ წერცილს სცოვებს,ასეთები კი...

- პირველი გასაგებია,მეორე არა, - ცნობისმოყვარეობით გაეპასუხა ბენი.

- კარგი,მოდი დავიწყოთ,ვინ ვარ და რას ვფიქრობ.

დანიმ ხელის გულით ქვიშა მოასწორა,ოდნავ დაცკეპ-

ნა და საჩვენებელი თითით სწორი ხაზი გაავლო.

- ბენი,რა არის ეს?

- სწორი ხაზი.

- აი,ხედავ,სად გამოგადგა გეომეტრიის ცოდნა, - ჩაეცინა დანის, - მითხარი,გაგონებს თუ არა ეს ხაზი ჩვენს ცხოვრებას,ჩვენს ყოველდღიურობას?

- მაგონებს,რა თქმა უნდა,მაგონებს. მას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული.

- ყოჩაღ ბენი,როგორც იქნა,მიწევ პარტნიორობას.

ახლა ავიღოთ და ამ სწორ ხაზზე ერთი უბრალო წერტილი აღვნიშნოთ. აი მაგალითად ეს...

- ესე იგი შენ გაჩნდი ამ ქვეყანაზე,დანი.

- შესანიშნავია,შესანიშნავია,ბენი. მე გავჩნდი, ჰო გავჩნდი. მსურდა თუ არა,საჭირო იყო თუ არა,მე განვსაზღვრე ეს წერტილი და მან მე. ახლა ავიღოთ მეორე წერტილი,აი მაგალითად აქ,და ვუწოდოთ მას დავუშვათ „ბ" წერტილი.

- მაგრამ,გაურკვეველია სად იქნება ეს წერტილი. ეს ნიშნავს,რომ შენ გარდაიცვალე.

- განა კი არსებითი მნიშვნელობა იმას აქვს, სად იქნება? მთავარი ის არის,რომ მან მოგვცა საშუალება დაუსვა ამ ორ წერტილს შორის წერტილთა უსასრულო რაოდენობა,ხოლო ამ ოპერაციის შესრულების წესი თვით შენზეა დამოკიდებული. ამ წერტილებიდან აქეთ თუ იქით კეთილი ინებე და სხვას გადააბარე ფანქარი.

- კარგი,კარგი,გავიგე შენი „სიბრძნე". ჰალა,ჰალა...

- ახლა ავიღოთ მეორე სწორი ხაზი.

- რა ეწოდება ამ ხაზს,ბენი?

- მკვეთი.

- ყოჩაღ,შენ შესანიშნავი მახსოვრობა გაქვს,ზენი. იგი მკვეთია. მას მხოლოდ ერთი საერთო წერტილი აქვს შენთან....

- ესე იგი,იგი ვიღაცას ჰგავს,ვიღაცის ცხოვრებას, მონახავს შენთან რაღაც საერთოს,დატოვებს შენში კვა-ლს და წავა,გადაიკარგება.

- შენ რაღაც გამოგრჩა ზენი. აბა შეხედე,როგორ მო რდებიან ხაზები ერთმანეთს,მათი დაშორება გარდუვალია. ზენი,რამ განსაზღვრა მათი განშორება?

- ალბათ იმ ფაქტმა,რომ მათ შორის მხოლოდ ერთი წ-ერტილია საერთო.

- და როგორც ჩანს ეს არ არის საკმარისი ერთად ც-ხოვრებისათვის.

- რა თქმა უნდა გეთანხმები.

- ახლა ეს მითხარი,რამდენი ასეთი ხაზის გავლება შეიძლება ამ ორ წერტილს შორის?

ზენის თითი ქვიშას შეეხო.

- ბევრის,ძალიან ბევრის,უსასრულოდ ბევრის.

- თუმცა მეტაფორა ოდნავ დაირღვა. ცხოვრება მე ა-ღარ მარქმევს მხოლოდ ორი წერტილით განსაზღვრულ მონა კვეთს. მჭორავენ,მკიცხავენ,მიწასთან მასწორებენ,რა-დგან ვარღვევ თამაშის წესებს. მე ძალიან ბევრი ჩავ-რიე თამაშში,ყველას ხომ თავისი მიმართულება ჰქონდა. აბა დაუკვირდი.

- შენ აღარა ხარ ის სწორი ხაზი. შენმა არსებობამ სხვა სახე მიიღო.

- დავუბრუნდეთ საწყისს. შენ თქვი,რომ ასეთი ხაზე ბის რაოდენობა უსასრულოა. ესე იგი მივადგებით ქაოსს. როგორ გავიქცეთ ამ ტრაგედიიდან?!

- სიზუსტისათვის,ერთფეროვნებიდან გასაქცევად მე

პარალელურ ხაზს გავავლებდი.

- კეთილი.

- ჩემს არსებობას ახალი აზრი ძიევა. მე ახალი სა ხელი შევიძინე - „პარალელური ხაზი" ვის გაგონებს ი-გი?

- მაგონებს,როგორ არ მაგონებს მეგობარო. ეს პარა ლელური ხაზი ხომ შენა ხარ. შენი არსებობისათვის ჩე-მი არსებობაა საჭირო. და პირიქით,შენი არსებობა გან საზღვრავს ჩემს არსებობას. ხოლო ორივემ რომ ვიარსე-ბოთ,აუცილებელია ჩვენს შორის მანძილის უცვლელობა.თუ ეს მანძილი შეიცვლება,გარდუვალია ჩვენ მკვეთებად გარდავიქცევით.

- შენ მესანიშნავად გესმის გეომეტრია,ზენი.ახლა იმაზე მიპასუხე,რამდენი ასეთი პარალელური ხაზის გა ვლება შეიძლება?

- რა თქმა უნდა უსასრულოდ ბევრის.

- რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?

- მხოლოდ და მხოლოდ მანძილით.

- გესმის კი რას ნიშნავს ეს?

ზენიმ მხრები აიჩეჩა.

- რა მანძილია ჩვენსა და მზეს შორის?

- რამდენიმე მილიონი კილომეტრი.

- თუ ამ მანძილზე ლედამიწისმაგვარ ბურთებს მოვა-თავსებთ...

- კარგი,საკმარისია,მათგან მხოლოდ რამდენიმეს შ-ევამჩნევთ.

- ესე იგი?...

- ესე იგი აუცილებელი არაა ბევრი პარალელური ხა-ზი გაგაჩნდეს.

-მესანიშნავია - ღღეს მართლაც შესანიშნავად ვუგე-

ბთ ერთმანეთს.

- მაგრამ თუ მაინც ერთს კიდევ გავავლებ.

შეიცვლება ამით რამე?

- რასაკვირველია,შენი არსებობა უფრო მტკიცეა,თუ ერთს ამოშლიან,მეორე მაინც დარჩება,სახურველია კი მეორე გადაიშალოს,რადგან მანძილი მანამდე მეცად დი დია. ბენზინის ფასს,რომ ყურადღება არ მივაქციოთ მა ინც ის სჯობს,ვინც მეცად ახლოა.

- მათემატიკოსო,ახლა ამაზე მიპასუხე,რომელი ხა- ზი დამრჩა გასავლები?

ბენიმ საჩვენებელი თითი ფრთხილად გადაატარა პირ ველ ხაზს,რომელზედაც „ა" და „ბ" წერტილები ისევ უთ ვალთვალებდნენ ივლისის მოკრიალებულ ზეცას.

- შეიცვალა რამე ბენი?

- არა,არაფერი არ შეცვლილა, დანი. ყოველივე იმა ვე სახით დარჩა.

- ახლა კი შეცდი მეგობარო. აი,სწორედ აქ არის ჩ ვენს შორის განსხვავება. ეს სწორედ ის განსხვავე- ბაა,რომელიც წარმოქმნის ხოლმე გაუგებრობას. ხაზი,რ ომელიც ახლა გაავლე მემთხვევა მე. ჩვენ ერთმანეთს ვავსებთ და ერთი და იგივე ცხოვრებით ვცხოვრობთ. თუ მე წავალ ის დარჩება. იგი გააგრძელებს ჩემს ცხოვრე ბას. თუ ის წავა,მე ვაარსებებ მას. ეს აუარებელი მ კვეთები მასშიდაც იგივე კვალს ტოვებენ. ჩემი პარა- ლელური ხაზები მისი პარალელურებიც არიან. აბა კარ- გად დაუკვირდი მეგობარო ამ ნახაზს,განა რომელიმე ს ხვა ხაზს შეუძლია მისი მოვალეობის შესრულება? ხაზი, რომელიც შენ გაავლე,იმდენად ძვირფასი,აუცილებელია ჩემთვის,რომ სურვილიც კი არ მებადება შეგეკითხო,რ- ამდენი მისდაგვარი შეიძლება გაავლო.

- მეტაფორა არამცთუ დაირღვა,იგი აბსოლუტურად აღარ არსებობს. გეომეტრიაში უსასრულოდ,ცხოვრებაში კი ერთადერთი.

- და მაინც რას დაარქმევდი შენ ამ ხაზს,ჩემო მეგობარო.

- მეუღლეს.

- გააგრძელე,გააგრძელე,მეგობარო.

- შენ სწორედ ეს ხაზი გაკლდა!..

- გააგრძელე,გააგრძელე,მეგობარო.

- შენ არ დაბრუნდები,დანი!..

- როგორი ჩქარი ხარ,როგორი ჩქარი...

- ცხოვრება გეომეტრია არ არის,დანი...

- მე ორივეზე ძლიერი და ზუსტი მინდა ვიყო.

- ასეთი ხაზი არ არსებობს,დანი.

- ეს ბევრს არ ნიშნავს,მთავარი ძიებაა.

- ამ პატარა მიწიდან შენ იმდენს ითხოვ,რომ ცა-საც გაუჭირდება მისი მსხვერპლად გაღება.

- ბენი,მინდა გკითხო,თუ ყველა ეს ხაზი აუცილე-ბელია ცხოვრებაში,შენ რომელს ამოირჩევდი?

- შენი კითხვა პასუხსაც შეიცავს,ყველა ის საჭი რო.

- და თუ აუცილებლობა გიკარნახებდა,რომელს გადა შლიდი მეგობარო?

ბენი ჩაფიქრდა,სევდიანი თვალები დაავიწროვა,წა რბები მორკალა,შუბლი მოისრისა,შეყოვნდა,მზერა და-ნიზე გადაიტანა.

- პირველს,პირველს მეგობარო,მხოლოდ უკანასკნე-ლის წინა ნახაზიდან - უყოყმანოდ მიუგო დანიმ და ხილაზე ერთი ხაზი გადაშალა.

- საჭირო იყო კი ასეთი ხაზის გაჩენა? იგი ძალ-

იან პრობლემატურია. აი,ხომ ხედავ ჩვენი ნახაზიც როგორ გამარტივდა. დაკარგა ყოველგვარი შინაარსი.ხოლო ამ დაწყევლილ ქვეყანაზე,სადაც ნაკლები შინაარსია,იქ ადამიანები ბუზებივით მრავლდებიან...

ბენის თვალებში ცრემლები აკიაფდა...

სანაპირო სავსე იყო ბედნიერი ორფეხებით,რადგან მაინც და მაინც არავის აწუხებდა გეომეტრიული ჰალუცინაციები და მზე ნატვრისთვალივით უხვად ასაჩუქრებდა მათ სითბოთი,სიცოცხლით,სიყვარულით,სიზმარეულივით გამონაპირებული ნეთანიის განუმეორებელ სანაპიროზე.

# ეთერ ჯეჯიაშვილი

● ჩაფერფლილი სიყვარული

## ეთერ დედიაშვილი

# ჩაფერფლილი სიყვარული

მინდა მოგითხროთ ერთი უბრალო სოფლელი გოგონას სიყვარულის ამბავი,რომელიც დროთა სვლამ ისე ჩაფერფლა,რომ მისგან მხოლოდ მწარე მოგონებაღა დარჩა.

### თავი I

გვალვამ დათუთქა არემარე. დედამიწას სიცხის ბუღი ასდის. ბალახის ნატამალიც კი არსად შეიმჩნევა. მარადმწვანე ნაძვისა და ფიჭვის ხეებსაც ყვითელი ფერი შეპარვიათ. ქარისაგან წამოყრილი სილის კორიანტელისაგან მძიმე სუნი ტრიალებს.

ავტობუსი სადგურიდან დაიძრა და სოფლისაკენ მიმავალ გზას დაადგა. ავტობუსში ხალხის სიმრავლისაგან სუნთქვა ჭირდა. ბოლო რიგში ახალგაზრდა ქალიშვილი იჯდა,რომელიც ფიქრებს ისე გაეტაცნა,რომ არც სიცხე, არც გარედან შემოჭრილი მძიმე ჰაერი მასზე არ მოქმედებდა. ფიქრად გადაქცეულს გვერდით მჯდომი ახალგაზრდა ვაჟიც კი არ შეუმჩნევია. ქალიშვილმა გულში დაგუბებული ბოღმა ვერ შეიკავა და ცრემლმა უხმოდ მონახა გზა. ცრემლები რომ მის დაკრეფილ მკლავებს დაეცა, იგი შეირხა,თავი მაღლა ასწია,აქეთ-იქით მიმოიხედა ხომ არავინ მიცქერისო. უცნობი ვაჟი,რომელიც მის გვერდით იჯდა,თვალს არ აშორებდა ქალიშვილს. ვაჟის სახის გამომეტყველებაზე აშკარად შეიმჩნეოდა ის წუხილი,რომელიც ქალიშვილის სევდიან განწყობილებას გამოეწვია მასში. ქალიშვილმა უმალ მოწყვიტა თვალები

ვაჟის თვალებს და ცრემლები შეიმშრალა. მერე თავი დ
აბლა დახარა და ფიქრს მიეცა. „ეჰ,იმდენად გამოვითი
შე,რომ საკუთარ თავსაც ვერ ვუწევ კონტროლს. არ მე-
ყოფა ჩემი დარდიანობა ჩემი მოქმედებით სხვაც  რომ
დავაღონე? აგერ,სადაცაა სოფელს მივატანთ და ვინ ი-
ცის ეგებ ეს ვაჟი მთელი გზა მე მიცქერის და რას არ
ფიქრობს ჩემზე,მე საცოდავს კი არც შემიმჩნევია.ეჰ,
რომან,რომან რა ვარ ახლა მე უშენოდ რა. მოდი და მ-
კითხოს ახლა ამ ვაჟმა რამე,დაკარგულ სიყვარულს დავ
ტირით,ხომვერ ვეტყვი,იქნებ სიცილადაც არ ეყოს ჩემი
ნათქვამი. არ ვუთხრა და იქნებ დიდგულობაში ჩამო -
მართვას და რა არ იფიქროს ჩემზე..."

ვაჟი კი თავდახრილ ქალიშვილს თვალს არ აშორებდა
და ნატრობდა მისი მზერა დაეჭირა,იქნებ საუბარში გა
მოვიწვიოო: „როგორ მაინტერესებს რა არის მისი მწუ-
ხარების მიზეზი. იქნებ სიყვარულია?.. ან იქნებ სა-
კუთარი დანაშაული გაუხდა სანანებლად?" ეკითხებოდა
ვაჟი საკუთარ გულს,მაგრამ ვერ ამოეცნო უცნობი გოგო
ნას დარდის მიზეზი,განა კი შეუძლია ვინმეს,ადამია-
ნის გულში ჩაიხედოს?..

ამასობაში ავტობუსიც გაჩერდა. ქალიშვილი წამოდ-
გა და  ჩამოსასვლელად მოემზადა.

- თუ შეიძლება გამატარეთ,უნდა ჩავიდე,სთხოვა ქ
ალიშვილმა ვაჟს. ვაჟი წამოდგა და ქალიშვილს გზა დ-
აუთმო. ხალხის სიმრავლის გამო მათი ერთმანეთთან ა-
ხლოს ყოფნა რამდენიმე წუთს გაგრძელდა,და ეს რამდე-
ნიმე წუთი საკმარისი გამოდგა იმისათვის,რომ ვაჟი ქ
ალიშვილს გასცნობოდა.

- მაპატიეთ,რომ გეკითხებით. რატომ გაქვთ ასე სე
ვდიანი სახე,რას შეუწუხებიხართ?

ქალიშვილი შეირხა,ნაფიქრალი გაუმართლდა. თავის შეკავება სცადა,მაგრამ სიცყვა ბაგეზე მაინც არ აუგდო:

- კი მაგრამ,ჩვენ ხომ სრულიად უცნობები ვართ ერთმანეთისათვის. უცნობ ვაჟს როგორ გაგილო გული,ვინ იცის სართ კი სანდო?

- თითქმის საათია,რაც თქვენს გვერდით ვზივარ და დიდი ყურადღებით გაკვირდები. ვფიქრობ,თქვენ რაღაც დაკარგეთ და მწარედ განიცდით,იქნებ ვცდები აა?..

ქალიშვილმა ღრმად ამოიოხრა,თითქოს გულიც თან ამოაცანათ და წყლიანი თვალებით ვაჟს ახედა.

- ეჰ,ყველაფერი დასამარდა,და ალბათ მეც მალე დავსამარდები ჩემს დარდთან ერთად.

ქალიშვილის გულსაკლავმა სიცყვებმა ვაჟს გული აც კინა. თვითონაც ვერ მიმხვდარიყო,რაცომ დაინცერესდა იგი ამ უცნობი გოგონას ბედით. რას დაეძებს ვინ ვინ დაკარგა,რა მისი საქმეა სხვის გრძნობაში რომ იმზირება. რა მოსდის ნეცავი დღეს? მთელი ინსციცუცის ქალიშვილები ფუცკრებივით ეხვევიან,მას კი არც ერთი მათგანი ყურადღების ღირსად არ გაუხდია,დღეს კი სხეულში თითქოს რაღაცამ გაიღვიძაო,სახელიც კი ჰკითხა ქალიშვილს.

- რა გქვიათ?

- ნანი.

სასიამოვნოა,ვიცნობდეთ ერთმანეთს,მე ლევანს მეძახიან - წარმოთქვა ვაჟმა და სიყვარულით აღსავსე თვალებით შესციცინა ნანის. ნანის კი ლევანის ლამაზი თვალებისათვის ყურადღება არც კი მიუქცევია. მას ულევი ნაცნობ-მეგობრები ჰყავს,დაე,ლევანიც მიემაცოს მათ რიცხვს,მოსდება ვითომ რამე?

ახალგაცნობილები გულთბილად დაშორდნენ ერთმანეთს...

## თავი II

ნანის მამა გურამი ომგამოვლილი კაცი იყო. ომის დამთავრების შემდეგ იგი სოფელში დაბრუნდა და დაოჯახდა. დღე და ღამ მიწას ებრძოდა,რომ ოჯახი შეენახა.

... ერთ დღეს მუშაობით დაღლილმა გურამმა თოხი გვერდზე მიაგდო,იქვე ყანის ახლოს მდელოზე პიჯაკი დაიგო და დახახვენებლად წამოწვა. ქვეყანა იწვება, რა გამაციებზხო გაივლო გულში და ძილმა მალე მოწყვიტა თვალები. შემოღამდა. მზის სინათლე სიბნელეში ჩაიძირა. გურამს კი ისევ ეძინა. მძინარე მამას ნანი წამოდგომოდა თავს.

- მამა,ადექი,მიწაზე რომ დაწოლილხარ,ხომ გაცივდები,მართალია ზაფხულია,მაგრამ მიწაზე წოლა გაგონილა?

გურამს გამოეღვიძა,თვალები მოიფშვნიტა და თავზე მდგომი ქალიშვილი რომ დაინახა,წამოხადგომად მოემზადა,მაგრამ წელმა არ გაუშვა,ადგილიდან ვერ წამოიწია,მთელი სხეული·გაკავებოდა მიწაზე წოლით.

- რა იყო მამა,რა მოგდის,გაწუხებს რამე თუ? - ჰკითხა შეშინებულმა გოგონამ და მამას ადგომაში მიეშველა.

- მიწაზე წოლით დავიჭვალე ვგონებ,მაგრამ არაფერია შვილო,გამივლის, - დაამედა გურამმა ნანი და ძლივს აითრია დაჭვალული სხეული. რის ვაი-ვაგლახით ნანიმ მამა სახლამდე მიიყვანა.

მოკრუნჩხული ქმრის დანახვამ ციალა იმდენად შეაშინა,შეკითხვა ძლივს მოახერხა: - რა იყო გურამ,

რა მოგივიდა?

- მინაზე წიდამ დამჭვალა,ჩემო ციალა.

- ვაი ჩემს დღეს,ეხლა მაკლდა ახლა? - გულისწყკივილით წარმოთქვა ციალამ და თვალებიდან მომწყდარი ცრემლები თავხაფრის ბოლოთი შეიმშრალა.

იმ ღამეს გურამს დიდი სიცხე მისცა. სიცხემ ბოდვა დააწყებინა. ცოლ-შვილი ძლიერ განიცდიდა გურამის ავადმყოფობას,რომელიც მალზე სერიოზული გამოდგა.წან ჯვა-წვალება გამოვლილ კაცს ფილტვების ანთება დაემართა. ცოლ-შვილი მზრუნველობასა და წამალ-ექიმს არ აკლებდა ლოგინად ჩავარდნილ გურამს,მაგრამ ბედისაგან განწირულ მამას,წამალი წყლად ექცა და ექიმი ქვად. რამდენიმე თვის შემდეგ ნაწანჯი სული ღმერთს მიაბარა და სამუდამოდ მიიძინა. ოჯახს ბურჯი გამოეცალა,ციალა დაქვრივდა. წვრილშვილი უმამოდ დარჩა.ოჯახის მძიმე წვირთი მაძებში მოხიდ ციალას დააწვა მხრებზე.

ობლად დარჩენილ ნანის უმამობა რომანის სიყვარულმა გადააწანინა. ნანი და რომანი ერთად იზრდებოდნენ, მართალია წოლები არ ყოფილან,მაგრამ მაინც ბავშვობის მეგობრებად ითვლებოდნენ და ეს მეგობრობა იმდენად ძლიერი გამოდგა,რომ წმინდა სიყვარულში გადაიზარდა. რომანი კოლმეურნობაში მუშაობდა მექანიკოსად.სამუშაოს დამთავრების შემდეგ მას,რომ ნანი არ ენახა, ის დღე დღედ არ მიაჩნდა და რაღაც დანაკლისს განიცდიდა გულში. რომანი ნანის ერთადერთი ქომაგი იყო.

## თავი III

ნანი საშუალო სკოლას ამთავრებდა,როცა რომანი ჯა

რში გაიწვიეს. რომანის ჯარში გაწვევა ცყვიახავით მოხვდა ნანის გულში,ეძნელებოდა საყვარელ ადამიანთან დაშორება. ხუმრობა საქმეა,სამი წელი არ ნახო ადამიანი,რომელიც სიცოცხლეს გირჩევნია? ჯარში მიმავალი რომანი დიდი გულისცკივილით დაემშვიდობა მოხუც დედ-მამას და კომისარიაცისაკენ მიმავალ გზას ნანისთან ერთად გაუყვა. ისინი ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ,მიდიოდნენ და უნდოდათ ეს გზა არასდროს არ დამთავრებულიყო. დუმილით განვლეს მთელი გზა,და მხოლოდ მაშინ შეჩერდნენ,როდესაც კომისარიაცის ეზოში შეკრებილ ხალხს მოჰკრეს თვალი. ისინი ისე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან,რომ ერთმანეთის ამოსუნთქვასაც კი გრძნობდნენ,მათ სევდიან სახეზე ადვილად მიხვდებოდა კაცის თვალი,თუ რა ბოღმა დუღდა წყვილის გულში.

- ნანი, - დაარღვია სიჩუმე რომანმა.

- ჰა.

- მე მივდივარ და აბა შენ იცი.

- ჩემო რომან,რომ იცოდე როგორ განვიცდი შენს წასვლას...

- ჰოო...

- არ გჯერა რომან?

- მჯერა,ჩემო ნანი,მჯერა,მაგრამ სამი წელი ცოცა როდია.

- სამი წელი კი არა,ჩემდამი შენს სიყვარულს ათეული წლებიც ვერ შეარყევს ჩემო რომან,ჩემი იმედი სამარემდის გქონდეს,უცხო მხარეს მიდიხარ,თავს გაუფრთხილდი,შენს მშობლებს საკუთარი დედ-მამასავით მივხედავ. წერილები ხშირად მომწერე,არ დამივიწყო ჩემო რომან, - ემუდარებოდა ჯარში მიმავალს ნანი და

ცრემლები დაპალუპით სცვიოდა თვალებიდან. რომანმა ვერ გაუძლო ნანის ქვითინს და გულში ჩაიკრა აცრემლებული ქალიშვილი. მერე თავი მაღლა აუწია და ცრემლიანი თვალები კოცნით ამოუშრო. ეს მათი პირველი კოცნა იყო. ორი არსება ერთმანეთში შთაინთქა. ოჰ,როგორ ნატრობდნენ,რომ ეს წუთები საათებად,დღეებად,თვეებად ქცეულიყო.

მდგომარეობიდან რომანი ამხანაგების ძახილმა გამოარკვია. რომანმა ხელი უშვა ნანის,სევდიანი თვალები შეავლო მის აწითლებულ სახეს და ადგილიდან მოწყდა,ამხანაგების ჯგუფს შეუერთდა. ცოტა ხნის შემდეგ ნანის ჯარში მიმავალი ბიჭების სიმღერის ხმა შემოესმა.

## თავი IV

ნანიმ ჯარიდან რომანის წერილი მიიღო,ნანატრი ბარათი ნანიმ გულში ჩაიკრა,რომანის სახელს ნაზად ეამბორა და სასწრაფოდ გახსნა.წერილი ასე იწყებოდა:

ნანის - ჩემს არსებას!

რომ დაგშორდი ასე მეგონა,მთელი ქვეყანა დაცარიელდა,და დედამიწის შუაგულში მარტო აღმოვჩნდი. ჩემო ნანი,ჩემი გული შენთან დარჩა. სულ თვალწინ მიდგახარ,ხშირად მგონია მელაპარაკები კიდეც. შენი იმედი მაქვს. მჯერა,რომ დედ-მამას მიმიხედავ,უჩემობას არ აგრძნობინებ,თუ არა და კარგად იცი როგორ უყვარხარ. მშვიდობით...

"გკოცნი. შენი რომანი."

დრო სწრაფად მიიწურა. ნანიმ საშუალო სკოლა დაამთავრა და გადაწყვიტა სოფელში დარჩენილიყო სამუშაოდ. ერთ დღეს ნანიმ თავისი გადაწყვეტილება დედას

გაანდო:

-დედა,შენც კარგად ხედავ როგორ გვიჭირს,შენი შე-მოცანილი ფულით კუჭიც კი არ გვიძღება,ახლა თავისუ-ფლად შემიძლია მხარში ამოგიდგე და ერთად ვწიოთ ოჯა ხის ცვირთი.

- რაო,სოფელში აპირებ დარჩენას შვილო?

- ჰო,დედა.

- მეორედ არ გამაგონო ეს სიცყვა. შენც ჩემსავით მიწას გინდა შეაკლა სიცოცხლე? ცხონებული მამაშენი ოცნებობდა,ჩემი ნანი ქალაქში უნდა გავგზავნო სას - წავლებლადო,მე თუ არა ჩემმა შვილმა მაინც გაიხა-როსო. რაო,ობოლი თუ ხარ შენი ბრალია თუ? არა ნანი, შენ სოფელში არ დარჩები შვილო,წახვალ სოფლიდან ქა-ლაქში და იცხოვრებ ნათელი ცხოვრებით,შენ მაინც გაი ხარე,შენი დედა თუ დაიჩაგრა შვილო. შენ ჯერ კიდევ ვერ გაგიგია რა ეკალბარდიანია ეს დასაწვავი ცხოვრე ბის გზა. ვინ რა იცის ცხოვრებაში რა მოელის, ა, დ-ავრჩი ქვრივად,ქალიც მე ვარ ოჯახში ახლა და კაციც, ცოცა სწავლა რომ მქონოდა ხომ აჯობებდა შვილო.

- ჰო,დედა.

- ჰოდა,დამიჯერე ახლა მე შენ,აიკარი ხვალვე გუ-და-ნაბადი და ქალაქში წადი.

ჩემი ჭკუით ვიფიქრე,დედას მხარში ამოვუდგები-მ-ეთქი,ვინ იცის უჩემობა როგორ გაგიჭირდეს დედა,-ცრე მლი მოერია ნანის თვალებში.

- ოღონდ შენ გამიხარე და შენი ჭირი შენს დედას. კმარა საცოდავ მამაშენს მიწის ჩიჩქნაში რომ ამოხდა სული.

განვლო რამდენიმე დღემ და ნანი ოჯახს გამოემშ-ვიდობა,ქალაქში სასწავლებლად ჩავიდა. საზულადცრო

კურსებზე მოეწყო. საღამოობით სწავლობდა დღე კი ფა-
ბრიკაში მკერავად მუშაობდა. იქვე ახლოს პატარა ოთა-
ხი იქირავა. დღე და ღამეს ასწორებდა,ხელფასის ნაწ-
ილს ოჯახს უგზავნიდა და გაჭირვებას უმსუბუქებდა დე-
დას. კვირაში ერთხელ მოინახულებდა ხოლმე ნანი უმა-
მოდ დარჩენილ ოჯახს. აცრემლებული დედა დიდხანს იკ-
რავდა გულში საყვარელ ქალიშვილს,წვრილი და-ძმანი
ხომ მოსვენებას არ აძლევდნენ შინ დაბრუნებულ დაიკ-
ოს.

სოფელში დაბრუნებულ ნანის დედამ გაუხსნელი კონ-
ვერტი გადასცა,და თან ალერსით დააყოლა:

- რომანმა გამოგიგზავნა,შვილო.

ნანის ძლიერ გაუხარდა ჩაიხუტა და თვალები დაუკო-
ცნა,მერე თავის ოთახში შევარდა,იქვე კუთხეში მიჯდა
და ბარათი სასწრაფოდ გახსნა:

„ჩემო ნანი!

მალე შვებულებით ჩამოვალ,ჩამოსვლის დღეს დ-
ეპეშით შეგატყობინებ,აუცილებლად დამხვდი,მშვიდობით
შეხვედრამდე.

გკოცნი. შენი რომანი.“

ნანი სახტად დარჩა. წერილი რამდენჯერმე გადაი-
კითხა და ახლა ინანა.,რომ რომანს არ შეატყობინა,მი
სი ქალაქში გადასვლა. ნანი დაკვირვებული გოგო იყო
და შიშობდა,რომანმა ჩემი ქალაქში გადასვლა რომ შე-
იტყოს,ვინ იცის იქნებ გული აიცრუოს ჩემზეო.

დაფიქრებულ ნანის დედა წამოდგომოდა თავს.

- რა მოგდის შვილო,რა ფერი გადევს სახეზე? -გულ
ში ჩაიკრა შეწუხებული ნანი დედამ. ნანიმ დედას რო-
მანის ბარათი გადასცა,წაიკითხეო. ციალამ ბარათი რ-
ომ წაიკითხა,სიხარულის ცრემლებმა დაუსველა სახე.

- რომანის მეუზულებით ჩამოხვლა გწყენია შვილო?

- რომანის ნახვას დღე და ღამ ვნატრობ დედა,მაგრამ ვინ იცის რომელ დღეს გამოგზავნის დეპეშას, მე კი ქალაქში ვარ,რომანმა ჩემი ქალაქში ცხოვრების შესახებ არაფერი არ იცის,დედა.

- შენ საძრახისს არაფერს აკეთებ,შვილო,და რომანი არც ისე უგნურია,რომ არ გაგიგოს,- დაამშვიდა დე დამ აღელვებული ქალიშვილი.

ნანიმ სიყვარულით მოჰხვია დედას ხელები,თავი მკერდზე მიადო და გულში გაივლო:„დედა,რომ არ მყავდეს, ვინ იცის როგორ გამიჭირდეს ცხოვრების გზაზე გახვლა.

## თავი V

ავტობუსი,რომლითაც რომანი მგზავრობდა,სოფლის ავტოზაქანზე ჩამოდგა. ავტობუსიდან გადმოსული რომანი, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა,იქნებ ჩემი ნანა დავინახო სადმე,მაგრამ ნანი არსად ჩანდა. ღრის მუქი,ღამის სიბნელემ შთანთქა. ცაზე ვარსკვლავები აკიაფდა. ზაფხულის ბადრი მთვარე არემარეს ანათებდა. ირგვლივ გარემო ხელისგულივით მოჩანდა.

ლოლინი ამაო გამოდგა. რომანი გულმოკლული დაადგა შინ მიმავალ გზას. მწარე ფიქრები ცვინს უბურღავდა. „ეჰ,რა სიხარულით მოვდიოდი შინ და რა გაცრუებული მივყვები სოფლის შარას. ვიფიქრე,ნანის ერთი შეხედვა ცარიელ გულს ამივსებს - მეთქი,და არ ჩამივარდა კოვზი ნაცარში? არა,‹რაღაც ამბავია ნანის თავს" - დაასკვნა გულში რომანმა და ნაბიჯს მოუჩქარა.

რომანის მისვლამ ოჯახში დიდი სიხარული გამოიწვია. მშობლები არც კი ელოდნენ მას. რომანმა დეპეშა განგებ არ გამოგზავნა შინ,ვინაიდან მოხუცი დედ-მამის მოულო-

დნელი გახარება,მისი ორმაგი სიხარული იყო.

- შენი ჭირიმე,ჩემო ვაჟკაცო, - ამბობდა სიხარულით დედა და გულში იკრავდა შვილს. მოხუცს სიხარულის ცრემლები უხვედებოდა დაღარულ სახეს. რომანი ხათუთად ეალერსებოდა მშობლის ჭაღარა თმებს და ფიქრობდა: „ამ ორ წელიწადში როგორ მოცეხილა ჩემი ცკბილი დედა,ალბათ დღე და ღამე არ ხძინავს ჩემზე ფიქრით. მართალია წერილებს ხშირად ვგზავნიდი ოჯახში,მაგრამ დედის გული,მაინც დედის გულია." დაამთავრა რომანმა ფიქრი, ხელში აიცაცა საყვარელი გამზრდელი და ახე ხელში აცაცებული მთელი ოთახი შემოაცარა.

- კაი,შვილო კმარა,ბავშვი ხომ არა ვარ ამ ხნის ქალი.-გაიძახოდა შვილის მზრუნველობით ნასიამოვნები ელენე.

- რას უცდი ქალო,მიართვი ბიჭს რამე,ნამგზავრია, ვინ იცის,როგორ შია - უსაყვედურა გოგიმ ელენეს.

- ორი წელია დედის ხელით მომზადებული საჭმელი არ ეჭამა რომანს. უჰ,როგორ ეხიამოვნა ოჯახის კერძი.მართალია ჯარში კარგად კვებავდნენ,მაგრამ დედის ნახელავს რა შეედრება...

- ახე გემრიელად ორი წელია არ მიჭამია - თქვა რომანმა და სუფრიდან წამოდგა.

- მოგიკვდეს დედა,შვილო,მშიერს გკლავენ ხომა, - წაულაპარაკა ელენემ.

- მშიერი კი არა,მაგრამ მე შენი ხელით გაკეთებული საჭმელი მომენაცრა დედა - უპასუხა შვილმა დედას და გულში ჩაიკრა მისი დამჭკნარი ხელები.

- კიდევ ერთი წელიც და ჩემი გაკეთებული აღარც ლობიო მოგენაცრება და აღარც ქათამი.

რომანი თავის ოთახში შევიდა და ლოგინზე გაუხდელი

მიწვა. ელენე შვილს გვერდით მიუჯდა და პაწარა ბავ-
შვივით გადაუსვა თავზე ხელი ოცი წლის ვაჟკაცს.

რომანმა დედას ნანის ამბავი ჰკითხა:

- ნანი არაა შვილო სოფელში.

აბა სადაა დედა? - იკითხა რომანმა.

- ნანი ქალაქში ცხოვრობს შვილო. ფაბრიკაში ბულ-
ალტრად მუშაობს.

- რაო? - წამოვარდა რომანი.

- რა იყო შვილო,თოფნაკრავივით რომ წამოვარდი,ა-
ქამდე არ იცოდი ნანის ქალაქში გადასვლა თუ?

- საიდან უნდა მცოდნოდა,თუ...

- დაწყნარდი შვილო,ალბათ მოერიდა,ხომ იცი რა თ-
ავშეკავებული გოგოა.

- როდის ჩამოდის ხოლმე ქალაქიდან? - მოუთმენლო-
ბამ შეიპყრო ვაჟი.

- პარასკეობით.

- იქ ვისთან ცხოვრობს? - ეჭვი შეეპარა რომანს გ
ულში.

- ქირით ცხოვრობს შვილო.

- ჰმ... ქირით,თუ მუშაობა უნდოდა სოფელში სამუ-
შაო დაილია? თუ ქალაქში არ წავიდა კაცი,სოფელში არ
იცხოვრება? - ამბობდა ბრაზმორეული რომანი და საკუ-
თარ ნერვებს ვერ მორეოდა.

- ნანის ბრალი კი არაა,დედა შემოგევლოს,ნანი ა-
რც კი აპირებდა ქალაქში წასვლას,მაგრამ ხომ იცი ც-
იალა რომ დაიჩემებს? - სცადა დედამ შვილის დამშვი-
დება.

- დაიჩემებს და ყავდეს ახლა მისი გოგო სახლში -
ცეცხლი მოეკიდა რომანის გულს.

- გაგიჟდი ბიჭ შენ?.. როგორ ამბობ ნანიზე მაგ-

ახ,რა მოხდა გოგო ქალაქში თუ ცხოვრობს და მუშაობს, ქვეყანა ხომ არ დაიქცა. - ამშვიდებდა დედა შვილს.

- დედა,შენ მოგწონს ნანის საქციელი?

- საძრახისს რას ხედავ ბიჭო ნანის საქციელში,მუშაობს თავისთვის ქალაქში და რას ერჩი.

- შენ მაინც რატომ დამიმალე ნანის ქალაქში გადასვლა? - მოულოდნელად ჰკითხა რომანმა დედას.

- სადაური წერა ვიცი შვილო მე.

- აბა,იმ წერილებს ვის აწერინებდი,ჯარში რომ მიგზავნიდი?

- ნანის დედას ვაწერინებდი.

- ჰოდა,იმ შენ ციალას და შენ რომ მოგეწერათ ჩემთვის,ნანის ქალაქში გადასვლის შესახებ,ქვეყანას წყალ-მეწყერი წალეკავდა? - თავისას არ იშლიდა რომანი.

- კაი,გვაპატიე ეს დანაშაული,დედა შემოგევლოს - შუბლზე ეამბორა დედა შვილს და კარი გამოუხურა.

- „ჰმ,თქვენ თუ მოგწონთ ნანის საქციელი,ჩემთვის უკეთესი" - ჩაილიმა რომანმა და ტკბილ ძილს მისცა თავი.

## თავი VI

ნანი ბუღალტერიის ოთახში იჯდა და ფიქრები საყვარელ ადამიანზე მოსვენებას არ აძლევდა. „რატომ დაუმალე რომანს ჩემი ქალაქში გადასვლა,რატომ?.. ვინ იცის როგორ მელის,მე კი აქ ქალაქში ვარ და მოსვენებას ვკარგავ... ვაი თუ ეწყინოს ჩემი ქალაქში გადასვლა და გული შეიცვალოს ჩემზე? - ფიქრობდა ნანი და ადგილს ვერ პოულობდა. ნანი კარის ჭრიალმა გამოარკვია. ნანიმ თავი მაღლა ასწია და ოთახში შემოსული

ცანია შენიშნა. ცანია ერთადერთი ადამიანი იყო მთელს ფაბრიკაში,რომელმაც ნანის ახავალ-დახავალი თავი ხი ხუთითითივით იცოდა.ნანიც ცანიას საკუთარი დედასავით ანდობდა გულის ნადებს. ცანია ნანის გვერდით მიუჯდა,დედაშვილურად მოეფერა და დაღონების მიზეზი ჰკითხა.

- იქნებ შენმა კარცმა მითხრას ცანია დეიდა ჩემი დარდის მიზეზი?

ცანია კარცის კარგი მკითხავი გახლდათ. მთელი ფაბრიკის გოგონები მოხვენებას არ აძლევდნენ მკითხავ ქალს. ნანი კი ცანიას ღვიძლი შვილისავით უყვარდა და მოისხელთებდა თუ არა თავისუფალ დროს,ნანისთან ამოჰყოფდა თავს. ნანი დიდი კმაყოფილი იყო ერთგული ქალისა,რომელიც მის ერთადერთ იმედს წარმოადგენდა მთელს ფაბრიკაში.

- როგორც ყოველთვის,ახლაც მკითხავმა ქალმა კარცი კაბის ჯიბიდან ამოიღო და რამდენიმე წამის შემდეგ ნანი და ცანია მაგიდაზე მიმობნეულ კარცს დახცქეროდნენ.

- ახალგაზრდა ვაჟი,რომელიც შორი გზიდან მოდის, მალე გაგახარებს შვილო,ისეა შენზე შეყვარებული,უშენოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. - დაიწყო ცანიამ.

ნანის სიამოვნებისაგან ცუჩები გაეხსნა და გაეღიმა.

- რა იყო ნანი,მე დამცინი შვილო?

- მერე ცანია დეიდა,მერე - უპასუხოდ დატოვა ნანიმ ცანიას შეკითხვა.

-მერე ნანი შვილო,რაცომდაც გაბრაზდება,მაგრამ მალე გაუვლის და თქვენი გზები შეიყრება.

- მერე ცანია დეიდა მერე - დაინცერესდა ნანი.

- მეცს არაფერს არ ამბობს დღეს ჩემი კარცი და რა გითხრა მეცი.

- კიდევ მითხარი რამე ცანია დეიდა. შეეხვეწა ნანი ცანიას და თვალები აუწყლიანდა.

- დღეისათვის ეხეც კმარა ჩემო ნანი,დღეს კი არ ვამთავრებ ხიცოცხლეს - წაიხუმრა ცანიამ,მაგიდიდან კარცები ხიჩქარით აალაგა და აღელვებული ქალიშვილი ოთახში მარცო დაცოვა.

რაცომ შეჩერდა ცანია? რაცომ არ უთხრა ნანის ბოლომდე ხათქმელი? ნუთუ კარცმა მართლა იცის კაცის ახავალ-დახავალი?..

## თავი VII

პარასკევის გათენებას რომანი მოუთმენლად მოელოდა. ეს დღეც დადგა. რომანი წუთი წუთზე საათს აცქერდებოდა,სურდა რომ საღამო მალე დამდგარიყო. და აი საღამო ხანმაც მოაწია. რომანი ჯარის ფორმაში გამოეწყო და ნანის შესახვედრად ავცოსადგურზე გასწია. არემარეს ბინდი გადაეფარა. ავცოსადგური ელნათურებით განათდა. რომანი ნერვიულად მიმოაბიჯებდა პაცარა მოედანზე და ავცობუსებიდან ჩამოსულ მგზავრებს შორის ს აყვარელ ადამიანს ეძებდა,მაგრამ ნანის ვერსად მოკრა თვალი. „ორი წელი არ მინახავს,ვინ იცის როგორ შეიცვალა,დაქალდა,ნეცავ თუ მიცნობს?.. ეკითხებოდა ვაჟი საკუთარ გულს. აგერ,უკანასკნელი ავცობუსიც ჩამოდგა, ნანი კი არსად ჩანდა. იმედგაცრუებულმა ვაჟმა ხელი უმწეოდ ჩაიქნია და იჟაურობა დაცოვა. რომანმა შინისაკენ გასწია.

მთვარის შუქზე მან კარგად გაარჩია ახალგაზრდა გოგონა,რომელიც სოფლის შარას ნელი ნაბიჯებით მიჰყვებოდა. რომანი ქალიშვილს წამოეწია. შეიცნო. „ჰმ,ძლივს

არ ვიცანი,როგორ შეცვლილა,თმები მოკლედ შეუჭრია,მაღალი ფეხსაცმელებიც კი ჩაუცვამს,ხელჩანთა მხარზე. რა მოხდენილად გადაუგდია,ფიქრიანი მიჰყვება გზას, ალბათ ჩემზე ფიქრობს" - ჩაეცინა ვაჟს და მიმავალ ქალიშვილს აჩრდილივით აედევნა.

ფიქრებში გართულ ნანის რომანმა გვერდი გაჰკრა. ქალიშვილი მდგომარეობიდან გამოერკვა,თავი მოაბრუნა და გაოცება ვერ დაფარა. მის წინ ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი რომანი იდგა და ლამაზი ღიმილი უფარავდა სახეს.

- რომან!

- ნანი!

თითქმის ერთხმად შესძახეს ორივემ და ბედნიერი წყვილი საამო ნეტარებამ გაიტაცა. კიდევ კარგი,რომ შემოღამებული იყო და ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ ისმოდა,თორემ რას იტყოდა ვინმე ჭორიკანა დედაკაცი,მათთვის რომ შეეხედა? მართალია,მათი სიყვარულის ამბავი მთელმა სოფელმა იცოდა,მაგრამ ასეთი აშკარა ხვევნა-კოცნა სოფლად მიუღებელი და საძრახისია. ერთმანეთის ხვევნით გული რომ იჯერეს,ხელგადახვეულებმა ტკბილი ბაასით განაგრძეს გზა.

- როგორ გიკითხო ჩემო ნანი,ხომ კარგად? - შეეკითხა ვაჟი ქალს.

- დღე და ღამე შენი სახე მედგა თვალწინ. უშენობას მწარე ცრემლებით ვიოკებდი,ჩემო რომან. შენი გამოგზავნილი წერილები მასულდგმულებდა კენტად დარჩენილს. ეს ორი წელი საუკუნოდ წარმომიდგა უშენოდ ჩემო რომან.

- მოკლედ,უჩემობა გაგიჭირდა აა?

- ნუ გამახსენებ რაც იყო წავიდა.

- კიდევ ერთი წელი ჩემო ნანი და ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება ქვეყანაზე. ჯარს დავამთავრებ თუ არა,ხოფელში დავბრუნდები და დიდებულ ქორწილს გადავიხდი, - წარმოთქვა რომანმა და სიყვარულით ჩაიკრა საყვარელი არსება.

## თავი VIII

წელიწადი მალე მიიწურა. რომანი ჯარიდან დაბრუნდა. დიდი და პაწარა სიხარულით ულოცავდა რომანს მის მშვიდობით დაბრუნებას.

- დამთავრდა ლოდინი,ფიქრიანი ღამეები და ცრემლიანი დღეები,დღეიდან არასდროს არ დავშორდებით ერთმანეთს - ამოისუნთქა რომანმა,თითქოს და ამ ერთ ამოსუნთქვას მთელი სამი წლის დარდი და ფიქრი ამოაყოლაო და ისევ ნანის მიუბრუნდა.

- დროა ვიქორწილოთ და ქალაქში გადავიდეთ საცხოვრებლად.

- შენ რა მასხრობ რომან? - გაუკვირდა ნანის.

- რაცრომ გაიკვირვე ნანი? - კითხვაზე კითხვით უპასუხა ვაჟმა.

- ჯერ ქორწილამდე შორსაა ჩემო რომან.

- დამაბერო გინდა კაცი?

- შენ და დაბერება? - გაეცინა ნანის.

- აბა,თექვსმეტი წლის ხომ აღარა ვარ ჯარგამოვლილი კაცი.

- ქორწილზე ფიქრს ქალაქშიც მოვასწრებთ ჩემო რომან. ახლა კი ღამე მშვიდობისა - წარმოთქვა ნანიმ და რომანს ღამე ნებისა უსურვა.

ნანის სიყვარულმა რომანი ქალაქში ჩაიყვანა. ფაბრიკაში მექანიკოსად დაიწყო მუშაობა. ბინა იქვე სა-

მუშაოს ახლოს დაიდო და ქირით ცხოვრობდა. სოფელში გაზრდილი ვაჟი,ქალაქის დიდი კმაყოფილი გახლდათ. საცოლედ შეღერებული გრუზთმიანი ვაჟკაცი,ფაბრიკის გასათხოვარი გოგონების ნატვრად იქცა.. რომანი ტანადი,მიმზიდველი იყო,მას ზღვისფერი თვალები ჰქონდა. მზისაგან დამწვარ სახეზე მუდამ ღიმილი შეიმჩნეოდა. ლაპარა კი ხომ სულ გულღია იცოდა.

რომანის სიყვარულით აღსავსე გული მხოლოდ და მხოლოდ ნანის გულისათვის ფეთქავდა,ნანით სუნთქავდა,ნანით ხარობდა.

თითქმის ყოველდღე დაინახავდით დიდი მუხის ქვეშ მერცხლებივით ჩამომსხდარ მოსაუბრე წყვილს,რომელიც ფიქრსა და ოცნებაში ატარებდნენ დროს,ერთმანეთთან ყოფნით სულდგმულობდნენ და ცხოვრების მორევში ცურავდნენ. მათი უმანკო სიყვარული,მართლაც და სამაგალითო იყო მთელი ახალგაზრდობისათვის. ხუმრობა საქმე როდია, ასე ურყევად უყვარდეს ქალ-ვაჟს ერთმანეთი და ისიც ხუთი-ექვსი წელი.

და მაშინ,როდესაც რომანმა ნანის ხელი სთხოვა დრო ვიქორწინოთ და ოჯახი შევქმნათო,ნანიმ ცივი უარით უპასუხა:

- არა რომან,სანამ ჩემი კუთხე არ მექნება,სანამ ჩემი თავის ბატონ-პატრონი არ გავხდები,ქორწილზე არც კი ვიფიქრებ.

როგორ არ უნდოდა რომანს ნანის წყენინება,როგორ არ უნდოდა ობოლი გოგოს გულის ტკენა,მაგრამ მოთმინების ფიალა აივსო,

- ბოლოს და ბოლოს კაცი ვარ მე თუ ჯირკვი,სანამ ფაბრიკა ბინის მშენებლობას დაამთავრებდეს დავბერდები და ისაა. დამიჯერე ნანი,რა აზრი აქვს ქირით ვიც-

ხოვრებით, თუ საკუთარ ბინაში.

- მე ჩემს სიცყვას არ გადავალ ჩემო რომან,მოით-მენ კარგია,არა და მშვიდობით.-ცივად ისროდა ნანიმ. რომანი შეცბა,არ მოელოდა ნანის ასეთ ჯიუიანობას.მაინც ვერ გაიმეცა საჩხუბრად,ხელები მოჰხვია,სახე მაღ და ახწია და სიყვარულით ჩახედა თვალებში.

- დამიჯერე ნანი,დამიჯერე,დროა ოჯახი შევქმნათ,შვილები გავაჩინოთ და მოხუცი მშობლები გავახაროთ.

- ნანიმ რომანს ხელები უშვა,სკამიდან წამოდგა და ჯერ კიდევ აზრმოუსვლელი ვაყი მუხის ძირში სახცად დაცოვა. ნანის იმედი ჰქონდა,რომანს ძლიერ ვუყვარვარ და ახე ადვილად ვერ შემელევაო,მაგრამ რა იცოდა ჯერ კიდევ გამოუცდელმა ქალიშვილმა,რომ მამაკაცებს არც ისე დიდი მოთმინების უნარი გააჩნიათ...

დუმილში დრო სანთელივით გაქრა. ნანი დუმდა. რომანიც დუმდა. შვიდი წლის მანძილზე აგებულმა უმანკო სიყვარულმა რღვევა დაიწყო და ალბათ მალე ნამსხვრევებად იქცეოდა,თუ რომელიმე მათგანი არ დათმობდა.

ნუთუ არც ერთი არ დათმობს?

ნუთუ ყველაფერი სიზმარივით გაქრება?

ნუთუ ყველაფერი მწარე მოგონებადღა დარჩება?...

## თავი IX

ფაბრიკაში ახალი თანამშრომელი მოვიდა. ბუღალცერიაში მოანგარიშედ დაიწყო მუშაობა. სახელად ნინო ერქვა. ნანისთან შედარებით ნინო მეცად ჩქარი მოსაზრების პაცრონი გახლდათ. ქალაქის სცილზე იცვამდა,და რაც კი ახალი გამოვიდოდა პირველად მის ხელში უნდა მოხვედრილიყო. ფაბრიკის ქალებმა მას ზედმეც სახელად „პუწკია" შეარქვეს. ფაბრიკის ვაჟები კი ნინოს კაბის

კალთაზე ებღაუჭებოდნენ და სიყვარულს ეფიცებოდნენ.

- ნინოს გულში კი მხოლოდ რომანი შეჭრილიყო და თავბრუს ახვევდა. რომანის ერთი სიტყვა და იგი მზად იყო ფეხქვეშ ჩავარდნოდა ვაჟს. რომანი კი ყველასგან შორს გამდგარიყო და საკუთარ დარდს მისცემოდა. მას სადღაც გულის კუნჭულში კიდევ ჰქონდა იმის იმედი,რომ ნანი დასძლევდა საკუთარ პრინციპს და ბედნიერების ღირსად გახდიდა,მაგრამ იგი მწარედ ცდებოდა. დუმილი,მხოლოდ და მხოლოდ დუმილი ისმოდა ნანის მხრიდან.

რომანმა ერთხელ კიდევ სცადა ბედი. ნინოს ხელით ნანის წერილი გაუგზავნა. ნინომ იცოდა მათი სიყვარულის ამბავი,გარდა ამისა მათი დუმილის მიზეზიც.ნინოს გულზე მოხვდა რომანმა შუამავლობა რომ შესთავაზა,მაგრამ არ შეიმჩნია,რომანს წერილი გამოართვა,თავისი გულისწუხილი გულში ჩაიკლა და ბუღალტერიის ოთახი აღელვებით შეაღო.

ნანიმ ოთახში შემოსული ნინო რომ დაინახა,ფიქრს თავი ანება და წერას შეუდგა.

- ნანი,რად დაღონებულხარ ასე მწარედ? - ვალდებულების მოსახდელად ჰკითხა ქალიშვილს ნინომ.

- რომანმა მაწყენინა - ცივად უპასუხა ნანიმ.

- რომანის სიცოცხლეს ურჩევნიხარ და რატომ ტყუი?

- რაო,შენთანაც ამბობს რამეს? - ჩაჰკითხა გულისფრიალით ნანიმ ნინოს.

- ასე ამბობს,ნანიმ ძალიან მაწყენინა,ხელი ვთხოვე და ცივი უარი მითხრაო.

- არ უთქვამს მართალი,მე უარი არ მითქვამს მისთვის,ვთხოვე ცოტა კიდევ მოითმინოს,ვიდრე ბინებში შესახლება დაიწყებოდეს - ხმა გაებზარა ნანის.

- ნანი კარგად დაფიქრდი და ბედს ხელიდან ნუ გაუ-

შეებ,ისეთი მამაკაცი,როგორიც რომანია,ბევრი როდია. შენი თავშეკავება ფახად არ დაგიჯდეს და რომანი ხე-ლიდან არ გაგიფრინდეს - მისდაუნებურად ამოღერღა ნი ნომ.

- შენ რა გულში ხომ არ ჩაგვარდნია ჩემი რომანი? მოულოდნელად ჰკითხა მან ნინოს და გააწითლა.

მე... მე... არა,რას ამბობ ნანი განა ახეთი ვარ? - დაიბნა ნინო.

- ღღეს ჩემო ნინო,მეგობარს კი არა და საკუთარ ნათესავს არ ენდობა ადამიანი,ზოგიერთი ქალი ხომ ი-ცი რა ქერქეცაა,ოღონდ საკუთარი ბედნიერება ააგოს და სულაც არ დაეძებს,რომ ეს ბედნიერება,თუ სხვის უ ბედურებაზე იგება,ოღონდ თავისი საქმე გაჩარხოს და სხვისი გულისცკივილი მას არ აწუხებს,სხვისი ცრემლი მას არაფრად მიაჩნია.

ნინოს გული აუცოკდა ნანის გულღია სიცყვებზე,უხე რხულობის დასაფარავად ჯიბიდან წერილი ამოიღო და ნა ნის გადასცა,რომანმა გამოგიგზავნაო. ნანიმ წერილი იქვე გახსნა და სულმოუთქმელად გადაიკითხა,რამდენი-მე სიცყვით შედგენილ ბარათი რომანს.

„ჩემო ნანი,ჯერ კიდევ გელოდები. ვიქორწინოთ, და ნუ დავშორდებით ერთმანეთს,შენი რომანი".

ნანი წერილის შინაარსმა გააცეცხლა,წერილი ნაკუ-წებად აქცია და ქაღალდების გროვას შეურია. ნანის საქციელმა ნინო უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა:

- კი მაგრამ,რა გადავცე რომანს?

- ახე გადაეცი,თუ ჩემს სიცყვაზე გაივლის კარგი, თუ არა და მშვიდობით იყოს - თქვა ნანიმ თავისი სა-ბოლოო სიცყვა და საქმე განაგრძო.

# თავი X

ეს კვირაც მალე მიილია, ნანი სოფელში დაბრუნდა. ციალამ უმალ შეატყო შვილს დაღონება. ნანიმ დედას სიტყვასიტყვით უამბო რომანთან დუმილის ამბავი. მოსიყვარულე დედა მწარედ ჩააფიქრა შვილის გადაწყვეტილებამ,ნამგზავრ შვილს პური აჭამა,ლოგინი გაუმალა და გვერდით მიუჯდა. დედა თავზე უსვამდა ნანის ხელს და დედაშვილურად ეუბნებოდა:

- ნანი შვილო,შენ ქალი ხარ დედა შემოგევლოს,ქალი... რომანი კი მამაკაცი,რომელსაც მოთმინება დაელია და ქორწილს თითებზე ითვლის. ჯარიდან რომ ჩამოვიდა,მაშინ მთხოვა  შენი ხელი,მაგრამ შენი იმედი რომ არ მქონდა უარი ვუთხარი. მაინც გაპატია და  შენ კვალს ქალაქში გამოყვა. მას შემდეგ აგერ ორი წელი გავიდა,შენ კიდევ უარზე ხარ. ნუ დაკარგავ შვილო შენი პრინციპის გულისთვის ანგელოზისავით ბიჭს და კეთილ ოჯახს.

დედის სიტყვებმა ნანიზე ძლიერი ზეგავლენა მოახდინა,მაგრამ ამაყი გულის პატრონმა თავის დამცირება არ იკადრა.

- მე პირველი არას გზით არ შევურიგდები რომანს, არა - იუარა ქალიშვილმა.

- მაშინ ჩემი ფეხით მივალ რომანთან და შენს მაგივრად მე მოვუხდი ბოდიშს - შესთავაზა დედამ ნანის.

- რას ამბობ დედა,შენ დაგამცირო რომანის წინაშე?

- ნანიმ ქვას შეუშვირა თავი და დედის წამოყენებული წინადადება ცივი უარით მიიღო.

- არც ეს გინდა შვილო,არც ის,აბა რა ეშველება ამ საქმეს - შვილის სიკერპემ გული ატკინა ციალას.

- რაც მოსახდენია დაე მოხდეს,ჩემს სიტყვას  კი

არ დავიბრუნებ არა.

- და ეს სიცყვა უკანასკნელია შვილო შენგან?

- ბოლო და უკანასკნელი - ცრემლიანი ხმით ჩაიჩურჩულა ნანიმ და დედის მკერდს მიაყრდნო თავი. მშობლის თბილმა მკერდმა იმედი ჩაუხახა გულდაკოდილ ქალიშვილს. "ყველამ რომ მიმატოვოს,ჩემი დედა არასდროს მიმატოვებსო". გაივლო გულში და სიყვარულით მოეხვია დედას.

## თავი XI

ნინომ ნანის დანაბარები სიცყვა-სიცყვით გადახცა რომანს. რომანს გული ჩაუკვდა. აღელვება ვერ დაფარა და რა კი რამ გულში ჰქონდა ნინოს გასაგონად წამოროშა:

- ოჰ,რა ჯინიანი ყოფილა ნანი და დღემდე არ ვიცოდი. არ გამიშრო სისხლი მაგის პრინციპმა? თუ პრინციპია,პრინციპი იყოს,განა მე კი არა მაქვს ჩემი პრინციპი? თუ მაგას ეს ფასად არ დავუსვა,რომანი არ ვიყო. შეიძლება ისეთი ვინმე შევირთო ცოლად,სულაც არ მიყვარდეს,შეიძლება მთელი ჩემი ცხოვრება სინანულში გავლიო,მაგრამ ნანის პრინციპს არ გავიყვან არა. ახლა ჩემთვის სულ ერთია რაც მოხდება.

ნინოს ახედა,რადაც ჩაიფიქრა,ნაფიქრალი ჭკუაში დაუჯდა. მერე ნინოს ხელი მოჰკიდა და მუხის ძირში დასვა.

- ნინო,გადავწყვიცე ცოლად შეგირთო.

ნინოს მოულოდნელობისაგან სახეზე ფერმა გადაკრა, სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა თავისი ბედის ასე უეცრად შეცრიალებას,მაგრამ სადღაც გულის კუნჭულში ნანი მეცად შეებრალა.

- კი მაგრამ ნანი? ნანის რა პასუხს აძლევ რომან - დაიმორცხვა ნინომ.

- ნუ გამახსენებ ნანის, ნუ, გესმის? - არ ესიამოვნა რომანს ნანის გახსენება, ახე ეგონა გულში რალაც მწარედ ეცკინა და არახდროს არ მოურჩებოდა.

- ნინო, გთხოვ ნანის ნუ მიხსენებ დლეიდან.-წამოდგა, ნინოს ხელი მოჰკიდა და უთხრა:

- ამ საღამოსვე მიმყავხარ სოფელში, პრინციპი თუა, პრინციპი იყოს.

რომანის ხელის მიკარებაზე ნინო აირია, სახე წამოენთო, გულმა უცნაურად დაუწყო ბორგვა, ცანში სიამურმა სითბომ დაურბინა. რომანმა აფართხალებული ნინო რომ დაინახა, მწარედ ჩაიცინა „დაბმული მყავხარ, ეჰ, რა მიუწვდომელი იყო ნანი ჩემთვის და რა მალე მისაწვდომი გახდა ნინო. ერთი ჩემი ხელის მიკარება საკმარისი გახდა მისთვის, რომ ჩემი მონა გამეხადა".

- ახლა კი სალამომდე - დაემშვიდობა რომანი ნინოს და გულდაწყვეტილი ნაბიჯებით საამქროში შეაბიჯა.

ნინო კი მუხის ძირში ჩამჯდარიყო და სიხარულის ცრემლები უსველებდა კაბის გულისპირს.

ნანი... ნანი კი ბულალცერიის ოთახში იჯდა ცანიასთან ერთად და მაგიდაზე კარცს ხევლიანი სახით დასცქეროდა. ცანიაც დუმდა. ნანის არ მოეწონა ცანიას დუმილი. გული უცნაურად აუფორიაქდა.

- რაცომ დუმხარ ცანია დეიდა დღეს? - გულისკანკალით ჰკითხა მკითხავ ქალს.

- რალაც არ მომწონს ეს კარცი დღეს - ძლივს აღმოხდა ცანიას.

- მაინც რას ამბობს დღეს ეს შენი კარცი? - ხევდამ გაუბზარა ნანის ხმა.

- თქვენი გზები იყრება შვილო - ცრემლი მოადგა ცანიას თვალებზე.

- გაგიჟდი,ცანია დეიდა,შენ? - ფერი ეცვალა ნან-ის სახეზე.

- ან შენ უნდა დათმო,ანდა რომანმა,არა და დაი - კარგა შვილი წლის სიყვარული,წყალში ჩაგეყრება ყვე-ლაფერი,შვილო წყალში.

- გუშინ წერილი გამომიგზავნა ნინოს ხელით,თანა-ხმა ვარ,თუ ჩემს სიცყვაზე გაივლიო...

- და უარი შეუთვალე ხომ.

- პო,ცანია დეიდა.

- უი,დედა რა ჯინიანი ყოფილხარ შვილო,ალმასივით ბიჭი გთხოულობს და უკადრისობ. აქეთ-იქით ამბების მ იცან-მოცანაში დაითრევს ის შენი ნინო,იმ შენს რომა ნს და უყარე მერე კაკალი.

- ხუმრობ ცანია დეიდა თუ მართლა?

მე ჩემი მითქვამს და ახლა შენ იცი...

## თავი XII

შუადამისას სოფელში მხუბუქი მანქანა გაჩერდა.მ-ანქანიდან ახალგაზრდა წყვილი გადმოვიდა და რომანის სახლისაკენ აიღო გეზი. ვაჟმა ქალს ხელი ჩაავლო და სახლის კიბეეზი მასთან ერთად აირბინა. კარზე დიდი სიფრთხილით დააკაკუნა.

კარი რომანის დედამ ელენემ გააღო,გააღო და... გველნაკბენივით უკან დაიხია. რომანი უმალ მიუხვდა დედას რაცომ შეხვდა ახე ცივად.. არც ნინოს ესიამო-ვნა უცნობი ქალის უგულო მასპინძლობა. უხერხული მდ-გომარეობა რომანის სიცყვებმა დაარღვია.

- დედა,გაიცანი,ჩემი მეუღლე ნინო.

- ნინო... კი მაგრამ ნანი სადაა შვილო,რა მოხდა? - იკითხა გულისტკივილით დედამ.

- ნანი... ნანი... ნანიმ არ მიკადრა დედა - ძლივს ამოღერღა ვაჟმა.

- არ გიკადრა?... რაღაც არ მჯერა,ნანი და უკადრისობა პირველად მესმის - ბზარი შეეპარა ელენეს ხმაში.

- დედა,რაც იყო გაფრინდა,ტკბილ მოგონებად დარჩა მხოლოდ. შვილად მიიღე ჩემი მეუღლე ნინო.

ელენემ მწარედ ამოიოხრა,დაღარულ სახეზე ცრემლები ჩამოუგორდა. რომანი და ნინო სახლში შეიწვია.კეთილი გულის დედამ რომანს ნინოს წინაშე აპატია დანაშაული,გულში კი აპატია?.. არა,გულში არასდროს არ აპატიებს დედა შვილს დანაშაულს,არასდროს. სიკვდილი თუ დაავიწყებდა ელენეს კეთილ გოგონას,თორემ მეტი არაფერი.

## თავი XIII

ტანიას სიტყვებმა ნანი მწარედ დაალონა. ნუთუ ნინო ჩადგა მათ შორის? ნუთუ ტანია დეიდა და მისი კარტი მართალია? ის ღამე ფიქრებში თეთრად დაათენდა ნანის. თვალებგახელილი ჭერს მისჩერებოდა და შვიდი წლის სიყვარულში გავლილი გზა ნათელივით ედგა თვალწინ. რომანის სახე არ შორდებოდა თვალებიდან.რომანი თითქოს ისევ ეხვეოდა,მკერდში ალერსით იკრავდა. რომანის მკლავებში გატრუნული ნანი კი ვერხვის ფოთოლივით თრთოდა.

ფიქრით გადაღლილს გათენებისას ჩაეძინა მხოლოდ. ჩაეძინა და სიზმარი ნახა. რომანს გვერდით მიჰყვებოდა. ბედნიერად გრძნობდა თავს. ოცნებით ოქროს კო-

მკერს აგებდა... უცებ საიდანღაც მანქანამ ჩაუქროლათ და მათი გზები გათიშა. საზარელმა სიზმარმა ნანი ლოგინიდან წამოაგდო. თვალები მოიფშვნიტა. აქეთ-იქით მიმოიხედა და როდესაც დარწმუნდა სიზმარში ვყოფილვარო,მშვიდად ამოისუნთქა. საათს დახედა. სამუშაოზე წასვლის დრო მოახლოებულიყო,სასწრაფოდ წამოდგა და წასასვლელად მოემზადა...

გზაში მიმავალი ნანის ფიქრები ისევ რომანს დასტრიალებდა. „მივალ თუ არა საამქროში,რომანს მოვნახავ და ახე ვეტყვი,მაპატიე რომან,ვიმოქმედოთ როგორც შენ გინდა. რომანი სიხარულით გულში ჩამიკრავს და ხმამაღლა გადაიხარხარებს: „აი,ხომ ხედავ,როგორ დაამარცხა სიყვარულმა შენი პრინციპიო".

ფაბრიკაში მისული ნანი თვალებით დაეძებდა რომანს,მაგრამ ვერსად ვერ შენიშნა. გული ეტკინა,ნერვიულობდა,კიბეები სწრაფად აირბინა და ერთ ადგილზე გაიყინა. ზულალტერიის კარი დაკეტილი დახვდა. ნინო, რომელიც ყოველ დილით ნანიზე ადრე მოდიოდა ზულალტერიაში,არსად სჩანდა.

ნანიმ ხელისკანკალით გააღო ზულალტერიის კარი და წელმოწყვეტილი დაეცა სკამზე. თავი მხრებში ჩამალა და ფიქრს გაჰყვა: „ნუთუ მართლა დამღუპა ჩემმა პრინციპმა? ნუთუ გამართლდა ტანიას სიტყვები? ნუთუ მართლა დავკარგე რომანი? ნუთუ სიზმარი ცხადად მექცა?" ნანი გამოსავალს ვერ პოულობდა საკუთარი თავის დასამშვიდებლად.

ნერვიულობისაგან მთელი სხეული უთრთოდა,სახეზე მიწკლის ფერი ედო. უიარაღოდ დაჭრილი ქალიშვილის გული მწარედ ტიროდა. მაგიდას ჩამხობილი ნანი მოთქვამდა და ცხარე ცრემლებით დასტიროდა შვიდი წლის დაკა

რგულსა და ჩაფერფლილ სიყვარულს.

ასე ჩაიწვა და ჩაიფერფლა ობოლი გოგონას ჰქონდა, სპეტაკი სიყვარული, რომელიც მხოლოდ მწარე ჭრილობად დარჩა ნანის გულში.

1980 წ. 25 ივნისი.



მხატვარი, მაყვალა ფიჩხაძე

# ლეათსიაშვილი

● სინანული

ლეა ოხიაშვილი

# სინანული

მხატვართა კავშირის კარები მძიმე გრუხუნით გაიღო. მარმარილოს კიბეები მაღალმა მამაკაცმა ჩამოირბინა. წაბლისფერ ქორბუდა თმაში აქა-იქ გაბნეოდა ვერცხლისფერი ჭაღარა. ლამაზ უბადო პროფილსაც ნაოჭები შეპარვოდა. მხოლოდ ტუჩები შემორჩენოდა ძველებური, უტეხი, გამოკვეთილი დიდი ვნებებისათვის დაბადებული ხელოვნისა.

გარეთ გამოვიდა. წვიმდა ნებიერად. წვეთების ჩქამი მოისმოდა ხეების ფოთლებიდან.

- უჰ, რა ცუდი ამინდია, - უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა დავითმა. ქოლგა გაშალა, მაგრამ ამაოდ. მაინც სველდებოდა. დილით ადრე საგულდაგულოდ გაუთოებული შარვალიც უნიათოდ გამოიყურებოდა.

ხელი ჩაიქნია... უცებ მხარი გაკრეს. შარვალს წყლის ჭუჭყიანი შხეფი შეესხა. გულმოსულმა ჯიქურ გამოიხედა, მაგრამ სათქმელად გამზადებული ბაგე თითქოს გვერდზე მოექცა. ჭაბუკივით შედგა დატყვევებული, დამორჩილებული.

მას ჩვიდმეტი წლის გოგონა ბავშვური პირველქმნილი სიწმინდით უყურებდა.

- უნებურად მომიხდა, ბატონო, მაპატიეთ.

ხმა შორიდან სადღაც გაგონილი მუსიკის სათუთი ჰანგივით წამოვიდა. ასე ეჩვენა დავითს. არაფერი უთქვამს, მხოლოდ მთვრალივით გაჰყვა გოგონას.

- რა დამემართა, რა მომდის, რატომ მივდევ? - იმეორებდა ანგარიშმიუცემლად.

რამ ააფორიაქა,მის ხელს ახე რად აკრთობდა უცნაუ-
რი მღელვარება?

საკუთარი ორეული დახვინოდა წლებგადავლილ კარზე მ
ომდგარ ნაღვლიან შემოდგომას:

„რაღა დროს შენი ახეთი ვაჟკაცობააო..." მაგრამ მ
აინც შინაგან განცდას თუ ფიქრს აყოლილი ხწრაფად მი-
ხდევდა.

გოგონა თვალიდან დაეკარგა,მაგრამ არა,არ დაეკარ-
გება. გოგონა ავტობუსს აჰყვა და დავითიც მის პირდა-
პირ ჩამოჯდა.

ოდეხლაც უნახავს ეს მშვენიერი ბალღურად გაბუტული
ტუჩები,ამაყად აზიდული გაკვირვებული წარბები,ლამა-
ზი ხუჟთა გამოხედვის მთრთოლვარე მოცახცახე შუქი.ვერ
მოეგონებინა კი,ხად ენახა. გულის კუნჭულში ჩარჩენი-
ლი ხხოვნა დღეთა ზრუნვის ხხვა ნეცარ წამხ თუ ანაცვა
ლა.

- ვინ არის იგი?

ავტობუსი გაჩერდა. გოგონა წამოდგა. საფეხურს ჩაჰ
ყვა. დავითიკ წამოეწია,მაგრამ ადგილზე გაშრა. თვალ-
ებში ვარხკვლავების შუქი დაიცარა და განელდა. მუხლე
ბში ხეიპრის ხიძაბუნე ზეიმობდა. უცნობს ლამაზად ჩ-
აცმული ქალი მიუახლოვდა. როგორც წყლის ორი წვეთი,ი-
ხე ჰგვანდნენ ერთმანეთს ქალი და გოგონა.

- რატომ დაიგვიანე? - ეკითხება ქალი.

როგორი თბილი ხმა აქვს!

დავითს ქალის დაღლილ წამწამთაგან დაზურუხებულ თ-
ვალებში მიმალული სიხარულის ხხივი ხანძრის ბრიალად
ეჩვენა. შუათითზე ნავნობი ბეჭედი შენიშნა. გაოცები
საგან ლამის წამოიყვირა:

- ლია,ჩემო ლია!

საიდუმლოს ფარდა შემოეძარცვა. ამ სახელს მხოლოდ ქარი,მწარე ქარი სტაცებდა ბაგეებიდან. ქარი კიოდა. ქალმა ღირსეული თავდაჭერილობით ჩაუარა. საუკუნესა-ვით გრძელი ეჩვენა ეს წამი. წამს ემონა ჩაუმქრალი გულისთქმა,მარტო რომ შემოხვდა გზაზე. დავითი მათ გ აჰყურებდა,ვიდრე თვალს არ მიეფარნენ.

„რა გააჩერებს,რა დააკავებს,რა ამოავსებს ამ უ-ფსკრულს,რა დაგვაახლოებს,რა შეგვაერთებს?"

ყელში მომდგარ სულის ქვითინად მოესმა აზეზარი ფ იქრის ჩურჩული. გატეხილი ნაბიჯით გაჰყვა განმარტო-ებული წარსულს. მოგონებები ელვის სისწრაფით დატრია ლდნენ. აგერ უკვე ორმოცდამეთერთმეტე წელს მიუკაკუ-ნა. ორმოცდაათმა გაზაფხულმა ნაბიჯი დაუმძიმა. განუ კითხავად,ქურდულად მიპარვოდა დრო. ადრე ამაზე არ დ აფიქრებულა. არ ეცალა ნიადაგ. ახლა კი მისი თაობის ხალხს ზოგს შვილიშვილი ჰყავს. სახელგანთქმული მხა ტვარია. ბევრი,ძალიან ბევრი ნაცნობი თუ მეგობარი თ აყვანს სცემს მის ნიჭს,მაგრამ მაინც რაღაც დიდი რამ აკლია. სიცარიელეს გრძნობს.

ოდესღაც მასაც უყვარდა. მერე და ვინ იყო სიჭაბუ კის პირველი სიყვარული,უცოდველი,განუმეორებელი ზღა პრივით რომ შემოენახა წლების მდუმარებას? ფიქრს ჯერ გოგონა და მერე ლია წარმოუდგა,მასთან პირველი შეხვედრის სიხარულის ელდას დღესაც რომ არ მოკლებო-და ის თავბრუდამხვევი ყრუანტელი. ახსოვს,როგორ ეფი ცებოდა,რომ არ უღალატებდა. ამ აზრში ლიას კი არა,ს აკუთარ თავს არწმუნებდა. გულის სიღრმეში ყველაფერი დროებითი იყო. არ უფიქრდებოდა,რა ბოროტებას სჩადი-ოდა მხურვალე ფიცით. ადრე არ ეგონა,თუ ასე ძვირფა-სი და აუცილებელი გახდებოდა მისთვის,მისი დაუდგრო-

მელი ბუნებისათვის ოჯახური ბედნიერება. დავით კი სწამდა მისი. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, იცი? ამ ხნის განმავლობაში პირველად შეხვდა ერთ დროს უძვირფასეს ადამიანს. ბედისწერის დაშლილმა იალქანმა თუ გოგონას კვალმა შეახვედრა, ვინ იცის?

ლიას შემდეგ რამდენთან გაიარა. ყოველ ლამაზ ადამიანთან შეხვედრისას ენთებოდა და ეფერფლებოდა მხურვალე გული. მერე საქმეებმა ჩაითრიეს. შეუმჩნევლად გაუსწრო ცხოვრებამ. ნაბიჯი ველარ გადადგა ოჯახის შესაქმნელად. დაუგვიანდა. წლები ხან მერნის სისწრაფით გარბოდნენ, ხან კი მოხუცი მგზავრივით კოჭლობით მიბარბაცებდნენ. დრომ წაართვა ადრინდელი ცეცხლი და ხალისი. ახლა ცხოვრების თანამგზავრის არჩევა არც თუ ისე ადვილია. ჰო, ეს ძნელია, მაგრამ ასეა. უნდოდა მოეშორებინა ეს გულგატეხილობის გრძნობა. წლები რაღაცას აყვედრიდნენ მწარედ.

მძიმედ აუყვა ნაცნობ აღმართს. ეზარებოდა სახლში შესვლა.

ვინ დაუხვდება? სიცივე, უწესრიგობა, რასაც არასოდეს არ აქცევდა ყურადღებას.

ოთახის ფართო კარები შუქით იყო სავსე. ქაღალდზე დაღვრილი ლამაზი ფერადები დაუმთავრებელ ნახატებთან უწესრიგოდ მოჩანდა. ურიგოდ ჩამწკრივებულიყვნენ ობოლივით მიტოვებული ჩანახატები. ესკიზები, პეიზაჟები. თვალში მოხვდა მრგვალ მაგიდაზე უსწორმასწოროდ დაფენილი გაზეთის ნახევები, სიგარეტის კოლოფები. დამტვერილი იყო ძვირფას მძიმე ჩარჩოებში ჩასმული ნახატები, წიგნები. რამდენი ხანია არ დაუსუფთავებია დავით. არც ის მოეწონა, პირსაწმენდი ჩამომხრჩვალივით რომ ეგდო მოჩუქურთმებულ დივანზე. დაცრიალდა, ყველა-

ფერს თავისი ადგილი მიუჩინა,მაგრამ იგრძნო ფაქიზი ხელის აჩრდილიც არ ირხეოდა ოთახებში. გაღიზიანებულს რაღაც გაახსენდა. თავისი ნახატები მიჰყარ-მოჰყარა. დიდხანს ეძებდა თითების ჯანჯალით,ფიქრთა იდუმალი მღელვარებით. დიდ ცილოს ქაღალდი ფრთხილად შემოხსნა. ლიას სურათი მისი სადიპლომო ნამუშევარი იყო. დიდი ხნის შემდეგ პირველად ხედავდა.

განუზომელმა სიმშვიდემ,სიხარულმა კიდემდე აავსო მისი სული. ღამის ჩაინთქა გულში მომსკდარ დაგვიანებულ სიმღერაში. ნახატი ისე იყო შესრულებული,თითქოს ლია დალაპარაკებას აპირებსო. უკვდავების უსაზღვრო ენით აემეტყველებინა ქალწულის ზაგე.

ცისფერ-იისფერ ფონზე ლიას თვალებს ამაყს მიმზიდველობით აგვისტოს მზის მცხუნვარება მოეპარათ.მათში იმდენი ქალური სალბუნი იყო,ისეთი არამიწიერი ალერსით სუნთქავდნენ,რომ დავითს ყველაფერი დაავიწყდა. სულგანაბული იგონებდა დავიწყებულ ხმას,სიცილს. თვალების შუქით ხედავდა თავის წმინდა ქვეყანას.

მასში იყო ყველა ის იდუმალი ნაგრძნობი,რასაც დ-ალილი ადამიანი ეძიებდა და ჰპოვებდა ამ ქვეყნად. მშვენება,სული და სილამაზე ბრწყინავდა ღვთაებრივი გვირგვინით.

ასე ეგონა,ამ სურათით შემწყდარიყო თვით ქვეყნის არსებობაც. გაჩენის პირველი დღიდანვე მონებდა ამ გ რძნობას,იმ ულამაზესი წამების სახსოვარი უხილავი ს იცოცხლის სიყვარულით რომ სუნთქავდა. ხელოვნის მადლიან ნიჭს უკვდავეყო ყმაწვილური აღტაცებით,ამაოდ რ ომ დაეძებდა ყურის ძირთან მიმალულ ფრთხილ ალერსს.

ჭაღარაშერეულ თმაში გაზაფხულმა კვლავაც იხარა. ჟამთა ცეცხლს გაეფაქიზებინა ყრმობის ღიმილი.

„ვინ იცის, როდის არის უბედნიერესი წამი ადამია-
ნის ხანმოკლე ცხოვრებაში. ვინ იცის, სად დახუჭავს ო.
ცნება თვალებს?" - მწარედ გაიფიქრა დავითმა.

რეპროდუქტორიდან თითქოს ჯინზე მოისმოდა ნაცნობი მომღერლის ხმა.

„ისევ მიდიხარ, ისევ მშორდები,
ისევ ეშვება ღამე..."

სადღაც გამფრთხალიყვნენ ყრმობის ირმები. ზეცისკენ მიჰქროდა ფოთლების გალობა.

გულმოსულმა რეპროდუქტორი გამორთო. დაყრუვდა ბინა პირქუშ განუსაზღვრელ მარტოობაში.

ძირს დაიხედა. ტალახი შემომშრობოდა მარვალს.

# ეთერ ფიჩხაძე

● ო, ცირა, ცირა...

# ეთერ ფიჩხაძე

# ო, ცირა, ცირა...

## ნოველა

(ნაწყვეტი)

– დე, დედიკო, როგორ უნდა გაცინო! რა ცირკი იყო დღეს ხირხიტას გაკვეთილი! – ჩანთა გვერდზე მიაგდო და მელნით მოთხუპნული ხელების ზანვით გააგრძელა ცირამ, თანაც ისე გულიანად კისკისებდა, დედასაც გადასდო სიცილი და კარგ ხასიათზე დააყენა...

– რაო, რა მოხდა... ნუ გადაირიე. დალაგებით მოჰყევი. ბებიაშენივით ჯერ იცინი და მერე მოჰყვები ხოლმე, – სიყვარულით დატუქსა დედამ და სიამაყითა და აღტაცებით შეხედა თავის ლამაზსა და ჭკვიან გოგონას.

– გამომიძახა! აზრზე არ ვიყავი, ხომ იცი, რა ტიპია ...არაფერი არ ესმის ქიმიაში. თანაც ვინ აცლის გაკვეთილის ახსნას – ჯოხით დარბის და რუსულად ლანძღავს გოგოებს. ხომ იცი, გაკვეთილებს ყოველთვის ვამზადებ, მაგრამ დღეს მეც მომიარა, და ავურიე. გეოგრაფიის გაკვეთილს ვყვებოდი და თან ფორმულებს ვწერდი დაფაზე. ჩემზე რომ ხირხიტა შეყვარებულია, არავისთვის არაა საიდუმლო. ჰოდა მთელი გაკვეთილი ჩხაოდა: „ზამოლჩიტე! იდიოტი, რაზვე ვი დოხტოინი იეო ხლუპატ?" დოდო და ესთერი ისე ჭორაობდნენ, ყურიც არ შეუბერტყავთ მის ყვირილზე, უფრო სწორად ხრუტუნზე. ნაზი და გულიკო კროსვორდს ავსებდნენ, მაგრამ როცა გაიგონეს გეოგრაფიის გაკვეთილს ვყვებოდი, პირდაფჩენილნი შემომაშტერდნენ და ორიოდ წუთში მთელი გადარეული, ქოთანივით ათუხთუხებული კლასი ისე

გაიწრუნა,ჩემი ხმის გარდა,აღარაფერი ისმოდა... ხირ-
ხიწა თვალებსა და ყურებს აღარ უჯერებდა.ხკამზე ჩამო
ჯდა და ბრძოლის განახლების მოლოდინში შეხაზამისი პ-
ოზიცია დაიკავა.ყველაფერი გაითვალისწინა,მაგრამ, მე
თუ ვულალაწებდი არაფრით არ ეგონა.შემრცხვა და კლას-
ის სიამოვნება აღარ გავაგრძელე... ხუთიანი დამიწერა
და შემაქო. კლასი კი აწყდა და რა აწყდა... არწილერ-
იის ზალპი არ გამოიწვევდა ამდენ ხმაურს. ხაცოდავი ს
ირხიწა ისე მოიღალა,ადგომის თავი აღარ ჰქონდა და მ-
აშინდა ამოისუნთქა,ზარის ხმა რომ გაიგონა... აღარც
გაკვეთილი მოუცია,არც არავინ გაუგდია, - პომლი ვი კ
ჩორწუ! - ჩაიხისინა და გაისურა კარი. არ დამწუქსო
რა,დედიკო,მერე რა მოხდა? იცი,დღეს რომ დოდომკას დ-
ღეობაა,კვიკვინახი? ახლა მამაჩემი დაიწყებს ბუზღუნს.
რა მოხდება,გვიანობამდე დავრჩე?,ა? ყოველთვის პირვე
ლი უნდა წამომიყვანოს,მრცხვენია... განა ჩემზე ნაკ-
ლები არიან სხვები?

- ისევ დაიწყე,ცირა? ერთხელ და სამუდამოდ უნდა შ
ეიგნო,რომ ყველა ოჯახს თვისი წესები აქვს... მამას
ასე სურს,არაფერი დაუშავდება დოდოს,შენ რომ ადრე წა
მოსვიდე. მართლა,რა უყიდეთ?

- ჩინური ლარნაკი და „ფორსაიწების საგა“ მთელი ს
ერია, ბუკინისწთან ვიშოვეთ.

- კარგი საჩუქარია. (ამ დროს ზარის ხმა გაისმა)
ალო! დიახ... ა,დოდო ხარ? რამ გადაგრიათ ამ დღეობით,
არ ვიცი? წამოვა.მამამისმა არ იცის,მაგრამ ისევ მე
უნდა ვიკისრო ეს ცოდვა.რომელ საათზე მოსვალ? ექვსზე?
კარგი,გენაცვალე.დედა როგორ არის? მომიკითხე.

- დოდო ექვსზე მოვა.მოემზადე.ახლა კი გაკვეთილე-
ბს მიუჯექი...

ცირა სარკის წინ ტრიალებდა.საყვარელი „ყვითელი" კაბა გამოიღო და გადაიცვა,ყორანისფერი,ტევრივით ხში რი თმები დაივარცხნა,ფეხსაცმელიც მოირგო და სარკეში რომ ჩაიხედა,ისე მოეწონა საკუთარი ორეული,ცანმა მცვ რევა უწყო,უნდოდა ხელი მოეხვია,მოფერებოდა,მიალერსე ბოდა საკუთარ თავს.

– ოო,ცირკინ,რა ლამაზი ხარ,არ გრცხვენია? – თით-ქოს დანაშაულზე წაასწროო.დოდომ უფრო მეტად გააწითლა ცირა.

– პადუმაეშ,ლამაზი... ლამაზი ხილვანა პამპანინია

მივდივართ? წავედით... დედიკო,ვახტანგი ბიძია წ ამოგვიყვანს.არ მოვიდეს მამა,კარგი?

– ვეცყვი... როგორც მოისურვებს.არ დამიწყო დავა-პაექრობა,თორემ ხულ არ გაგიშვებ. – უთხრა დედამ და თან ისე მზრუნველად გაუსწორა პალტოს საყელო,რომ გო-გოებმა თავი ვერ შეიკავეს და გემრიელად ჩაკოცნეს.

ვასიკო კვიკვინიას ოჯახი საკმაოდ ცნობილი იყო სო ხუმში. ვასიკო რაიკომის მეორე მდივანი იყო „პიროვნე ბის კულტის" დროს,ხოლო ხრუშჩოვის პერიოდში დააქვეი-თეს და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა რაიონ-ში.კიროვის ქუჩაზე „განსაკუთრებულ" სახლში ჰქონდა ბ ინა. ოჯახს ფუფუნებაში ინახავდა.კაცური კაცი იყო ვა სილი.ამიტომაც უყვარდათ.ქართველები ხშირად იცყოდნენ ხოლმე – კაცო,მეგრელი და ახეთი პაციოსანი?-პირველად ვხედავთო. განათლებული,ნაკითხი,გულისხმიერი,პირმომ-ცინარი,გულუხვი და ხუმარა.ხშირად გვხვდებიან კონტრა სტული წყვილები,მაგრამ ვასიკო კვიკვინია და მისი მ-ეუღლე ანიკო,როგორც ორი პოლუსი,როგორც დღე და ღამე, როგორც მგელი და კრავი,როგორც მთა და ბარი ისე გან-სხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

თუკი ვახიკოს პირი უღიმოდა,ქალბატონ ანიკოს ხულ ჩამოსტიროდა ცხვირ-პირი,ქმარი გულუხვი და ხელგაშლილი იყო,ცოლი კი ქვაწვია,მუნწი,ხელმოჭერილი.ქმარს პირიდან ია-ვარდი სცვიოდა, ცოლს კი გესლი და შხამი... ქალ-ვაჟი ჰყავდათ დოდო და ემზარი. ემზარი პოლიტექნიკურის მეორე კურსის სტუდენტი იყო.

კვიკვინიეზისას მთელი ბინა გაჩახჩახებული იყო.უზარმაზარი ჭაღები მზესავით ბრდღვიალებდნენ.სიხარულით შეეგება დოდო ცირას. იქვე დანარჩენი თანაკლასელები შემოეხვივნენ გარს. ცირამ პალტო რომ გაიძრო,გოგონებმა ერთხმად შეჰყვირეს: - ოუ,რა ლამაზი ხარ. ეს კაბა გხაცავს...

-მოდით,ნახეთ რა საჩუქრები მიიღო დოდომ!

ცირამ გადახედა კუთხეში დახვავებულ საჩუქრების მთას.რა არ მოეტანათ: ბროლის ლარნაკები,ფაიფურის ფიგურები,ვერცხლეული,ხოლო „ფორსაიტების საგა" აღმართული იყო კუთხეში.

- ყველაზე ძალიან ამ წიგნებმა გამახარეს! - თქვა დოდომ და გოგოების ჯერი ოთახში შეიყოლა.მართლაც,რომ დიდებული მაგიდა გაეშალათ,თითქოს დეკორატორის ხელით იყო გაფორმებული ნაირ-ნაირი ფხალეული,სალათები...

ვახიკომ და ანამ სუფრასთან მიიწვიეს ახალგაზრდები და პირველი სასმისი - იუბილარის სადღეგრძელო შესვეს. შემდეგ კი,როცა უფროსები გავიდნენ,დამშეულებივით დაეცხრნენ გოგოები საჭმელს. ისმოდა სიცილი,ზოგი ანეკდოტს ჰყვებოდა,ზოგი ვილაცას ჰკილავდა,ზოგი რ ალაც იმიტაციას აკეთებდა... მოკლედ,აირია მონასტერი.

გოგონებმა მუსიკა მოითხოვეს და როდესაც საცეკვაო მუსიკის რიტმი შეიჭრა ოთახში,ცირამ და დოდომ განდაგანა გააჩაღეს.ისე ლამაზად,მოქნილად ცეკვავდა ცირა,

ისე იკლაკნებოდა და რიცმულად არწევდა თეძოებს,ისე ნ
აზად კვანწავდა ხელებს,რომ დიდი და პატარა ყველა ო-
თახში შემოდაგდა და თვალმოუშორებლად მისჩერებოდა მ-
ას.ცირამ იგრძნო,რომ ყურადღების ცენტრში იყო,ლოყები
აელეწა და მის ფერმკრთალ,სპილოსძვლისფერ სახეს მეცი
შნო მიეცა,უფრო მომხიბლავი გახდა.უცებ რაღაცამ გაპ-
კრა გულში,ელექტრონით დამუხტულივით შეცოკდა და როცა
მაღლა აიხედა,მაღალი ლამაზი ვაჟი ედგა გვერდით და ც
იბრუტივით ცრიალებდა,არწივივით გადაფარებოდა ზურგი-
დან და ისე გაცაცებით ცეკვავდა,ყველგან მოუჭრა გზა
გასაქცევად მომზადებულ ცირას. როგორც იყო დამთავრდა
ცეკვა.გაბრუებულს არ ესმოდა ქება და ცაში.ლოლოს ოთა
ხში გავარდა,არ უნდოდა გაეგოთ მისი გულის ბაგა-ბუგი
როცა ხელი მოითქვა და გამოვიდა,ვაჟი ელოდა.მის-
და გასაოცრად ქათინაურები არ დაუწყო,მხოლოდ სიყვარუ
ლითა და ზრუნვით ჰკითხა:

- რაცომ გაიქეცი? გაწყენინე რამე?

- თქვენ? როგორ გეკადრებათ? - მიუგო ცირამ და მ-
შრალად გაშორდა.

- ცირა,ერთი შენებურად მოჰყევი ნაზი ბოკუჩავას გ
ამოძახება, - შეეხვეწნენ გოგოები ცირას..

- არ მოგწყინდათ? რამდენჯერ უნდა გავაჯავრო?

- კარგი რა? მიდი,გარეკე,გენანება,გვაცინო?

- ცაკიმასხარა ხომ არა ვარ ვაი,დებილივით ერთი და
იგივე როგორ ვიმეორო?

ცირას თანაკლასელი ნაზი ბოკუჩავა სამჯერ ჩარჩენი-
ლი იყო. იგი მეშვიდე კლასში სწავლობდა მათთან მხოლ -
ოდ,რადგანაც იმ წელსაც ჩარჩა,ხოლო გოგონებს მისი და-
ვიწყება არა და არ შეეძლოთ.

მართლაც სასაცილო იყო,როცა ნაზი გოგმანით იწყებდა

კლასის ბოლოდან მერხებშუა სიარულს და აქეთ-იქით ავე ცებდა თვალებს.ყველას უნდა გადაემალა წიგნი,როცა ნაზის გამოუძახებდა მასწავლებელი და ეს „გენიოსი" ბოლო მერხიდან წინა მერხამდე გავლისას აპირებდა გაკვეთილის სწავლას.მართლაც ხეირი იყო მისი ყურება. „ბილიარდის შარებივით" დიდ თვალებს წისქვილის ბორბლებივით აცრიალებდა,ხან მარჯვნივ იხედებოდა წიგნში,ხან მარცხნივ და ასე ცრიუმფალური ხელით აღწევდა დაფამ - დე.დაფასთან არ დგებოდა და წინა მერხზე მჯდომთ ორ-ორი წიგნი უნდა მოემზადებინათ ნაზისათვის,რომ არაფერი „შეშლოდა".

აი,ცირა მივიდა –          „დაფასთან" და ხელების სავსავი,თვალების ცრიალი იწყო.„სუფლიორების" ამუშავდნენ ზოგი რას კარნახობდა,ზოგიც რას.რუსული ლიცერაცურის გაკვეთილი ჰქონდათ.გორკის ბიოგრაფია.წიგნში ასე ეწერა: „გორკი როდილსა ვ ნიჟნემ ნოვგოროდე" ნაზის კი დრო რომ მოეგო ყოველი წინადადება რამდენჯერმე უნდა გაემეორებინა ხან იცკეპნებოდა,ხან რა... სწორედ ამიცომ მან ასე მოახსენა ქსენია მასწავლებელს: „გორკი როდილსა ვ გორკომ (სუფთა ქართული აქცენციით) კლასი გადაფიჩინდა მასწავლებელი მაგიდის ქვეშ შეძვრა,ყველას ყბები მოექცა სიცილით ნაზი კი გაოცებით შესცქეროდა და ვერ გაეგო,რა ამოიკითხა ამდენ წიგნებში ასეთი სასაცილო. ამას ისე სასაცილოდ და ბუნებრივად წარმოადგენდა ცირა,რომ ყველა „ამოხოცა" სიცილ - ით. როდესაც კვლავ შემოუსხდნენ სუფრას,ცეკვის „პარცნიორი" მიუჯდა ცირას გვერდში. ცირას არ ესიამოვნა. გადაჯდა.ესმოდა აქეთ-იქიდან ვაჟების აღცაცებული ხოცბა,უციფარი მზერა მათი.რაღაც ისეთი შეგრძნება ჰქონდა,თითქოს გალახეს,თითქოს შეურაცხყოფა მიაყენეს.

არავის არაფერი უთქვამს - თითქოს კი გალანძღესო. გული ერეოდა,თავი ასტკივდა... „საიდან გაჩნდნენ ეს ბიჭები ნეტავ?" მერე მოაგონდა,რომ ემზარის თანაკურსელე ბი იყვნენ.მისი პარტნიორი კი სოხუმელი გოგონების კერ პი იყო.ვითომ რა მოუვიდა? რატომ იგრძნო თავი ცუდად? „ხომ არ შემიყვარდა ის ვაჟი? არა,არავითარ შემთხვევა ში... ის ხომ ქართველია... - ცირა კი უწინ მოკვდება ვიდრე ამას ჩაიდენს... არა,ეს არ მოხდება".

„რა არ მოხდება? - შეედავა თავის თავს, - მითხრა რამე? გამლანძღა? რა დამიშავა?"

მალულად გაიხედა ვაჟისაკენ და მისი მორიდებული,სი ყვარულითა და მოწიწებით სავსე მზერა დაიჭირა კვლავ.

რას არ ამბობდნენ გურამზე: ასე და ისეო! დონჟუანიაო. „კარგი ბიჭი ყოფილა,ზრდილობიანი"...

სუფრა ახორხოცდა.სინათლე ჩააქრეს და პირში ბოლოკგარჭობილი,ანანასში,ცეცხლმოკიდებულ ლანგარზე დადებული გოჭი შემოიტანეს...

ტაშით შეეგება ყველა სანუკვარ კერძს.ცირას ტანში გასცრა.არასოდეს ეჭამა გოჭის ხორცი და ბებიას გაზრდილს ისეთი ზიზღი ჰქონდა გამჯდარი,ტყვია რომ ეკრათ მა ინც არ გასინჯავდა.მუდამ ვირთხას აგონებდა გოჭის თავი... სხვა დროს ადვილად დაუძვრენია ხოლმე თავი.არ უ ჭამია. „ახლა კი?...

დიდის ამბით მოაწოდეს გემრიელი ნაჭერი,როგორც კარგ „მხახიობს".უარი თქვა.დიეტაზე ვარო.ანიკო ჩააცივდა: - თუ ჩემი ხათრი გაქვს,აუცილებლად უნდა გასინჯო. - ცირამ მადლობა გადაუხადა და კვლავ იუარა,ქალბატონი ანიკო კი ისევ და ისევ სთავაზობდა.გოგონებმაც კი იუცნაურეს მისი გულუხვობა.ცირამ მეექვსე გრძნობით [illegible] ანიკოს რისი „ჩხვერავ" ჰქონდა და გადაწყვიტა

არ ეღირსებინა მისთვის სიამოვნება:

- დეიდა ანიკო,წელს სოფელში ვიყავი აგარაკზე და ჩვენი დიასახლისის გოჭები რომ დავინახე,წუმპეში და ყოველგვარ სიბინძურეში როგორ გორაობდნენ დღესაც არის გული მერევა.რა კარგია,რომ ებრაელი ვარ და წესით აკრძალული გვაქვს ღორის ხორცის ჭამა.უკაცრავად,არ მინდოდა სუფრასთან ამის თქმა,მაგრამ მაიძულეთ და რაღა გზა მაქვს! დეიდა ანიკო,აგერ სხვა გოგო-ბიჭები ნერწყვს ყლაპავენ გოჭის მოლოდინში,იმათ მიაწოდეთ.

ყველა შეცბა.მეხის გავარდნას უფრო არ მიაქცევდნენ ყურადღებას,ვიდრე ცირას ტირადას.

კბილებდაკრეჭილი დაბრაწული გოჭი ლამაზად მორთულ ლანგარზე წითლად რომ ბრდღვიალებდა,თითქოს გაფერმკრთალდა,ისევ შეითითხნა იმ სიბინძურით,რამიც ცოცხალი ეხვეოდა. აღარავის ჰქონოდა ძალა ისეთი ენთუზიაზმით „სვემოდა" ჩანგლით და დაეთრია ხაყვარელი ნაჭერი.

მდუღარეგადასხმულივით იდგა ქალბატონი ანიკო.სახე მოქცეოდა.ქმარს რაღაცას გესლიანად უსისინებდა.ცირას ძია ვასიკოს ხმა მისწვდა:

- ახია შენზე.რას ჩააცივდი ბავშვს.გინდოდა შეგერცხვინა,დაგემცირებინა,არა? მაგის გამზრდელს ვენაცვალე,რომ ჩაგიგდო ენა მუცელში.შენი მხამი შენვე შემოგასხა.დაჯექი ახლა და ახრამუნე ეს აყროლებული გოჭი

გაცოფებულმა ანიკომ მხარში ისე უჩქმიტა ქმარს,საცოდავმა კინაღამ შეჰკივლა,მაგრამ ცოლმა აღარ აცალა და ისე მხარში ჩაფრენილმა გაიყვანა ოთახიდან.

ცირას უკვე აღარაფერი აინტერესებდა.დოდოს გადაულაპარაკა:წასვლა მინდაო.იგიც დათანხმდა და ორივე ჩუმად გაიპარა ოთახიდან.ვასიკომ გზა გადაუღობა გოგონებს.ერთი თითო ტუჩზე მიედო,მეორეთი კი სამზარეულოში

ეპატიჟებოდა.

- ჩუმად,გოგოებო,ტორტის გარეშე ხომ არ გაგიშვებთ?

- არა,ძია ვასიკო,სანთლები უნდა აანთონ და მერე უნდა დაიჭრას,როგორ შეიძლება სადღეობო ტორტის გაფუჭება? - არა უშავს,ანიკომ ხვალისათვის უფრო დიდი ტორტი მორთო დღეს.ხომ იცი ხვალ „დიდი შიშკები" გვეწვევიან. აი,ის ტორტი გავჭრათ ანიკოს ჯინაზე. მოდის? არ გეშინიათ?

ანიკოსი ისეთი „სიყვარული" ჰქონდათ გოგონებს, რომ მაშინვე დასთანხმდნენ.ვასიკომ პატიოსნად აღიარა,რომ ხელები უკანკალებდა შიშისგან,რომ ორდიანი ჩხუბი განაღდებული ჰქონდა,მაგრამ...

- ერთი შანსი მაქვს,ხვალინდელ სტუმრებთან შაქარივით დამადნება ჩემი ცოდო და მერე ალბათ გაუვლის.

აკრძალული ხილი ტკბილიაო,უთქვამთ,მაგრამ ასეთი „ტკბილი" ცირას და დოდოს ჯერ არა ეჭამათ რა.ტორტს გემოს ისა ჰმატებდა,გოგონები რომ წარმოიდგენდნენ ანიკოს „სიფათს" გაჭრილ ტორტს რომ გამოიღებდა მაცივრიდან. სამივენი შეთქმულებივით გავიდნენ პატარა დერეფანში და სიცილ-ჩურჩულით შეექცეოდნენ ანიკოს ნახელავს.

ზრდილობამ თავისი გაიტანა და ცირა დაემშვიდობა დიასახლისს. მან კი: „როგორ,უტორტოდ არ გაგიშვებთო",ისე ცივად და ცალყბად იტკიცა,ცირა უფრო კმაყოფილი დარჩა თავისი გადაწყვეტილებისა,რომ ადრე მიდიოდა.

# ეთერ ბინიაშვილი

● დაბრუნება

## ეთერ ბინიაშვილი

# დაბრუნება

### მოთხრობა

ბედნიერი წყვილია ბორისი და თამრო; მათ ყველაფე
რი ახარებთ: ლურჯი ცაც და მწვანით დაფარული მთებიც,
ნელა მოდუდუნე მტკვარიც და ფუტკრის სკასავით მოზუ-
ზუნე ქალაქიც.

ათი წელი ისხდნენ ერთ მერხზე ერთმანეთის გვერდ-
ით,და ერთად ამხანაგობდნენ,დრომ და სიახლოვემ თავ-
ისი გაიტანა და ეს ორი ახალგაზრდა სხვაგვარად დაახ
ლოვა,სხვანაირად აუძგერა მათ გულები,ჯერ გულში პა-
ტარა ნაპერწკალი ჩაუვარდათ,შემდეგ ეს ნაპერწკალი
გაღვივდა და ორივეს მოსვენება დაუკარგა. მათი გულე
ბი ყოველთვის ისე ახლოს ძგერდნენ,რომ ადვილად გაუ-
გეს ერთმანეთს ბედნიერება და სიყვარული შეჰფიცეს.

მათ ერთმანეთი უყვარდათ ღრმად,ძლიერად,მთელი ა-
რსებით. და არც ცდილობდნენ ამის დამალვას,ყველამ ი
ცოდა წყვილის ტრფობის ამბავი. არც მშობლები იყვნენ
წინააღმდეგები. ისინი ბედნიერებით სავსე თვალებით,
იმედიანი სიხარულით შეჰყურებდნენ ორივე დედისერთას.
დიახ! თამროც დედისერთა იყო და ბორისიც. მარტო ამ-
ითი კი არა სილამაზითა და ხასიათებითაც ჰგავდნენ
ერთმანეთს.

ბორისი ძვალმსხვილი,ჩასხმული,სიცოცხლით სავსე,ჯ
ანმაგარი ჭაბუკი იყო. ოდნავ შავგვრემან სახეს შავი
თვალები,გადაბმული ხშირი წარბები და გიშრის ხუჭუჭი
ქოჩორი უმშვენებდა. პატიოსანი და მხიარული ჭაბუკი

იყო,მუდამ იღიმებოდა,თითქოს ყოველთვის კმაყოფილი ი-
ყო ცხოვრებისა. უყვარდა ხუმრობა,მოსწრებული სიტყვა
-პასუხი ჰქონდა.

ევკალიპტივით ჩამოსხმული ტან-ფეხი ჰქონდა თამ-
როს. თეთრ-ყირმიზ სახეს ვარდისფერი ლაწვები და მარ
წყვივით წითელი ამობურცული ტუჩები უმშვენებდა. ცო-
ცხალი მუქ-ლურჯი თვალებით ცეცხლს აკვესებდა. თმის-
ფერი გიშრის წარბ-წამწამი უფრო სანდომიან შეხედულე
ბას აძლევდა. იგი ყველას ხიბლავდა თავისი სილამაზ-
ით.

მოკლედ,ბორისი და თამრო მზე და მთვარესავით შეე
ფერებოდნენ ერთმანეთს.ისინი იმედიანად ოცნებობდნენ
ჯერ სწავლის გაგრძელებაზე,შემდეგ კი ოჯახის შექმნ-
აზე. მშობლების ნებიერები უზრუნველად ატარებდნენ
დროს. დასეირნობდნენ ქალაქის ქუჩებში,სკვერებში და
ერთმანეთის ცქერითა და სიყვარულით ტკბებოდნენ. ოც-
ნებებს თავს ვერ ართმევდნენ. მაგრამ მათ ოცნებებს
ჯერჯერობით ასრულება არ ეწერა.

იმ ხანებში საქართველოს ებრაელობა ძალიან აწრია
ლებული იყო. სამშობლო უხმობდა მათ და ისინიც ისრა-
ელისკენ მიეშურებოდნენ. სხვების წახედულობით თამ -
როს მამა - იაკობის ოჯახმაც გადაწყვიტა ისრაელში
გამგზავრება,რამაც მეტად დაამწუხრა შეყვარებულები.
მათ უერთმანეთოდ ერთი დღეც კი ვერ წარმოედგინათ.
ახლა კი გული უკვნესით,ძლიერ წუხნან ხანგრძლივი დ-
აშორების მოლოდინში.

უკვე ყველაფერი მზად არის. საღამოთი გადიან.

დილითვე მიაკითხა ბორისმა თამროს. წაიყვანა,გა-
იტაცა,სახლში არ გააჩერა,უნდა ცოტა ხანსაც უცქიროს,
გაძღეს მისი მზერით. ჯერ მთაწმინდაზე აიყვანა,მერე

ფუნიკულიორიც შემოატარა,იქნებ ვეღარასოდეს ნახო ეს ადგილებიო. თან სიყვარულითა და სინანულით შესციცი-ნებდა მუქ-ლურჯ თვალებში. მის ქცევაში დიდი სითბო და სიყვარული გამოსჭვიოდა. ცდილობს ბევრი ასიამოვ-ნოს,ხელს არ უშვებს,ღელავს მისი გული,ძლიერ ღელავს. მთელი თბილისი შემოიარეს. რაზე აღარ ილაპარაკეს,რა აღარ გაიხსენეს. დრო შეუმჩნევლად მიდის. ბოლოს ბ-ორისმა მწვანეში ჩაფლულ ბაღში შეიყვანა ქალიშვილი. ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ... ვერც ერთს ვერ წარმოედგინა,რომ რამდენიმე საათში ერთმანეთს დაშორ დებოდნენ. კიდევ არ სჯეროდათ. შესცქეროდნენ ერთმა-ნეთს და სიტყვის თქმას ვერ ახერხებდნენ. გული უჩქ-როლავდათ მღელვარებისაგან.

- რაღაც არ მჯერა... ნუთუ მიდიხარ,თამრო?! - აღ მოხდა ბორისს. ქალიშვილმა,რომელიც თვალს ვერ აცილე ბდა საყვარელ ვაჟკაცს,სევდიანი თვალები დახარა,ქვე და ტუჩი კბილით ნერვიულად მოიკვნიტა და თავი დამნა შავესავით ჩაღუნა.

- მტოვებ,ხომ? - ეკითხება ისევ ბორისი და გული ყელში ებჯინება. თამროს გაფერმკრთალებული ღაწვები-დან მსხვილი ცრემლები წამოსცვივდა. ბორისი ახლოს მიიწია ქალიშვილთან და სცადა დაემშვიდებინა. თავი აუწია და ზღვასავით ლურჯ უძირო თვალებში ღრმად ჩაპ ხედა. გრძელ წამწამებს ცრემლები უფრო ამშვენებდნენ. მის თვალებში ტანჯვა ამოიკითხა ვაჟმა.

- ნუ ტირი,რა... გთხოვ. - შეევედრა ვაჟი და მი-სი თავი გულზე მიიკრა,მოეფერა. თამრომ მის ხმაში თანაგრძნობისა და გამხნევების იდუმალი მუდარა იგრ-ძნო.

- გულს რაზე მიკლავ,განა შენ იქ არ ჩამოსვალ? -

ცრემლების წმენდით გაეპასუხა ვაჟის ალერსით ოდნავ დამშვიდებული.

პასუხის მაგივრად ბორისმა ცოტა ხანს იყუჩა, შემდეგ კი მის მკერდში ჩაკრულ თამროს თავი აუწია და როცა მათი თვალები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს, ვაჟმა ათასი გრძნობით სავსე კილოთი გულდახურულმა ჰკითხა:

- ხომ... დამიცდი თამრო?!...

- ხუთი წელიც რომ დაიგვიანო, სხვას მაინც არ გავყვები, - მტკიცედ უპასუხა ქალიშვილმა. სევდიანად გაულიმა დარდიან მეტრფეს, ერთი ამოიხვნეშა და ახლა თვითონ ჩაისუტა ვაჟის თავი გულში. მარჯვენა ხელი ქოჩორში ჩაავლო და თითებით გაეთამაშა.

- წერილები არ დამიგვიანო, თორემ დარდი ბოლოს მომიღებს, - ალერსით ჩასჩურჩულა ყურში ვაჟს.

- მალე ჩამოვალ, უშენოდ რა გამაძლებინებს, - უპასუხა ბორისმა.

ქალიშვილის თბილ მკერდში თავჩარგული ჭაბუკი გაინაბა და გაყუჩდა. მისი ჯანმრთელი სხეულის სურნელმა გააბრუა და დაათრო. მან თავი ასწია და თამროს სახე სახესთან მიიზიდა. ქალიშვილს სუნთქვა შეეკრა. თვალები დახუჭა. ორიოდე წამს მთელი ქვეყანა დავიწყებას მიეცა.

გულისამაჩუყებელი და ცრემლისმომგვრელი იყო მათი გამოთხოვება. სადგურში ტევა არ იყო. ნათესავები გზას ულოცავდნენ. გამომშვიდობება, ცრემლების დაღვრა, მოკითხვები. ბორისი მხოლოდ თამროს ხედავს, მხოლოდ მას უცქერის, მეტს ვერავის არჩევს. სატრფოს აცილებს, გული უტირის.

ელმავლის შეკივლება და ბორბლების ამოძრავება ერთი იყო.

– წერილები... წერილები მოიწერე; მიაძახა გულაჩუყებულმა ბორისმა. მაცარებელი თანდათან გახციდდა ხადგურს. მაშინვე განუხაზღვრელმა სევდამ და მარცოობამ შეიპყრო ბორისი,გულში ცკივილი იგრძნო,თვალში ნაღველი ჩაუდგა; გულდამძიმებული,მოდუნებული ნაბიჯებით გაჰყვა ქუჩას. არასოდეს არ ყოფილა ასეთი მოწყენილი. მთელი ქალაქი გამოცარიელებული ეჩვენებოდა. ვერც სახლში ძლებდა ვერც გარეთ. არაფრის გაკეთების სურვილი არ ჰქონდა,სულ თამროზე ფიქრობდა.

ერთხელაც ფოსცალიონმა ხანაცრელი წერილი გადასცა. ბორისის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გული აუჩუყდა, კარგა ხანს ეკავა ხელში. კითხულობდა და კითხულობდა. ასე ეგონა თამრო ელაპარაკებოდა წერილიდან.

თამრო მალე შეეჩვია ისრაელს. ენაც უცბად აითვისა აბსორბციის ცენცრში. მისი მშობლები კი შუამავლების მიღებ-გაციღებას ვერ ახდიოდნენ არავის უნდოდა ამ და მაზი ქალიშვილის ხელიდან გაშვება და საქმის გათავებას მოითხოვდნენ,მაგრამ თამროც და მისი მშობლებიც უარზე იყვნენ; ვაჟები ხომ მოსვენებას არ აძლევდნენ, რამდენჯერმე მოცაცებაც კი დაუპირეს და თამრო ისე დააშინეს,რომ მარცო გარეთ აღარ გადიოდა. წერილებს ხშირად სწერდა ბორისს. ისრაელზე ბევრს უყვებოდა. ამ წერილებით ისე შეაყვარა ისრაელი,რომ ბორისი ველარ-სად ძლებდა,მასაც გული თავისი სამშობლოსაკენ მიუწევდა,სადაც თავისი თამრო ეგულებოდა. მშობლებს შეუჩნდა არ ასვენებდა. პირველ ხანებში ბორისის მამა ფინსასი წასვლას არ აპირებდა,მაგრამ ხალხის არევ-დარევამ ძალიან შეაფიქრიანა. მალე თვითონაც გადაწყვიცა. გაიფიქრა: „წასვლა გარდაუვალია,ბარემ ე ბიჭს ცალკე გავგზავნი. მერე კი ჩვენც გავუდგებით გზას,ასე უფრო

მეცის გაცანას მოვახერხებო". ბორისი ფიქრებითა და ოცნებებით უკვე ისრაელში იყო თამროსთან. გამგზავრე ბის დღეც მალე დადგა. თან უხაროდა ბორისს თან ემძი მებოდა მშობლებთან დროებით დაშორება. ცოტა ხანში ხ ომ ისინიც წამოვლენ. ყველაფერი მზადა აქვთ. მხოლოდ პასპორტები აქვთ ახალები,გამოძახებას ელიან.

დადგა გამგზავრების საათი. ისევ გამომშვიდობება, ცრემლები. მშობლები არიგებენ. მამა უკვე ვაჟკაცურ-ად ეხაუზრება,მამაკაცად სთვლის,მისი ჯავრი არა ჰქო ნდა,მაგრამ მაინც მამობრივად არიგებდა,ურჩევდა.მი-სი საყვარელი დედა კი შეუჩერებლივ ტიროდა. გულში ი ხუცებდა შვილს,გზას ულოცავდა. ერთადერთ სანაცრელ ვაჟს აცილებს,ვერა მშვიდდება. მართალია თვითონაც მ ალე აპირებენ,მაგრამ... წუხს დედის გული. მას ისევ პაცარა ჰგონია იგი.

- თავს გაუფრთხილდი,დედა შემოგევლოს, - უთხრა მან და ერთხელაც გადაეხვია დედისერთა ვაჟკაცს,ბორ-ისმა დაამშვიდა მშობელი. თავისი ხელით მოსწმინდა ლ ოყაზე ცრემლები და კეთილ თაფლისფერ თვალებში სიყვა რულით ჩაჰხედა,საიდანაც დიდი ზრუნვა და მუდარა ამ-ოიკითხა. ბაქანზე ჩამომდგარი მატარებლის კივილმა წ ამით დაფარა ყველა სხვა ხმაური. ბორისი უკვე ვაგონ ში ზის და ხელის ქნევით ემშვიდობება საყვარელ მშობ ლებსა და მეგობარ-ნათესავებს. ცრემლი უფრო მოემალა. გული აუჩუყდა. აი,სტოვებს თბილისს. თავის საყვარელ ქალაქს,სადაც დაიბადა და აღიზარდა.

სწრაფად მიჰქროდა მატარებელი,მაგრამ უფრო სწრა-ფად მიჰქროდნენ ბორისის ფიქრები. შემდეგ ბრესტი... ვენა... და ლოდი.

თამრო აეროპორტში დაუხვდა. დაუვიწყარი იყო მა-

თი შეხვედრა. სიხარულმა ორივეს ფრთები შეასხა. სიყვარული უფრო გაუძლიერდათ. ზორისი დაზინავდა და სამუშაოზე მოეწყო,საღამოს ულფანში ჩაეწერა. ზორისი მეჩწილად დაკავებული იყო. სამუშაოდან დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა და პირდაპირ ულფანში მიეშურებოდა,მაგრამ თამროსთან ერთად სეირნობისა და გართობის დროს ყოველთვის პოულობდა. მასთან თავს ბედნიერად გრძნობდა. დაუზოგავად მუშაობდა და ენასაც გულმოდგინედ სწავლობდა.

რამდენიმე თვეში ცოტა ფული დააგროვა,ცოტა რამ ჩამოტანილიც გაყიდა და იმ ფულით მანქანა იყიდა. იპოვიდნენ თუ არა თავისუფალ დროს,ახალგაზრდები სასეირ - ნოდ მიდიოდნენ. ათვალიერებდნენ ღირსშესანიშნავ ადგილებს,სამახსოვრო სურათებს იღებდნენ. მთელი ისრაელი შემოიარეს. უკვირთ, „რა ლამაზი ყოფილა ისრაელი,ჩვენ კი მასზე ასეთი წარმოდგენა როდი გვქონდაო". საღამოობით ქალაქის ქუჩებში ფეხით დასეირნობდნენ,ერთმანეთს შეხაროდნენ. სიყვარულის ძაფებით გადათასმულებს მხოლოდ ერთმანეთი აინტერესებდათ,არაფერს ყურადღებას არ აქცევდნენ.

ჭორიკანა დედაკაცებს კი სალაპარაკო მასალა მიეცათ. ძალიან კარგად იცოდნენ,რომ თამრო ჯერ არ იყო დანიშნული ზორისზე და ახალგაზრდების მოურიდებელ ქცევებსა და დაუსრულებელ შეხვედრებს ათასნაირად წელავდნენ,აზვიადებდნენ და საშინელ ჭორებს ქმნიდნენ.

თამროს მშობლებს არ მოსწონდათ,რომ მათი ქალიშვილის ამბავი მთელ უბანს მოედო. ქალიშვილს შთააგონებდნენ ცოტა მორიდებულად,თავშეკავებულად მოქცეულიყო. მართალია ზორისი კარგი ოჯახის შვილია,თვითონაც წესიერი ბიჭია,თამროსაც უყვარს,მაგრამ ვაი თუ...

- სიყვარული სირცხვილი როდია. ვინც რა უნდა თქვას, - ჩააგონებდა თამრო დედას.

დიდი სიხარულით შეხვდა ბორისი მშობლებს. თამროს მშობლებმა გადაკრული სიტყვით აგრძნობინეს სამძახლოებს,დროა შვილები შევაუღლოთ,მაგრამ ბორისის მამამ უპასუხა: „დამაცადეთ თქვე კაი ხალხო,ბინა მივიღო,ცოტა ხელი მოვითქვა,მივიხედ-მოვიხედოთ. ასე უცბად ქორწილი სად გაგონილა. ცოტა მადროვეთ,თვალი გავახილო,შემდეგ კი ჩემი თავი გენაცვალოთ",ეუბნებოდა სამძახლოს.

ამ მიხედ-მოხედვაში დღეები მიდიოდა. ერთ დილით ფინხასის ძმის წერილი მოვიდა ამერიკიდან. ძმას სწერდა: „დაუყოვნებლივ წამოდი,ბიჭიც გამოაცალე მანდაურობას. ყოველ წუთს ომია მოსალოდნელი,მე ჩემები სამშვიდობოზე მყავს,მინდა რომ...

ამ წერილმა ძალზე ჩააფიქრა ფინხასი: „ერთადერთი ბიჭი მყავს,მზე და მთვარე მასზე ამომდის.ის რომ მართლა ომში წაიყვანონ და იქ რამე დაემართოს,თავს აღარ ვიცოცხლებ". ჭკუაში დაუჯდა ძმის წინადადება და ცოლს გაანდო თავისი ფიქრები.

ცოლი ყოყმანობდა: „ათასჯერ ხომ არ ავიწეწებითო!" წასვლა არ უნდოდა,მაგრამ არც ერთადერთი ვაჟკაცის ომში გაშვება სურდა. ამიტომ ქმარს დაუჯერა. როდესაც ბორისს გაანდეს თავიანთი გადაწყვეტილება,მან მაშინვე გადაჭრით უარი მოახსენა მშობლებს. მის უარს ბევრი დავა და ლაპარაკი მოჰყვა. ბორისი მათ არწმუნებდა,რომ ამაზე კარგად სხვაგან ვერსად იცხოვრებდნენ. დავა და კამათი არ ნელდებოდა ოჯახში. მამა თავისას იძახდა,შვილი თავისას.

- იქნებ თამრო გაფერხებს?! მისი დაცოვება გიმძიმს? - დაუსვა კითხვა დიდი ხნის კამათის შემდეგ მამამ შვილს.

- ხელს არ შეგიშლი შვილო,დღესვე,ახლავე მოვათავოთ საქმე,ქორწილიც გადავიხადოთ და მერე...

- თამრო რა შუაშია მამა,უმისოდ დიახაც არსად წავალ,მაგრამ მე საერთოდ არ მინდა ისრაელიდან წასვლა. აბა შენ თვითონ დაფიქრდი,ერთ ღელინავცვალს გამოვეცალეთ და ახლა მეორეს მივეკედლოთ? ებრაელები არსად უყვართ. ისინი მხოლოდ აქ,თავიანთ სახელმწიფოში იქნებიან მშვიდად,აქ,სადაც ყველა ისრაელია.

კიდევ ბევრი იდავეს და იკამათეს მამა-შვილმა.ამ ამბავში იყვნენ,რომ თამრომ შემოაღო კარი. ყველა გაყუჩდა. იცოდნენ არც თამროს გაეხარდებოდა მათი გადაწყვეტილება. ქალიშვილმა კი შემოსვლისთანავე იგრძნორაღაც არასასიამოვნო და ცუდი ამბის მოლოდინში გაისუსა. როგორც კი შეიტყო რაში იყო საქმე,სახეზე მკვდრის ფერი გადაეკრა,მღელვარებისაგან გული ამოუჯდა და თვალთაგან ნიაღვარივით წამოსკდა ცრემლები. ბორისმა ხელი მოჰკიდა თამროს და გარეთ გაიყვანა. დაარწმუნა რომ ისრაელს არასოდეს დასცოვებდა და არც მას მიატოვებდა თავის სიცოცხლეში. ქალიშვილს კი სევდა მაინც არ ეშვებოდა,მცანჯველი ფიქრები აფორიაქებდნენ.

იმ ღამით ადრე დაწვა,მაგრამ მის თვალებს ძილი არ ეკარებოდა. აწეწილი ფიქრები არ ასვენებდნენ.დროდადრო ცრემლებით უსველდებოდა ლოყები. თამრომ მთელი ღამე თეთრად გაათენა.

მეორე დღეს ბორისმა ნაშუადღევს გამოუარა თამროს, გული დაუმშვიდა,დაამწყნარა და ეჰვები გაუფანცა.

- ნუ გეშინია თამრო,მე არსად წამსვლელი არა ვარ.

ეს გუშინვე გითხარი შენ კი დარდით თურმე მთელი ღამე იწანჯებოდი.ხომ იცი,წყული არ მიყვარს,ჩემი სიწყვა სიწყვაა. - უთხრა ვაჟმა და ხელი ნაზად გადაუსვა გიშრისფერ თმებზე. თამროს გულზე მოეშვა,მისი მუქ-ღურჯი სევდაჩამდგარი თვალები სიხარულით აენთნენ. ახლა კი სავსებით დარწმუნებული იყო ბორისის სიწყვების სიმართლეში.

ფილხაზი საგონებელში ჩავარდა. ბორისი უარზეა,ამერიკის გაგონებაც არ უნდა. რა ქნას,რა იღონოს, როგორ დაიყოლიოს?

„ისე კი ჯერ რომ დამექორწინებინა,მართლაც კარგს ვიზამდი. ვინ იცის მერე რა ჭკუაზე დადგეს" - ფიქრობდა ფინხასი. იმ დღესვე იაკობს ესწვუმრა ცოლთან ერთად. მაშინვე პირდაპირ საქმეზე გადავიდა. იაკობის მეუღლე სარა უცბად დაფაცურდა და მშვენიერი სუფრა გაწყო. სადამომდე შეპყანენ ქეიფსა და საუზარს. შეზარხოშებული მომავალი მძახლები ცკბილად ჭუკჭუკებდნენ ერთმანეთში. სიდედრ-დედამთილიც ცალკე საუბრობდნენ.დროდადრო მამაკაცების ლაპარაკშიც ერეოდნენ და თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ. აქამდე თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო. თამროს მშობლები დამძახლებაზე თანახმა იყვნენ. ის კი არა აქამდეც უნდა დაგვექორწინებინაო, რამდენჯერმე გააგონეს ფინხასს. ახლა კი დროა უთხრას რასაც აპირებს,გაიფიქრა ფინხასმა.

- არა ძმაო,ღედისერთა გოგოს ამერიკაში ვერ გაგაცვან. - იყო იაკობის პასუხი.

- აბა რას ამბობ ჯინხას,ერთი შენ იყო,როგორ მოიქცეოდი?

- რაცომ კაცო,ჩვენთან ვიყოლიებთ,არაფერს გავუჭირვებთ.

- რას ამბობ უიმისოდ რა გაგვაძლებინებს. შორს არა,არა,ტყუილი ლაპარაკია.

- მხოლოდ ცოტა ხანს შეელიეთ და მერე კი თქვენც წამოგიყვანთ.

- მე აქედან არსადაც არ წავალ,... სადაც ჩემი სახლი იქაც მე. ამერიკაში რა დამჩენია?!...-მიუგო იაკობმა.

გულდაწყვეტილები და დალონებულები წამოვიდნენ ფინხასი და მისი მეუღლე რუთი. უკვე კარგა დაბნელებული იყო სახლში რომ მივიდნენ. ბევრი იფიქრეს,მაგრამ ფინხასმა გადაწყვეტილება მაინც არ შეცვალა. მაინც წასასვლელად ემზადებოდა.

ფინხასი თავისას მაინც არ იშლიდა. თანდათანობით აგროვებდა საბუთებს. ავეჯი და სხვა რამ რაც გააჩნდა გაჰყიდა და დოლარებად აქცია. ბორისს გამოცარიელებულ სახლში შესვლისას გული უმძიმდებოდა,ღელავდა,ნერვიულობდა. გული მოსდიოდა: „ნუთუ მე ოჯახის წევრად არა მთვლიან? ნუთუ ჩემს სიტყვას ფასი არა აქვს? მე უარზე ვარ,ისინი კი წასასვლელად ემზადებიან. იქნებ ჰგონიათ მეც გავყვები?" ცაჰალიდან უწყება ჰქონდა მოსული. ერთი კვირის მერე უნდა გამოცხადებულიყო. „რა იქნება დღესვე რომ გამოვცხადდე?!" წუთიც არ დაუყოვნებია,მაშინვე გაეშურა და უთხრა: „მზად ვარ ახლავე დავიწყო სამსახურიო",მაგრამ იქიდან უარით გამოისტუმრეს,ახლა არ გვჭირდები,როცა დაგიძახებთ მაშინ მოდიო.

ბორისმა გული არ გაიტეხა. „მოიცა მე გიჩვენებ სეირს მამაჩემო", - გაივლო გულში და ეშმაკურ ხერხს მიმართა. გეზი მეგობრის სახლისაკენ აიღო,რომელიც მასთან ერთად მუშაობდა. იმხანად მილუიმში იყო და ხშირედ დღეს ჩამოდიოდა რამდენიმე დღით.

ჯერ თამროს გაუარა და თავის ეშმაკობა გაანდო,რაზეც ქალიშვილმა დიდხანს გულიანად იკისკისა.მუქ-ლურჯი თვალები სიხარულით აუციმციმდა. იქიდან მოშეს - თან გაეშურნენ. მეგობარს გაუკვირდა ბორისის უცაბედი სტუმრობა,სახლში შეიპატიჟა,ახალგაზრდა ცოლი დაა ფაცურა,ხუფრა გააშლევინა.

- საქეიფოდ კი არ მოვსულვარ ძმობილო,ხერიობული საქმე მაქვს ერთი საიდუმლო უნდა გაგანდო, - ღიმილით უთხრა მასპინძელს და თამროს თვალი ჩაუკრა ბორისმა. მოკლედ,ბევრი იცინეს. მერე მეგობარმა თავისი ჯარის ცანსაცმელი გამოუცანა ბორისს. ბორისმა გაიხინჯა. გახდაც კი აღარ უნდოდა,ისე მოუხდა. ისე კოხცად ადგა,თითქოს მის ცანზე შეუკერიათო. მალე დაგიბრუნებო,უთხრა მოშეს. მადლობა მოუხადა და კმაყოფილები წამოვიდნენ. ცანსაცმელი თამროს გააცანა,თვითონ კი სახლში დაბრუნდა და მამას უთხრა:

- მე არ მოვდივარ... თუ გინდათ მარცო წადით.

ფინხასს ხუმრობა ეგონა,რადგან ბილეთები უკვე აღებული ჰქონდა და ეს ბორისმა ძალიან კარგად იცოდა. შვილის სიცყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

გამგზავრების დღეს ბორისი დილიდანვე გადაიკარგა. დედ-მამას დაუბარა მეგობრებში საქეიფოდ მივდივარო. საღამო ახლოვდებოდა. ის კიდევ ჯერაც არ ჩანდა.ბარგი შეკრულია,ყველაფერი მზადაა. ფინხასი ნერვიულობს, ჩქარი ნაბიჯით ბოლთასა სცემს გამოცარიელებულ ოთახში. რუთი კი უკვე მზად იყო საცირლად. დედის გული გრძნობდა,რომ შვილი რაღაცას აწყობდა.

- ნეცავ რას ამოირჩიე კაცო ეს ამერიკა,ისრაელ - შიც კარგად ცხოვრობს ხალხი. ხომ ხედავ ბიჭსაც არ უნდა. ფინხასმა შფოთნარევი ხევდით გადახედა ცოლს,

რომელმაც მის თვალებში ამოიკითხა: „რა საჭიროა ეს ზედმეტი სიტყვები. ბილეთები ხომ უკვე აღებული გვაქვს,ბარგიც შეკრული და გამზადებულია". უცბად ზარის ხმა გაისმა. კარებში მეზობლის ბიჭი გამოჩნდა და ნე რვიულად მოლოდინე ცოლ-ქმარს ბორისის დანაბარები გა დასცა.

ბორისმა დამაბარა აეროპორტში მოვალო?!...

ფინხასს გულმა რეჩხი უყო, მაგრამ ფიქრის დროც აღარ არის უკვე გვიანდება. ცოტა ხნის შემდეგ ისინი უკვე აეროპორტში იყვნენ და ბორისს ეძებდნენ. უცბად ფინხასმა შეამჩნია რომ ერთი სამხედრო გაფაციცებით ეძებდა ვიღაცეებს. სამხედროს გვერდით მომავალ მომღიმარ ქალიშვილში თამრო იცნო. მოულოდნელობისაგან შ ეცბა. სამხედროს დააკვირდა და... ეს ხომ ბორისია. ძარღვებში სისხლი გაეყინა,გაოცებისაგან თვალები მ-უშტისოდენა გაუხდა,თმა ყალყზე დაუდგა. რუთმაც შენიშნა ისინი,შეცბა და ქმარს აღშფოთებული მიაჩერდა. დანახულით გაოგნებულ ფინხასს კი გული შეეკუმშა, აღელვებას ვერ ფარავდა. „კი მაგრამ როდის მოასწრო ჯარში ჩარიცხვა?" მხოლოდ ეს უტრიალებდა თავში. ბორისმაც შენიშნა ისინი და გაბედულად თავაწეული და მ ხრებგაშლილი მიუახლოვდა მშობლებს.

- რას ნიშნავს ეს? - მიახლოებისთანავე მიახალა ფინხასმა შვილს და დამფრთხალი თვალები მიაშტერა. ბორისმა კი შეკითხვას გვერდი აუარა და ამაყად მიუგო:

- მე და თამრო თქვენს გასაცილებლად მოვედით.

ფინხასს ბოლმისაგან ქვედა ყბა ჩამოუგრძელდა,რეცი დაასხა შვილის სიტყვებმა. რუთს კი კინაღამ გული შეუღონდა,თვალები აუცრემლდა,სული შეეხუთა,ქმარს თ-

რთოლვით მიეყრდნო და თითქმის ქვითინით შეითხა:

– როგორ... ბორისს აქ ვტოვებთ და ჩვენ კი ამერიკაში მივეთრევით? ფინხასმა უაზროდ გადახედა მეუღლეს,გაურკვევლად ჩაილაპარაკა – ბორისის ბილეთიც ხომ აღებული მაქვს? მან ახალგაზრდებს გადახედა. ბორისსა და თამროს მრავალრიცხოვნად ელიმებოდათ. ამ დროს ბორისის მეგობარმა მოშემ მოირბინა,რომელიც მათ წამოჰყოლოდა და აღელვებით უთხრა:

– რას შვრებით,თვითმფრინავის გასვლას ათი წუთი აკლია. – ფინხასი აწრიალდა.–შვილო ბორის... – დაიწყო მან. უნდოდა რაღაც ეთქვა შვილისათვის,მაგრამ როდესაც ბორისის უდარდელსა და მხიარულ სახეს შეავლო თვალი,თამამად მომზადებული სიტყვები ყელში გაეჩხირა და ხელი ჩაიქნია. მიხვდა,ცუდილად გაირჯებოდა.

„ამასთან არაფერი გამოვა" გაიფიქრა,თავი ჩაღუნა და გაყუჩდა. თავში ათასნაირი ფიქრები უტრიალებდა.

– თვითმფრინავი თქვენ არ დაგიცდით – თქვა ბორისმა და ირონიულად ჩაიცინა. მისი სიტყვები ეკალივით მოხვდა გულზე ფინხასს და შვილს გამომცდელად ახედა. იგი მაინც ვერ მიხვდა ეხუმრებოდა თუ სერიოზულად ელაპარაკებოდა ბორისი. და ბორისმა თავისი ბუნებრივი ღიმილით კიდევ ერთხელ დაუდასტურა მამას თავისი მტკიცე გადაწყვეტილება.

„როგორ,ბორისი აქ დასტოვოს და თვითონ გაემგზავროს? რისთვის წავიდეს იქ,რა დარჩენია? აკი იმიტომ მიდიოდა,შვილს ჯარს ავაცილებო. ავეჯი გაყიდა,ყველაფერი დაახურდავა,წავიდეს და რა აკეთოს იქ,ვის უყუროს? განა შვილისათვის არ უნდა ყველაფერი? უშვილოდ რა ჯანდაბა გააძლებინებს ისიც უცხო მიწაზე? მინაგა

ნი მღელვარებით გაფითრებულმა და თავის თავზე გულმოსულმა ფინხასმა იცოდა,რომ უშვილოდ გამგზავრებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

- ფინხას! - ცოლმა მუდარით სავსე თვალები მიაპყრო ქმარს,თქმით კი არაფერი უთქვამს. ჟინხასმა თვითმფრინავის ბილეთები ამოიღო. ერთხანს ზედ დაჰყურებდა და მაინც ყოყმანობდა ფიქრთა კორიანტელში გახვეული. იქნებ ბილეთების გაუქმება აწუხებს? - არა,არა,ჯანდაბას ბილეთები,სადაც ჩემი ბორისი იქაც მე, - გადაწყვიტა საბოლოოდ და ბილეთები ნაკუწებად აქცია. სიხარულით აცრემლებული რუთი ქმარს გადაეხვია.მოზღვავებული სიხარული ვერც ახალგაზრდების მკერდში დაეტია. სიამით სახეგაბადრულნი პირველნი წამოვიდნენ,თან ღიმილით უკან იხედებოდნენ.-რა ძლიერია სიჯაბუკე,უანგარო,მართალი,გულწრფელი. - ფიქრობდა ჟინხასი და თან ამბობდა:
- მართლაც ჯობია ისევ ჩვენს სამშობლოში ვიყოთ.

# ისახალი აბულაშვილი

- სამშობლო
- სადღეგრძელო

## ისახარ იაკობაშვილი

# სამშობლო

სამშობლო ჩემი ფიცია,
ვით დედის წმინდა მანდილი,
ფოლადისებრი მტკიცეა,
ამ სიტყვის გამომძახილი.

სამშობლო - მადლი ღვთიური,
რძისა და თაფლის წყაროა,
ედემის ბაღი, მზიური,
ტურფა და სათაყვანოა.

სამშობლო - გმირთა გამზრდელი,
მომსწრე მრავალი ვაების,
მტრის რისხვა, მოყვრის სანთელი,
მამული ხაშმონაების.

სამშობლო - ნაიარევი
ასგზის მტრებისგან რბეული,
ნატანჯი, ნაპარტახევი,
ნანატრ წალკოტად ქცეული.

სამშობლო - თაჯი პლანეტის,
შემკული ლალის თვალია,
მოელვის, ვით ანდამატი,
ყოველი მხრიდან ალია.

სამშობლო სიყვარულია
დაულალავი შენება,

ქვეყნის უკვდავი გულია,
იერუსალიმის მშვენება.

სამშობლო წმინდა მიწაა,
ნაწამებ-განაწვალები
მომიხმობ, გვერდით დაგიცავ,
სამშობლოვ, გენაცვალები!

# სადღეგრძელო

ოდეს დაეცა წმინდა ტაძარი
და ბაბილონის ფეხმა გათელა,
კოლხეთის პირას გადანაყარი
ძმად შემიხიზნა ერმა ქართველმა...

გადაიფურცლა ათასი წლები,
იერუსალიმზე აღსრულდა ფიცი.
საქართველოდან სიონს ვბრუნდები,
ჩემი სამშობლო მომელის - ვიცი.

ნაცნობ პეიზაჟს აქ მაგონებენ
მტკვარს - იარდენი, ყაზბეგს - ხერმონი.
პოეტურ მუზით შთამაგონებენ
შომრონის მთები, კავკასიონი,

მაქვს აღმაფრენა ჯერ არნახული,
მოდის რითმები აურაცხელი.
რუსთველი „მძევლად" აქ არს მარხული;
რომ მესიაზე აღსდგეს ცოცხალი.

გავხედავ ირგვლივ მთებს [illegible]
თოლემავს ფიქრი, როგორც [illegible].
ერთი სისხლით ვსვამთ სადღეგრძელოს
ისრაელის და საქართველოს



მხატვარი, მერი ფიჩხაძე

# სიშაჯანაშვილი

● რა კარგი იყო რა ჭმუნვა

● ო, პალესტინავ

## სიმა ჯანაშვილი

***

რა დარდი იყო რა ჭმუნვა,
რა გულდამკოდი წყურვილი
ოცნების ხდენა?? თუ კიდევ -
სამშობლოს ნახვის სურვილი.

სიონის მთების ძახილი,
სინაის მთების ქუხილი -
რა მოჩვენება ყოფილა
რა გულს ნაზარდი წუხილი!
პალესტინაში მოსულებს
რა ლოდინი გვდევს ნეტავი?

რას დამტრიალებს პოეტის
გულიდან ამონახეთქი:
„სადაც ვშობილვარ,გავზრდილვარ
ჩემი სამშობლო ის არის".

არდავიწყება თან დამყვა
ჩემი თბილისის ლამაზის,
მთაწმინდის შემოღამება,
აყვავილება ვარაზის.
რომელი ერთი მოვთვალო, -
გრძნობა მერევა მრავალგზის.

მე სიყვარულის ნერგი ვარ
საქართველოში ნაზარდი,
ბავშვური გატაცება ვარ
ბრალი არ დამდოთ ღალატის.

ორივე ქვეყნის მცხინე,
ძმობის, ერთობის მესიცყვე.
მე სიყვარულის ფერფლი ვარ
და ერთგულების მესცვირე!

# ხანან ლევიაშვილი

● დედის გულისტკივილი

ხანან ლემიაშვილი

# დედის გულისტკივილი

ნამდვილი ამბავი

## ნაწილი პირველი

მკითხველო! არ გეგონოს ეს ამბავი,რომელსაც ქვემოთ აღვიწერთ,ჩემს მიერ მოგონილი იყოს,გადმოგცემ ნამდვილს,მოსმენილს,რომელმაც ცოტა არ იყოს ჩამაფიქრა. ჩემს წინ სურათების კინოფირმა გაირბინა და ვფიქრობ,ჩვენს შორის თქვენც დაინტერესდებით.ფაქტია,რომ არიან სულით მახინჯი ადამიანები სხვადასხვა მიზეზებით რომ არ ცხვენენ და ანგრევენ თავიანთ ოჯახებს და ამით ჩირქს სცხებენ ჩვენი ერის ღირსებას.

ხუთშაბათს ბეერ-შევიდან ლოდში მივემგზავრებოდი,ს ადაც ჩემი სიძე ცხოვრობს.გამოგიტყდებით,ყველაზე მეტად შვილიშვილების სანახავად მიმიხაროდა.ხომ გაგიგო ნიათ:„შვილმა გული გაიარა,შვილიშვილმა გულის გულიო!" ალბათ,თქვენც დამეთანხმებით და იტყვით, მართალიაო.

ავტობუსში ახვლის რიგმაც მომიწია.დავჯექი თავისუ ფალ სკამზე.ჩემს გვერდით საშუალო ხნის უცნობი ქალი იჯდა.ყურადღება არც მიმიქცევია,ვინ იყო.ჩანთიდან ქართული წიგნი ამოვიღე და კითხვა დავიწყე,რამდენიმე ფურცელიღა მქონდა წასაკითხი.მალე წიგნის კითხვა დავამთავრე,დავხურე და შევინახე ჩანთაში.

ეტყობა,ჩემს გვერდით მჯდომი უცნობი ქალი თვალს მადევნებდა და ქართულად შემეკითხა:

- საქართველოდან ხართ?

- დიახ, - ვუპასუხე.

- სად ცხოვრობთ?

- ზეერ-შევაში ვცხოვრობ და ლოდში სიძესთან მივდი-ვარ.

- მე ხაიფაში ვცხოვრობ და გუშინ დილით ჩამოვედი ზ ეერ-შევაში,ჩემი გოგოც აქ ცხოვრობს. - მცირე პაუზის შემდეგ კი თქვა - სიძეც აქ ცხოვრობს.ზეზო ენაცვალოთ ჩემს შვილიშვილებს,მათ სანახავად ჩამოვედი და ნახვა კი ვერ მეღირსა,ისე ვბრუნდები სახლში. - ეს თქვა მგ-ზავრმა ქალმა და თვალებიდან გადმონაყონი ცრემლი ცხვი რსახოცით შეიმშრალა.უცნობმა ცირილით გული რომ იჯერა, შევეკითხე:-კი მაგრამ ქალი და სიძე შინ არ დაგხვდნენ? - სახლში კი იყვნენ,მაგრამ სიძის ოჯახში არ მისულ - ვარ. - როგორ,სიძის ოჯახის სანახავად ჩამოხვედით და მის ოჯახში არ იყავით? მაშ ვისთან იყავით?

ეჩვენებოდა,ქალის გულში სევდა-ნაღველი დაზუდებულიყო. პასუხის გაცემას აყოვნებდა,თქმა უძნიდა.

- ნათესავ ქალთან. - მიპასუხა ზოლოს.

- ბოდიში,ვისთან? ნათესავ ქალთან?...

- დიახ,ნათესავ ქალთან,რადგან სიძე უკვე რამდენიმ მე წელია შემომწყრალია ჩვენზე - სიდედრ-სიმამრზე და არ გველაპარაკება.მას ოჯახში ჩვენი მისვლაც არ უ ნდა,ცოლს ეჩხუბება,ამიცომ ახლაც მოვერიდე მისვლას. არ მინდოდა ჩემი მიზეზით უსიამოვნება მოხვლოდათ. ის ნათესავიქალი და ჩემი გოგო მეზობელ ბლოკებში ცხოვრო ბენ,როცა ჩამოვდივარ,მასთან მივდივარ და მერე ის აც ყობინებს ჩემს გოგოს.მის სახლში მოდიან შვილი და შ-ვილიშვილები და იქ ვნახულობთ ერთმანეთს სიძის ჩუმად. ახლა კი ამის საშუალებაც არ მქონდა.სიძე ავად ყოფილა გრიპით,სახლში წოლილა და მომენცი ვერ გამოვნახეთ,რომ

ერთმანეთს შევხვედროდით.გუშინ უნდა გავბრუნებულიყა-
ვი უკან,მაგრამ ვიფიქრე: - ამათ სანახავად ჩამოვედი,
შორი გზა გამოვიარე და ისე როგორ წავიდე,არა ვნახო-
მეთქი.ვაი ჩემს მოსწრებას,როგორი მოთმინება მართებს
დედას,რომ ყველაფერს გაუძლოს! წუხელ სულ არ მიძინია,
ყოველ წუთს მათი მოსვლის მოლოდინში ვიყავი,სულ თვალ
წინ მიდგნენ... მაგრამ ამაოდ... მოლოდინი არც დღეს
გამიმართლდა... იმათ ვენაცვალე,ისეთები არიან, იტყ-
ვი: ორი თვალი მაქვს და ნეტავ კიდევ ორი თვალი მომ-
ცა,ამათი ცქერით გავძღეო. - ამ სიტყვების შემდეგ კვ
ლავ გულსაკლავად აქვითინდა ქალი...

- ბოდიში,ქალბატონო... გამოდის,რომ თქვენს საო-
ჯახო საქმეებში შევიჭერი.თუ არ გეწყინებათ,გამაცან-
ით თქვენს შორის ასეთი უსიამოვნების მიზეზი.

- კეთილი... წესიერი ადამიანი ჩანხართ და რაკი ა
სე დაინტერესდით,მოკლედ მოგიყვებით,მხოლოდ ერთი პი-
რობით: ჩვენს ვინაობას ნუ გაამჟღავნებთ.

ეს მოხდა ხუთი წლის წინათ.მაშინ თბილისში ვცხოვ-
რობდით.ჩემი გოგო 15 წლისა იყო,მერვე კლასში სწავლო
ბდა,კლასიდან კლასში სულ წარჩინებით გადადიოდა და ე
ქიმობაზე ოცნებობდა.ბევრი მთხოვნელი მოსდიოდა, მაგ-
რამ ყველას უარით ვისტუმრებდით. ჩვენ,მშობლებს,ფიქ-
რადაც არ მოგვდიოდა მისი გათხოვება,მაგრამ მოხდა სა
სწაული.ქუთაისელმა შეძლებულმა ცოლ-ქმარმა,რომლებსაც
დედისერთა ბიჭი ჰყავდათ,ჩემი გოგო რომ დაინახეს,ძა-
ლიან მოეწონათ და გვთხოვეს.ჩვენ უარი ვუთხარით,მეო-
რედაც მოვიდნენ,კვლავ უარით გავისტუმრეთ.ხასიძო 22
წლის,ძვალმსხვილი,ახოვანი,ლოყებ-ღაჟღაჟა,ლამაზი და
მოხდენილი ვაჟკაცი იყო.მესამედაც რომ მოვიდნენ;გად-
ავწყვიტეთ,საქმე მოგვეთავებინა.გოგო უარს ამბობდა.

მან ასე მოგვმართა: - ვიცი,ჩემთვის ლუკმაპური არ გე-
ნანებათ და რატომ გინდათ ჩემი გათხოვება? მე ხომ მა-
რტო სწავლაზე ვოცნებობ და მეტ არაფერზეო.

- რად გინდა სწავლა,შენი საქმროები ისეთი მდიდრე
ბი არიან სულ ოქრო-ბრილიანტებით შეგიმკობენ გულ-მკე
რდს,დედა გენაცვალოს-მეთქი. - მისი პროტესტი მხედვე-
ლობაში არ მივიღეთ და გავათხოვეთ.

ნიშნობაზე მართლაც ისეთი მოსატანი მოუტანეს... ვ-
ერ აგიწერთ. სულ მალე ქორწილიც გადავიხადეთ და საჩუ-
ქარიც დიდებული მოუვიდა,გოგოც იძულებული შეიქმნა შე-
გუებოდა მდგომარეობას,შეიყვარა ქმარიც და დედამთილ -
მამამთილიც. ჰქონდათ ტკბილი ოჯახი.ერთი წლის შემდეგ
ვაჟიშვილი შეეძინათ,რომელმაც მეტი სიტკბო და სიყვარუ
ლი შემოუტანა ოჯახს. მათი ცხოვრება მიდიოდა კარგად,
გვიხაროდა შვილის ბედნიერება,სიძეც გვიყვარდა,როგორც
შვილი და მასაც დიდი ხათრი ჰქონდა ჩვენი.მეორე ბიჭიც
შეეძინათ - გაიზარდა ოჯახი,მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ
სიძის მამას ინფარქტმა დაარტყა და გარდაიცვალა.მამის
სიკვდილიდან ორმოცი დღეც არ იყო გასული,რომ დედას წე
ლების გადახლართვა დაემართა და ოპერაციის დროს გარდა
იცვალა. მშობლების სიკვდილის შემდეგ,სიძეს გამოსჩენ-
ია „ძმაბიჭები",რომლებმაც თავიანთ ჯგუფში ჩააბეს ჯერ
მაყურებლის როლში,მერე კი თვითონაც დაუწყია თამაში.
პირველ ხანებში,ეტყობა,„სიაზანდად" გაუთამამებიათ,რ-
ამდენჯერმე ფული მოუგებინებიათ და ამით გათამამებულს
ალბათ,ეგონა იოლი გზით უცბად ზღაპრულ სიმდიდრეს მიაღ
წევდა ზარისა და კარტის თამაშს მიჰყო ხელი,რის გამოც
სულ მოკლე დროში მშობლების სიმდიდრე სულ მთლად წააგ-
ია.ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით და არც შვილს
შეუტყობინებია,სანამ სიძე ჩვენთან თბილისში არ ჩამო-

ვიდა და არ გვითხრა:

- საჩქაროდ საქმისათვის ფული დამჭირდა და უნდა მ იშოვნოთ.

ჩვენც თუ რამის საშუალება გვქონდა,უარს როგორ ვეცყოდით.ესეც არ იკმარა,ზოგი გვასესხებინა,დიდი თან-ხაც პროცენტით აგვაღებინა,იმ პირობით,რომ რამდენიმე დღეში უკან დაგვიბრუნებდა.ჩვენც ვენდეთ,ხელი გავუმართეთ,რა ვიცოდით,თუ თამაშობდა.არასოდეს მოთამაშე კაცს არ გაუხარია და ვერც გაიხარებს,ასე ყოფილა და ა-სეც იქნება.

ჩვენი სიძის მიერ დათქმული დღეც დადგა,მაგრამ ჩამოსვლითაც არ ჩამოსულა თბილისში.ამ ამბით დავინცერ-ესდით მე და ჩემი ქმარი და ქუთაისში ღამით ჩავედით. ვაი ჩემს თვალებს! ჩემი გოგო ძლივს ვიცანით,ისე იყო გამხდარი,ლაპარაკის თავიც არ ჰქონდა.სახლს რომ თვა-ლი გადავავლეთ,თითქმის დაცარიელებული იყო.შვილიშვი-ლების ნახვამ გამამაგრა,თორემ გული წამივიდოდა.

ჩემი ქმარი შეეკითხა:-სიძე,ალბათ ძველი ავეჯი გაგიყიდიათ და ახლის ყიდვას აპირებთ?...

სიძეს ფერი ეცვალა ამ სიცყვების გაგონებაზე.ჩემს გოგოს სიცყვაც არ უთქვამს.ადგა და თავი მოგვარიდა,სხვა ოთახში გავიდა.სიძემ პასუხი რომ დაუგვიანა,მან ისევ გაუმეორა შეკითხვა:-ძველი ავეჯი გაყიდეთ?

- ჰოო... - უპასუხა მოკლედ.

- მერედა როდის აპირებთ ახალი ავეჯის ყიდვას?...

კითხვა იწყინა სიძემ.უხეშად მოგვმართა:

- ვინ დაგიბარათ,რომ ჩამობრძანდით და რას კითხუ-ლობთ ჩემი ოჯახის მდგომარეობას?

ჩვენ შენი ამბით დავინცერესდით და იმიცომ ჩამოვე-დით,შენ კი რაო,გეწყინა? თბილისში გელოდებოდით და არ

ჩამოხველი.რაცომ,რაშია საქმე? ხომ არ დაგავიწყდა,რ-
ომ ფული უნდა ჩამოგეცანა და პაცრონებისათვის დაგვე-
ბრუნებინა?

- მე არ დამვიწყებია,მაგრამ ფული... ფული სხვას ვახესხე და ახე მეუბნება,ჯერ არა მაქვს და როცა მექნება,მაშინ მოგცემო.როცა მომცემს,მეც მაშინ ჩამოგიცანთ. თქვენ ნუღარ შეწუხდებით.

- ხიძე,შენმა პასუხმა ცოცა არ იყოს დამაეჭვა,შემთხვევით ხომ არაფერს მიმალავ? სიმართლე გვითხარი.ადრე თუ გვიან,გაუგებარი არაფერი დარჩება,იცოდე.

- მე... მე... სიმართლე გითხარით.

- ისეთი სიმართლე,როგორც დღეისათვის დათქვი და არ შეასრულე? რა პასუხი გავცეთ პოვაღეებს? მაღლობის მაგიერია? ვიცით,საბამ შენი მშობლების წლისთავს არ გადაიხდი,ისრაელში არ მოდიხარ,მ გრამ ხომ კარგად იცი ჩვენი მდგომარეობა,ვზაზე ვდგავართ,ბარგი უკვე ჩალაგებული გვაქ [illegible] [illegible],ერთი [illegible] ის [illegible] [illegible] ღლში მივემგზავრები
იცოდი,შენი სიყვ [illegible]
და და კარგი ავე [illegible]
ვიდა ხუღ გამო [illegible]
და ას [illegible] მი [illegible]
ცურათ სიმართლ [illegible]

[illegible] ხული სიმ [illegible]
იგარ [illegible] აროღებ [illegible]
რამ [illegible] იკავე [illegible]
ა [illegible] ვიდა
და [illegible] ლი.მე [illegible] ის
ოლი, [illegible] ვ [illegible]

ვილი დამიწყო. დედის გულს წინასწარი გრძნობა დაეუფ-ლება ხოლმე.

ადრეც,როცა კი ჩავსულვართ სიმის ოჯახში,ჯერ კიდ-ევ მისი მშობლების გარდაცვალებამდე და მას შემდეგაც, ყველანი სიხარულითა და სიყვარულით გვხვდებოდნენ.ახლა კი რა მოუვიდათ,ვფიქრობდი ჩემთვის.ან ჩემი შვილი რა-ტომ არ მოდის ჩვენთან,რატომ მოგვარიდა თავი-მეთქი.რ-ალაც ამბავია ამათ თავზე, - ვფიქრობდი და ბოლმით ვი-ვსებოდი.

სიმე და სიმამრი ღრმად ჩაფიქრებულები იხსდნენ მე სიჩუმე დავარღვიე და ჩემს შვილს ერთი ჭიქა წყლის მოტანა გავძახე.მინდოდა მოსულიყო ჩვენთან.ცოტა ხნის დაყოვნების შემდეგ გამოჩნდა,ეტყობოდა ნამტირალევი ი-ყო,რაც ეღდახავით მეცა.

მზერა თავისი ქმრისაკენ ჰქონდა მიპყრობილი,თითქოს ეუბნებოდა:„რატომ ჩაიგდე თავი ასეთ უხერხულ მდგომარე ობაში,რისთვის გაიმწარე შენი ტკბილი ცხოვრება შენი დაუფიქრებლობით და წინდაუხედაობით? მე ხომ ყველაფერს ვითმენდი იმ შეგნებით,რომ მეგონა დროულად მიხვდებოდი და შეიგრძნობდი შენს შეცდომას და ჭკუაზე მოხვიდოდი მოლიპულ გზაზე მდგარი.მე ხომ მიყვარდი და მიყვარხარ ახლაც,როგორც ჩემი ქმარი და ჩემი შვილების მამა,ვით-მენდი ჩემი ოჯახის ღირსებისათვის,რომ არ გამოაშკარა-ვებულიყავი და სახალხო არ გამხდარიყავი.

ბოლოს მზერა ჩემზე შეაჩერა.თითქოს ამბობდა:„შენ, როგორც დედამ,ჩემი ვედრება არ შეისმინე და გამათხო -ვე.გიხაროდათ ჩემი ბედნიერება,მაგრამ ჩემმა ბედმა,ხ-ომ ხედავთ,სადამდე მიმიყვანა..."

თითქოს გაიგო ჩემი გულის ფიქრები და ერთი იხეთი ამოიოხრა გეგონებოდა გული თან ამოაყოლაო მომეხვია და

ორივენი მწარედ ავქვითინდით...

ეცყობა, სიმე ელოდა მომენცს, რომ ეთქვა სათქმელი და თქვა კიდეც:

-მაცარებლის გასვლას ერთი საათი აკლია, როგორც ჩამობრძანდით ისევე მიბრძანდით და თქვენი ფეხი ჩემს ოჯახში აღარ ვნახო.

ამ სიცყვებმა თავზარი დაგვცა. მახვილივით მოგვხვდა გულში ყველას, მე და ჩემი შვილი კიდევ უფრო მეცად ავცირდით, ჩემი ქმარი იჯდა სიმწრისაგან მთლად გამშრალი და ფერწასული. ბოლოს მიმართა სიძეს:

- შენ გამბედაობა არ გეყო, რომ გეთქვა ჩვენთვის სიმართლე, მაგრამ უთქმელადაც გასაგებია, შენ ნამდვილად თამაშობ და წაგებული გაქვს ყველაფერი, მოგების იმედით თამაშობ, მაგრამ მოგებული არასოდეს იქნები. გულწრფელად გირჩევ თავი დაანებო, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არაა, გესმის?

სიძემ კარი გამოაღო და სადღაც წავიდა ისე, რომ დამშვიდობებაც არ ისურვა ჩვენთან.

იმ ღამეს, აბა, როგორღა დავბრუნდებოდით სიძის ოჯახში იმ სიცყვების შემდეგ...

ჩვენი შვილი გავამხნევეთ. ვუთხარით, რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. ყველაფერი დროებითია, დრო გავა, იჯერებს გულს ამხანაგებთან დროსცარებით და ჭკუაზე მოვა. ბევრნი ყოფილან მაგისთანები. ყინი მოუკლავთ და კვლავ ადრინდებურად ოჯახის ღირსება აღუდგენიათ. დავემშვიდობეთ შვილს და შვილიშვილებს და იმ ღამესვე უკან გავემგზავრეთ თბილისისაკენ გაბოროცებულები. წარმოიდგინეთ, როგორი მძიმე და აუცანელი იქნებოდა მშობლებისათვის შვილის იმ მდგომარეობაში დაცოვება და მართლაც, რომ იმ დღიდან გულმა ცკივილი დამიწყო.

მე და ჩემი მეუღლე მგზავრობისას ისე ვიყავით ფიქ-რებით გაბრუებულები,რომ თვალზე ძილი არ მოგვკარებია და არც დავლაპარაკებივართ ერთმანეთს.ისე ჩამოვედით თბილისში,გეგონებოდათ,გაბუცებულები ვიყავით.დილით ადრე სახლში მისვლისთანავე,ბავშვებს დავხედეთ.კიდევ ოთხი ბავშვი გვყავდა.მათ მშვიდად ეძინათ.მერე დავიწყეთ ლაპარაკი თუ როგორ მოვქცეულიყავით,რა პასუხი მიგვეცა მოვალეებისათვის.შერცხვენილები რომ არ გამოვსულიყავით შევთანხმდით ასეთი პასუხი გაგვეცა ფულის პატრონებისათვის:სიძე მთვრალი ყოფილა,მგზავრობისას მატარებელში ჩასძინებია და ხელჩანთა ფულიანად მოუპარავთ; ამიტომ ვთხოვდით ერთი კვირა კიდევ დაეცადათ,სანამ სიძე ხელმეორედ იშოვიდა ფულს და ჩამოგვიტანდა.

დილითვე მივედით ოჯახებში ცალ-ცალკე ყველასთან და ავუხსენით მდგომარეობა.იმათაც თანხმობა გვითხრეს და სინანული გამოთქვეს სიძის მიერ ფულის დაკარგვის გამო

ჩალაგებული ყუთებიდან ნივთები ამოვალაგეთ.გასაყიდად მაინც არ გვეყო და იძულებული გავხდით დოლარებიც გაგვეყიდა.არც იმან გვიშველა.გზაში სახარჯოდ ფულიც არ გვქონდა და ისევ ვალის აღება მოგვიხდა.იმ ოჯახებისაგან,რომლებსაც აქ ყავდათ ნათესავები,იმ პირობით,რომ ისრაელში გავუსწორდებოდით.

ჩვენი წამოსვლის დღევ დადგა.ნათესავები და ნაცნობები მოვიდნენ ჩვენს გამოსაცილებლად.სიძე კი არსად ჩანდა.თავში ათასგვარი ფიქრი გვიტრიალებდა... თბილისის რკინიგზის სადგურში რომ გავედით იქ დაგვხვდნენ შვილი და შვილიშვილები,ხალხში მოხახვეულად დრო არ დარჩენოდათ...

შვილს სხვების ჩუმად ვუთხარი ყველაფერი,თუ როგორ გავისტუმრეთ ვალები და ზოგი რამ მასაც დავუტოვეთ.გარ

და ამისა,რის გაყიდვაც ვერ მოვასწარით,ყველაფერი ნათესავთანაა.წაიღე და მოიხმარე საჭიროების შემთხვევაში-მეთქი.

მატარებლის გასვლის დროც მოახლოვდა.დავემშვიდობეთ ერთმანეთს... გულში ტკივილებმა მიმატა.თვალით ვშორდებოდით,მაგრამ გულით?.. გულით კი არა. მათი სიყვარული თან მოგვდევდა.

ველირსეთ ისრაელში ამოსვლას.მამა-პაპათა ოცნება აგვისრულდა. ფეხი დავდგით ისრაელის წმინდა მიწაზე.ამოსვლის დღესვე ხაიფაში კარგი ბინა მივიღეთ.რამდენიმე დღის შესვენების შემდეგ მე და ჩემმა მეუღლემ მუშაობა დავიწყეთ ხაიფის ერთ-ერთ ქარხანაში.როგორც საერთოდ ახალმოსულთათვის,ჩვენთვისაც ძნელი იყო პირველ ხანებში:ახალი ცხოვრება უცნობ ხალხთან,უცხო ატმოსფეროში და,რაც მთავარია ივრითის უცოდინარობა.რას ვიზამდით, ხომ იცით,ყოველი დასაწყისი ძნელია,მაგრამ უფრო ძნელი იყო ჩვენთვის იქ,საქართველოში დატოვებული სიძის,შვილისა და შვილიშვილების გახსენება.ფიქრებით ყოველთვის მათთან ვიყავი.ბევრჯერ მინატრია:ნეტავ ერთი თვალი გადამავლებინა-მეთქი...

იმ დალოცვილ ღმერთს ადამიანიც ასეთი გაუჩენია თურმე,რომ ყველაფერს გაუძლოს.აბა რა სული მეგვრჩა იმდენი ჯავრისა და გაჭირვების გადამტანთ. ჩვენი ხელფასიდან ექვსი თვის განმავლობაში,ოჯახისათვის არაფერი გვიყიდია,გარდა სურსათისა.პირველ რიგში ვალებს ვისტუმრებდით და ზოგჯერ ამანათებსაც ვუგზავნიდით სიძეს. მადლობა ღმერთს,პირნათლად გამოვედით.ვალები დავფარეთ და თავისუფლად ამოვისუნთქეთ.მას შემდეგ უფრო ხშირად ვგზავნიდით საქართველოში ამანათებს.როგორ მოვითმენდით,რომ გაჭირვების დროს შვილის ოჯახს არ დავხმა

რებოდით?...

ხიმეს მშობლების წლისთავი გადაუხდია და,სახლის გაყიდვას ველოდებითო.ყველამ იცის,აქაო და ებრაელები ისრაელში მიდიანო,რაც კი გვაქვს გასაყიდი,ნახევარ ფასად უნდათო... მოგვიანებით მიღებულ წერილში იწერებოდა:მადლობა ღმერთს,სახლი,როგორც იქნა,გავყიდეთ და ორ თვეში ისრაელში ვიქნებითო.იწერებოდა აგრეთვე ოჯახის მდგომარეობა უმჯობესდებაო.სიხარულით ველოდებოდით მათ ამოსვლას.რისთვისაც წინასწარი მზადება დავიწყეთ.იმაზე ვფიქრობდით,რომ ბინა ხაიფაში მიეღოთ და ჩვენთან ახლოს ყოფილიყვნენ.რასაც არ დავეხმარებოდით,რას დავუშავებდით.

დარჩენილ დღეებს თითებზე ვითვლიდი    ერთ დილით ვენიდან გოგოსაგან დეპეშა მივიღეთ.მეორე დღეს დილის 5 საათზე უნდა ჩამოფრენილიყვნენ.საღამოს ყველანი ლოდის აეროპორტში ვიყავით.მოსაცდელ დარბაზში ჩვენს გარდა სხვებიც იყვნენ და მოუთმენლად ელოდნენ თვითმფრინავის გამოჩენას.

- ჩამოფრინდა. ჩამოფრინდა!... გაისმა ყოველი მხრიდან და სიხარულისაგან ზოგი იცინოდა,ზოგი ცრემლებს იმშრალებდა.ნახევარი საათის შემდეგ ზოგიერთები უკვე კიბეებზე ჩამოდიოდნენ და გახარებულები ეხვეოდნენ დამხვედრთ. ჩვენ კი ლოდინით თვალები დაგვაწყდა.დილის 9 საათი შესრულდა.ისინი კიდევ არ ჩანდნენ.ბოლოს საქართველოდან ამოსულთაგანს შევეკითხეთ:

- ახალგაზრდა ცოლ-ქმარი,ქუთაისიდან,ორი ბავშვით ხომ არ შეგხვედრიათ? რაცომ იგვიანებენ,ხომ არ იცით?.

- ვიცნობთ,ბრესტში შევხვდით ერთმანეთს და იქიდან ერთად ვიმგზავრეთ.ხაიფაში შესთავაზეს და ვაჟბატონმა არ ისურვა,ბეერ-შევაში მოითხოვა,მე კი ხაიფაში ვთხო-

ვლი ზინას,სადაც ჩემი ცოლის მშობლები ცხოვრობენ, და აშკელონში მომცეს,-გვიპასუხა მან.

ლოდინი... ლოდინი... და კიდევ ლოდინი...

თითქმის ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.ბოლოს,როგორც იქნა,გამოჩნდნენ შვილი და შვილიშვილები,რომლებიც კი არ მოდიოდნენ,მორბოდნენ ჩვენსკენ.ჩვენ კიდევ იმათკენ გავრბოდით.იმათ ვენაცვალე,9 თვის შემდეგ,ძლივს გ ველირსა მათთან შეხვედრა...

მაგრამ,სიძე რატომ არ ჩანს? რისთვის იგვიანებს და არ მოდის ჩვენთან?ამის დარდი არ გვასვენებდა იკურთხოს უფლის სახელი,ჩვენ ხომ მისთვის არაფერი დაგვიშავებია,პირიქით,როგორც მშობლები,ჩვენს მოვალეობას ვიხდით. ჩემს გოგოს,უხასიათობა შევნიშნე და შევეკითხე: ცუდად ხომ არა ხარ მეთქი?..

- ყველაზე საშინელი ის არის,რასაც ვერ გამოთქვამს ადამიანი.ეს სიტყვები ხშირედ ჩემზეა ნათქვამი. - მიპასუხა. ბოლოს სიძეც გამოჩნდა.სახეზე ალმური ასდიოდა.ამდენი ხნის უნახაობის შემდეგ ჩვენთან შეხვედრაც კი არ სურდა.როდესაც მოგვიახლოვდა,არც მოგვსალმებია, ძლივს ამოღერღა:

- წავიდეთ ბეერ-შევაში!..

სიძის ახეთმა გულცივობამ და მისმა საქციელმა გაგვათავა და დაგვადარდიანა. კიდევ უფრო მეტად ვიგრძენი გულში მწარე ტკივილი და შინისაკენ სიმხიარულის ნაცვლად,გულდაწყვეტილი გავბრუნდით. მე,როგორც დედა,მალიან განვიცდი შვილის ახეთ ბედში ყოფნას,რამაც თავისებური დაღი დაასვა ჩემს სულიერ გრძნობებს:ოჯახში, სამსახურსა თუ საზოგადოებაში ჩემი ფიქრები ყოველთვის შვილის ბედს დასტრიალებს და გულჩათხრობილი ვიტანჯები,არავის ვუმხელდი დღემდე,პირველი შემთხვევაა ო-

ქვენ რომ გიზიარებთ,მაგრამ გაუგებარი არაფერი რჩება ხალხს...

ნაცნობ-ნათესავებს ხშირად უთქვამთ ჩემთვის:სიძე ჩამოგივიდა,გაერთე,გამხიარულდი.ნუ ჩამოგცირის ცხვირ-პირი,ხანამ ხარ,დაეწაფე ამ ცხოვრებას,თორემ ლუმილი და მორჩილება იმ ქვეყნადაც გეყოფაო.

დავუჯერე მათ და ვცდილობდი გავმხიარულებულიყავი, მაგრამ ამ მცანჯველ ფიქრებს თავს ვერ ვაღწევ.

ისევ სევდა და მწუხარება ღრღნის ჩემს გულს და არც არავის ესმის ჩემი... სადაც არ უნდა ვიყო,მათი სახე მიდგას თვალწინ.შინ თუ გარეთ ხულ მათი ლანდი დამდევს და არ მასვენებს.მეცი ველარ მოვითმინე და ისევ იმათ სანახავად გამოვეშურე გუშინ,მაგრამ ბედმა მათი ნახვაც კი არ მარგუნა,როგორც ჩვენი საუბრის დასაწყისში გითხარით,როგორ ვოცნებობდი და მევხაროდი მათ ჩამოსვლას!..

სიძემ ამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ მუშაობა დაიწყო.გვეგონა,პაციოსანი შრომის გზას დაადგებოდა, მაგრამ ორიოდე თვეც კი არ იყო გასული,რომ სახიათი ისევ შეეცვალა.ღლითი ღღე აგვიანებდა ოჯახში მოსვლას, ხანდახან ღამღამობითაც არ მიდიოდა სახლში. თურმე აზარცულ თამაშს მიჰყო ისევ ხელი... დასაწყისში თითქოს ჩუმად კარგი მეგობრებივით თამაშობენ.მერე კი წაგებულები მოგებულებს უწყებენ ჩხუბს,იმართება მუშცის ცრიალი და წაქცეულების გინება-ყვირილი.

ჩემი ნათესავი ქალი,რომელთანაც ბეერ-შევაში ჩამოსვლის დროს მივლივარ,ერთ საღამოს ჩემი შვილის ოჯახში ყოფილა... გამოღვიძებულ უფროს შვილს,რომელიც ოთხი წლისაა ახლა,მამა მოუკითხავს.მამა კი შინ არ ყოფილა... დედა მისულა ბავშვის საწოლთან და უთქვამს:

იძინე,იძინე,ის მოვაო,უკან გამობრუნებისას კაცის თამაშობს და აგებს.ჩვენთვის ბედნიერების მაგიერ მწუხარება მოაქვსო.

ნუთუ მოთამაშენი,რომელნიც უმთავრესად მოზრდილი,ცოლშვილიანი ხალხია არ გრძნობენ,რომ მათი ამგვარი საქ ვიელი ბავშვებზეც უარყოფითად მოქმედებს?... ახე ხურთ აღზარდონ შვილები თავიანთ მაგალითზე?.. პოლიციის თანამშრომლებიც ხედავენ ზოგჯერ მათ.მაგრამ ისე გაივლიან,ვითომც არაფერი შეუმჩნევიათ.

საბოლოოდ ქალის სახეზე კვლავ ცრემლის წვეთები შევ ნიშნე.

ამ საუბარში ჩვენი ავტობუსი რამლეს ავტოსადგურს მ იადგა.რამდენიმე წუთიც და ლოდში უნდა ჩამოვსულიყავი.

დავემშვიდობე და საქმის კეთილად დაბოლოება ვუსურვე́ გულნატკენ დედას.

პირველი ნაწილის დასასრული

[illegible]

- ახლეპური გაზაფხული
- გვეყო, რაც სისხლი ვანთხიეთ

- ჩემი ცხოვრების დიადო ნაწილო
- მე სილამაზის შენის მონა ვარ

## ირმა წიწუაშვილი

# ისრაელური გაზაფხული

გაზაფხულმა ამიტაცა ცამი ელვით,
ჩამოვარდნა,ოჰ,როგორი საშიშია!
ღრუბლის ფთილას ჩავეკონე გამეტებით,
ჩიტუნებმა შემომძახეს: „აი,ია"!

ვფიქრობდი და ვერ შევძელი გახსენება,
რამ და როგორ ამიჩქროლა ახე გული.
როგორ შევძელ ციცქნა გულში დამეტია
ისრაელი - მზის სიუხვით ავსებული.

გადავხედე სილამაზით განთქმულ ბაღნარს...
გამახსენდა! თვალში ცრემლი აკიაფდა.
ჩემს მშობლიურ ისრაელში ეს ხომ ჩემი
სულ პირველი გაზაფხული აბრიალდა.

***

გვეყო,რაც სისხლი ვანთხიეთ,
გვეყო!
მამების წამება,დედების გოდება
გვეყო!
გვეყო ოხვენციმი და მავთულხლართები,
გვეყო სისხლიანი წითელი ვარდები,
გვეყო!
ექვსი მილიონის მოთქმა და გლოვა
ჩვენი ძმების სხეულები მიწამიყრილი -
გვეყო!

შეწყვეტილი სიმღერა და დამტვრეული ფრთები,
ულამაზეს ქალიშვილთა საშინელი ხვედრი -
გვეყო!
ანა ფრანკის დღიური და მთელი ერის ხევდა,
დაბადების დღიდანვე რომ მუდამ კვალში გვდევდა,
გვეყო!
დაკარგული ბავშვობა და წმინდად რავ მიაჩნდა,
იმ დღის წყევლა,როცა იგი ებრაელად გაჩნდა.
გვეყო!
გვეყო!
გვეყო!
რატომღაც მგონია,დადგება დღე.
მაისად შემოვა გულებში მზე.
მსოფლიო გაუგებს ჩემს ტანჯულ ერს,
და იტყვის: ანა,შენც შეხედე მზეს!

★★★

ამ ჩემი ცხოვრების ლიალო ნაწილო,
ზეცაში აჭრილო სვეტად,
ჩემი ოცნების დამცველო არწივო,
დედა,საყვარელო დედა!

მე შენი ხელების სითბოთი ვარსებობ,
გულში რომ მეღვრება ნელა.
რამე გაწყენინე? - უნდა მაპატიო,
ჩემო სიცოცხლეო,დედა!

ჩემი გაზაფხულის ვარდის ყვავილობა,
და უმანკო გულის ძგერა,
ი,მთელი მსოფლიო ვარდისფერ ფერებში
მე შენ მოგიძღვენი,დედა!

შენ ჩემო ფიქრო და ჩემო სიამაყე,
ჩემო ოცნება და სევდა,
მე შენი თვალები ბნელსაც მინათებენ,
ჩემი სიმღერა ხარ, დედა!

ყოველთვის, როცა გულს მატკენდა ვიღაცა,
დარდი შავ ბურანში მხვევდა.
მე შენი სიმართლე ძალ-ღონეს მმატებდა,
და ჩვენ ვიმარჯვებდით, დედა!

★★★

მე სილამაზის შენის მონა ვარ.
შენი კედლების და ჩონგურების.
ჩვენი სულების დედოფალი ხარ,
ჩვენი ლოცვა და ჩვენი აზრები.

ჩემი ცხოვრება შენსას მივანდე,
უნდა ატარო მიწის კიდემდე.
გზას შენებრ ვერვინ ვერ გამინათებს,
ვერ განმიკურნავს შენებრ ჭრილობებს.

იყო სიბნელე, იყო წყვდიადი
სულ შენსკენ მქონდა ხელი გაწვდილი.
ასე ლამაზი, ასე დიადი
ხარ ჩემი სულის დიდი ნაწილი.

იერუშალაიმ, ჩემო სიცოცხლევ!
შენი სხივები ყველას მოფინე
გაალამაზე, და მათთან ერთად
სითბო - სინათლე მეც მამყოფინე.

● რა გამაჩნია?

● ელი მამას ელის

● გოლდას

ს ი ბ ხ ა ა ჭ ი ა შ ვ ი ლ ი

## სიმხა აჯიაშვილი

# რა გამაჩნია?

ძველი ტკივილი გიახლდება,
თავს ისევ იჩენს;
ძველი ჭრილობა ნაიარევად ისევ გაჩნია
ისევ გაჩნია.
ასეა ალბათ - ყველა თავის
სალოცავს ირჩევს,
მე კი, შენს გარდა, სხვა სალოცავი
რა გამაჩნია?

ბევრი გკოცნის და ბევრი გდალავს,
უძლებ არ იმჩნევ;
შავი ბრჭყალებით უმოწყალოდ
სულს გაფხაჭნიან.
ასეა ალბათ, ყველა
თავის საფიცარს ირჩევს,
მე კი, შენს გარდა, სხვა საფიცარი
რა გამაჩნია?

ვერვინ გაგვფანტავს, გალუთს
კვლავად ვერვინ მოგვიჩენს...
მწამს, ბოლო კარავს ძენი შენნი
შენთან გაშლიან.
ასეა ალბათ, ყველა თავის
ნავსადგურს ირჩევს;
მე კი შენს გარდა, სხვა ნავსადგური
რა გამაჩნია?

ეს სხვა მომავლის იმედია,
ძალას რომ გირჩენს,
დღეის ავდარი - ხვალინდელი
დარის მაცნეა;
ახეა ალბათ, ყველა თავის
საბუდარს ირჩევს,
მე კი, შენს გარდა, ჩემო ქვეყანავ,
სხვა საბუდარი
რა გამაჩნია?

★★★

ახლა, როცა გარეთ ზამთრის
ღამე არის ბნელი,
თბილ ლოგინში ჩაბუზნულა
ციცქნა ბიჭი ელი.
დედამისი ზღაპარს უთხრობს,
ამბავია ძველი:
- იყო   არა იყო რა,
იყო დათვის ბელი.
- არა, დედი ეგ არ მინდა.-
აწყვეტინებს ელი,-
მომიყევი, ციცქნა გოგო
მამას როგორ ელის.
დედა პირშმოს მიუხვდა და
იგრძნო ყველაფერი:
იმ პაწარა გოგოსავით

ელიც მამას ელის.
ახლა,როცა თბილ ლოგინში
ჩაძუძნულა ელი,
ელის მამა ფხიზლად იცავს
საზღვარს ისრაელის.
დედა პირშშოს უთხრობს ამბავს,
ნამდვილს თუ მოგონილს,
ყოველ ღამე ამ საწოლთან
ათასჯერ მოთხრობილს.
როგორ ელის ციცქნა გოგო
მამას ომში წასულს,
ბოლოს,გულში როგორ იკრავს
მამა თავის ასულს.
ამბის ბოლოს ესმის დედას
ბავშვის სუნთქვა ნელი,
მის ჯარისკაც მამას ახლა,
სიზმრად ხედავს ელი.
აი,ცამდე ახცუნავებს
ელის მამის ხელი,
აი,მამამ უსაჩუქრა
პირმშოს ფისო ჭრელი.
აი,მისმა გმირმა მამამ
სულ გაყლიცა მცერი
და ცისფერ ცას მოეფინა
მცრედი ბევრზე ბევრი.
ისრაელში მშვიდობაა,
ყველა ცეკვავს,მღერის,
საბოლოოდ დაიფერფლა
ომი საშინელი.
და ყველა ბავშვს უზრუნდება

მამა უვნებელი...
ძლიერ უნდა, რომ ხიზმარი
ცხადად ექცეს ელის
    ჯერ კიდევ იხევ ზამთარია,
    ღამე არის ბნელი,
    თბილ ლოგინში ჩაზუზნული
    ელი მამას ელის.

***

ოხრავს პირქუში დეკემბრის დილა,
წვიმა მოდის თუ ცის ცრემლებია?
ერის სუნთქვა და ხმა გაკმენდილა,
მზე გოლდახ სარკმელს მოსცილებია.

გოლდა - ვეძახდით ახე უბრალოდ,
უფრო გულთბილად რა უნდა გვეთქვა?
განუსვენეო გოლდახ,უფალო, -
ლოცულობს ვილაც თუ გული მოთქვამს?

    რვა ათეული მიითვალა და
დამშვიდდა,ჰპოვა თავიხი ბოლო,
ხალხში კი დარჩა უკვდავ ბალადად,
ქალის,დედის და ერის ხიმბოლოდ.

შორეთშიც ბევრჯერ გაგვახალისა
იმან,რაც ლამაზ ოცნებად გვქონდა,

რაც გვიმატებდა იმედს ხვალისას,
„ჩვენი სამშობლო" და „ჩვენი გოლდა".

რა ტკივილებიც ამ მიწას ახსოვს,
მასაც სტკიოდა,მასაც სდაღავდა,
მშვიდობას გრძნობდა აქვე,სულ ახლოს,
მის მოლოდინში შემოაღამდა.

შემოაღამდა... სიცოცხლე გაქრა...
ცაზე ღრუბელმა გადაიარა,
მან კვლავ მშვიდობის დილა ინატრა,
სამადლობელო სიტყვები? - არა!

სიტყვებს იქ,აბა,რა ძალა ჰქონდა
როცა თვით საქმე ღაღადებს სათქმელს,
ტანჯული ერის გულში კი,გოლდას
უკვდავების უნთებენ სანთელს.

1978 წ.

# აბჯაშბაღდადიშვილი

● უნდა გაგვიგო დედა

## აბრამ ბაღდადიშვილი

# უნდა მაპატიო დედა

ჩვენ, უგუნურებმა, მგონი გაწყენინეთ,
ოდეს მიგატოვეთ, დედა,
თორის განმარტებით სამშობლო გვიხმობდა,
ნუთუ მართლა შევცდით, დედა?

და როცა ვეშვები ფიქრების მორევში,
შენ მომელანდები, დედა,
ამ მოლანდებაში ვიგონებ მე წარსულს,
რა კარგი იყავი, დედა!

ოჰ, შენი ალერსი, თუგინდ მოფერება,
ტკბილზედ ტკბილი ნანა დედა,
თითქოს კვლავ მომესმის, უცებ შემაჟრჟოლებს,
გულში მიგროვდება სევდა.

მე სიჭაბუკეში ტკივილი მტანჯავდა,
მწვავე რევმატიზმი მღრღნიდა.
შენ ჩემს სასთუმალთან ღამეებს ათევდი....
განა დამავიწყდა, დედა?

როცა დასნეულდი, ლოგინად ჩავარდი,
შენზედ მძიმე ფიქრი მდევდა.
სიკვდილმა იძალა, ჩვენ ველარ გიშველეთ,
ობლობაც ვიწვნიეთ, დედა.

მწარე განსაცდელმა გულის დაღი დამასვა,
მგონი მზეც დამიბნელდა.

კეთილი,ძვირფასი,მშობლის დაკარგვით,
ვფიცავ,თმაც გამითეთრდა.

მე უკანასკნელად მოველ შენს საფლავთან
გამოსათხოვებლად, დედა.
უხმოდ დავმორჩილდი წინაპართა ხურვილს...
რა უგულო ვიყავ,დედა!

არც ის მავიწყდება,რომ შენი ბაგიდან
ხულ იერუსალიმი ჟღერდა.
მეც ვთვლი საპატიოდ,უფრო მკვიდრ მშობელში
იმიტომ გაგცვალეთ,დედა.

ჩამთვლემს,მესიზმრები,მღვიძაბა,მელანდები.
კვლავ თეთრად დამათენდა...
ვნანობ,თუ ოდესმე რამე გაწყენინე,
გთხოვ რომ მოგვიტოვო,დედა...

დედავ,შენი სახე და შენი სახელი
ყველგან აჩრდილივით მდევდა.
ვფიცავ,სიკვდილამდე არ დამავიწყდები,
ოჰ,სულზე უტკბესო, დედა!

27. 4. 80 წ.

# მარინა ბაბიაშვილი

● აჰა, ჩამოველ შორეული საქართველოდან

● დაგინახე, მოდიოდი ქუჩაში

● ვაყებს წავბაძავ

● დედის ნანა თრთოლვა არის სიმების

● ჩემო კარგო, რად ხარ ეგრე ამაყი

# მარინა ჭაჭიაშვილი

***

აჰა, ჩამოველ მორეული საქართველოდან,
ჩემი ჩამოსვლა ყოფილიყოს ფეხბედნიერი.
დე, აგისრულდეს მრავალი წლის ნატვრა, ოცნება,
შენს მიწა-წყალზე შეგეკრიბოს დევნილი ერი.

დე, მსოფლიოში ყოფილიყოს მხოლოდ მშვიდობა,
რომ მშობელ დედებს ომზე ფიქრი
გულს არ უღრღნიდეს,
დე, შენი ერიც, სხვა ქვეყნების ხალხებთან
ერთად,
მშობელ ქვეყანას აშენებდეს, ალამაზებდეს.

აჰა, აღსრულდა ძველი ნატვრა მამა-პაპათა.
მშვიდად იცხოვრებს ებრაელთა ჩაგრული ერი,
აწ კიდევ უფრო გამრავლდები, გალამაზდები...
ჩემი ჩამოსვლა ყოფილიყოს ფეხბედნიერი!

***

დაგინახე, მიდიოდი ქუჩაში,
სიყვარული ჩაგდგომოდა თვალებში.
ვარდის ბუჩქთან ერთი წამით შეჩერდი,
და ყვავილებს ნაზად მიუალერსე.

ეგ გული ხომ პატარა და ნაზია,
ყვავილივით მოფერება სჭირია.
მაგ სიჭურჭემ წრფობის ალში გამხვია...
რომ მიყვარდე, განა გასაკვირია?

რად ამბობ,რომ ყინულივით ცივი ხარ,
სიყვარული შენს გულს არ ეკარება?
ჩემო კარგო,სიყვარული ხხივია,
ვერც გაიგებ,ისე მოგეპარება;

არემარე ყვავილებით აივსო,
გაზაფხულმა გაამრავლა ვარდები.
მინდა ჩუმად,შორით მოგიალერსო,
მჯამს - გამიგებ და შენც შეგიყვარდები.

★★★

ვაყუებს წავზამავ,
გადღეგრძელებ თასის აწევით,
ლექსსაც დაგიწერ,
შენი სახე შიგ გაბრწყინდება.
ასი კი არა,
რომ ვიცოცხლო ათასი წელიც,
შენზე სიმღერა
არასოდეს არ მომწყინდება!

★★★

ღელის ნანა თრთოლვა არის სიმების,
ცის საუნჯე,გულის ფსკერზე ნადები.
რომელ გრძნობას აქვს ძლიერი სხივები,
რომ დაჩრდილოს ღელის ცნების ნათელი?...

ღელის გულის სისპეტაკეს შენაცრის
თოვლის ფიფქი,ციდან ჩამონადენი.

***

ოხვრა ჰაერში იბნევა ტალღად,
და მერე წყდება წვიმის წვეთებად.
ცრემლიც წყალია და თუკი ვფანტავთ,
ისიც მღელვარე ზღვას უერთდება.

მაგრამ,ძვირფასო,ამიხსენ,აბა,
დაბადებიდან რაც ყველას გვიკვირს,
ქვეყნად სიყვარულს როდესაც ვკარგავთ,
რას უერთდება ნეტავი იგი?

***

ჩემო კარგო,რად ხარ ეგრე ამაყი,
რით მოგილბო გული ზვიად ქალიშვილს,
ვიცი,შენი ტრფობის ღირსად არა მთვლი,
ნუთუ შენზე ოცნებასაც დამიშლი?

გამიღიმე,ჩემი ბედის ვარსკვლავო,
წინსვლის გზაზე გამიძეხ,ვით ლამპარი,
დამეხმარე,ცხოვრების გზა გავკვალო,
გამინათე აწმყო და მომავალი.

# თამარ სუთიაშვილი - მოძღვრიშვილი

● იერუსალიმს

● ჩვენ მშვიდობა გვინდა

## თამარ სეფიაშვილი-მოძღვრიშვილი.

# იერუშალიმს

მშვიდობის მზე და მშვიდობის მთვარე
გულს გინათებდეს, წმიდა ალაგო,
ბრძოლით და სისხლით მოპოვებულო,
იუდეველთა დედაქალაქო!

გადაკარგული შვილები ნახე,
დედობა უნდა აწ დაიმშვენო.
შვილნი მოვიდნენ, აგაშენებენ
და დაგიცავენ, მამულო ჩვენო!

შვილნი მოვიდნენ და მოგიტანეს
ტრფობა მზიანი, ტრფობა ფარული.
იერუშალაიმ, ეს ტრფობა გვქონდა
საუკუნობით შემონახული.

დედის და შვილის ურყევ სიყვარულს,
რა შეედრება ამ ქვეყნად ნეტავ!..
ოთხივ კუთხიდან მოგდის შვილები...
გული გაუხსენ, მიიღე, დედავ!

მშვიდობის მზე და მშვიდობის მთვარე
სულ დაგნათოდეს, წმიდა ალაგო.
ბრძოლით და სისხლით მოპოვებულო
დედათა დედავ, დედაქალაქო!

# ჩვენ მშვიდობა გვინდა

ჩვენ მშვიდობა გვინდა,
ჩვენ არ გვინდა ომი! -
ამას ამბობს დედაც,
ჯარისკაცის ცოლიც.

ეჰ, რამდენი ნორჩის
მზე დაბნელდა... კმარა!
ჩვენ მშვიდობა გვინდა
ომი არ გვინდა, არა!

ეჰ, რამდენი კარგი
აზრი ჰქონდათ თავში...
მაგრამ მტრების ტყვია
დაეწიათ გზაში.

ნორჩი ქვრივის ნახვა
აატირებს მნახველს
მუცლით დარჩათ ბავშვი,
არქმევს მამის სახელს.

ვაგლახ, პირმშო შვილიც
არ უნახავს მამას...
ომი დაჰგმეთ ყველამ,
რომ ავცილდეთ ამას.

რას ერჩოდნენ ნეტავ?
ან ჰრაღს სდებდნენ რაში?
ჩიტსაც უნდა ბუდე
თავის ქვეყანაში!



„ფიქრები გალუთზე..."   მხატ. მ. ჯანაშვილი

*ესთერ თეთრუაშვილი*

# მეც მაქვს სამშობლო

ო,ნეტარებავ! ახლა ოცნება
აღარ ვემდური ბედს.
ახლა სამშობლო მეც გამაჩნია
და გული ტკბილად მგერს.

ჩემს ბინაზე ვარ,ხიზნად კი არა,
არვის დავუხრი თავს.
მამა-პაპათა მიწას დავყურებ,
შევტრფი მშობლიურ ცას.

როგორ მიტაცებს ვარსკვლავთ კრებული,
მთვარეც ჩემია,მზეც.
მადლობის გრძნობით ვაქებ და ვლოცავ,
ვინც მიწა მომცა მეც.

ნეთანია - 1980

# შ ი ნ ა ა რ ს ი

შალომ დავითაშვილი. წინასიტყვაობა..............5

ყიურის წევრები. თანამედროვე ქართულ-ებრაული მ-
წერლობა..............................7

მოსე დანიელოვი. ებრაული ეპოსი. ლექსები......11

აბრამ მამისთვალოვი. ლექსები. მოთხრობა.......25

რომან იაკობაშვილი. ლექსები.........  .......61

გერშონ წიწუაშვილი. ლექსები. მინიატურები.....88

დავიდ აჩიაშვილი. ლექსები...................104

რივა დავითაშვილი. ცნობა თამარ მეფის გადმოხვენ-
ების შესახებ იერუსალიმში...................122

შალომ დავითაშვილი. ესთერი (მოთხრობა).......127

იცხაკ ს. დავიდი. გამოკვლევა. ლექსები.......174

## თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

იეჰუდა ჰალევი.............................212

შელომო იბნ გაბიროლი.......................218

მენახემ თალმი.............................222

ციხანა ბინიაშვილი. მინიატურები.................231
ქეთი ბიბილეიშვილი. ლექსები.....................240
თამარ კეზერაშვილი. მოთხრობა. ეტიუდი..........259
იაკობ ჩიკვაშვილი. პარალელური ხაზები..........267
ეთერ დედიაშვილი. ჩაფერფლილი სიყვარული.......277
ლეა ოსიაშვილი. სინანული........................306
ეთერ ფიჩხაძე. ო, ცირა,ცირა.....................313
ეთერ ბინიაშვილი. დაბრუნება....................323
ისახარ იაკობაშვილი. ლექსები...................339
სიმა ჯანაშვილი. ლექსები.........................343
ხანან ლევიაშვილი. დედის გულისტკივილი........346
ირმა ჭინჭუაშვილი. ლექსები......................361
სიმხა აჯიაშვილი. ლექსები.......................365
აბრამ ბალდადიშვილი. უნდა გაგვიგო დედა.......371
მარინა კაკიაშვილი. ლექსები.....................374
თამარ სეფ ·შვილ-მოძღვრიშვილი. ლექსები,......378
ესთერ თეთრუაშვილი. მეც მაქვს სამშობლო.......382